PRIME Time

N22 (220) ორშაბათი, 3 ივნისი, 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„არ მომწონდა არც ის, რაც სპორტის სასახლეში მოხდა და არ მომეწონება არც ის, რომ კიდევ რაღაც ძალებს უნდათ, სახელმწიფო ფუნქცია შეასრულონ“

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილთან

ვისი დავალებით მოქმედებდნენ თამაზ თამაზაშვილის საქმეზე დაკავებული პოლიციელები

რა კავშირი ჰქონდა ძველ ხელისუფლებას პანკისელ ნარკობარონებთან

თამაზ თამაზაშვილი „პრაიმტაიმს“ პანკისის ოპერაციის დეტალებს უმხელს

EXCLUSIVE

პანკისში სიტუაცია გამწვავდება?



პიტერ შოუს, პეტრე ციხკარიშვილისა და „წითელი ჯვრის“ გატაცებაზე მსჯავრდებული, ცნობილი ავტორიტეტი შოთა ჭიჭიაშვილი თავისუფალია

EXCLUSIVE

სააკაშვილს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება

პროკურატურა გრიფით საიდუმლო დოკუმენტებს სწავლობს

„მარტო ეს დოკუმენტაცია აბსოლუტურად საკმარისია“

EXCLUSIVE

კახი კახიშვილი: „ნაცმოძრაობაში“ მძიმე ვითარებაა, ზოგიერთები უკვე ფიქრობენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე...“

ახალაია და მერაბიშვილი „მატროსოვზე“ გასეირნების დროს ხვდებიან?

EXCLUSIVE

„რა ღირს ციხეებში მოგილურის შეტანა, ციხიდან სასამართლოში BMW-თი წასვლა და ინტერნეტით სარგებლობა“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირი ჰქონდა ძველ ხელისუფ

my View
თამარ
გორთამაშვილი

თამაზ თამაზაშვილი „პრაიმტაიმს“ პანკისის ოპერაციის დეტალებს უმხელს

კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსი გენერალი თამაზ თამაზაშვილი პრეზიდენტს სასამართლოში უჩივლებს. მან უკვე გააკეთა განცხადება ამის შესახებ, თუმცა სააკაშვილის გარდა, პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებების გამო, მას სასამართლო დავა სხვა ცნობილ სახეებთანაც ექნება, მათ შორის გიგა ნასარიძესთან და ოლეგ პანფილოვთან. თამაზაშვილი ამავე ბრალდებას უყენებს ყველას, ვინც წინასაარჩევნო პერიოდში მის საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებდა.

გენერალ თამაზაშვილის საქმეზე უკვე დაკავებულია 6 ყოფილი პოლიციელი, გოჩა ბაღათრიშვილი, გოჩა ჩიტაია, ზაზა ჭაია, გრიგოლ კვინიკაძე, ვლადიმერ გამრეკლიშვილი და გივი კრავჩენკო. მათ ბრალად ედებათ მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია, განზრახ, უკანონო დაკავება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.

მანამდე პოლიციელებმა განცხადება გააკეთეს, რომ პროკურატურის მხრიდან ადგილი ჰქონდა ზეწოლას და მათ აიძულებდნენ ეთქვათ, რომ თამაზაშვილს იარაღი ჩაუდეს. მოგვიანებით, აღმოჩნდა, რომ არსებობს დაკავების ოპერაციაში მონაწილე პოლიციელის გრიგოლ კვინიკაძის საუბრის აუდიოჩანაწერი, სადაც ის ჟურნალისტ ნინო ჯღარკავასთან აღიარებს, რომ თამაზაშვილის აყვანის დროს რეალურად მოხდა იარაღის ჩადება. ეს მასალა პროკურატურას გადაეცემა, მანამდე კი „პრაიმტაიმს“ გენერალი თამაზაშვილი თავის ისტორიას უყვება, მათ შორის ფაქტებს, რაც საზოგადოებისთვის მანამდე ცნობილი არ იყო.

თამაზ თამაზაშვილი: - თანამშრომლებს, რომლებიც დააკავეს, გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ჰქონდათ სერიოზული დარღვევები და როცა უკვე მიხვდნენ, რომ გამოძიებას მათი დანაშაული გამოკვეთილი ჰქონდა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე მიდიოდა ბრალდება, გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ პრესკონფერენცია და ასეთი განცხადება გაეკეთებინათ. ფირცხალავასთან ერთად შეიქმნა სამართალდამცავთა უფლებების ლიგა და მათ გადაწყვიტეს, რომ ამ განცხადებებით აეცილებინათ პასუხისმგებლობა. მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, რომ ყველა ის ზონდერი თანამშრომელი, რომლებსაც ჩადენილი აქვთ დანაშაული და მათზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, გაერთიანებულიყვნენ და მოეწყოთ საბოტაჟები. ეს იყო მათი ჩანაფიქრი. სწორედ ამან გამოიწვია ჩემი გაღიზიანება და ამას დაემატა ის, რომ ოლეგ პანფილოვმა დაწერა, თითქოს თელავში ჩემმა ვაჟმა „ლიმონკა“ ააფეთქა, რის შედეგადაც ერთი თანამშრომელი გარდაიცვალა. ეს ტყუილია, აბსურდია. აგერ მოიკვლიეს მასალები, ჩასულებიც იყვნენ თელავში. 13 წლის იყო მაშინ ბავშვი... ისიც ცნობილია ვინც ააფეთქა, არიან თვითმხილველებიც და დაიჭირეს კიდეც დამნაშავე. მაგრამ პანფილოვი გამოდის და ამას ამბობს ჩემს შვილზე, რომელიც მაშინ, როცა ეს მოხდა, 13 წლის იყო, ეს ხომ აბსურდია, თავიდან ბოლომდე ტყუილი. აი, ამან გამაღიზიანა კიდევ უფრო მეტად. თორემ არც ვაპირებდი არაფერს, იმიტომ რომ პასუხის ღირსადაც კი არ ვთვლი ამ ადამიანებს. მაგრამ ახლა, უკვე ძალიან გადაამეტეს, თავს გავიდნენ. ეს თანამშრომლები, კვინიკაძე და დანაჩენები, რომლებსაც პროკურატურაში ჰქონდათ საქმე, ეს ექვი კაცი მიხვდა, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის მაინც დაისჯებოდნენ, არადა, მანამდე ეგონათ, რომ გარეთ დარჩებოდნენ. როგორც ჩანს, ძალიან ცუდი დამრიგებლები ჰყავდათ და, ალბათ, დღეს-ხვალ ისიც გაირკვევა ვინ არიგებდა მათ, ის რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ მოდიოდა ეს ყველაფერი, ფაქტია. როგორც ჩვენ გავიგეთ, ესენი იყვნენ გიორგი ღვინიაშვილი და გია ლორთქიფანიძე, იგივე „ბოროტა“. თვითონ უთქვამთ დაკავებულებს, რომ ლორთქიფანიძე გვარიგებდა რა უნდა გვეთქვაო.

– თქვენ აპირებთ, რომ პატივისა და ღირსების შელახვისთვის უჩივლოთ მიხეილ სააკაშვილს, მის გარდა ვინ იქნებიან ის პირები, ვისი პასუხისმგებლობის დაყენებასაც მოითხოვთ?

– მთელი წლის განმავლობაში სააკაშვილი გამოდიოდა და ამბობდა, რომ ვარ კრიმინალი, ადამიანის გამტაცებელი და ნარკოდამნაშავე, პანკისის თემა გახსოვთ, ალბათ. მთელი წელი ეძებეს ჩემზე სამხილები, ხომ წარმოგიდგენიათ „ნაციონალური მოძრაობა“, ეს გიენები რას გააკეთებდნენ ამისთვის. რაიმე დანაშაული რომ მქონოდა, ერთი წლის განმავლობაში ვერ იპოვიდნენ? ეს ხომ გამორიცხულია. ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ვერაფერს პოულობდნენ ჩემს საწინააღმდეგოს, სააკაშვილი მაინც გამოდიოდა და ჩემზე საშინელებებს ამბობდა. შედიოდნენ ციხეებში, ბაღათრიშვილი და დავით ხიზანაიძე, რომელიც დღესაც მუშაობს პროკურატურაში, და ყველაზე, ვინც შორიდან თუ ახლოდან მიცნობდა, ცდილობდნენ ზეწოლა მოეხდინათ, რომ ჩემს საწინააღმდეგოდ მიეცათ ჩვენება, თითქოს მე იარაღი გადმომქონდა, თითქოს ნარკოტიკებში ვიყავი გარეული. მთელი ის პერიოდი, როცა მე პატიმრობაში ვიყავი, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში „ამუშავებდნენ“ ხალხს, მაგრამ, ღმერთის წყალობით, არავინ არ მისცა ჩემ საწინააღმდეგოდ ჩვენება. რაც ბუნებაში არ არსებობს, იმას როგორ დამაბრალებდნენ და ამიტომაც მოიგონეს ტყუილები. მე ჩემს ადვოკატს მოველაპარაკე და სააკაშვილის წინააღმდეგ შემაქვს სარჩელი, ჩემი პატივისა და ღირსების შელახვისთვის. ასევე, გიგა ნასარიძის წინააღმდეგ შევიტან სარჩელს, რომელმაც საშინელი კლიპები გადაიღო და პროპაგანდას ეწეოდა, თითქოს მე ვიყავი მონსტრი. ნასარიძემ უნდა თქვას, ვინ ავალებდა ამის გაკეთებას, რა ფულს იღებდა ამაში. სხვათა შორის მას, როგორც შემდეგ თქვეს და ჩემამდეც მოვიდა ეს, ერთ-ერთ სუფრაზე, ახლობელთან წამოსცდენია და დაუსახელებია საკმაოდ სოლიდური თანხა, რომელიც გადაუხადეს, ჩემს საწინააღმდეგო კლიპების დამზადებაში. მე ვერაფრის მტკიცებას ვერ დავინყებ, ამას გამოძიება გაარკვევს. ალბათ, იღებდა კიდეც ფულს, თორემ რა უნდოდა ჩემგან, ვერ ვხვდები. ადეიშვილზე და ჭაკუაზე უკვე არის აღძრული საქმე, სადაც მე მცნეს დაზარალებულად. ჭაკუამ დაიბარა ერთი პიროვნება, პავლე მაისურაძე, რომელიც ციხეში მუშაობდა. ერთხელ დაინახეს, როგორ გამომელაპარაკა და მაშინვე დაიბარეს და დაავალეს ჩემთან ტელეფონის შემოტანა. მაისურაძეს შეშინებია ამის გაკეთება და დაუმშვიდებიათ, ეგ, მანდედან ცოცხალი მაინც ვერ გამოვა და ვერაფერს ვეღარ დაგიშავებსო. ტელეფონს რომ შეუტანდა და გავიგებთ მის კავშირებსო, ამის შემდეგ სპეცნაზს შევუშვებთ და შენ მას ვეღარასდროს ნახავო. ანუ ჩემს ლიკვიდაციას გეგმავდნენ. პავლე მაისურაძემ ამ საუბრის შესახებ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე პატიმრობაში ვიყავი, ჟურნალისტებთან განაცხადა. შემდეგ დაიბარეს პროკურატურაში და ჩამოართვეს ახსნა-განმარტებები.

ასევე ვუჩივლებ მურთაზ ზოდელავას, ამას უკვე გამოძიებაც არ სჭირდება. თქვენ გახსოვთ, ციხის კადრების გავრცელებისთანავე გამოვიდნენ და განაცხადეს, რომ თითქოს მე მოვისყიდე მე-8 დაწესებულების თანამშრომლები და კადრები გადავალებინე, ანუ ორგანიზატორი მე ვიყავი. ზოდელავას ეს განცხადება მე რადიოთი მოვისმინე. ეს განაცხადა პრეზიდენტმაც, ზოდელავამაც და კალმახელიძემაც, ყველამ ერთხმად განაცხადეს, რომ მე ვიყავი ამ შემზარავი კადრების დამგეგმავი. აი, ასეთი მძიმე ბრალდების შემდეგ, ხომ უნდა შემოსულიყო ჩემთან გამომძიებელი? მე გეუბნებით, რომ ჩემთან გამომძიებელი დღემდე არ მოსულა, ანუ ეს იყო ტყუილი. ეს იყო მათი მეთოდი, თქვეს ბინძური ტყუილი და შემდეგ გააპიარეს. ამაზე არ უნდა დაისაჯონ? არ უნდა აგონ პასუხი? ამას გამოძიება აღარ სჭირდება, არსებობს ამ ცილისმწამებლური განცხადების ამსახველი კადრები, ფაქტია, რომ ჩემთან გამომძიებელი არ შემოსულა... რატომ არ შემოვიდა? იმიტომ რომ ციხის მეორე კადრები რომ დაიდო, სადაც უკვე სისტემური დანაშაული მტკიცდებოდა და სადაც საკუთარი თავი დაინახეს, უკვე აზრი აღარ ჰქონდა ჩემთან შემოსვლას. მაგრამ ხომ გამოაცხადეს, ხომ დამაბრალეს და მოიტყუეს... ეს პიარი იყო მათთვის მთავარი. მათ ერთგვარი მონსტრის შექმნა უნდოდათ ჩემგან.

– რაც შეეხება დავით ბაქრაძეს, ის ერთ-ერთი ყველაზე გაწონასწორებული სახეა „ნაციონალურ მოძრაობაში“, თუმცა თქვენ მის მიმართაც გაქვთ პრეტენზია...

– დათო ბაქრაძე ხომ ინტელექტუალობს და ხბოს თვალებით იყურება, ზუსტად მაგას არ უნდა შეეშალოს და ისეთი რამ არ უნდა თქვას, რაც თვითონვე იცის რომ სიმართლესთან ახლოს არაა. მან ხომ კარგად იცოდა, რომ ტყულად ვიყავი დაჭერილი, ხომ იცოდა, რომ პოლიტიკური ნიშნით მოხდა ჩემი დაკავება, ისიც იცოდა, რომ იარაღი ჩამიდეს. ამის მერე როგორ მიწოდებს არსახსენებელს და ავადსახსენებელს, ენა როგორ უტრიალდება?! ამიტომ ვამბობ, ბაქრაძე რომ უცოდველი კრავივით იყურება, ეს, ნამდვილად არ არის ასე...

– რატომ გახდით მათთვის სამიზნე, მხოლოდ თქვენი სიძის ივანიშვილის გუნდში ყოფნის გამო, თუ ისეთი რამ იცოდით, რისი გახმაურებაც მათ საფრთხეს შეუქმნიდა, თქვენ ხომ ძალიან დიდი ხანი იყავით სისტემაში. თავის დროზე, როცა პანკისის თემა წამოვიდა, ითქვა, რომ პანკისელ ნარკობარონებს ურთიერთობა ჰქონდათ მაშინდელ ხელისუფლებასთან...

– ეს მარტო მე კი არა, ყველამ იცის, რომ მათ ჰქონდათ ურთიერთობა ნარკობარონებთან. ეგენი ჩადიოდნენ იქ და ატრიალებდნენ სიტუაციას. ახალგაზრდა რეფორმატორები რომ მოვიდნენ, უნდოდათ დაესუსტებინათ ძველი ხელისუფლება. მათ ჰქონდათ იქ ურთიერთობა გამტაცებლებთან და ყველანაირ ინსცენირებას ეგენი აკეთებდნენ. თქვენ იცით, როგორი პიარშიკები იყვნენ და მერე ამას სათავისოდ იყენებდნენ. როდესაც ომი განახლდა რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის, ამდენი ხალხი, ბავშვები, ქალები, მოხუცები, დაჭრილები რომ მოგვადგნენ ხევსურეთის მხრიდან, რა თქმა უნდა, მათ ნებისმიერი სახელმწიფო შეუშვებდა. იქ რომ შევიდოდნენ და ოპერატიული ვითარება დაიძაბებოდა, ეს გარდაუვალი იყო. პანკისი არაა დიდი, პატარა ტერიტორიაა, იქ გადმოსულ ჩეჩენ მოსახლეობას გადმოყვნენ ბოევიკები, რომლებიც სამშობლოს იცავდნენ და გადმოყვნენ კრიმინალებიც, აქედან გამომდინარე, სიტუაცია დაიძაბა. ქართველმა კრიმინალებმა დაიჭირეს მათთან ურთიერთობა, პლუს ამას, ეს რეფორმატორებიც ჩაერთვნენ. ამათ კარგი ფონი მონახეს, რომ ქვეყანაში სიტუაცია დაეძაბათ და გამოიყენეს ეს შესაძლებლობა, რომ დაესუსტებინათ სახელმწიფო ინსტიტუტები. დაასუსტეს კიდეც იმ გატაცებებით, რაც ხდებოდა. რა თქმა უნდა, იქ ნარკოტიკებიც გადმოვიდა, რა თქმა უნდა, ჩვენი ზოგიერთი თანამშრომელიც შეეკრა კრიმინალებს. თუმცა ჩვენ ისინი დავაკავეთ, ათეულობით თანამშრომელი გვყავს მაშინ ამის გამო დაკავებული და ასევე, ასეულობით რეალიზატორი დავიჭირეთ იმ წლების განმავლობაში.

– თქვენ მონაწილეობდით პეტრე ციკარიშვილის გათავისუფლების ოპერაციაში პანკისში. დღემდე არსებობს კითხვის ნიშნები, შეგიძლიათ გვითხართ, რა მოხდა მაშინ?

– როგორც გახსოვთ, ციკარიშვილი აიყვანეს კუს ტბაზე, მეგობარ გოგონასთან ერთად, მერე გამოვიდა ხმა, რომ ნარკოტიკების გულისთვის მოხდა ეს. მე დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, ეს არ მომიკვლევია, უბრალოდ, მე გამოვიყვანე ის პანკისიდან. ძალიან დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა და სიკვდილის ტოლფასი იყო მისი იქიდან გამოყვანა, მაგრამ ეს შევძელით. ციკარიშვილი შეიძლება მოეკლათ, ჩვენ რომ არაპროფესიონალურად მოვქცეულიყავით, იმდენად დაძაბული იყო ვითარება კრიმინალებსა და სამართალდამცავებს შორის. საბოლოოდ, მოლაპარაკებებით და სიცოცხლის ძალიან დიდი რისკის ფასად, ჩვენ ისინი ცოცხალი გამოვიყვანეთ. ახლა კი საოცრებაა, იმის მაგივრად, რომ მადლიერი იყოს, პატიმრობაში რომ ვიყავი, ათას სიბინძურეს ლაპარაკობდა ჩემზე.

– ახლა, როცა თავისუფალი ხართ, თქვენი ოპონენტების მხრიდან ისევ ისმის ბრალდებები, მართალია სხვა შინაარსის,

„ეს მარტო მე კი არა, ყველამ იცის, რომ მათ ჰქონდათ ურთიერთობა ნარკობარონებთან. ეგენი ჩადიოდნენ იქ და ატრიალებდნენ სიტუაციას. ახალგაზრდა რეფორმატორები რომ მოვიდნენ, უნდოდათ, რომ დაესუსტებინათ ძველი ხელისუფლება. მათ ჰქონდათ იქ ურთიერთობა გამტაცებლებთან და ყველანაირ ინსცენირებას ეგენი აკეთებდნენ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვისი დავალებით მოქმედებდნენ თამაზ თამაზაშვილის საქმეზე დაკავებული პოლიციელები

„შურისძიება იცით როდის იქნებოდა? – ორ კვირაში რომ დაეჭირათ ეგენი, როგორც მათ დამიჭირეს, ისე ჩაედოთ იარაღი და დაეჭირათ, აი, ეს იქნებოდა შურისძიება“

EXCLUSIVE

„შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი სიძეა, მაგრამ მე შეიძლება ირაკლის რაღაც ვუთხრა, მომისმინოს, მაგრამ ის მაინც თავისი შეხედულებებით იმოქმედებს. ჯერ ერთი, არც ვეტყვი, იმიტომ რომ მე არაფერში არ ვერევი“

თუმცა ხმაურიანი, რადგან თქვენს სიძესაც მოუწია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა – ვგულისხმობ კახეთში მაღალ თანამდებობებზე თქვენი ნათესავების დანიშვნას... რას გვეტყვით?

– ესენი ცინიკოსები არიან, რაღას არ აბრალებენ ადამიანებს... ახლა ცდილობენ, რომ დაასუსტონ ხელისუფლება, მაგრამ ეს პატარა არსებები, ველარ მოერევიან ხალხს. მე არსად ვერევი, მაგრამ თუ ნათესავი პროფესიონალია, მუშაობდა და კარგად მუშაობს, ერთგულია, რა ვქნათ, ავუკრძალოთ მას საქმიანობა? ჩემს დაზეა საუბარი, ვიცი, არადა ის მანამდეც მუშაობდა, გაათავისუფლეს და ახლა დაინიშნა, რას ხედავთ ამაში ცუდს? მას არ უნდა ჰქონდეს საშუალება იმუშაოს და საკუთარი უფლება დაიცვას, რომელიც ერთხელ უკვე წაართვეს? „ნაციონალების“ სახეები ახლა ყველაფერს ეჭიდებიან, იგივე ირმა ნადირაშვილი, კახელი გოგონაა და მრცხვენია, როგორც იქცევა. უზნეობასაც აქვს თავისი საზღვარი.

ბიძინა ივანიშვილს აქვს შემრიგებლური პოლიტიკა და სწორიც არის, მაგრამ მე ბიძინა ივანიშვილი ვერ ვიქნები, მე ვარ თამაზ თამაზაშვილი. რა თქმა უნდა, შემრიგებლური პოლიტიკა უფრო სწორია და ასეც უნდა იქცეოდეს ყველა, მაგრამ ესენი ისე გაღიზიანებენ, ისეთ რაღაცას იტყვიან, რომ მდგომარეობიდან გამოჰყავხარ. იმის მაგივრად, რომ ბოდიში მოიხადონ, გამოვიდნენ პრეზიდენტი და სხვები, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე და თქვან, რომ ბატონო თამაზ, ბოდიშს გიხდით უკანონოდ რომ დაგაპატიმრეთ, უარესად იქცევიან. თქვენ წარმოგიდგენიათ რა დღეში იყო ჩემი ოჯახის თითოეული წევრი, როცა ჩემზე ასეთ საშინელებებს ისმენდნენ ტელევიზიიდან? არავინ იცის რა გაიარა ჩემმა ოჯახმა ჩემი პატიმრობის პერიოდში, ჩემზე აღარაა საუბარი. ლიკვიდაციასაც კი გეგმავდნენ ჩემსას, მოწამვლაც უნდოდათ და ეს ყველაფერი ხმამაღლა არ უნდა ვთქვა? რატომ არ უნდა ვთქვა, რომ გარეწარია მთლიანად „ნაციონალური მოძრაობა“, როცა მე მკლავდნენ და ჩემს ოჯახს საშინელებებს უკეთებდნენ.

– ანუ იმის გამო ვერ გაჩუმდებით, რომ ირაკლი ღარიბაშვილი თქვენი სიძეა და უხერხულობა არ შეიქმნას?

– შინაგან საქმეთა მინისტრი ჩემი სიძეა, მაგრამ მე შეიძლება ირაკლის რაღაც ვუთხრა, მომისმინოს, მაგრამ ის მაინც თავისი შეხედულებებით იმოქმედებს. ჯერ ერთი, არც ვეტყვი, იმიტომ რომ მე არაფერში არ ვერევი. თვითონ ძალიან გონებამახვილია, იცის თავის საქმე, პროფესიონალი და ძალიან გონიერი ბიჭია. ერთს გეტყვით, რომ მე ირაკლის საქმეში არ ვერევი, ძალიან იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, მოდიან ძველი თანამშრომლები და მეუბნებიან, იქნებ აღგვადგინონ, ვინც ტყუილად გათავისუფლებულია, მაგრამ მე ვეუბნები, დაწერეთ განცხადება კადრებში და თუ არანაირი გადაცდომა არ გქონიათ და ტყუილად ხართ დაჩაგრული, აუცილებლად დაგნიშნავენ. ასე რომ, მე არაფერში არ ვერევი, ეგ არის ტყუილი, ეგ არის მაგათი გაპიარებული თემა.

– ისიც ითქვა, რომ თქვენი საქმის გამოძიება ასე სწრაფად იმიტომ მოხდა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრი ხართ.

– 8 თვე გავიდა და ამ 8 თვის განმავლობაში ეგენი იკითხებოდნენ პროკურატურაში, არავინ ამ პროცესში არ ჩარეულა. რატომ მოხდა სწრაფად, 8 თვე ცოტა დროა? პირიქით, რადგან მე ვარ ირაკლის სიმამრი, თვითონ ირაკლი არ იკადრებდა ამას. შურისძიება იცით როდის იქნებოდა? – ორ კვირაში რომ დაეჭირათ ეგენი, როგორც მათ დამიჭირეს, ისე ჩაედოთ იარაღი და დაეჭირათ, აი, ეს იქნებოდა შურისძიება. ნელ-ნელა მოხდა მოკვლევა და დაუდგინდათ სამსახურებრივი გადაცდომა, ამისთვის არიან ესენი დაკავებული. რატომ მოხდა სწრაფად, მე არ ვთვლი ასე. მაგრამ ახლა „ნაციონალები“ ცდილობენ სხვანაირად წარმოაჩინონ, გააღიზიანონ მოსახლეობა, რომ ამისი თუ გამოიძიეს, რატომ ჩვენსას არ იძიებენო. ტელევიზიით არ ჟღერდება, თორემ იცით რამდენი საქმე გამოიძიეს უკვე და რამდენ საქმეზე აღდგა სამართლიანობა? სულ 27 ათასი განცხადებაა პროკურატურაში შეტანილი. ასე უცბად ვერ მოხდება ეს. თან ბევრია ვინც კიდევ მუშაობს პოლიციაში და პროკურატურაში, ერთიანად ვერ გაწმენდ ამ სტრუქტურას. ეს არაა მარტივი საქმე, ვიღაცამ ხომ უნდა იმუშაოს, საიდან მოიყვან კადრებს? რა თქმა უნდა, ვინც დიდი დანაშაული ჩაიდინა, იგივე ფაცაციამ, ყაჭიშვილმა, ხუჭუამ, უკვე გამოვლენილია ეს.

– შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებას ძველი კადრები აფერხებენ?

– რა თქმა უნდა, ვინც დარჩენილები არიან, გარკვეული დოზით, ალბათ, აფერხებენ კიდეც. მაგრამ ერთბაშად ვერ მოხდება მათი გაწმენდა. ნელ-ნელა მათ აუცილებლად ჩაანაცვლებენ. ეს უნდა მოხდეს ეტაპობრივად. ბიძინა ივანიშვილს ძალიან სწორი პოლიტიკა აქვს. როგორც ამ „ნაციონალებს“ მოუგო ნელ-ნელა, მიუხედავად წართმეული ქონებისა, მაინც აუღელვებლად, წარბშეუხრელად იბრძოლა ბოლომდე, ასე დაალაგებს სიტუაციას ყველა სტრუქტურაში.

– პოლიტპატიმრები და მათთან გაერთიანებული ძალები ითხოვენ სამართლიანობის სწრაფად აღდგენას და უკვე ჰქონდათ კიდეც შეკრება სპორტის სასახლეში. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ.

– გასაგებია, რომ ყველას უნდა, რომ სამართლიანობის აღდგენა სწრაფად მოხდეს. მე მინდა იცოდნენ პოლიტპატიმრებმა, რომ ბიძინა ივანიშვილი არის ის პიროვნება, რომელმაც ეს პოლიტპატიმრები გარეთ გამოიყვანა, ზოგს 20 წელი ჰქონდა მისჯილი, ზოგს კიდევ უფრო მეტი. ახლა ვნახე, რომ ზოგიერთი გამოვიდა და თქვა „ქართული ოცნება“ სხვებს აუხდათ და ჩვენ არაო. ენა როგორ უტრიალდებათ, ამას რომ ამბობდნენ. რა პირობებში იყვნენ საპატიმროში დაავიწყდათ? სწორედ ბიძინა ივანიშვილმა გამოიყვანა ეგენი ციხიდან და ეს კაცი ხატი და სალოცავი უნდა იყოს მათთვის. ამიტომ, ზოგიერთ განცხადებას რომ ვისმენ, გაოცებული ვარ. პოლიტპატიმრებთან ერთად კრიმინალებიც გამოვიდნენ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონდა ამაზე თავისი პოზიცია. მაგრამ მე ვიცი რაც ხდებოდა ციხეში, იქ ფიზიკურ გადარჩენაზე იყო საუბარი, შეიძლებოდა ყოველ წამს რაღაც დაგმართოდა, რადგან ადამიანის ორგანიზმი იმუნურ სისტემაზეა აგებული. ციხეში კი ადამიანის იმუნური სისტემა ნადგურდება, მით უმეტეს თუ აგინებენ და ოჯახის წევრების ხელყოფით ემუქრებიან. ისინი ხომ ასე ექცეოდნენ პატიმრებს. ჯანმრთელობა ყველას მორყეული ჰქონდა, აქ უკვე სიკვდილ-სიცოცხლეზე იყო ლაპარაკი, ამიტომ გადაწყდა ასე. ინდივიდუალური განხილვა რომ ყოფილიყო, ამას წლები დასჭირდებოდა. ამიტომ გადაწყვიტეს და ერთად გამოუშვეს ეს ხალხი და დიდი მადლიც იყო მათი გათავისუფლება. მართალია, მათ კრიმინალებიც გამოყვნენ, მაგრამ მალევე უმრავლესობამ ისევ ჩაიდინა დანაშაული და ციხეში შეაბრუნეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. და ახლა, ვინც რა უნდა თქვას, ძალიანაც რომ ეცადონ შავი პიარის აგორებას, ხალხი ყველაფერს კარგად არჩევს, შავსაც და თეთრსაც. მაჩვენეთ ადამიანი, ვინც ჩემზე იტყვის, რომ უსამართლოდ მოვექეცი, რატომ აქამდე არავინ გამოვიდა და არ თქვა, ამიტომ მე თავისუფლად და სუფთა სინდისით დავდივარ ქუჩაში, მათ კი ეშინიათ ხალხის, იმიტომ რომ იციან რაც აქვთ ჩადენილი და საზოგადოებას ეს ჯერ კიდევ კარგად ახსოვს. თუმცა ქართველი ხალხი მაინც შემწყნარებელია, ამიტომ ბოდიში მაინც მოიხადონ. და ბოლოს, მე „ნაციონალებთან“ გადავდივარ ალავერდს ორლიტრიანი ყანწით, ოღონდ არა ღვინით, არამედ ლექსით, რომელიც დედაჩემმა დაწერა და ანდერძად დაგვიტოვა შვილებს. ამ ლექსში ძალიან კარგად ჩანს, როგორ ცხოვრობდა თამაზაშვილების ოჯახი და რა ფასეულობებზე გავიზარდეთ.

„ფაქტია, რომ ჩემთან გამომძიებელი არ შემოსულა... რატომ არ შემოვიდა? იმიტომ რომ ციხის მეორე კადრები რომ დაიდო, სადაც უკვე სისტემური დანაშაული მტკიცდებოდა და სადაც საკუთარი თავი დაინახეს, უკვე აზრი აღარ ჰქონდა ჩემთან შემოსვლას. მაგრამ ხომ გამოაცხადეს, ხომ დამაბრალეს და მოიტყუეს... ეს პიარი იყო მათთვის მთავარი. მათ ერთგვარი მონსტრის შექმნა უნდოდათ ჩემგან“

ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს

„იყავით გულმართალნი, იყავით კეთილნი,
გიყვარდეთ ერთმანეთი, ამას გთხოვთ დედა.
იყავით ამაყნი, მხოლოდ ზომიერნი,
ნამდვილად დამიჯერებთ, თვალნათლივ ვხედავ...
აკეთეთ საქმენი წინდახედულად,
იფიქრეთ გონებით და არა გულით,
ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გამოსჭერით,
გიყვარდეთ სამშობლოს ტანჯული სული.
თუ გაგიჭირდათ არ შედრკეთ არასდროს,
ეძებეთ გამოსავალი მშვიდად.
ცხოვრება ეკლიანია და მჯერა ყოველთვის
ჩემს ნათქვამს მოიგონებთ ხშირად...
მე და მამათქვენი მოვუყვებით წუთისოფელს,
ბევრჯერ გაგვიჭირდა კიდეც,
მაგრამ არ შევმკრთალვათ ჩვენი ნებისყოფით,
ცხოვრებას მივყვებით მტკიცედ,
სამაგიეროს გადახდა? – რა კაცის საქმეა,
თუ ვინმემ გაწყენინა შვილო,
მოიქეცი ისე, რომ სიკეთე აჩვენო,
ბოდიში მოგიხადოს თვითონ.
გიყვარდეს სამშობლო და შენი ერი!
პატივი მიაგე ყველას,
შენს სისხლს და ხორცს თუ რამე ეტკინა,
მყის დაუდექი მცველად.
ძმას თუ გაუჭირდა – და მიეხმაროს,
დას თუ გაუჭირდა – ძმა.
მე გავიგონებ სასუფეველში
მოგწვდებათ მადლობის ხმა.
წუწუნი? – რა კაცის ხელობაა!
ვერავინ ვერ გიშველის მაგით,
გუნებას წაუხდენთ მსმენელს და გამგონელს,
ნდობას დაჰკარგავთ ამით.
ნურც იტრაბახებთ წარმატებებით,
აკეთეთ საქმენი წყნარად,
ღმერთი დაინახავს თქვენს კეთილ ქცევას,
არავინ დაგრჩებათ მწყრალად.
დედა გთხოვთ ამას, კიდევ და კიდევ,
იყავით მტკიცენი შვილო,
სანთელ საკმეველი გზას არ დაჰკარგავს,
დიდი ილია თვლისო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პიტერ შოუს, პეტრე ცისკარიშვილისა და „წითელი ჯვრის“ გატაცებაზე

EXCLUSIVE

პანკისის ხეობა

ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი, შოთა ჭიჭიაშვილი თავისუფალია

მარიამ ნადირაძე

ამბავმა, რომელიც ორიოდე დღის წინ გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის, საგონებელში ჩააგდო თავად ახალი ხელისუფლება. სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა პანკისელმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა შოთა ჭიჭიაშვილმა. ეს სწორედ ის პერსონაა, რომლის სახელს ხეობაში ყველაზე ცნობილ გატაცებებს უკავშირებდნენ.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, მის განთავისუფლებას გარკვეული სატელეფონო ზარებიც მოჰყვა: შევარდნაძისდროინდელი ჩინოვნიკები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ივანიშვილის ხელისუფლების მიღმა დარჩენილი მათი ნაწილი ამ ხელისუფლებაში მყოფთ აღშფოთებას ვერ უმალავდა. ხოლო ის ნაწილი, რომელიც დღესაც საკმაოდ მაღალ პოსტებს ინარჩუნებს, გაკვირვებას გამოხატავდა, როგორ გამოეპარათ ასეთი კატეგორიის დამნაშავის კონტროლი.

კონტროლი კი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი ხელისუფლების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტით – ამნისტიით, შემდგომ კი სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელის შეკრებასთან დაკავშირებული ცვლილებების ფონზე სასჯელაღსრულების სამინისტროს მოუნია, ფართოდ გაეღო კარი ისეთი კრიმინალური ავტორიტეტისთვის, როგორიც ჭიჭიაშვილია.

თუმცა, თავში ხელების ცემა ახლა, ალბათ, უკვე გვიანია. ფაქტია, რომ ჭიჭიაშვილმა 22 წლის ნაცვლად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის ნახევარიც კი არ მოიხადა და ეს ყველაფერი ახალი ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის დამსახურებაა.

ვინ არის შოთა ჭიჭიაშვილი და რა დანაშაულებია მის სათვალავში?

შოთა ჭიჭიაშვილს ქართველი სამართალდამცველები 1997 წლიდან ეძებდნენ. 2000 წლიდან კი ის ინტერპოლის წითელი ცირკულარით ცხადდება ძებნილად. ამ დროისთვის მას უკვე ადამიანების გატაცებებსა და მკვლელობებში ედებოდა ბრალი. მოგვიანებით ის სწორედ ამ დანაშაულების ორგანიზების გამო მისცეს პასუხისგებაში და სასამართლომ სასჯელის ნაწილობრივი შეკრებით, განაჩენის სახით, 22 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუდგინა. სწორედ მის სახელს უკავშირდებოდა ბრიტანელი ბანკირის, პიტერ შოუს, ესპანელი ბიზნესმენების, „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის წევრებისა და პარლამენტარ პეტრე ციკარიშვილის ხეობაში გატაცებისა და დატყვევების ფაქტები. ძებნილი ჭიჭიაშვილის დაკავება მოსკოვში მხოლოდ 2003 წლის 24 ივნისს მოხერხდა.

„პრაიმტაიმისთვის“ მის დაკავებასთან დაკავშირებით ცნობილია ისეთი დეტალები, რომელიც ჯერ არსად გაჟღერებულა და ამის შესახებ ექსკლუზიურად სწორედ ჩვენი მკითხველი შეიტყობს:

ჭიჭიაშვილი ძებნილთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომლის ხელში ჩაგდებაც ყველა კეთილსინდისიერი სამართალდამცველის ოცნება იყო. სამართალდამცველთა კეთილსინდისიერებას ამ შემთხვევაში ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ განსაკუთრებით 90-იან წლებში მასთან და მის საქმიანობასთან კავშირში არაერთი მაღალჩინოსანი პოლიციელი იყო მხილებული. მხილებულნი იყვნენ, რა თქმა უნდა, ინფორმაციის და არა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დონეზე. თუმცა, იმ დროისთვის ყველამ კარგად იცოდა, რომ პანკისში დაძაბული კრიმინოგენური ვითარება იმ დროის პოლიციის შეფებს ყველაზე მეტად აძლევდა ხელს, რადგან ყველაზე მეტი ფული იმ ბიზნესებიდან მიიღებოდა, რომელიც სწორედ ამ ხეობაში დულდა – ეს იყო ნარკობიზნესი და ტრეფიკინგი...

პიტერ შოუ

ბოლოს და ბოლოს, თარგამაძის ეპოქის დასრულების შემდეგ დადგა დრო, როდესაც სამინისტრო ჭიჭიაშვილის პერსონით დაინტერესდა. რა თქმა უნდა, დაიწყო ოპერატიული მუშაობა მის ახლო გარემოცვაზე. ბუნებრივია, მის მეუღლესთანაც გადაწყვიტეს გარკვეულწილად ოპერატიულ კავშირზე გასვლა. მაგრამ პოლიციელების გასაკვირად, ეს ქალბატონი არც „ლამაზ ბიჭს“ გამოეკიდა და არც ფულს. ცხადია, ამან გარკვეული პატივისცემა გამოიწვია პოლიციის თანამშრომლებში. იმ პერიოდისთვის გაირკვა, რომ ჭიჭიაშვილის მეუღლე ფეხმძიმედ იყო. სამართალდამცველებმა დაასკვნეს, რომ ასეთი ქალი, ცხადია, ქმარს არ უღალატებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას მეუღლესთან შეხება აუცილებლად ექნებოდა. დაწესდა მასზე თვალთვალი. თუმცა ამის განსახორციელებლად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯგუფის მივლინება სჭირდებოდა მოსკოვში, ვინაიდან ჭიჭიაშვილის ოჯახი იმ პერიოდისთვის სწორედ იქ ცხოვრობდა. შედგა ჯგუფი, რომელსაც ერთ-ერთი გენერალი ხელმძღვანელობდა. უფრო მეტიც, ოპერაცია ორი ქვეყნის სამინისტროებს შორის შეთანხმების საფუძველზე დაიგეგმა. დიდხანს მოუნიათ ქართველებს რუსეთის დედაქალაქში ყოფნა. იმდენად დიდხანს, რომ შეთანხმების ვადის ხელოვნურად გაჭიანურებაც კი უხდებოდათ. ბოლოს და ბოლოს, დადგა ის ნანატრი ღამეც, როდესაც თბილისში დაირეკა ცნობით იმის თაობაზე, რომ საცხოვრებელ ბინასთან ჭიჭიაშვილი გამოჩნდა. სწორედ მეუღლისადმი პატივისცემის გრძნობით განმსჭვალულმა პოლიციელებმა შოთა ჭიჭიაშვილის დაკავება დილისთვის გადადეს. ეს კი, ცხადია, გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული, რადგან სრულიად ადვილად წარმოსადგენი იყო, რომ ჭიჭიაშვილი სამართალდამცველებს ხელიდან დასხლტომოდათ. ამის მიუხედავად, ძებნილის დაკავება მაინც დილამდე გადაიდო...

დაკავებიდან 6 თვის განმავლობაში ჭიჭიაშვილი რუსულ ციხეში იმყოფებოდა. ქართული მხარე მიიჩნევდა, რომ ქართულ პენიტენციარულ სისტემაში ადვილი შესაძლებელი იყო დაკავებული ავტორიტეტისთვის გაქცევის ორგანიზება. ამიტომ მათ რუსი კოლეგები დაარწმუნეს, რომ ჭიჭიაშვილი მათთვისაც საინტერესო იქნებოდა ჩეჩნურ თემებთან დაკავშირებით... ჭიჭიაშვილმა რამდენჯერმე მიმართა რუსეთის ხელისუფლებას პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით, მაგრამ პუტინის ხელისუფლებისგან მან სასტიკი უარი მიიღო.

ამასობაში კი საქართველოში რევოლუციამ იქუხა. ხელისუფლება შეიცვალა. ძველი ძალოვანი მინისტრებიდან პოსტი მხოლოდ უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ შეინარჩუნა. ახალ რეალობაში კი მისგან ჭიჭიაშვილის ექსტრადირება საქებარ საქციელად აღიქმებოდა. ასეც მოხდა. 2004 წლის იანვარში ქართულ მიწაზე თვითმფრინავი დაეშვა. პანკისელ ავტორიტეტთან ერთად სწორედ უშიშროების მინისტრი გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიზნით მოსკოვში ის პროკურორ ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად გაემგზავრა, უკან მარტო დაბრუნდა, ძებნილთან ერ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ია გამწვავდება?

თად. ჩვენი ინფორმაციით, ოქრუაშვილმა მაშინ მოსკოვში დარჩენა არჩია... მოგვიანებით, ვალერი ხაბურძანია აცხადებდა, რომ პატრუშევმა ჭიჭიაშვილი პირადად მას ჩააბარა. სხვა შემთხვევაში, რუსეთი ქართულ მხარეს ასეთი წონის ავტორიტეტს არ გადასცემდა...

მერე იყო სასამართლო: მაშინდელ უშიშროებას დიდი მოლოდინი ჰქონდა, რომ ჭიჭიაშვილი მათ მსხვილი კალიბრის დამნაშავეებზე გაიყვანდა. უშიშროება, მათ გვარებს პრესასთან არ ასახელებდა, მაგრამ ცხადია, თარგამაძისდროინდელი ჩინოსნები იგულისხმებოდნენ, რადგან ჭიჭიაშვილის ბანდის წევრები იმ დროისთვის დაკავებულნი, ან ლიკვიდირებულნი იყვნენ.

იუსტიციის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ, გიგი უგულავამ სასჯელაღსრულების დანესებულებაში ჭიჭიაშვილის უსაფრთხოების განსაკუთრებული ღონისძიებების შესახებ სპეციალური პრესკონფერენციაც კი მოაწყო. ის იმედოვნებდა, რომ დაკავებული ძებნილისგან ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს მიიღებდა ე.წ. პანკისურ საქმეებში ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკთა კავშირების შესახებ. ვერ გეტყვით, რა ინფორმაცია მიიღო მაშინ რევოლუციურმა მთავრობამ, თუმცა, ფაქტია, რომ დღემდე პანკისის ბნელ საქმეებთან ნაციონალური ხელისუფლება მხოლოდ შინაგან საქმეთა ამჟამინდელი მინისტრის სიმამრს, თამაზ თამაზაშვილს აკავშირებს, რომელიც თავის დროზე კახეთის რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელი გახლდათ. სხვათა შორის, მის სახელს უკავშირდება პანკისის ხეობიდან გატაცებული წითელი ჯვრის თანამშრომელი ქალბატონების დახსნის ოპერაცია. თუმცა, როგორც ამბობენ, მაშინ მან ჭიჭიაშვილთან შეთანხმებას კიდევ ერთი პანკისელი ავტორიტეტის, ვეფხია მარგოშვილის დახმარებით მიაღწია, რის გამოც მარგოშვილს მოგვიანებით ძებნა მოეხსნა. როგორც, ჩანს, მადლობის ნიშნად.

გამოძიებამ შოთა ჭიჭიაშვილს ბრალი 24 ეპიზოდში წარუდგინა. აქედან მან მხოლოდ ერთ ეპიზოდში ცნო თავი დამნაშავედ – ყაჩაღობაში, ისიც ნაწილობრივ.

ახმეტის რაიონის სოფელ დუისში 1975 წელს დაბადებული შოთა ჭიჭიაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო 6 მუხლით. გამოძიების მტკიცებით, ჭიჭიაშვილმა ჯერ კიდევ 1995 წელს ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი დაჯგუფება და მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში ჩაიდინა ათობით უმძიმესი დანაშაული – მათ შორის მკვლელობა, ადამიანის გატაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, ყაჩაღობა და სხვა. ის არ ცნობდა თავს დამნაშავედ პეტრე ციხისკარიშვილის გატაცებაში, პოლიციის თანამშრომლების მკვლელობაში, ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაში. ისე, ცოდვა გამხელილი სჯობს და დაცვის მხარე სასჯელის ზომად თავისუფლების სამუდამო აღკვეთას ელოდა. მოსამართლემ კი თავისი განაჩენით მხოლოდ 22 წელი მიუსაჯა ცნობილ ავტორიტეტს. ცხადია, ეს გადაწყვეტილება აღარ გასაჩივრებულა....

ისე, ობიექტურობისთვის, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რა დროიდანაც ქართულმა სამართალმა ჭიჭიაშვილის კრიმინალის ათვლა დაიწყო, ცოტა ხნით ადრე, ანუ პანკისური ნარკობიზნესის საწყის ეტაპზე, ის ერთ-ერთი სპეცდანიშნულების რაზმის სამხედრო მოსამსახურე იყო და ნარკობარონად ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ ძალიან შორი გზა ჰქონდა გასავლელი...

სხვათა შორის, დღევანდელი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობდა პანკისურ ოპერაციაში 2001-2002 წლებში. ესენი იყვნენ ლაშა ნაცვლიშვილი და ირაკლი ალასანია. ყველაზე მეტად საინტერესო საზოგადოებისთვის დღეს სწორედ მათი კომენტარი იქნება. მით უმეტეს, რომ მათ ეს ვალდებულება, დღევანდელი პოზიციების გამო, ნამდვილად გააჩნიათ. თუმცა, სანამ ისინი დუმილს ამჯობინებენ, ჩვენს მკითხველს ერთ დეტალს შევახსენებთ: იმ დღეს, როდესაც გატაცებული პიტერ შოუ მოძებნეს, ორ კრიმინალურ დაჯგუფებას შორის სროლა ატყდა. პიტერ შოუ გატაცების ადგილიდან გამოიპარა და თავად მიაღწია დუისის პოლიციის განყოფილებამდე.

უშიშროების მაშინდელი მინისტრის მოადგილე ირაკლი ალასანია ამ ფაქტს წლების შემდეგ ასე იხსენებდა: „დუისის რაიგანყოფილებაში, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა ინგლისურად მოლაპარაკე. რაკი იქვე ვიყავი, მივედი. დავრწმუნდი, რომ ნამდვილად პიტერ შოუ იყო და წამოვიყვანე, რათა ოპერატიულად საყურადღებო ინფორმაცია გზაშივე მიმეღო მისგან და დრო არ დაგვეკარგა“.

ჩვენს მკითხველს კიდევ ერთ ფაქტს შევახსენებთ: მაშინ ალასანიამ განთავისუფლებული ბიზნესმენი პირდაპირ უშიშროების სამინისტროში, კაბინეტში დაბარებული სატელევიზიო კამერების წინ მიიყვანა. საინტერესოა, რას იტყვის დღეს ირაკლი ალასანია, რომელმაც პიტერ შოუსგან მიღებული „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე, ალბათ, ყველაზე კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს შოთა ჭიჭიაშვილის განთავისუფლება პანკისის ხეობის სიმშვიდისთვის.

თუმცა, ცხადია, ვერც ის და ვერც ლაშა ნაცვლიშვილი დღეს ხმამაღალ განცხადებებს ვერ გააკეთებენ, რადგან ამ შემთხვევაში იმ ტოტის მოჭრა მოუწევთ, რაზეც თავად სხედან.

„პრაიმტაიმი“ შოთა ჭიჭიაშვილის განთავისუფლებასთან დაკავშირებით სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს, ირაკლი კორძაიას დაუკავშირდა და სწორედ მისგან შეიტყო ჭიჭიაშვილის განთავისუფლების კონკრეტული მიზეზების შესახებ. როგორც ირკვევა, მას ჯერ ამნისტიამ შეუმცირა სასჯელი ერთი მეოთხედით. შემდეგ კი, როდესაც ძალაში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება სასჯელის შეკრებითობის გაუქმების შესახებ, სასჯელის ყველაზე მაღალმა ზომამ შთანთქა დანარჩენები და მას მოუხდა დაწესებულების დატოვება.

ყველაზე ოპტიმისტები ვარაუდობენ, რომ შოთა ჭიჭიაშვილი უსათუოდ დატოვებს საქართველოს. თუმცა საქმეში ჩახედულთა დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ის აუცილებლად შეუქმნის პრობლემებს პანკისში ივანიშვილის ხელისუფლებას.

“სოკარი” და ,,უნიქარდი” პარტნიორები გახდნენ

,,უნიქარდის” პარტნიორთა ვრცელ ნუსხას „სოკარი" შეემატა.
მხარეებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი ,,სოკარის” სათავო ოფისში გაფორმდა. საქართველოში ნავთობპროდუქტების ლიდერი კომპანიის ქსელში მომხმარებელს ქულების დაგროვება უკვე „უნიქარდითაც" შეუძლია.
,,სოკარი” ბაზარზე 2006 წლიდან გამოჩნდა და მთელი საქართველოს მასშტაბით ფართო ქსელს ფლობს, 100-ზე მეტ ბენზინ და გაზგასამართ სადგურს. საწვავის აღნიშნული ბრენდი უმაღლესი ხარისხით გამოირჩევა და მომხმარებლებს მაღალი დონის სერვისსა და ჩასხმის სიზუსტეს სთავაზობს.
,,სოკარის” მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, ,,უნიქარდზე” ქულები როგორც ბენზინის და დიზელის ჩასხმისას, ასევე გაზით დატუმბვის დროს დააგროვონ.
დღესდღეობით ,,უნიქარდი”, მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს და საქართველოში ასობით კომპანიასთან თანამშრომლობს.
მხარეებს შორის მემორანდუმს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას" გენერალურმა დირექტორმა მაირ მამედოვმა და „უნიქარდის" დირექტორმა ბესო აბულაძემ მოაწერეს ხელი და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.
მაირ მამედოვის განმარტებით, თანამშრომლობა შედგა, რაც ,,სოკარისთვის” მნიშვნელოვანი გადანყვეტილებაა. მისივე თქმით, დაგროვების საკუთარი ბარათის, ,,ენერჯი ქარდის” მფლობელი კომპანია ,,უნიქარდთან” პარტნიორობით მომხმარებელს არჩევანის მეტ შესაძლებლობას აძლევს. მაირ მამედოვის შეფასებით, უნიქარდი არის ლოიალური პრობრამა, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში მაღალი ნდობითა და აშკარა უპირატესობით სარგებლობს.
„მოხარული ვარ, რომ ეს პარტნიორობა შედგა. ამით ჩვენი მომხმარებლებლის სპექტრი კიდევ უფრო გაფართოვდება. ჩვენ გვქონდა დაგროვებითი ბარათი „სოკარ ენერჯი ქარდი", მაგრამ „უნიქარდის" საშუალებით ჩვენი მომხმარებლის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება" - აღნიშნა მაირ მამედოვმა.
„უნიქარდის" დირექტორმა ბესო აბულაძემ „სოკარის" პროდუქციის მაღალ ხარისხსა და მომსახურებაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ აღნიშნული შეთანხმებით „უნიქარდის" პარტნიორთა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა.
„დღეს არსებულ პარტნიორებს შემოურთდა „სოკარი", თავისი ბენზინგასამართი და გაზგასამართი სადგურებით. ქართული ბაზრის გიგანტურ კომპანიასთან პარტნიორობის დაწყება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია და ეჭვი არ მეპარება, ,,უნიქარდის” მილიონზე მეტ მომხმარებელს ძალიან გაეხარდება ასეთი მრავალფეროვანი არჩევანი ნავთობპროდუქტებისა და გაზის სექტორში. ,,სოკარი” ზრუნავს საკუთარი მომხმარებლების ლოიალობაზე და მათ დამატებით შესთავაზა ,,უნიქარდი”, რაც თავის მხრივ, არჩევანის მეტ შესაძლებლობას გულისხმობს-დააგროვონ ქულები და აირჩიონ საჩუქრები ჩვენი კატალოგიდან, რომელის ასორტიმენტიც სულ უფრო იზრდება”, - აღნიშნა ბესო აბულაძემ და ,,უნიქარდის” სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.
აბულაძის ინფორმაციით, ,,უნიქარდი” სიახლეებს გვპირდება უნიტურის მიმართულებითაც, რომელიც მომხმარებელთა მხრიდან მაღალი პოპულარობით და ნდობით სარგებლობს.
,,უნიტური ძალიან პოპულარული პროდუქტია, რომლითაც უკვე ათასობით ადამიანმა ისარგებლა. ამ პროექტის ფარგლებში, უამრავ მომხმარებელს მივეცით შესაძლებლობა, ემოგზაურათ სტამბულში, ეგვიპტეში, დუბაიში და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. დღემდე 1,5 მილიონზე მეტი საჩუქარია გაცემული. ხოლო კიდევ ერთი პარტნიორი ნიშნავს, რომ ,,უნიქარდის ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა”, - განმარტა ბესო აბულაძემ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტე

თამარ ფხაკაძე

კონფლიქტის ზონაში საზღვრის გადმონევასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შემდეგ, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს. არის თუ არა რეგიონში მორიგი პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის საფრთხე, რას აპირებს საქართველოს მთავრობა რუსეთთან მიმართებაში, დაუმძიმდება თუ არა ბრალი ვანო მერაბიშვილს, დაკითხავენ თუ არა ნინო ბურჯანაძესა და მიხეილ სააკაშვილს, ვინ მართავდა 17 მაისის აქციას და რა პასუხი აქვს პრემიერს პოლიტპატიმრებისთვის, რომლებიც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ? ყველა ამ კითხვას პრემიერი ბიძინა ივანიშვილი პასუხობს.

„თქვენი ინტერვიუს შემდეგ პირდაპირ მოვითხოვ კულტურის მინისტრისგან, რომ დავიწყოთ მაგის ანალიზი. ის, რომ მეუფეებს მანქანებს უნიშნავდნენ და კონკრეტულ თემებში ერეოდა სახელმწიფო, არ არის სწორი“

– შიდა ქართლში, სოფლებში დიცსა და დვანში რუსეთის ჯარმა საოკუპაციო ზოლი 300 მეტრით გადმოწია. ტერიტორიას მავთულხლართები შემოავლეს, ამ ფაქტს უკვე უწოდეს მცოცავი ოკუპაცია, რა მექანიზმები არსებობს ამ პროცესის შესაჩერებლად და რა ბერკეტები გაქვთ პირადად თქვენ?

– ის, რაც ხდება, ძალიან არასასიამოვნო და მართალი გითხრათ, გაუგებარიცაა, რამეთუ მეგონა, სხვა დამოკიდებულება განვითარდებოდა ახალ ხელისუფლებასა და რუსეთს შორის. ჩვენ არაფერს ვაკლებდით, რომ სიტუაცია დაგველაგებინა. ჩემთვის მოულოდნელია და მაქსიმალურად ვცდილობთ, გავარკვიოთ, საიდან მოდის ეს, უმაღლესი ხელისუფლებიდან თუ... არ გამოვრიცხავ, რომ ეს მინისტრის, ან დაბალ დონეზე, შესაძლოა, გენერლის დონეზეც წყდებოდეს. ძალიან სამწუხაროა... მე მძიმე დასკვნების გაკეთებას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოპონენტები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ეს ჩვენი შერბილებული რიტორიკის შედეგია. ამას არ ვეთანხმები. ჩვენ არ გვაქვს შერბილებული რიტორიკა, ჩვენ გვაქვს დიპლომატიური, ნორმალური, ჯანსაღი რიტორიკა, რომელსაც არ ვფარავთ და ისევ გავაგრძელებთ. ვცდილობთ, ყველაფერი დიპლომატიითა და ნორმალური გამონათქვამებით დავალაგოთ და არა ომით. რთულია, ადრეც არასდროს მითქვამს, რომ მოვალთ და ხუთ წუთში ყველაფერს დავალაგებთ. რა თქმა უნდა, სიტუაცია, საიდანაც ჩვენ დავიწყეთ, ძალიან რთული იყო და დღესაც რთულია. ეს, რა თქმა უნდა, მარტივად ვერ დალაგდება და ჩვენ არასდროს გვქონია ამის ილუზია. მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციაში ვიყავი, არასდროს ამ საკითხს არ ვამარტივებდი. ეს რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება. თუ გნებავთ, ეს ფაქტიც ამას ადასტურებს. მე არასდროს მითქვამს, რომ ჩვენ მოვალთ და ძალიან სწრაფად დავალაგებთ ურთიერთობას ჩვენს დიდ მეზობელთან.

„არც მოვახერხებ, ვერც მოვახერხებ და არც ჩავერევი პროკურატურის საქმეებში. დაახლოებით ვიცი, რომ მერაბიშვილს კიდევ რამდენიმე ბრალდება უნდა წაუყენონ“

– ხომ არ ელოდებით, რომ შესაძლოა, სიტუაცია დამძიმდეს და რაიმე ტიპის დესტაბილიზაცია მოხდეს?

– მართალი გითხრათ, ესეც გაუგებარია, რაც ხდება. მე ისეც ვერ ამიხსნია, რატომ ხდება, ეს არ შედის ინტერესში, ეს არ შედის იმ ანალიზში, რომელსაც მე ვაკეთებ. ჩემს ხედვებს ეს არ ემთხვევა და ეს არის ამოვარდნა იმ მოდელიდან, რომელიც წარმომიდგენია. მით უმეტეს, გართულება ვერ წარმომიდგენია. გასაგებია, რომ ეს ჩვენ არ გვაინტერესებს და ჩვენთვის საშინელებაა, მაგრამ ჩემი გადმოსახედიდან და ჩემი ანალიზით, ეს არ შედის რუსეთის ინტერესებში. დაველოდოთ ცოტა დროს. რა ხდება, ჩემთვისაც ამოსახსნელია. მე არ ველოდები, რომ ეს გართულდება და რამეში გადაიზრდება, არ მაქვს ამის მოლოდინი. ნუ გავაკეთებთ ზედმეტ დრამატიზებას. ჩვენ ჯანსაღ რეაქციას ვაკეთებთ. მე შეხვედრა მქონდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან და საუბრის ძირითადი თემა ეს იყო.

– რა რეაქცია ჰქონდა მას?

– მისთვისაც გაუგებარი იყო. რაც მთავარია, დავარწმუნე, რომ მაქსიმალურად უნდა მოხდეს ამაზე რეაგირება. ასევე, მივმართავთ ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობას ყველა კუთხით და ყველა მიმართულებით, რომ ადეკვატური რეაქცია გავაკეთოთ. იმედს ვიტოვებ, რომ ეს არ არის სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი სტრატეგია, იმიტომ რომ ვერ ვხედავ ამაში რუსეთის ინტერესს, არ უნდა უნდოდეს დღეს რუსეთს მსგავსი გართულებები.

– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არ არის მაღალ ეშელონებში მიღებული გადაწყვეტილება?

– მე მგონია ასე. არავითარი დამატებითი ინფორმაცია არ გამაჩნია. მე ვუყურებ და ვაანალიზებ, ისევე როგორც თითოეული თქვენგანი. ჩემი გადმოსახედიდან, დიდი ალბათობით, ეს არ უნდა იყოს სახელმწიფო სტრატეგია, რამეთუ არ ემთხვევა რუსეთის ინტერესებს.

– მით უმეტეს, იმ შეცვლილი რიტორიკის შემდეგ, რაც ახალმა ხელისუფლებამ რუსეთის მიმართ გამოაჩინა...

– რა თქმა უნდა, და მე დიდი იმედი მაქვს, რომ შეიძლება, მოკლე დროში ეს გასწორდეს.

– მთავრობა თუ მუშაობს და თუ დააყენეთ საკითხი კონფლიქტის ზონაში ეუთოს დამკვირვებლების შესვლის თაობაზე?

– რა თქმა უნდა. მე ვიყავი ბრიუსელში, ევროსაბჭოში, სტრასბურგში და ძირითადი თემა სწორედ ეს იყო, რომ, რაც შეიძლება სწრაფად შემოვიდნენ საერთაშორისო მონიტორები და ამაზე მიდის მუშაობა. თქვენ იცით, რომ ამას ეწინააღმდეგება მეორე მხარე, თუ მესამე მხარე... როგორ წარმოვიდგინოთ ერთ მხარედ, არ ვიცი, მაგრამ ეს უნდა მოახერხოს ევროპამ, უნდა მოახერხოს ევროსაბჭომ. მე ვითხოვდი ამას დაჟინებით, ისინი თავის არგუმენტებს იშველიებდნენ. მე დარწმუნებით და დაჟინებით ვეუბნები მათ: იმისთვის არის ევროსაბჭო, რომ უნდა მოახერხოთ და შემოიყვანოთ მონიტორები, რომ ობიექტური ინფორმაცია გვქონდეს და გავლენა მოვახდინოთ.

– და რა ხდება?

– ცდილობენ. გასაგებია, რომ სიტუაცია არ არის ასე მარტივი, რომ ვილაცას ვუკარნახოთ ან ვუბრძანოთ, რომ ეს სასწრაფოდ გააკეთონ. სიტუაცია რთულია, თუმცა არის მცდელობები, იგეგმება რაღაცები და ვნახოთ.

– როგორც ცნობილია, საქართველოს ელჩი ამზადებს თქვენს ვიზიტს აშშ-ში და შეხვედრას ბარაკ ობამასთან... თუ არის მსგავსი სამზადისი რუსეთის მიმართულებითაც?

– ამერიკაში წასვლა გაცილებით იოლი დასაგეგმია, თუმცა კონკრეტული გეგმა არ გვაქვს ამერიკაში წასვლის, მაგრამ აუცილებლად წავალ. რუსეთში წასვლა არ არის ასე მარტივი დასაგეგმი. ჯერ ნაადრევია, ვისაუბროთ წასვლასა და შეხვედრებზე. ეს ძალიან რთული პროცესია. ამას წინ უნდა უძღოდეს არა ისეთი პროცესები, რაც ახლა ხდება. უნდა გადაიდგას ნაბიჯები დარეგულირებისკენ და ამას უნდა მოჰყვეს ის, რასაც დიპლომატია გაწერს. უცებ მომინდეს და რუსეთში წავიდე, ასე მარტივი ვერ იქნება, რთული პროცესებია და არანაირი კონკრეტიკა არ გვაქვს ამასთან დაკავშირებით, არავითარი კონკრეტული გეგმა არ ჩანს, გარდა იმ შეხვედრებისა, რაც თქვენც კარგად იცით – კარასინი-აბაშიძის. ახლა იგეგმება შემდგომი შეხვედრა და ასევე ჟენევის ფორმატი.

– ყოფილი პრემიერ-მინისტრის დაპატიმრება ერთ-ერთ მთავარ თემად რჩება. შეძლებს თუ არა პროკურატურა, დადოს კონკრეტული სამხილები, რათა მოიხსნას ეჭვი პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით?

– მე მგონია, რომ კი. თუმცა მგონია ისევე, როგორც ნებისმიერ ჩვეულებრივ მოქალაქეს საქართველოსი. ახლაც პრეზიდენტს ვარწმუნებდი, რომ მე არ ვერევი და არც ჩავერევი ამ საკითხში. ჩვენ ძალიან ხანგრძლივი შეხვედრა გვქონდა და ყველა თემაზე მოვახერხეთ საუბარი. ერთ-ერთი მერაბიშვილის თემაც იყო. არც მოვახერხებ, ვერც მოვახერხებ და არც ჩავერევი პროკურატურის საქმეებში. დაახლოებით ვიცი, რომ მერაბიშვილს კიდევ რამდენიმე ბრალდება უნდა წაუყენონ, უკვე წაუყენეს კიდევ ერთი ბრალდება 26 მაისთან დაკავშირებით. მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, ტელევიზიით ვადევნებდი თვალყურს, რა ხდებოდა 26 მაისს და ვიცი შემდგომი მოვლენებიც და აქედან გამომდინარე, მჯერა, რომ პროკურატურას იმაზე მეტი სამხილი აქვს, რაც საჭიროა, მაგრამ ამაზე იქით მე ვერ წავალ, რამეთუ დღეს მე პრემიერ-მინისტრი ვარ და არ შეიძლება წინასწარ განცხადებების კეთება. უდანაშაულობის პრეზუმფციამ უნდა იმუშაოს, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი, მაგრამ მე ამ საზოგადოებაში ვცხოვრობდი, ადრე უფრო მკვეთრ განცხადებებს ვაკეთებდი, დღეს კი თავს შევიკავებ, რომ არ გამოვიდეს ისე, თითქოს პროკურატურას ან სასამართლოს ზედმეტად ვაქეზებ. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. კითხვა რომ ბევრი არსებობდა მერაბიშვილისა და ყოფილი ხელისუფლების მიმართ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ პროკურატურამ ეს პროფესიონალურად უნდა დაამტკიცოს და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საბოლოოდ.

– ხომ არ არის მოსალოდნელი ძველი ხელისუფლებიდან კიდევ ვინმეს დაკავება?

– უამრავი განცხადებაა შესული პროკურატურაში და ამაზე მიდის მუშაობა, არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ. უამრავი კითხვაა, მაგრამ ისევ ჩემგან გაცხადებული, რომ ვინმე კონკრეტულად... ეს არ იქნება კორექტული და არც მე მაქვს კონკრეტული ინფორმაციები. პროკურატურა მუშაობს, განცხადება ძალიან ბევრია, არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ, რამეთუ, ისევ ვუბრუნდები ძველს, ჩვენ ვიცით, რაც ხდებოდა და კითხვა ძალიან ბევრია.

– 17 მაისის მოვლენებისა და მერაბიშვილის დაპატიმრების შემდეგ თქვენ შეხვდით ელჩებს. რა კითხვები დაისვა და რა სახის შენიშვნები წამოვიდა ელჩების მხრიდან?

– შევეცადე, ელჩებისთვის აღმეწერა და ახლაც გავიმეორებ, რომ ის, რაც მოხდა 17 მაისს, რა თქმა უნდა, იყო სირცხვილი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ 9 წლის განმავლობაში რაც ხდებოდა, რეალურად ხალხს ქუჩაში გამოსვლის უფლება ჰქონდა წართმეული... თქვენ გახსოვთ, რომ ინვალიდებიც კი დაარბიეს, როდესაც მათ უნდოდათ, პროტესტი გამოეხატათ ქუჩაში. პრაქტიკულად ეს ტაბუდადებული თემა გახდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. შესაბამისად, ახლა ხალხს საშუალება მიეცა, თავისუფლება იგრძნო და კარგის გაგება ძალიან სწრაფად მოდის. იგრძნეს, რომ თავისუფლად შეუძლიათ საკუთარი აზრის გამოხატვა და გამოვიდნენ, მაგრამ ცოტა მოგვიანებით. მე ელჩებთან საუბარშიც გავაკეთე განცხადება და ახლაც შემიძლია გავიმეორო, ეს რომ გარედან არ ყოფილიყო ინსპირირებული, გარწმუნებთ, არ არსებობს ასეთი აგრესიული დამოკიდებულება. ჩვენ ვართ ძალიან შემნდობი, ძალიან ლმობიერი, არ

– შესაძლოა, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართაც წარმოიშვას სამართლებრივი ტიპის საკითხები?

– მოკლედ გიპასუხებთ – კი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რვიუ პრემიერთან

„ეჭვის დონეზე ვამბობ, რომ მართული იყო, ძალიან გთხოვთ, ამას ხაზი გაუსვით. მე შინაგან საქმეთა მინისტრისგან მაქვს ინფორმაცია, რომ მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გარედან იმართებოდა“

ვართ ჩვენ ასეთი აგრესიული, ძალადობაზე მომწოდებელი ხალხი, არ ვართ სუსტისა და მცირე ნაწილის დამჩაგვრელი ერი, ჩვენ არ ვართ ეს ხალხი. ამაზე იმოქმედა რამდენიმე მომენტმა. პირველი ის, რომ ჩვენ ქუჩაში გამოსვლაც კი დაგვავიწყეს, როგორია; მეორე ის, რომ ხალხში აგრესია იყო დაგროვილი. სამართლიანობის აღდგენას, რომელსაც ჩვენგან ითხოვდნენ და დღესაც ითხოვენ, ძალიან ჩქარობენ, ქართველები სულსწრაფები ვართ. ეს მუხტიც განუმუხტავია ჯერ კიდევ, ხალხში ბევრი აგრესიაა და მე ვცდილობ, რომ შევანელო ეს ჩემს გამოსვლებში. თუ აქცევდით ყურადღებას, მე მოვუწოდებდი ხალხს, რომ არ შეიძლება, ყველას დაპატიმრებაზე ვიფიქროთ, ვისაც ფეხი გადაუცდა. ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან, სამართლიანობა უნდა აღდგეს, მაგრამ მინიმალური დანაკარგით უნდა მოვახერხოთ ეს. არ შეიძლება, მასიური დაპატიმრებები დავიწყოთ. მე ამას ვუხსნი და იგებენ, მაგრამ ხალხში სიტუაციის განმუხტვა არ ხდება.

– რის ბრალია ეს?

– იმ 9 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი იყო ძალადობა და ამანაც იმუშავა. იმუშავა, თუ გნებავთ, დემონსტრაციებში გამოუცდელობამაც, ასე მარტივი არ არის ეს პროცესი. ეს ჩვენთვის ახალი ხილია და ჩემი აზრით, მაინც ყველაზე ცუდი სანახავი რაც იყო... და მე კადრებს არ გავიხსენებ და არ დავაკონკრეტებ, მე მგონი, ის, რაც ყველაზე ცუდი სანახავი იყო, მართული იყო და ეს არ არის ჩვენი ხასიათი. რაღაც ეტაპზე იგრძნობოდა, რომ უმართავი გახდა პროცესი. ნახეთ თქვენ ეს, პოლიცია გადათელეს. პოლიციას არ ჰქონდა დავალება და მე მგონი, რომ სწორად მოიქცა, ზედმეტი ძალა რომ არ გამოიყენა. ასეთ სიტუაციებში, ყველაზე კარგი დემოკრატიული ქვეყნებიც რომ გაიხსენოთ, შედეგი შეიძლება გაცილებით მძიმე ყოფილიყო. მე მაინც დიდი იმედი მაქვს ჩვენი დიდი კულტურის და ის ძალები არ იყო დიდი პროგრესული ძალები ჩვენი საზოგადოების, ვინც ყველაზე აქტიურად მოუწოდებდნენ და აგრესიულები იყვნენ. აი, ამათაც კი ეყოთ კულტურა, რომ რაღაც ზღვარს არ გადასულიყვნენ, თუმცა ის, რაც ვნახეთ, რა თქმა უნდა, საკმარისია იმისთვის, რომ აღშფოთება და სინანული გამოვხატოთ იმასთან დაკავშირებით, რაც მოხდა.

– თქვენ ამბობთ, რომ მართული იყო, ვისგან იყო მართული?

– ეჭვის დონეზე ვამბობ, რომ მართული იყო, ძალიან გთხოვთ, ამას ხაზი გაუსვით. მე შინაგან საქმეთა მინისტრისგან მაქვს ინფორმაცია, რომ მათ აქვთ საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს გარედან იმართებოდა.

– ვის გულისხმობთ?

– არა, მე ეჭვის დონეზე მითხრა მინისტრმა და ვის ვგულისხმობ, როგორ ვიტყვი წინასწარ? მაგრამ რატომ დავეთანხმე იცით, ამ ეჭვს? იმიტომ რომ, გიმეორებთ, ეს არ არის ქართული საზოგადოების ხასიათი. იქ რაც ხდებოდა, ის აგრესიული მოწოდებები, ეს არც ჩვენი რელიგიაა და არც ჩვენი საზოგადოება. რელიგია არ გვკარნახობს ასეთ აგრესიულ მოწოდებებს. ეს არ იყო მართლმადიდებლური, ქრისტიანული მოწოდებები, რაც იქ ისმოდა. რაც ჩვენს რელიგიაში დევს, ეს შემწყნარებლობაა და ჩვენ ამის საპირისპირო ვნახეთ.

– თინა ხიდაშელმა გააკეთა განცხადება, რომ ეს იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. თქვენც ამბობთ, რომ გარედან იყო მართული, უკვე იბადება კითხვა, რა ძალა შეიძლებოდა ყოფილიყო ეს?

– უნდა გავცეთ პასუხი ამას. ეს ეჭვის დონეზეა დღეს და წინასწარ დასკვნებს ვერ გავაკეთებთ. იმედი მაქვს, რომ გამოაშკარავდება და თუ ჩვენ ეს დავამტკიცეთ, რა თქმა უნდა, საზოგადოება ამას გაიგებს.

– 17 მაისის აქციაზე პოლიტიკური ძალებიც გამოჩნდნენ. იგივე ლევან ვასაძის გამოჩენა ამ კონტექსტში რა მესიჯის მატარებელი იყო თქვენთვის?

– მთელი მასა, ალბათ, არ იყო მართული. იყო რაღაც ნაწილი, მე ვფიქრობ, ყველაზე აგრესიული ნაწილი. ლევან ვასაძე რომ გამოვიდა და გამოვიდნენ კიდევ სხვები, ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ეს ნორმალურია. ჩვენ მარტო უმცირესობები კი არ უნდა დავიცვათ, უნდა დავიცვათ უმრავლესობებიც და ყველას აზრი უნდა დავიცვათ. აზრის გამოხატვის საშუალება ყველას აქვს. ლევან ვასაძე გამოვიდა და თავისი პოზიცია დააფიქსირა. მას შეუძლია, კიდევ ათასჯერ დააფიქსიროს, ისევე როგორც შეუძლია ნებისმიერ სხვას, ჩვენი საზოგადოების წევრს. მას არ მოუწოდებია ძალადობისკენ და არ ჰქონია მოწოდება აგრესიისკენ. ეს იყო სირცხვილი, თორემ ნახეთ, რა ხდებოდა პარიზში და დღესაც რა ხდება. ყველა საზოგადოება რთულია. ყველა ადამიანს თავისი აზრი აქვს. ეს ყველაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ არ არის ასე მარტივი ეს პროცესები და განსაკუთრებით ჩვენთვის. ეს ჩვენთვის ახალი ხილია. ევროპაში ეს უფრო ადრე დაწყებული პროცესებია. ჩვენ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით, სადაც საერთოდ აკრძალული იყო ასეთი რამის გამოხატვა. ბოლო 20 წლის განმავლობაში, მოგეხსენებათ, დემოკრატიაში ცხოვრება ვერ ვისწავლეთ და ამისთვის კიდევ გვინდა დრო, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სწორი გზით წავალთ. ნახეთ, ქართველებმა რა სწრაფად აუღონ ალღო და რა სწრაფად გავხდებით ჩვენ ამ მიმართულებით ევროპელები. იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს დიდი ხნის უწყვეტი კულტურა, რასაც მე დაჟინებით სულ ვიმეორებ და ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ძალიან მალე ვისწავლით დემოკრატიულად ცხოვრებას. მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში და განსაკუთრებით ბოლო 9 წლის განმავლობაში, სულ სხვა რამეს გვახვევდნენ თავს და ამანაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ყველაფერზე.

– ვანო მერაბიშვილის თემას მინდა დავუბრუნდეთ, თქვენ თქვით, რომ 26 მაისისა და გირგვლიანის საქმის გარდა, შესაძლოა, სხვა თემებიც წამოვიდეს...

– დიახ, გირგვლიანის თემაც იქნება. ამბობენ, რომ რამდენიმე საქმე აქვთ კიდევ პროკურატურაში. მე არაფერი გამიკვირდება. აქ რაც ხდებოდა, როგორც იმართებოდა, თქვენ ხომ კარგად მოგეხსენებათ. ნებისმიერი თემა შეიძლება, ნებისმიერი მკვლელობა თუ ფინანსური მაქინაცია, ნებისმიერი შეიძლება წამოტივტივდეს.

– 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით, უმცირესობამ დააყენა საკითხი, რომ მოხდეს კომპლექსური გამოძიება და ამავე ჭრილში განიხილონ ნინო ბურჯანაძის ბრალეულობაც. მოიყვანეს მთელი რიგი მაგალითები, სატელეფონო საუბრები და ა.შ... შესაძლებელია თუ არა, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართაც წარმოიშვას სამართლებრივი ტიპის საკითხები?

– მოკლედ გიპასუხებთ – კი. ასეთივე შეკითხვა დამისვეს პრეზიდენტთან დაკავშირებით და იქაც იგივე პასუხი გავეცი. რა თქმა უნდა, ნებისმიერი მოქალაქე უნდა იყოს თანასწორი კანონის წინაშე. და თუ ვინმეზე აღეძვრება საზოგადოებას კითხვა, ყველას უნდა მოეკითხოს და ყველამ უნდა გასცეს პასუხი, ვინც არ უნდა იყოს ის.

– ანუ შესაძლებელია, რომ პრეზიდენტიც დაიკითხოს? მაგალითად, „უოლ სთრით ჯორნალი“ წერდა, რომ მერაბიშვილის შემდეგ შესაძლოა, დღის წესრიგში დადგეს პრეზიდენტის დაკითხვის საკითხი.

– რა თქმა უნდა, შესაძლებელი კი არა, მგონია, რომ ძალიან ლოგიკურია. ის, რომ პრემიერ-მინისტრი დაიჭირეს და იკითხება, იმ დროს პრეზიდენტი არსებობდა და სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერებს თუ ნახავთ, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, იქ პირდაპირ წერია, რომ პრეზიდენტიც ხელს აფარებდა და არ აძლევდა გამოძიებას სწორი სვლის საშუალებას, კითხვები არსებობს, მაგრამ ჩემი პოზიცია არ განიხილოთ ისე, რომ მე დანაშაულზე მივუთითებდე. მე არც მერაბიშვილის დანაშაულზე მივუთითებ. დანაშაული სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს და უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა არსებობდეს ყველა მოქალაქის მიმართ, მანამ სანამ სასამართლო არ გამოიტანს განაჩენს. ძალიან გთხოვთ, ეს გამოკვეთეთ ჩემს პოზიციაში. ეჭვის დონზე კითხვები ძალიან ლოგიკურია, რომ იქნება და ლოგიკურია, რომ სააკაშვილს შეეკითხონ, არაფერი ამაში უცნაური არ არის. ნუ გვიკვირს ეს ქართულ საზოგადოებას და ნუ ვაძლევთ ამას დრამატიზებას, რომ პრეზიდენტს შეიძლება კითხვა დაუსვან, ეს ნორმალურია. ნახეთ, რა ხდება გერმანიაში, ესაა დემოკრატიული სახელმწიფოს ეტალონური ქმედება, რომ პრეზიდენტს რაღაც 718 ევროზე გადადგომაც მოუწია და ამდენ ხანს გრძელდება პოლემიკა საზოგადოებაში, იქნება დანაშაული აღიარებული თუ არა. ბოსნიის მოქმედი პრემიერ-მინისტრი დაიჭირეს. ეს ნორმალურია ევროპული ღირებულებებისთვის და თუ ევროპა გვინდა და ამისთვის ვიბრძვით, ეს ნორმალური პროცესია. პირველ რიგში, კანონი პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა უნდა დაიცვან და შემდეგ მოსთხოვონ სხვას და არა ისე, რასაც წინა ხელისუფლება ცდილობდა. რაღაც ჯგუფი კანონგარეშე იყო და ცდილობდა, მხოლოდ სხვებისთვის მოეთხოვა კანონი. ეს არ არის დემოკრატია, ეს სხვა რამეს ნიშნავს. ეს არ არის ის, რაც ჩვენ გვინდოდა და გვინდა.

გაგრძელება 10-ე გვ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტე

მე-7 გვერდიდან

„ლოგიკურია, რომ სააკაშვილს შეეკითხონ, არაფერი ამაში უცნაური არ არის“

„სტრასბურგის სასამართლოს ჩანაწერებს თუ ნახავთ, გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით, იქ პირდაპირ წერია, რომ პრეზიდენტიც ხელს აფარებდა და არ აძლევდა გამოძიებას სწორი სვლის საშუალებას, კითხვები არსებობს“

EXCLUSIVE

„ეკლესიას აქვს დიდი როლი, მაგრამ არც აქ არ უნდა გადავაჭარბოთ. ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ეკლესიას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. დაფინანსების პრინციპი უნდა შეიცვალოს, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის შიდა საქმეებში“

– მინდა ეკლესიასთან დაკავშირებით გკითხოთ, 17 მაისის მოვლენებამდე, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ ეკლესიაში არის პრობლემები. რას გულისხმობდით ამ პრობლემებში, კონკორდატი და დაფინანსების საკითხი ხომ არ გადაიხედება? თქვენ თქვით, რომ მათ უნდა მიეცეთ მეტი დამოუკიდებლობა, რას გულისხმობდით?

– მოგახსენებთ. ის, რომ ვთქვი, პრობლემები არსებობს-მეთქი, ნორმალურია. დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებდი, მეც მაქვს ყურმოკვრით რაღაც ინფორმაციები. პრინციპში, ამაზე არ გავჩერდებოდი და არაფერი ამაში საოცრება არ არის. ჩვენი საზოგადოება როგორიცაა, ეკლესიაც ჩვენი საზოგადოების ნაწილია, ისევე როგორც პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა თუ ჟურნალისტიკა, მხატვრობა თუ კულტურა. ჩვენ, ყველანი, ერთი ორგანიზმის ნაწილი ვართ და როდესაც ორგანიზმს აქვს პრობლემები, ეს, როგორც წესი, ყველაფერზე აისახება. მე არ ვიტყვი, რომ ჩვენი ორგანიზმი მაინცდამაინც დაავადებულია, მაგრამ ჩვენი ორგანიზმი არ არის იდეალური, თუ იდეალურს ევროპულს დავარქმევთ და ისიც არაა იდეალური, მაგრამ მასთან ვაკეთებთ შედარებას და ის არის ჩვენთვის დღეს ეტალონი, თუმცა ისიც საჭიროებს განვითარებას, თუ ჩვენ იქით ვისწრაფით და ვაღიარებთ, რომ იმ ღირებულებებს ვეტრფით და გვინდა ისეთი ვიყოთ, თავშივე ვამბობთ, რომ ჩვენ გვაქვს პრობლემები, არ ვართ ისეთი, როგორიც გვინდა, რომ ვიყოთ და თუ ეს პრობლემები აქვს საზოგადოებას, რა თქმა უნდა, ეს აქვს მის ყველა ნაწილს. არც ერთი ნაწილი არ გამოირჩევა, ამ მხრივ. ჟურნალისტიკაზეც ხშირად ჩივიან, ხშირად ჩივიან პოლიტიკოსებზეც, ჩივიან კულტურაზეც, რომ აღარ გვაქვს კინო, თეატრი, სპორტი... მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი შესატყვისობაშია, როგორც უნდა იყოს, თეორიულად ისეა ყველაფერი, რომ ერთ დონეზე ვართ განვითარების, რამეთუ ერთ საზოგადოებას წარმოვადგენთ. შესაბამისად, ის, რომ პრობლემები აქვს ამ საზოგადოებას, არ ვმალავთ. ამას ხმამაღლა ვამბობთ და ვცდილობთ, ევროპული ავითვისოთ, ავიღოთ და წინ წავიდეთ, თან ჩვენი ტრადიციები შევინარჩუნოთ. რამდენადაც ჩვენ ვაღიარებთ, რომ არის პრობლემები საზოგადოებაში, ჩვენი საზოგადოების ნაწილია ეკლესიური, რელიგიური ნაწილიც, რა თქმა უნდა, იქაცაა პრობლემები მეტ-ნაკლებად, მაგრამ ეს შესატყვისი პრობლემებია. სასირცხვილო და ტაბუდადებული არ უნდა იყოს არც ერთი თემა. რა თქმა უნდა, ქრისტიანობა, მართლმადიდებლობა ჩვენი კულტურის დიდი ნაწილია და უდიდესი როლი ითამაშა მან ჩვენს გადარჩენაში და დღესაც და თუ გნებავთ, უახლეს ისტორიაშიც, ჩვენმა ეკლესიამ და პატრიარქმა ერის წინამძღოლის როლი იკისრა ჭეშმარიტად. ეკლესიას აქვს დიდი როლი, მაგრამ არც აქ არ უნდა გადავაჭარბოთ. ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, ეკლესიას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. დაფინანსების პრინციპი უნდა შეიცვალოს, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკლესიის შიდა საქმეებში.

– რას გულისხმობთ?

– სხვათა შორის, ვერ მოვიცალე და თქვენი ინტერვიუს შემდეგ პირდაპირ მოვითხოვ კულტურის მინისტრისგან, რომ დავინყოთ მაგის ანალიზი. ის, რომ მეუფეებს მანქანებს უნიშნავდნენ და კონკრეტულ თემებში ერეოდა სახელმწიფო, სწორი არ არის. ჩვენ უნდა ვნახოთ დაფინანსების ისეთი ფორმა, რომ, რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიოს სახელმწიფო ჩინოვნიკი ეკლესიის საქმეებში. უნდა მოვახერხოთ და ეკლესია უნდა გავხადოთ მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყოველგვარი ჩინოვნიკური ჩარევისგან, მხოლოდ კანონმა უნდა განსაზღვროს. თუ კანონშიც არის პრობლემები, ამას დავუბრუნდებით, ეკლესიასთან ერთად განვიხილავთ და კორექტივებს გავაკეთებთ, თუ ამის აუცილებლობაა. და იმის შემდგომ მხოლოდ კანონით და კანონის შესაბამისად უნდა ხდებოდეს ქმედებები და ცალკეულმა ჩინოვნიკმა ვერ უნდა მოახერხოს ეკლესიის საქმეებში ჩარევა.

– 17 მაისის შემდგომ იყო აქცია „არა თეოკრატიას“. როგორ ფიქრობთ, საქართველო დგას თეოკრატიის პრობლემის წინაშე?

– მე მგონია, რომ არა. ვფიქრობ, ეს გაზვიადებულია. თეოკრატია დგება მაშინ, როდესაც სახელმწიფო კარგავს საკუთარ ფუნქციას ან ზედმეტად აჭარბებს, რის ნიშნებიც იყო ჩვენთან და ჩემი აზრით, ასეთ შემთხვევაში დამსახურებული როლი ითამაშა ეკლესიამ და მისმა უწმინდესობამ, პატრიარქმაც თავის დროზე. საზოგადოება სახელმწიფოს არ ენდობოდა და ეკლესიაზე ახდენდა სწორებას, აქაც ღირსეული როლი დაისაკუთრა ეკლესიამ. ჩვენს შემთხვევაში, მე მგონი, ყველა დაიჭერს თავის შესატყვის ადგილს. სახელმწიფოს ექნება სახელმწიფო ფუნქცია, ეკლესიას ექნება შესატყვისი ადგილი. ამის არავითარი საშიშროება არ არის დღეს და არ იქნება მომავალში, თუმცა 17 მაისს განვითარებული მოვლენები მსგავს ეჭვს ბადებდა. ის რაც მოხდა, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს იყო შემთხვევითი, იყო ერთჯერადი და ამას ვერ ექნება მუდმივი და პერმანენტული ხასიათი.

– რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, ვის მიიჩნევთ გარე ოპოზიციაში ყველაზე რეალურ, მობილურ ძალად, რომელიც შესაძლოა, რეალურ ალტერნატივად, მესამე ძალად იქცეს.

– ძალიან მიჭირს, პასუხი გაგცეთ. ჩემი სურვილი იქნებოდა, რომ გარე ოპოზიცია გაძლიერდეს. ეს არ არის თვალთმაქცობა, გულწრფელად გეუბნებით. დღეს რომ გარე ოპოზიცია სუსტია, ესეც უნდა იყოს თეორიულად, რამეთუ საერთოდ ოპოზიცია და ოპოზიციური ნაწილი იყო ძალიან დაკნინებული სააკაშვილის მთავრობის მიერ და სააკაშვილის იდეოლოგიის მიერ. ამას ახერხებდნენ, რომ ვერც ერთი ბიზნესი ვერ გაბედავდა, განსხვავებული აზრი ჰქონოდა, ვერავინ ვერ დააფინანსებდა ოპოზიციას და ოპოზიციურ პრესასა და მედიას. ეს კონტროლდებოდა ძალიან მაგრად და ამან გამოიღო თავისი შედეგი, მოხდა შესყიდვა ოპოზიციონერების, იყო ფსევდოოპოზიცია და ა.შ. ძალიან სუსტი გახლდათ ოპოზიციური სპექტრი. მოვედი მე პოლიტიკაში და მოვახერხეთ გაერთიანება იმ ნაწილის, რაც იმ ეტაპზე იყო და ჩამოყალიბდა კოალიცია. იმ დაკნინებული ოპოზიციური ნაწილიდან კიდევ ამოვკრიფეთ, რაც შეიძლებოდა და შესაბამისად, კიდევ უფრო დავასუსტეთ ოპოზიციური ნაწილი. თუ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და კოალიციას ავიღებთ, იმის იქით ძალები კიდევ უფრო ცოტა დარჩა, უფრო მწირი და უფრო სუსტი. მაგრამ ღირსეული ადგილი ცარიელი არ რჩება, ქართველებს უყვართ პოლიტიკა და ჩვენ შევქმნით ნოყიერ ნიადაგს, რომ გარე ოპოზიცია გაძლიერდეს.

– არასაპარლამენტო ოპოზიცია ითხოვს ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს. რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?

– არ ვიცი, რამდენად აქტიურად დგას ეს საკითხი. აქტიურადაც რომ იდგეს, ამას აქვს თავისი კანონმდებლობა და იმის მიხედვით უნდა მოხდეს. ვერ მოხდება ისე, რომ ვიღაცას მოუნდა. კოალიციასაც რომ მოუნდეს, იმ შემთხვევაშიც კი. მე ამის რეალურ შესაძლებლობას დღეს ვერ ვხედავ, ამის შესაძლებლობა ჰქონდა სააკაშვილს, მან ეს არ გამოიყენა და გასაგებია, რატომაც. ამის შესაძლებლობა ჰქონდა აპრილის ბოლომდე და ამ დროს ქუჩაში გამოვიდა და ხალხს შესჩიოდა, ხალხს ეძახდა, მიშველეთო და ამ დროს ხალხი მასთან უნდა მისულიყო, რომ მას ჰქონდა ერთადერთი ლეგიტიმური უფლება, დაეთხოვა ხელისუფლება, რომელიც არ მოსწონდა სააკაშვილს. გამოვიდოდა, რომ ხალხს უჩიოდა, რა თქმა უნდა, ანეკდოტური იყო ეს სიტუაცია. აი, ეს არის, როგორ სიცრუეში იყვნენ და როგორი სასაცილოები გახდნენ...

– ანუ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გამორიცხავთ?

– არა, ამ ეტაპზე, წელს არ ჩანს ეს. როგორ უნდა მოხდეს, ისიც კი არ ჩანს. მომავალში როგორ განვითარდება, მე არ ვიცი, მაგრამ ახლა ეს რეალობა არაა.

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, იქნება თუ არა ის არჩევნები, სადაც შეიძლება გამოიკვეთოს მესამე ალტერნატიული ძალა და ხომ არ შეიძლება, რომ ეს ნიშა თვითონ კოალიციის შიგნით მყოფმა ძალებმა დაიკავონ?

– რაც შეეხება მესამე ძალას, გარედან იქნება თუ კოალიციის შიგნით, რა თქმა უნდა, მაგის ალბათობა რჩება. გარე ძალებთან დაკავშირებით უკვე გითხარით და ახლა კოალიციასთან დაკავშირებით გეტყვით. ადგილობრივ არჩევნებამდე არა მგონია, რომ რაღაც მკვეთრი განვითარება მოხდეს და მკვეთრად გაძლიერდეს მესამე ძალა, თუმცა ამის სურვილი მაქვს და ნელ-ნელა, ალბათ, გაძლიერდება და განვითარდება. მინდა-არ მინდა, ეს ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული, ეს მოხდება ობიექტურად. რაც შეეხება კოალიციას, ჩვენს ყველა შეხვედრაზე გამოკვეთილია და ვხედავთ ასეთ რეალობას, რომ შემდგომ საპარლამენტო არჩევნებამდე, ალბათ, შენარჩუნდება, რამეთუ რაღაც როლს მაინც დაიტოვებს „ნაციონალური მოძრაობა“ და რაღაც დონეზე განვითარდება, ალბათ, გარე ოპოზიციაც, თუმცა ეს არ არის აუცილებელი და სავალდებულო. არ გამოვრიცხავ, რომ მოხდეს ისიც, თუ დადგება ისეთი რეალობა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საერთოდ ველარ მოახერხებს ოპოზიციური სპექტრის დაჭერას და მესამე ძალაც ისე ვერ გაძლიერდება, ბუნებრივად განვითარდება ეს მოვლენები. ჩემი აზრით, ამის აუცილებლობა არ უნდა დადგეს საპარლამენტო არჩევნებამდე, იქამდე უნდა მივიდეს მთლიანი კოალიცია და იმის შემდგომ,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არ შეიძლება, მასიური დაპატიმრებები დავიწყოთ“

„არ მომწონდა არც ის, რაც სპორტის სასახლეში მოხდა და არ მომეწონება არც ის, რომ კიდევ რაღაც ძალებს უნდათ, სახელმწიფო ფუნქცია შეასრულონ და ნაწილობრივ მაინც ჩაენაცვლონ“

ჩემი აზრით, აუცილებელიც კი იქნება, თუ რომელიმე გარე ძალა არ გაძლიერდა, ის კოალიციიდან იყოს, ამის მუხტი რჩება. მცდელობები იყო, კიდევ ვიმეორებ, და დღეს ყველამ იცის, ჩვენ პრინციპულად არც ერთ პარტიასთან არ ვერთიანდებით. პირიქით, ძლიერდება კოალიციაში მყოფი თითოეული პარტია, რამეთუ გააცნობიერეს, რომ არ შეიძლება ახალი მონსტრი მივიღოთ და თუ გარედან, ან „ნაციონალური მოძრაობის“ ბაზაზე, არ მოხდება ახალი ძალის აღორძინება, რაც საეჭვოა, ან მესამე ძალა არ აღორძინდება, მერე ბუნებრივი პროცესები განვითარდება და გამზადებული პარტიები დაიშლებიან, თავისთავად მოხდება ეს.

– ხომ არ გყავთ უკვე შერჩეული მერობის კანდიდატი? მაგალითად, სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ რაღაც შემოთავაზებასავით ჰქონდა.

– მე არაფერი შემითავაზებია ქალბატონი სალომესთვის. მისგან იყო მინიშნებები, რაზეც ჩემგან იყო სხვადასხვა ტიპის რეაქციები. მე ჯერ ვერ მოვახერხე მისი კონკრეტული გამონათქვამების წაკითხვა. თუ მას გაუჩნდება სურვილი, შეუძლია, მიუთითოს ერთ-ერთ თავის გამოსვლაში და შეგიძლიათ, ჩაეკითხოთ... არაფერი იქ დასამალი არ იყო, არც ჩემი მხრიდან და არც მისი მხრიდან. არაფერი ისეთი იქ არ იყო, რომ არ შეიძლება მე ეს ფართო საზოგადოებას არ მოვუყვე, მაგრამ რამდენადაც ის ნაწილ-ნაწილ რაღაცებს ამბობს და ჩემთან შეთანხმებული არ არის, მას ჩემთვის არ უთქვამს, ეს გარეთ გავიტანოთო, მაინც ვერიდები ამაზე საუბარს. მე არაფერი შემითავაზებია ქალბატონი სალომესთვის, გარდა იმისა, რომ სიმპათიებს გამოვთქვამდი ყოველთვის და არ გამოვრიცხავდი, რომ, თუ რაიმე საინტერესო იქნებოდა, კოალიციას მისთვის მხარი დაეჭირა. მისგან იყო რაღაც და მეც სხვადასხვა ტიპის რეაგირებებს ვაკეთებდი. მე არც ერთი თანამდებობა მისთვის კონკრეტულად, ჩემი ინიციატივით, არ შემითავაზებია.

– რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს. ოპოზიციიდან იყო განცხადებები, რომ შეიძლება მას დანიშნული პრეზიდენტიც კი ეწოდოს. რომ არა ივანიშვილის რეიტინგი, შეუძლებელია მან ბარიერი გადალახოსო. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?

– ასე საკითხის დაყენება მარგველაშვილის შეურაცხყოფად მიმაჩნია. ვინც მარგველაშვილს იცნობს და ამას ამბობს, ჩემი აზრით, ეს მისი პიროვნების შეურაცხყოფაა. იმდენად საინტერესო პიროვნებაა, იმდენად მრავალმხრივი, არ მომწყინდება, საათობით ვისაუბრო მასზე. უფრო ღირსეული კანდიდატი ჩემთვის წარმოუდგენელია.

– მის პოლიტიკურ გამოუცდელობაზე აკეთებენ აქცენტს...

– მას ყველაფერი აქვს. არ ჰქონია, უბრალოდ, სურვილი პოლიტიკაში მოსვლის, თორემ გამოცდილება რატომ არ აქვს?! თქვენ ნახეთ, როგორი ექსპერტი იყო, როგორი ანალიტიკოსი, დებატებში სულ მონაწილეობდა და მონაწილეც იყო პროცესების. მას არც მაშინ და არც ახლა არ აქვს დიდი ამბიცია, რომ იცოდეთ. ეს არის კაცი, რომელსაც უნდა, თავის ქვეყანას მოახმაროს საკუთარი გამოცდილება და არავითარი გადაჭარბებული ამბიციები მას არ გააჩნია, თორემ ისე, ყველაფერი აქვს, რაც პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს. ვინც მარგველაშვილს იცნობს და მასზე ამბობს, რომ დანიშნული იქნება... მე ვფიქრობ, რომ მას ყველა ის ღირსება აქვს, რაც შეიძლება ჰქონდეს კარგ პრეზიდენტს. მე პირადად ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კაცი არსებობს და ბედნიერი ვარ, რომ ასეთი კაცი დავასახელე. არ ვიცი, ვის მოუბრუნდება ენა, მარგველაშვილს ვინც იცნობს, თქვას, რომ მას რამე ღირსება აკლია. ჩამოთვალეთ, თქვენ თუ გაქვთ ეჭვი და იცნობთ. რა არ მოგწონთ, მითხარით, ან სხვა ნებისმიერმა მითხრას. გამობრძანდეს ნებისმიერი და თქვას, ამ კაცში რა არ მოსწონს. მე პირადად ვერაფერი ვნახე ისეთი, რომ მეთქვა, კიდევ ეს რომ ჰქონდეს მას, იქნებოდა მაგარი. ყველაფერი აქვს საკმარისი და მეტიც.

– კონსტიტუციით როგორ გაიმიჯნება პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებამოსილებები, როგორი იქნება თანამშრომლობა?

– კარგი შეკითხვაა. ამ დღეებში უსუფაშვილსა და ჯგუფს შევხვდი და ჩვენ ვაპირებთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები გატარდეს პრემიერის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, რომელსაც მას ახალი კონსტიტუცია ანიჭებს. რა თქმა უნდა, ის არის სუპერგადაჭარბებული და ჩვენ ამას შევკვეცთ. პრეზიდენტს მე მგონი, აქვს დაბალანსებული, ნორმალური უფლებები ახალი კონსტიტუციით, ასევე პარლამენტსაც. პრემიერს აქვს... სააკაშვილი რომ ამბობს... ერთხელ სადღაც თქვა, როცა სხვა შანსი აღარ ჰქონდა, მე პრემიერობა არ მინდოდაო, აბა, ნახეთ, კონსტიტუციაში რა წერია?! ორ მაგალითს მოგიყვანთ, ამას ვუყვებოდი მინიონს სუფრასთან და გაოგნებული დარჩა. გინახავთ სადმე საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც პრემიერს გაცილებით მეტი უფლებები აქვს, ვიდრე პარლამენტს?! საპარლამენტო რესპუბლიკა რას ნიშნავს? – იმას, რომ პარლამენტს აქვს უფრო მეტი უფლებები. ახალი კონსტიტუციით პრემიერს შეუძლია ახალი მთავრობა წარუდგინოს პარლამენტს და დამტკიცებიდან 5 წუთის მერე, პარლამენტიდან არგამოსულმა, დაითხოვოს ყველა მინისტრი, ოფისში ელოდებოდეს ახალი მინისტრთა კაბინეტი და ამის მერე პარლამენტს არაფრის უფლება აღარ რჩება, რომ ჩაერიოს. ნახეთ, აქაც როგორ ჰყავდა დაჩლუნგებული პარლამენტი წინა კონსტიტუციით, რომელიც ჩვენ შევცვალეთ და ნახეთ, ახლა პრემიერის ადგილს რომ იმზადებდა, ისევე როგორც პრეზიდენტს, პარლამენტსაც საერთოდ დაუკარგა ყველანაირი ფუნქცია. ეს მთავრობა ეყოლებოდა, რამდენ ხანსაც უნდოდა და რაც მთავარია, მეორე მაგალითი – ეს მთავრობა, რომელიც პარლამენტმა დაუმტკიცა პრემიერს, გამოვიდა და 5 წუთში დაითხოვა და ახლები დანიშნა თვითონ, ამ მინისტრებთან ერთად მთავრობას შეუძლია ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივა დაამტკიცოს. ყველა ნორმალურ სახელმწიფოში კანონი მტკიცდება პარლამენტის მიერ. იქ არის პროცედურები, რაზეც ახლა არ შევჩერდები, მაგრამ არის შესაძლებლობა იმისა, რომ პარლამენტის გარეშე ამ მთავრობის დამტკიცებულმა კანონმა იარსებოს. აი, ეს არის ნონსენსი. იქ კი არის რაღაც პროცედურა, რომ ხმების 60%-ით პარლამენტს შეუძლია, თუ იმ კანონს არ ამტკიცებს, ვთქვათ, დაითხოვოს მთავრობა, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია, თუ პროცედურებს გავყვებით. მთავარი ისაა, რომ მთავრობას პრაქტიკულად ცვლის და ამტკიცებს, როგორც თვითონ უნდა, პარლამენტი არაფერ შუაში არაა და კანონსაც კი გაურკვეველ მთავრობას მიაღებინებს, რომელიც შეუძლია მოიყვანოს პრემიერმა (და თავის თავს მოიაზრებდა საკაშვილი პრემიერად, რა თქმა უნდა). ვისაც უნდოდა, მოიყვანდა და რა კანონსაც უნდოდა, დაამტკიცებდა, ისე, რომ პარლამენტს არც შეუთანხმებდა. ეს არის ნონსენსი, ეს წერია კონსტიტუციაში, ეს უფლებები მაქვს მე.

– თქვენ რა ცვლილებებს შეიტანთ?

– აი, ამას დავაბალანსებთ. პრემიერს არ შეიძლება ჰქონდეს ეს უფლებები. ის, რომ პარლამენტის გარეშე კანონი მტკიცდებოდეს ქვეყანაში, ფრანგებს ყურები გაეზარდათ (უკაცრავად გამოთქმისთვის). აი, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი, ერთ-ერთი ძირითადი კანონი ქვეყანაში, რომელიც ჩვენ, მთავრობამ, შევიმუშავეთ, გავაკეთეთ წარდგენა საზოგადოებასთან და კიდევ ვაკეთებთ ამის ანალიზს, შემდეგ შეგვაქვს ეს პარლამენტში. ეს არის ერთ-ერთი ძირეული კანონი და დიდი იმედიც მაქვს, რომ საზოგადოებამ და განსაკუთრებით რეგიონებმა ისწავლონ დემოკრატიული მმართველობა და ისწავლონ პროცესებში ჩართულობა. ასეთ ძირეულ კანონს თუ არ დაამტკიცებს პარლამენტი, შეუძლია, დაამტკიცოს მთავრობამ და დარჩეს ასეთი კანონი. ასეთი ნონსენსი, არ ვიცი, ეს არის სირცხვილი. კაცი გამოდის და დღეს დემოკრატიულობაზე საუბრობს. ახლა რომ კითხვები ისმის, ხომ არ არის შერჩევითი სამართალი და ა. შ. აი, ეს არის ჩადებული კონსტიტუციაში, ამასაც მე ხომ არ ვიგონებ? გადაშალეთ კონსტიტუცია და ნახეთ. შეადარონ, რომელი ქვეყნის კონსტიტუცია იციან კიდევ, სად არის შესაძლებლობა, პარლამენტის გარეშე ძირეული კანონები დამტკიცდეს ქვეყანაში. აი, ამას ქმნიდა ეს კაცი, ამას იგონებდა.

– საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები უკვე შევიდა ძალაში... 9 ივნისს დანიშნულია მოსამართლეთა კონფერენცია... თქვენ არ გამორიცხეთ, რომ გარეშე პირებს გაუჩნდეთ ცდუნება, ზეგავლენა მოახდინონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების არჩევნების შედეგებზე... იქნებ დააკონკრეტოთ, რა საფრთხეებზე საუბრობთ?

– რა თქმა უნდა, ეს საქართველოა და შესაძლოა, რაღაც ძალებს ჰქონდეთ მცდელობა არჩევნებზე გავლენის მოპოვებისა. ეს ისეთი პროცესია, ვერც მივცემთ ზედმეტ დრამატიზებას. ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი არის ის, რომ დაიშალოს ეს დამოკიდებულება. არ მინდა ახლა ყოფილ სასამართლოსაც ზედმეტად ჩრდილი მივაყენო. მე მხოლოდ მომავალზე ვიტყვი, რომ სასამართლო უნდა იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი. მოსამართლე უნდა იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში და თუ ჩვენ ამას ვერ შევძლებთ და ვერ მივიღებთ, შესაბამისად, დემოკრატიას ვერ ავაშენებთ და საქართველო ვერ მიიღებს შესატყვის განვითარებას. შეიძლება, ეს არის ძირითადი მაჩვენებელიც კი. ახლა იდეალურად ვერ ჩატარდება, გასაგებია, მაგრამ რაც მთავარია, არ იქნება ხელისუფლებიდან ჩარევა. ყველაზე საშიში, რა თქმა უნდა, ვისაც ყველაზე დიდი ძალა აქვს, ეს არის ხელისუფალი. აი, ამის გარანტიას ვიძლევი მე, რომ არ მოხდება არავითარი ჩარევა ზემოდან და ამ პროცესს უნდა მივცეთ მაქსიმალური თავისუფლება, რათა არჩევნები ჩატარდეს თავისუფლად და მომავალში სასამართლოც მაქსიმალურად დამოუკიდებელი იყოს.

გაგრძელება მე-11 გვ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!



სიახლე ავიაკომპანია
აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**
ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ექსკლუზიური ინტერვიუ პრემიერთან

მე-9 გვერდიდან

– პოლიტპატიმრები და მათ ირგვლივ გაერთიანებული ძალები სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლას იწყებენ. რამდენად არის საფრთხე იმისა, რომ ეს პროცესი სახელმწიფოებრივ ჩარჩოებსმიღმა წარიმართოს?

– ნებისმიერი ქუჩაში გამოსვლა და დემონსტრაცია, როგორც წესი, ხელისუფლებას მიანიშნებს, რომ ხალხს რაღაც არ მოსწონს, ხელისუფლება რაღაცას ვერ ახერხებს და ხალხი ცდილობს, რაღაც სხვა გამოხატულებებით ეს დაბალანსოს. არ მგონია, რომ ეს გავიდეს რაიმე ჩარჩოებიდან, თუმცა არ მომწონს ნამდვილად. არ მგონია, რომ ამის აუცილებლობა დღეს არსებობს. ვფიქრობ, ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მაქსიმალურად გამჭვირვალე ხელისუფლებაა დღეს. ჩემი აზრით, ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ძალიან ბევრი ვერ ახერხებს, ობიექტურად გააანალიზოს სიტუაცია და შეაფასოს რეალობა და ვიღაცას კიდევ უნდა, საკუთარი თავი წარმოაჩინოს ზედმეტად. ეს პროცესებიც ისეთია, რომ მხოლოდ ამის თქმის უფლება მაქვს, მაგრამ არა მეტის. დემოკრატიული სახელმწიფო იმისაა, რომ ყველას ჰქონდეს საშუალება, გამოხატოს საკუთარი აზრი, როგორც შეუძლია, და არ დაარღვიოს კანონი. არაფერი არ გავა ჩარჩოებიდან. ყველაფერი იქნება მართული. თუმცაღა, რომ გითხრათ, რომ მომწონს – არ მომწონს. არ მომწონდა არც ის, რაც სპორტის სასახლეში მოხდა და არ მომეწონება არც ის, რომ კიდევ რაღაც ძალებს უნდათ, სახელმწიფო ფუნქცია შეასრულონ და ნაწილობრივ მაინც ჩაენაცვლონ. ჩვენ ხელს შეუწყობთ და არაფერს ხელს არ შევუშლით იმას, რაც არ გადის კანონის ფარგლებიდან.

– ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისთანავე იყო განცდა, რომ ხალხს წართმეული ქონება დაუბრუნდებოდა. ჯერჯერობით ეს პროცესი არ დაძრულა, რა აბრკოლებს ამას და ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ერთგვარ იმედგაცრუებას გამოიწვევს?

– ისეთი შეკითხვაა, რომ მძიმედ ამოვისუნთქე... არც ერთ შემთხვევაში! ჩვენ ვსწავლობთ ამ თემას, ვმუშაობთ და თუ გნებავთ, ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენს წინაშე ეს დგას. სამართლებრივად მე არ ვერევი, თავისთავად გაჭედილია პროკურატურა, იმდენი განცხადებაა შესული. გეფიცებით, მე არ ვიცი, როგორ დაგარწმუნოთ, რომ არ ვერევი. ვიცი, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა, უამრავი განცხადებაა. პოლიტიკურად ჩვენ განვიხილეთ ეს და თუ გნებავთ, რომ სამართლიანობა მთლიანად აღდგეს, უამრავი საქმე უნდა გაირჩეს. ზოგჯერ შეუძლებელიც კია, ბოლომდე გაარჩიო, რამეთუ წართმეული ქონება სახელმწიფოს გადაეცა, სახელმწიფომ გაყიდა და ა.შ. რთული პროცესია, ჩვენ შევეცდებით მაქსიმალურად, საზოგადოებისთვის გასაგებად მოვიქცეთ. დავალაგებთ და ეს პროცესი მიმდინარეობს, თუმცა საკმაოდ რთულია. პოლიტიკურად ვცდილობთ, რაიმე გადაწყვეტილება მივიღოთ. ვფიქრობ, მაქსიმალურად განვუმარტავთ საზოგადოებას შექმნილ სიტუაციას, ვაჩვენებთ ჩვენს პოზიციებს. მე ახლა ექსპერტებთან მქონდა შეხვედრა და ეს საკითხიც დაისვა. კახა კახიშვილს ჰქონდა პოზიცია, რომ მათ აქვთ პასუხი და იციან, როგორ უნდა მოხდეს ეს. მე მათ ვთხოვე, რომ იქნებ უახლოეს დღეებში შევხვდეთ. ჩვენ გავარკვევთ ამას ექსპერტებთანაც, მერე ვიმსჯელებთ საზოგადოებასთან, ძალიან რთული საკითხია. უამრავი განცხადებაა და უამრავი დაზარალებულია, ძალიან რთული გადასაჭრელია. ვპირდები საზოგადოებას ერთს – ყველაფერი მათთვის გასაგებად გაკეთდება და არაფერი არ გაკეთდება კულუარულად. ვიმსჯელებთ და საუკეთესო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

– წლის დასაწყისში პროკურატურამ დააანონსა, რომ ჟვანიას საქმეში ახალი გარემოებები გამოჩნდა. მას შემდეგ ამის შესახებ საზოგადოებას აღარაფერი სმენია. არის თუ არა თქვენთვის ცნობილი, რამდენად ფლობს პროკურატურა ჟვანიას საქმეზე ახალ მტკიცებულებებს და რაზე გადის კვალი?

– ძიება მიდის. გამოძიება დასრულებული არ იყო და როგორც ვიცი, განახლდა. მეტი ინფორმაცია არ მაქვს. აუცილებლად უნდა გამოიძიონ ეს საქმე ბოლომდე, კითხვები აქაც არსებობს და გამოძიება ვალდებულია, გააგრძელოს. და ასეც იქნება.

– ლაფანყურის სპეცოპერაცია იქცევა თუ არა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ბრალდებად წინა ხელისუფლებისთვის? არის თუ არა ლაფანყურის ოპერაციის შესახებ თქვენთვის ცნობილი ისეთი რამ, რაც საზოგადოებამ ჯერჯერობით არ იცის?

– მე ვიცი, რომ გამოძიება მიდის. იქაც არსებობდა კითხვები. ცოტა უცნაურად განვითარდა მოვლენები, როგორც მახსოვს. ახლა მე პოლიტიკურ განცხადებას აღარ გავაკეთებ, რამეთუ გამოძიება მიდის. შეიძლება სერიოზული კითხვები დაისვას, შეიძლება – არც კი. ვნახოთ...

– ეკონომიკაზე მინდა გადავიდეთ. რამდენად მზარდია დღეს ქვეყნის ეკონომიკა? რა პრობლემები არსებობს და როდის უნდა ველოდოთ ციფრებში გამოხატულ შედეგს?

– თუ პოლიტიკას დავუბრუნდებით და ჩვენს დაპირებებს, მახსოვს, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ სულ დროის დაკონკრეტებას მთხოვდნენ. ნორმალურ დროდ განიხილება ყოველთვის საარჩევნო პერიოდი – 4 წელიწადი. ვფიქრობ, კონკრეტული ციფრები და კონკრეტული შედეგი ამ პერიოდში უნდა ვიგრძნოთ. მუდამ ამას ვამბობ, მეორე წელიწადი უნდა იყოს საგრძნობი, მესამე წელი უნდა იყოს კარგი, მეოთხე – ძალიან კარგი. საარჩევნო პერიოდის დროს არ გადავაცილებთ. საფუძველს ჩვენ ახლა ვყრით და ვთვლი, რომ ძალიან სწორად ვაკეთებთ ამას.

საწყისი რაც არის ბიზნესისთვის, ფუნდამენტი უნდა იყოს თავისუფალი, თავისუფალი ეკონომიკური კანონი, ინვესტორებისთვის გასაგები, გამჭვირვალე და რაც მთავარია, ხელისუფლების მიერ უნდა იყოს დაცული. ეს არის გადამწყვეტი ინვესტიციებისთვის. ჩვენ გვაქვს კარგი საგადასახადო სისტემა, თავის დროზე მეც ვაძლევდი კონსულტაციებს ამაში. ეკონომიკას და მის განვითარებას რაც სჭირდება, ბევრი რამ კარგი წინა ხელისუფლების პირობებში განხორციელდა, ბევრი კანონი იყო ძალიან სწორი და მეც მაქვს მასში წვლილი. მაგრამ ამას არაფრის ფასი არ ჰქონდა, რამეთუ ელიტარული კორუფცია იყო ქვეყანაში და ყველაფერი ერთი კაცისგან იმართებოდა. მთელი ბიზნესი იყო მართული, რაც წინააღმდეგობაში მოდის. იყო მონოპოლია, კარტელური შეთანხმებები და პროკურატურა, მთავარი პროკურორი იყო მთავარი მოლარე, აბსოლუტურად წინააღმდეგობაში მოდის ყოველგვარი ეკონომიკის განვითარებასთან. ამისგან გავათავისუფლეთ ჩვენ ეს სფერო. პირობები რაც არის, კონკურენტუნარიანი ბაზარი რასაც ჰქვია და რაც არის მისი შემადგენელი ატრიბუტიკა, ეს დღეს უკეთესი გვაქვს და უახლოეს დროში კიდევ უფრო უკეთესი გვექნება, არანაკლებ ისეთი, როგორიც ევროპულ ქვეყნებშია. ახლა რა უპირატესობები გვექნება ევროპულ ქვეყნებთან შედარებით და რის იმედიც მე მაქვს, ის, რაც კარგი და მიმზიდველია ევროპაში ჩვენ ეს ყველაფერი გვექნება კანონის სახით და დავიცავთ... რაც მთავარია, დავიცავთ. კანონი არ იყო მთავარი წინა ხელისუფლების პირობებში. კანონს არ იცავდა ის, ვისაც უნდა დაეცვა პირველ რიგში – ხელისუფალს. მთავრობა არ იცავდა მას. ხიბლი რაც ახლავს ევროპის ქვეყნებს, რის საფუძველზეც ევროპამ მოახერხა და განვითარდა, ეს კანონები აქ უკვე მოქმედებს და ეს დაიხვეწება, გასაგები გახდება ყველასთვის, რომ საქართველო ამ მხრივ არანაკლებია. დამატებითი ხიბლი, რაც არ აქვთ ევროპის ქვეყნებს, იმუშავებს ძალიან კარგად. მაგალითად, ის, რომ კომპლექსური გადასახადი არის 16%. ეს იყო მანამდე, მაგრამ არ მუშაობდა. ეს იმუშავებს ძალიან კარგად. იმუშავებს ძალიან კარგად ის, რომ ევროპასთან შედარებით ჩვენი ბაზარი არის განუვითარებელი. და, ამ მხრივ, დამატებით ხიბლს იძენს ის, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს, ჩვენ გეოგრაფიულად ნამდვილად კარგი მდებარეობა გვაქვს. ეს რესურსი ამუშავდება რეალურად. ეს მიიღებს დამატებით ხიბლს, და პლუს კიდევ ორი ფონდი, რომელზეც ძალიან კარგი გამოხმაურებები მომდის. ჯერ არ არის ეს სატრაბახო, მაგრამ აუცილებლად თავის შედეგს გამოიღებს. თანაინვესტირების ფონდი ჩემი იდეითა და მონაწილეობით იქმნება და ეს ყველაფერი კანონით ხერხდება, 5 მილიარდს გადააჭარბა უკვე. მე 3 განვაცხადე და პოტენციური მოსურნეების განცხადებებით, უკვე 6 მილიარდზე ავიდა. თანაინვესტირების ფონდი აუცილებლად დამატებით სტიმულს მისცემს ნებისმიერ უცხოელ ინვესტორს, რომ ადგილობრივი კაპიტალი დახვდება, პარტნიორის სახით. იქნება ძალიან გამჭვირვალე ევროპული ტიპის მენეჯმენტი და დამატებითი ფილტრი ნებისმიერი ეკონომიკური პროექტისთვის, ეს აუცილებლად დამატებით ხიბლს მისცემს ინვესტორებს. თუ გნებავთ, ის საპარტნიორო ფონდიც, ჩვენ ეროვნულ ფონდად გადავაკეთეთ და გადავთარგმნეთ ცივილიზებულ და ევროპულ ენაზე, ესეც დამატებითი გარანტი იქნება და ქვეყნის სახეს აჩვენებს.

ჩვენი ბიზნესი ჯერ კიდევ დაბნეულია, კიდევ ვერ გადახარშა რაღაცები, ბევრი კიდევ პატრონს ეძებს, ვინ უნდა უკარნახოს. მომდის ხმები, რომ ძალიან ბევრი დაბნეულია. ჯერ ჩვენებმაც კი ვერ გააცნობიერეს ბოლომდე, რომ განთავისუფლდნენ იმ უღლისგან და შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი. ჩვენ მხოლოდ ვალდებულება გვაქვს მათ წინაშე, რომ ლობირება გავუწიოთ, დავეხმაროთ ბაზრების ათვისებაში და კანონების დახვეწაში. ასე სწრაფად, გარედან როგორც ითხოვენ, – გავიდა 7 თვე და სადაა სამუშაო ადგილებიო, და ბაქრაძემ აღიარა, რომ ასე ვერ იქნება, ასე არ ხდება. გვქონდა კამათი მასთან სტრასბურგში, ეკონომიკა ინერტულია, დანგრევა მარტივად და სწრაფად შეიძლება, მაგრამ აღორძინებას დრო სჭირდება. ერთი წელიწადი ეკონომიკისთვის არაფერი არ არის. გაცნობიერება სჭირდება, ერთი წელი დასჭირდება იმას, რომ ადგილზე კარგად შეიმეცნონ, რას ვაკეთებთ ჩვენ და გარეთ ხმა გავიდეს. მეორე წელს რაღაც რეაქციები უნდა ვნახოთ და მესამე წელი უნდა იყოს დასანახი, გასაგები და კარგი.

– ეკოლოგიასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, ჩვენს გაზეთში სისტემატურად ვწერთ ამაზე. მაგალითად, დუშეთში მოშლილია საკანალიზაციო კოლექტორები. დედაქალაქის ნაგავი ჩაედინება თბილისის ზღვაში... იგივე გამონაბოლქვისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემაც მწვავედ დგას, მაგალითად, მთელი მსოფლიო დღეს გაზზე გადავიდა, რომელიც უფრო მომგებიანია ბიზნესისთვისაც და უსაფრთხოა ეკოლოგიისთვისაც, მთელი რიგი საკითხებია თანამედროვე ეკოლოგიაში, სადაც ჩვენ ნელი ტემპებით ვმუშაობთ... გაქვთ თუ არა დღის წესრიგში ეს პრობლემა?..

– რაც შეეხება გამონაბოლქვს, ამაზე აქტიურად ვმუშაობთ, რომ დავიწყოთ შემოწმებები და საწვავის ხარისხიც, შესაბამისად, გაუმჯობესდეს. ჯანდაცვის სამინისტრო მუშაობს, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, და პროცესი დაწყებულია. უახლოეს დროში საზოგადოება ამას დაინახავს. რაც შეეხება კოლექტორებს, კანალიზაცია, ნაგავსაყრელები, ეს, რა თქმა უნდა, პრობლემაა საქართველოში, მოსაგვარებელი და დასარეგულირებელია, ამაზეც აქტიურად მუშაობს ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ძალიან ბევრს ვაკეთებ და გავაკეთებთ მომავლისთვის. კანალიზაციები – ეს ტოტალური პრობლემაა. ზღვაში რაც ხდება, ეს სირცხვილია. მე პირადად რამდენიმე წელი მაქვს დახარჯული იმაზე, რომ ეს ნაგავი გამეტანა და ხელისუფლებამ მაშინ მხარი არ დამიჭირა. ახლა ჩვენ ვცდილობთ, ეს სირცხვილიც გადავლახოთ და ვმუშაობთ ამ საკითხზე. წინა კვირაში გვქონდა შეხვედრა და ჩვენი ამოცანაა, რომ შემდეგ საზაფხულო სეზონზე სირცხვილი აღარ უნდა ვნახოთ ზღვებზე. აი, ეს არის ჩვენი ამოცანა. ძალიან ოპტიმისტურია, რომ მომავალ წელს ჩვენ ეს მოვახერხოთ, მაგრამ ვფიქრობ, უკვე დიდი შედეგი უნდა გვქონდეს, თანაც მე უკვე ბევრი მაქვს გაკეთებული და გაკეთებულის საფუძველზე შეიძლება უფრო სწრაფად განვითარდეთ. თქვენ რაც ჩამოთვალეთ, ეს არის მცირე და შუალედური პრობლემები ეკოლოგიის. უფრო დიდი პრობლემებია ჰესებთან მიმართებაში. გვქონდა ძალიან დიდი თათბირები „ხუდონჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით, ჰოლანდიელი ექსპერტები ჩავრთეთ, პირველი ხედვა მათ დადეს და განვიხილეთ. ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ აქ არ დავუშვათ შეცდომები. ძალიან ბევრს ვმუშაობ მე, ბევრს მუშაობს ჩვენი მთავრობა, რომ ჩვენს შვილებს შევუნარჩუნოთ ბუნება. თუ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ გადავცემთ მომავალ თაობას, ის მაინც გადავცეთ, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. მე მგონი, ორივე უნდა მოვახერხოთ, ბუნებაც შევინარჩუნოთ, ენერგიაც უნდა გვქონდეს და დემოკრატიული სახელმწიფოც უნდა ავაშენოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაცმოძრაობაში“ მძიმე ვითარებაა, ზოგიერთები

თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაფიქსირდება, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალი იქნება

ქეთი ხატიაშვილი

როგორია საპრეზიდენტო რინგი, რამდენად უალტერნატივო იქნება გიორგი მარგველაშვილი და შეძლებს თუ არა არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიან კანდიდატურაზე ჩამოყალიბებას? რა იქნება ამ არჩევნებზე მთავარი – გიორგი მარგველაშვილის დამარცხება, მეორე ადგილისთვის ბრძოლა თუ მეორე ტურზე გასვლა? რა სიურპრიზები შეიძლება გველოდეს წინ და ვის დაასახელებს „ნაციონალური მოძრაობა“ საპრეზიდენტო კანდიდატად? ამ თემებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი კახი კახიშვილი ესაუბრება.

– ბატონო კახი, დიდი მსჯელობა მიდის, ვის დაასახელებს „ნაციონალური მოძრაობა“. სამი კანდიდატი დასახელდა მედიაში – ვანო მერაბიშვილი, დავით ბაქრაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი. როგორ ფიქრობთ, რომელი კანდიდატურა იქნება მომგებიანი?

– „ნაციონალური მოძრაობის“ ამოცანაა, რომ საპრეზიდენტო კენჭისყრაზე როგორმე მეორე ადგილი დაიკავოს. ეს მათ შემდგომში იმაზე საუბრის საშუალებას მისცემს, რომ მხოლოდ ისინი არიან ხელისუფლების რეალური კონკურენტები. ამიტომაც არის მათი ამოცანა მეორე ადგილი.

რაც შეეხებათ კანდიდატებს, ვანო მერაბიშვილი პატიმრობაშია, მისი კანდიდატად დასახელება პოლიტიკურად მომგებიანია როგორც „ნაცმოძრაობისთვის“, ისე ვანოსთვის, მაგრამ რთული იქნება სრულყოფილი საარჩევნო კამპანიის წარმოება, რადგანაც საპრეზიდენტო კანდიდატი საპატიმრო დაწესებულებაში იმყოფება. ჩვენი კანონმდებლობით, კანდიდატად დარეგისტრირება აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის წინაპირობას არ ნიშნავს...

– თუმცა ზოგმა იურისტმა განმიმარტა, რომ კანონი მერაბიშვილს გარეთ გამოსვლის უფლებას აძლევს, მაგრამ ის ბადრაგით უნდა გადაადგილდეს...

– ეს არ შეესაბამება რეალობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ წერია, რომ საარჩევნო კანდიდატად დაფიქსირებისა და რეგისტრირების შემთხვევაში სასამართლომ უნდა განიხილოს აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი. ასე რომ, მე აბსოლუტურად იურიდიულ ნორმებზე დაყრდნობით გეუბნებით, რომ ეს აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის წინაპირობა ვერ იქნება.

რაც შეეხება დათო ბაქრაძეს, არ ვფიქრობ, რომ ბაქრაძე კანდიდატობას დასთანხმდება. ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობაში“ მძიმე ვითარებაა, ზოგიერთები უკვე ფიქრობენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე...

– შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, ვინ შეიძლება იყოს ის, ვინც ცალკე მოძრაობას დაიწყებს?

– კი, ბატონო. ცალკე მოძრაობა შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ტაქტიკური ამოცანებიდან, ისე პიროვნული უთანხმოებიდან გამომდინარე. ჩვენ ვნახეთ, რომ ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ შიდა პრობლემები „ნაცმოძრაობაში“ უფრო ზედაპირზე გამოვიდა. ფაქტობრივად, მთელი „ნაცმოძრაობა“ ემიჯნებოდა ახალაიასა და ადეიშვილს და ცდილობდა, ის სიხისტე, რაც 9 წლის განმავლობაში ასოცირდებოდა „ნაცმოძრაობასთან“, მათთვის დაებრალებინა.

– ადეიშვილთან დაკავშირებით ვერ დაგეთანხმებით, რადგან მერაბიშვილმა პოზიცია დააფიქსირა. მან თქვა: ის ჩემი მეგობარი იყო, არის და დარჩება და არ მეესმის, რატომ დატოვა საქართველო. მე მგონი, ადეიშვილთან დაკავშირებით კიდევ უფრო ნათელი პოზიცია დააფიქსირეს...

– არ დააფიქსირეს ნათელი პოზიცია, რადგან მიხეილ სააკაშვილი გაემიჯნა ადეიშვილს და კვესიტაძესთან ინტერვიუში განაცხადა, რომ პროკურატურას მადა ჭამაში მოუვიდა, ძალიან დიდი შეცდომა იყო. თქვა, რომ პროკურატურამ მცირე ბიზნესის დატერორება დაიწყო. აქედან გამომდინარე, ამ კუთხით გამიჯვნა მოხდა.

მეგობრები არც ახალაიას გაემიჯნენ. აქ მე ოფიციალურ პოზიციას ვგულისხმობ. მეგობრები მის პროცესებზე დადიოდნენ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ცენტრალური ოფისიდან ოფიციალური მხარდამჭერი განცხადება არ მოგვისმენია. ასევე, არაფერი არ გაგვიგია ადეიშვილზე. აქედან გამომდინარე, მთელი „ნაცმოძრაობა“ ემიჯნებოდა მათ.

ამავდროულად „ნაცმოძრაობაში“ არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ: რატომ უნდა ვასოცირდებოდე ვანო მერაბიშვილთან და არ უნდა ვიფიქრო ჩემს პოლიტიკურ მომავალზე, როდესაც არაფერი მაქვს საერთო იმ სიხისტესთან, რომელიც ამ ეტაპზე უკვე უკავშირდება ვანო მერაბიშვილს. ეს უფრო ლიბერალური ხაზია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით მუშაობდა „ნაცმოძრაობაში“. ალბათ, ეს ადამიანები ოქტომბრის შემდეგ გაემიჯნებიან „ნაცმოძრაობას“. ეს პოლიტიკურად მომგებიანიც კია, რადგან გადაჯგუფების შემთხვევაში, „ნაცმოძრაობას“ გამოეყოფა გარკვეული ნაწილი, არაასოცირებული სიხისტესთან და ამავდროულად ფინანსურად სერიოზულად უზრუნველყოფილი, ეს კი ნიშნავს, რომ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს მათთან მისასვლელი გზა ექნებათ. მაგალითად, ხვალ და ზეგ კოალიციიდან ვინმე რომ გამოვიდეს ან დღევანდელი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან ვინმეს რომ უნდოდეს პარტნიორის მოძებნა, წლების შემდეგაც კი ის არ მივა ვანო მერაბიშვილთან და მიხეილ სააკაშვილთან, რადგან ეს პოლიტიკურად წამგებიანი იქნება, თუმცა იგივე ბარქაძესთან და მის პოლიტიკურ პარტიასთან მისვლა და თანამშრომლობა შესაძლებელია, არ იყოს ამხელა პრობლემის მატარებელი. დარწმუნებული ვარ, ბაქრაძე ან სხვა ლიბერალური წარმომადგენელი „ნაცმოძრაობის“, რომელიც შექმნის პარტიას, ექნება სერიოზული ფინანსური მხარდაჭერა და ფინანსები, პოლიტიკოსებს აუცილებლად მიიზიდავს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბაქრაძისთვის მომგებიანი არ იქნება, დღეს იყაროს კენჭი საპრეზიდენტო კანდიდატად, რადგან ამით საკუთარ თავს „ნაცმოძრაობასთან“ აფიქსირებს.

– ანუ, რომ დავაკონკრეტოთ, ბაქრაძე იმიტომ არ თანხმდება საპრეზიდენტო კანდიდატობას, რომ აპირებს, „ნაცმოძრაობა“ დატოვოს...

– დიახ, ეს ჩემი პოზიციაა...

რაც შეეხება ჭიაბერაშვილს, რთული სათქმელია, რამდენად შეეძლება მას, ისეთი წინასაარჩევნო კამპანია აწარმოოს, რომ უზრუნველყოს ის ამოცანები, რაც „ნაცმოძრაობას“ გააჩნია. მით უმეტეს, ჭიაბერაშვილი არასდროს ასოცირდებოდა „ნაცმოძრაობის“ ელიტასთან. როდესაც ის მერიაში იყო, დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობდა „ნაცმოძრაობაშო“. ასე თუ ისე, არა მგონია, „ნაცმოძრაობაშო“ მას ისეთი წონა ჰქონდეს, ხმების მაქსიმალური მობილიზაცია უზრუნველყოს. ამიტომ ეს მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ გადასაწყვეტია. მერაბიშვილის კანდიდატად დარეგისტრირება ატარებს პოლიტიკური ქულების მოპოვების ტაქტიკას იმ კუთხით, რომ შემდეგში ყველამ ისაუბროს: აი, ჩვენი კანდიდატი დაპატიმრებულია, სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებას არ უცვლის, არ გვეძლევა საშუალება სრულყოფილი საარჩევნო კამპანიის წარმოების და ა.შ.

– ბატონო კახი, თქვენი აზრით, რას ნიშნავდა ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადება ორ წელიწადში პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე...

– ვანო მერაბიშვილის ამას მანამდეც აცხადებდა, როცა „ნაცმოძრაობა“ ქვეყნის ხელისუფლებაში იყო. ის მაშინაც ამბობდა, რომ დაიღალა პოლიტიკით და უნდოდა კომპიუტერების მაღაზიის გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ ამაზე საუბრობდა, მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ვხედავდით, რომ მსგავსი არაფერი ჩანდა. შესაძლებელია, მან ამ ეტაპზე ჩათვალა საჭიროდ ამ განცხადების გაკეთება. ვფიქრობ, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მერაბიშვილი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებდა. პირიქით, „ნაცმოძრაობა“ რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში, ვანო მერაბიშვილი იქნებოდა პრემიერი.

„სააკაშვილი გაემიჯნა ადეიშვილს, როცა განაცხადა, პროკურატურას მადა ჭამაში მოუვიდა, პროკურატურამ მცირე ბიზნესის დატერორება დაიწყოო“

– ანუ თქვენ ვარაუდობთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები, საბოლოო ჯამში, მიხეილ სააკაშვილისთვის კი არა, ვანო მერაბიშვილისთვის გაკეთდა?

– მიშა სააკაშვილისთვის გაკეთდა ყველა შემთხვევაში. უბრალოდ, ვვარაუდობ, რომ მიშა სააკაშვილი არ უნდა ყოფილიყო პრემიერი, როგორც ამაზე საუბრობდნენ. ალბათ, ის უფრო პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის ემზადებოდა, მაგრამ პრემიერი რეალურად ვანო მერაბიშვილი უნდა ყოფილიყო.

– თქვენი აზრით, რამდენად უკავშირდება ვანო მერაბიშვილისა და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერების დაკავება საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიას, იქიდან გამომდინარე, რომ ეს თემა – „სამართლიანობის აღდგენა“, ძირითადად, გადავიდა პარლამენტსგარეთ არსებული პოლიტიკური ლიდერების ხელში? ამაზე აქცენტს აკეთებდნენ სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე...

– ამაზე აქცენტს აკეთებდა ყველა პოლიტიკური ლიდერი, რადგან ეს არის მოსახლეობის მოთხოვნა. სამართლიანობის აღდგენა პირადად ჩემთვის მხოლოდ ვანო მერაბიშვილის დაჭერას არ ნიშნავს. ხალხი სამართლიანობის აღდგენას რომ ითხოვს, ითხოვს საკუთარი შელახული უფლებების აღდგენას. ის ადამიანები, ვისაც წაართვეს მანქანები, სახლი, კარი, ქონება, ისინი ითხოვენ ამის დაბრუნებას. მე არ ვფიქრობ, რომ, თუ ვანო მერაბიშვილის ან სხვა ჩინოვნიკის დაკავებას ქონების დაბრუნების პროცესი არ მოჰყვა, ხალხი იტყვის: დიდი მადლობა, რაც გააკეთეთ და ჩვენ ჩვენს ქონებაზე უარს ვამბობთო. ასე რომ, ეს ძალიან აქტუალური თემაა, ამიტომ საუბრობს ამაზე ყველა პოლიტიკური ლიდერი. „ნაცმოძრაობა“ ხომ არ ისაუბრებს, სამართლიანობა აღადგინეთო, კოალიცია, ხედავთ, კოჰაბიტაციაშია და ამ თემაზე საუბრობენ დანარჩენი პოლიტიკური სუბიექტები და ხალხი.

– თუმცა რამდენად შეუქმნიდა ეს რეალურ პრობლემებს „ქართულ ოცნებას“ საპრეზიდენტო არჩევნებზე?

– ვფიქრობ, აქაც ტაქტიკური ამოცანებია. მე თუ მკითხავთ ვანო მერაბიშვილის დაკავება არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე არასწორია. ეს ჩემი პირადი მოსაზრებაა. ნებისმიერმა ადამიანმა პასუხი უნდა აგოს ჩადენილ დანაშაულზე, მიუხედავად იმისა, რა თანამდებობა ეკავა თავის დროზე. ეს მისაღებია ჩემთვის, მაგრამ ბრალი დასაბუთებული უნდა იყოს. თუმცა როდესაც რვა თვე ხმას არ იღებ, დაკითხვაზე არ იბარებ და საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე აკავებ, ეს ტაქტიკური შეცდომაა.

– ივანიშვილის მხრიდან თუ პროკურატურის?

– ვფიქრობ, პროკურატურის მხრიდან... მე, უბრალოდ, არ ვიცი პროკურატურის მიზნები, რატომ მოხდა ეს დაკავება. შესაძლებელია, რაღაც ინფორმაციები არსებობდა და ამიტომ მოხდა მოვლენების ფორსირება. ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ, ჩემი აზრით, ან ეს დაკავება უნდა მომხდარიყო პირველივე თვეებში, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, პროკურატურას ბევრი მტკიცებულება ექნებოდა, განსაკუთრებით 26 მაისთან დაკავშირებით, მაშინ თუ ვერ მოახერხეს, უფრო დეტალურად უნდა გაგრძელებულიყო გამოძიება უკვე საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, რომ არ მისცემოდა „ნაცმოძრაობას“ იმის თქმის საშუალება, რომ მათი 100%-იანი პრეზიდენტი დაკავეს იმის გამო, რომ მისი მოგების შიში ჰქონდათ.

– რაც შეეხება არასაპარლამენტო კანდიდატურას, რამდენად მოხდება ერთ კანდიდატურაზე შეჯერება? და რამდენად შესაძლებელია, ეს ნინო ბურჯანაძე იყოს?

– მანდაც დიდი პრობლემაა. როგორც „ნაცმოძრაობისთვის“ არის პრიორიტეტული მეორე ადგილის დაფიქსირება, ასევეა ეს პრიორიტეტი არასაპარლამენტო ოპოზიციისთვის. არასაპარლამენტო ოპოზიციამ რომ მეორე ადგილი დააფიქსიროს, სულ სხვანაირი პოლიტიკური ვითარება გვექნება მომავალში.

– ანუ რას გულისხმობთ, შეიძლება ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს?

– რა თქმა უნდა. ყველამ კარგად ვიცით, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს მოსახლეობის ადეკვატურ მოთხოვნას. თუმცა „ნაცმოძრაობაც“ და „ქართული ოცნებაც“ გვეუბნება იმას, რომ დღევანდელი ვითარება არის ასეთი, – არც ერთ პოლიტიკურ პარტიას რეიტინგი არ აქვს და მხოლოდ ჩვენ გვაქვსო. ამიტომ, თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაფიქსირდება, ვფიქრობ, რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები გარდაუვალი იქნება. მაგრამ თუ „ნაცმოძრაობამ“ დააფიქსირა მეორე ადგილი, ვფიქრობ, კოჰაბიტაცია გაგრძელდება... არასაპარლამენტო ოპოზიციის ის ლიდერი იქნება ძლიერი, ვინც დანარჩენებს დააჯერებს, რომ ერთ ლიდერზე შეთანხმდნენ.

შეძლებს თუ არა ნინო ბურჯანაძე, დაარწმუნოს არასაპარლამენტო

„ზურა ჭიაბერაშვილი არასდროს ასოცირდებოდა „ნაცმოძრაობის“ ელიტასთან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უკვე ფიქრობენ საკუთარ პოლიტიკურ მომავალზე...

„როდესაც რვა თვე ხმას არ იღებ, დაკითხვაზე არ იბარებ და საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე აკავებ, ეს ტაქტიკური შეცდომაა“

ოპოზიციის წარმომადგენლები საკუთარი კანდიდატურის მხარდაჭერაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ ნინო ბურჯანაძეზეა დამოკიდებული. თუ შეკრავს არასაპარლამენტო ოპოზიციის დიდ ნაწილს საკუთარი პერსონის გარშემო, შესაძლებელია, მეორე ადგილი დაიფიქსიროს. თუ ცალკე მიიღებს მონაწილეობას საკუთარი პარტიისა და ამომრჩევლის იმედზე, შესაძლებელია, ვერ დააფიქსიროს. არ ვიცი. რთულია ამაზე საუბარი. დრო გვიჩვენებს. მალე გამოჩნდება პარტიების პოზიციები არასაპარლამენტო ოპოზიციის გარშემო.

– ნინო ბურჯანაძის თემა უკავშირდება რუსეთს, პუტინს და ქალბატონ ნინოს თუ უსმინეთ, მან თქვა, რომ რუსეთმა „დაიკავა“ (სწორედ ეს ტერმინი იხმარა) საქართველოს ტერიტორიების 20%...

– თქვენ ისე ამბობთ, თითქოს მე მინდა, ნინო ბურჯანაძე იყოს კანდიდატი. მე ვამბობ, რომ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ უნდა პრეზიდენტობა. შეძლებს თუ არა შეკრას საკუთარი კანდიდატურის გარშემო არასაპარლამენტო ოპოზიცია, ეს მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თუ ვერ შეძლებს, მაინც მიიღებს, ალბათ, მონაწილეობას არჩევნებში, მაგრამ რეალურად მხოლოდ საკუთარი პარტიის იმედზე დარჩება.

– რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს?

– სალომეს მდგომარეობა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. იცით, რომ ჩვენი კონსტიტუცია ორმაგი მოქალაქეობის მქონე ადამიანებისთვის კრძალავს პასიური საარჩევნო უფლების გამოყენებას უმაღლეს თანამდებობაზე. ამავდროულად იმ კანდიდატებს, ვინც არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეები, ანიჭებს უფლებას, ისარგებლონ პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებით. არ ვიცი, ქალბატონი სალომე მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქეა თუ ორმაგი მოქალაქეობის მატარებელი, ანუ საქართველოსი და საფრანგეთის. თუ ორმაგი მოქალაქეობის მატარებელია, მას, ჩვენი კონსტიტუციის თანახმად, არ ექნება უფლება, კენჭი იყაროს, ხოლო თუ ის არის მხოლოდ საფრანგეთის მოქალაქე, შეუძლია, კენჭი იყაროს. ეს ერთი საკანონმდებლო პრობლემასთანაა დაკავშირებული. მეორე, არ ვიცი, სალომე მონაწილეობს თუ არა ბურჯანაძესთან კონსულტაციებში. ფაქტია, რომ ბურჯანაძესა და ზურაბიშვილს ჰქონდათ პოლიტიკური ამბიციები საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე. მეორეა, შეძლებენ თუ არა საკუთარი პერსონების გარშემო მოიზიდონ არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები.

კიდევ ერთი შემზღუდავი ფაქტორი შეიძლება გახდეს ცხოვრების ცენზი. თუმცა, გასარკვევია, შესაძლოა, ის საკონსულო აღრიცხვაზე იყო. ანუ, ჩვენ ჯერ არ ვიცით, აკმაყოფილებს თუ არა ის ცხოვრების ცენზს.

– რამდენად შესაძლებელია, გამოჩნდეს მოულოდნელი ფიგურა, თუნდაც ნეიტრალური?

– ჩვენ ვიცით საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების ისტორია. ისეთი სიურპრიზები გვხვდება ხოლმე, რომ არც აქ არის გამორიცხული, რომ კანდიდატად არაპარტიული ადამიანი მოგვევლინოს, რომელიც საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერით დარეგისტრირდება კანდიდატად. ჯერ კიდევ არის დრო, რომ ვიღაც-ვიღაცები გამოჩნდნენ. ასე რომ, საქართველოში ყველაფერია მოსალოდნელი.

– შეიძლება ვთქვათ, რომ ირაკლი ალასანიას ჩართვა გამორიცხულია?

– ჩემი აზრით, ირაკლი ალასანიას ჩართვა გამორიცხულია, რადგან ირაკლი ალასანია ახლა ძალიან რთულ მდგომარეობაშია. მან ყველაზე კარგად იცის, დღეს რომ ის კოალიციიდან გამოვიდეს და ცალკე იყაროს კენჭი, პრეზიდენტობის არანაირი პერსპექტივა არ აქვს. გარდა ამისა, ის დაკარგავს საკუთარ ადგილს კოალიციაში და მინისტრობას. ასე რომ, არა მგონია, ალასანია ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდეს. ის დარჩება ბიძინა ივანიშვილთან მანამდე, სანამ ექნება გარანტია, რომ იქნება მინისტრი.

„ბაქრაძისთვის მომგებიანი არ იქნება, დღეს იყაროს კენჭი საპრეზიდენტო კანდიდატად“

– პირადად თქვენ რის მომხრე ხართ – კოჰაბიტაციის თუ ვადამდელი არჩევნების?

– სიმართლე გითხრათ, მომხრე ვარ სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვის. მე არ ვარ მომხრე ხელოვნური პროცესების. ყველგან ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას, რომ ჩემთვის მთავარია, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა და არა პოლიტიკური კონიუნქტურის სიმპათიებით, ანტიპათიებით ან სტრატეგიული ამოცანებით მოქმედების დაგეგმვა და განხორციელება. ჩემთვის მთავარია, ავაშენოთ სახელმწიფო, სადაც არავის არ ექნება ინდულგენცია კანონის წინაშე, არც ყოფილ თანამდებობის პირებს, არც მოქმედს და არც მის შემდეგ მოსულ თანამდებობის პირებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვისწავლოთ საქართველოში, რომ თანამდებობა უფრო მეტი პასუხისმგებლობის მომტანია, ვიდრე ინდულგენციისა და ქონების დაგროვების ბერკეტი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თანამდებობა უფრო მეტად პასუხისმგებლობებს ნიშნავს, ვიდრე პრივილეგიებს, ინდულგენციას, ბიზნესწილებში ჩახედვასა და ჩაჯდომას. ჩვენ, ყველანი, ერთი ქვეყნის შვილები ვართ.

მიშასი ყველაზე მეტად არ მომწონდა ისეთი პოლიტიკური გარემოს შექმნა, სადაც პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის გამო ხალხი ერთმანეთს დაუპირისპირდა და ერთმანეთს ვერ იტანდა. სააკაშვილმა გახლიჩა საზოგადოება. თავისი მხარდამჭერები თავისიანებად გამოაცხადა, დანარჩენებს სულ ჯოჯოხეთსა და მუმიოტარაკნებს ეძახდა. ეს ძალიან ცუდია. მინდა ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც პოლიტიკურ გემოვნებას კავშირი არ ექნება მეგობრული ურთიერთობების გაფუჭებასთან. ჩვენ ყველა ინდივიდუალურები ვართ, ზოგს ერთი პარტია მოსწონს, ზოგს – მეორე, მაგრამ ყველა ერთი ქვეყნის შვილები ვართ. სასტიკად წინააღმდეგი ვარ, როდესაც პოლიტიკაში აგრესიაზეა საუბარი. შეიძლება პოლიტიკური ოპონირება იყოს ჩვეულებრივი მოვლენა, მაგრამ ეს პიროვნულ დაპირისპირებაში არ უნდა გადავიდეს.

– თუმცა, პოლიტიკური დაპირისპირება ქართული პოლიტიკის ნაწილი ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას დროიდან გახდა...

– გეთანხმებით, რომ ეგ თანმხლები პროცესები იყო. თუმცა შევარდნაძის დროს ეს პროცესი შენელდა. მიშამ სერიოზულად გახლიჩა საზოგადოება. 9 წლის განმავლობაში ყოველდღე ხლეჩდა და ხლეჩდა საზოგადოებას. რევოლუციის შემდეგ პირველ ეტაპზე ისედაც გახლეჩილი იყო სიტუაცია, იმიტომ რომ სხვანაირად ვერ მოხდებოდა, მაგრამ მიშა ამას ხელს უწყობდა ბოლო წუთამდე.

– მე ამას მაინც რუსეთის ფაქტორს ვუკავშირებ...

– ვინ რამდენი გაუკეთა რუსეთს, ეს კიდევ გასარკვევია. მიშაც ამბობდა, პროევროპული ვარო, მაგრამ 9 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყო ვერც ერთი ევროპული ღირებულების დამკვიდრება საქართველოში. ვგულისხმობ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ყველა ფუნდამენტური უფლება დავიწყებული იყო. რა სასამართლო სისტემა გვქონდა, ყველამ იცის. დღეს უკვე თვითონაც ამბობენ, სასამართლო არ ვარგა და არ ვენდობითო. საკუთარ სასამართლოზე ამბობენ, რომელსაც 9 წელი აშენებდნენ და ამბობდნენ, ევროპულიაო. ეს ყველაფერი კლიშეებია. მიშამ მიითვისა პროევროპულობის კლიშე, მაგრამ მმართველობის სტილში სულაც არ იყო პროევროპული.

– როგორ ფიქრობთ, საქართველოსთვის ორპარტიული პოლიტიკური სისტემაა უკეთესი თუ მრავალპარტიული?

– ამას დრო აჩვენებს. სელექცია იმ პარტიებს, რომელიც მხარდაჭერით არ სარგებლობს, აიძულებს, წავიდნენ პოლიტიკური სცენიდან. ყველა კითხვაზე პასუხი ამ წინადადებაშია. შეიძლება, ვიღაც პოპულარულად ლაპარაკობს, ვიღაც – არაპოპულარულად, მაგრამ დრო მოიტანს და დამიჯერეთ, დიდი ხანი არ გაგრძელდება ის, რომ 5-10-კაციანი პარტიები არიან საქართველოში პოლიტიკურ სცენაზე წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, მოხდება პარტიების გამსხვილება, მოხდება იდეების გარშემო პარტიის ჩამოყალიბება და არა ერთი ადამიანის გარშემო. ეს უნდა იყოს ბუნებრივი პროცესი და არა ხელოვნური.

ბუნებრივი პროცესი მიგვიყვანს იქამდე, რომ თვითონ ეს პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც წლების განმავლობაში იყვნენ პარტიის თავმჯდომარეებად წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა არჩევნებს აგებდნენ, იძულებულები გახდებიან და წავლენ პოლიტიკიდან. თქვენ ხომ ხედავთ, რომ ეს პროცესი დაიწყო.

„ვანო პატიმრობაშია, მისი კანდიდატად დასახელება პოლიტიკურად მომგებიანია როგორც „ნაცმოძრაობისთვის“, ისე ვანოსთვის...“

„მინდა ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც პოლიტიკურ გემოვნებას კავშირი არ ექნება მეგობრული ურთიერთობების გაფუჭებასთან“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თუ ასე გაგრძელდება, გვამი



ახალაია და მერაბიშვილი „მატროსოვზე“ გასეირნების დროს ხვდებიან?

მარიამ ნადირაძე

ახალ კი არა, უკვე მოჩიტულ მთავრობაში სოზარ სუბარი ის მინისტრია, ვის გარშემოც ვნებათაღელვა არ ცხრება. ზოგს მისი გამომეტყველება არ მოსწონს, ზოგი ალკოჰოლის ტრფიალს აყვედრის, ზოგი – კუთხურ მიდრეკილებებს... თუმცა, ეს არ არის მთავარი. მისი მინისტრობის პირობებში პენიტენციარული სისტემა სახალხო დამცველის ანგარიშში არცთუ დადებით კონტექსტში მოხვდა. უკანასკნელ ხანს კი ამ სისტემაში მიმდინარე „ძარცხენა“ პროცესებიც საზოგადოებისთვის ერთ-ერთი ინტენსიურად სასაუბრო თემა გახდა. ვრცელდება ინფორმაცია, რომ ციხეებში უკვე მყარდება „ქურდული სამართალი“, იკრიბება ე.წ. „ობშიაკები“, დაიშვა აქამდე აკრძალული ამანათები. მინისტრის შეცვლის შესახებ უკვე ალაპარაკდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, განსაკუთრებით გეგუთში პატიმრის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც, სამინისტროს განცხადებით, მისი გარდაცვალების მიზეზი ჯერ თითქოს კიბეზე დაგორება იყო, შემდეგ კი პატიმრებს შორის ანგარიშსწორება. ამას სუბარის ბოლოდროინდელი განცხადებაც დაემატა, როდესაც მინისტრმა თქვა, რომ ციხეების გაკონტროლება მხოლოდ ბაჩო ახალაიას მეთოდებით არის შესაძლებელი.

რა ხდება რეალურად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში? ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის სამართლებრივი პროექტის ხელმძღვანელი, ირაკლი კერესელიძე ესაუბრება. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ორგანიზაციის პროექტები პენიტენციარული სისტემის მონიტორინგსაც გულისხმობს:

– სიმართლე გითხრა, შემაშფოთა სოზარ სუბარის ბოლოდროინდელმა განცხადებამ. შესაძლებელია, ვიღაცამ გაამართოლოს, ეს განცხადება კონტექსტიდან ამოღებულიაო, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში იმ მეთოდებს არ უნდა მისტიროდე. ძალადობა საშუალება არასდროს არ არის. თუ მიგაჩნია, რომ სიტუაციას ვერ მართავ ძალადობის გარეშე, მაშინ უნდა დატოვო პოსტი და წახვიდე. ამის გარდა, კიდევ ერთი რამ მაშფოთებს. დღემდე არ არის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმი. სახალხო დამცველის მონიტორი რომ შედის იქ და დირექტორის კაბინეტში ხაჭაპურს ჭამს, იქ მთავრდება ყველაფერი. არა იმიტომ, რომ, თუ შია, არ უნდა ჭამოს... თანამოზიარე კოლეგად არ უნდა აღიქვას ის დირექტორმა.

– არსებობს ინფორმაცია, რომ მეცხრე დაწესებულებაში, ე.წ. მატროსოვზე, ბაჩანა ახალაია და ვანო მერაბიშვილი ერთმანეთს გასეირნების დროს ხვდებიან. თქვენთვის ცნობილია ამ დაწესებულების არქიტექტურა. რამდენად შესაძლებელია, მერაბიშვილი და ახალაია გასეირნების დროს ერთმანეთს ხვდებოდნენ და რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?

– მერაბიშვილიც და ახალაიაც დღეს ერთი სტატუსით არიან. ორივე ბრალდებულია. ბრალდებულთან მიმართებაში საქართველოს პატიმრობის კოდექსი ცალკე წესებს აწესებს. ბრალდებულისთვის კანონმდებელს ჩადებული აქვს უფრო მკაცრი იზოლაციის ზომები, ვიდრე მსჯავრდადებულისთვის.

– მაგრამ ბრალდებულს გასეირნების უფლება აქვს...

– მინიმუმ ერთი საათი... დაახლოებით სამი თვის წინ ე.წ. „წითელი ზონა“, ანუ ზონა, სადაც ყოფილი ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლები არიან, გაყვეს ორ ნანილად. მეცხრე დაწესებულება თავისთავად დარჩა ამ დატვირთვით. მე-12 დაწესებულებაც გადააკეთეს ე.წ. წითელ ზონად. მაღალი ინტერესის მქონე პატიმრები დატოვეს მეცხრეში, დანარჩენები გადაიყვანეს ყოფილი „რეზბალნიცის“ შენობაში, რომელიც ახლა მეთორმეტე დაწესებულებაა, სადაც ასევე არიან ყოფილი ძალოვნები, მაგრამ, მოდით, პირდაპირ ვთქვათ, მეორეხარისხოვანი კატეგორია. ეს გააკეთეს იმისთვის, რომ ასეთი კატეგორიის პატიმრებისთვის ინფრასტრუქტურა ჰქონოდათ მეტი.

„ისინი ერთმანეთს დაელაპარაკებიან გამოყვანის დროსაც, შეყვანის დროსაც და საგამოძიებო ოთახშიც“

– რატომ, ასეთი კატეგორიის პატიმრების მოლოდინი მეტი ჰქონდათ?

– რა თქმა უნდა, შესაძლოა, ეს თეორიული მომენტიც ყოფილიყო. მანამდე ეს იყო ჩვეულებრივი, ნახევრად ღია ტიპის ზონა, სადაც ჰყავდათ დაბალი სასჯელის მქონე პატიმრები. ეს ძირითადად ბაჩო ახალაიას გამო მოხდა. მასთან დაკავშირებით მეტისმეტად კონფლიქტური სიტუაცია იქმნებოდა მეცხრეში, რადგან იქ მყოფი ძალიან ბევრი პატიმარი ბაჩოსა და მისი გარემოცვის გამო იყვნენ დაჭერილები, განსაკუთრებით სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობის დროს, თანაც მათი უმეტესობა პროვოცირებული დანაშაულის ფასად დაიჭირეს, ანუ „ნამოიკიდეს“ რაღაც დანაშაულზე და იქმნებოდა რეალური საფრთხე, რომ მომხდარიყო ანგარიშსწორება. აქედან გამომდინარე, ასეთი საფრთხის შემცველი პატიმრები გააცალკევეს და გადაიყვანეს სხვაგან. ახლა, რაც შეეხება მეცხრე დაწესებულებას: მას აქვს ერთი ადმინისტრაციული და ორი სარეჟიმო კორპუსი. ამდენად, თუ ადმინისტრაციის სურვილი არ არის, თეორიულადაც კი გამორიცხულია, რომ მერაბიშვილი და ახალაია გადაიკვეთონ. მე როგორც ვიცი, ისინი განცალკევებულები არიან. ისედაც, სამართლებრივი ლოგიკა კარნახობს, რომ ამ ხალხს კომუნიკაცია არ უნდა ჰქონდეს.

– ამ ორი კორპუსის გასასეირნებელი ეზო ერთმანეთს უყურებს? ვთქვათ, ერთმანეთის დანახვა შეუძლიათ?

– აბსოლუტურად დაშორებულია. გასასეირნებელი ეზოები ე.წ. „სეტკითაა“ გადახურული კორპუსის გაგრძელებაზე. საერთოდ, გადალაპარაკება არის დისციპლინური დარღვევა. მათი შეხვედრა, ან საუბარი შესაძლებელია მხოლოდ, მინიმუმ, ადმინისტრაციის წაყრუების შემთხვევაში. საერთოდ, პატიმრებს, ეს ბაჩო ახალაია იქნება თუ სხვა, პატიმრობაში ყოფნის დროს კომუნიკაციისთვის გარკვეული უნარები და ფანტაზიები უჩნდებათ. ეს ცნობილი ფაქტია. მაგრამ, თუ ადმინისტრაციამ არ წაუყრუა, ისინი ერთმანეთს ვერანაირად ვერ დაუკავშირდებიან. მოდით, ჰიპოთეტურად ვთქვათ: შესაძლებელია, ახალაიასა და მერაბიშვილის ადვოკატებმა მოილაპარაკონ, რომ საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფ პირებთან მივიდნენ ერთდროულად. საადვოკატო განყოფილება იქ არის ერთი და ორივე პატიმრის ჩამოყვანა ერთდროულად მოხდება. ასეთ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციამ უნიათობა გამოიჩინა, ისინი ერთმანეთს დაელაპარაკებიან გამოყვანის დროსაც, შეყვანის დროსაც და საგამოძიებო ოთახშიც, სადაც პატიმრები ადვოკატებს ხვდებიან. ეს არის ერთი ოთახი, სადაც დგას ორი მაგიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ორ პატიმარს ერთდროულად შეუძლია ადვოკატებთან შეხვედრა.

– დეპარტამენტს აქვს უფლება, ერთსა და იმავე დროს მათ შეხვედრას ადვოკატებთან ხელი შეუშალოს?

– ადვოკატთან შეხვედრა არის კონფიდენციალური ხასიათის და მისი მიყურადება დაუშვებელია. ჩვენს კანონში არის ერთი მინუსი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ვიზუალური დაკვირვება. ამაზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოგვცეს მითითება, რომ ესეც არ უნდა იყოს. ჩვენს შემთხვევაში კი საგამოძიებო ოთახში დგას ორი მაგიდა. ანუ ერთდროულად ორი პაემანია დასაშვები ადვოკატთან. აქვე არის კიდევ ერთი დეტალი. თუ გამომძიებელს აქვს მოტივირებული ეჭვი, რომ ამ კონკრეტულ პირებს შესაძლოა, ჰქონდეთ დანაშაულებრივი კავშირი, თუნდაც სხვადასხვა სისხლის სამართლის დანაშაულზე იყვნენ დაჭერილები, შეუძლია სასჯელაღსრულების დაწესებულებას მისცეს მითითებები, რომ ამ პირებს შორის კომუნიკაცია არ მოხდეს. ასეთი მითითებისთვის მტკიცების მაღალი ხარისხი არ არის საჭირო. არც დასაბუთების ვალდებულება აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების წინაშე. გამომძიებელმა, უბრალოდ, უნდა მისწეროს და უთხრას, რომ ბრალდებული მერაბიშვილი და ბრალდებული ახალაია არ შეახვედრონ ერთმანეთს, არ დაუშვან კომუნიკაცია მათ შორის. ეს უკვე პირდაპირ ავალდებულებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, რომ ისინი სრულებით დააცილონ ერთმანეთს.

– თუ ასეთი მითითება არ არსებობს?

– ისედაც პატიმრობის კოდექსი განსაზღვრავს, რომ ბრალდებულთა შორის, თუ ისინი ერთ საკანში არ არიან განთავსებულნი, კომუნიკაცია არ შეიძლება.

– რას ნიშნავს ადმინისტრაციის ნება? ვთქვათ, ამ ნების მიხედვით, თუ ის ხელს არ უშლის მათ შორის კომუნიკაციას, როგორ შეიძლება ისინი შეხვდნენ ერთმანეთს?

– ნების შემთხვევაში ადმინისტრაციას შეუძლია, პირიქით, ხელი შეუწყოს კიდეც ამ კომუნიკაციას. ეს შეიძლება მოხდეს ოპერატიული ინფორმაციის მიღების მიზნით, რომ მათ მოახდინონ ფარული მიყურადება. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებას აქვს თავისი ოპერატიული განყოფილება, ოღონდ, პატიმრობის კოდექსის თანახმად, მას ევალება, უზრუნველყოს პატიმრებისა და თანამშრომლების უსაფრთხოება და ასევე, პროფილაქტიკა მოახდინოს იმისა, რომ თვითონ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არ მოხდეს ახალი დანაშაული. თორემ ძველი დანაშაულის კვლევა-ძიება მას არ ევალება. მაგრამ, როგორც წესი, ამას ბოროტად იყენებენ და საკუთარ ოპერატიულ საქმიანობას არასდროს აფორმებენ. ძალიან ძნელად წარმომიდგენია, რომ ახალაია და მერაბიშვილი

„მატროსოვი“

„დღეს ციხეებში მოგბილურები არის „ფრი მარკეტის“ წესებით – ღია ბაზარია, ვინც იხდის, იმას აქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გვამზე გამოვა ციხეებიდან“

„სოზარის ძირითადი პრობლემა არის კადრებში. ვერაფრით მოახერხა, რომ 16 ნორმალური ხელმძღვანელი დანიშნოს დაწესებულებებში. თავადაც ძალიან სუსტი ხელმძღვანელია“

ირაკლი კერესელიძე

EXCLUSIVE

ხვდებოდნენ გასასეირნებელ ეზოში. და თუ მაინც ხდება, ეს ნიშნავს იმას, რომ ან ძალიან დიდი ბარდაგია, როცა პიროვნული ურთიერთობები რაღაცას წყვეტს, ან შეგნებულად ახვედრებენ ოპერატიული ინფორმაციების მიღების მიზნით. სხვა ახსნა ამას არ აქვს. თან, თუ იქაურ არქიტექტურას გავითვალისწინებთ, ეს ნიშნავს, რომ შეგნებულად უნდა შეუშვან ერთი მეორესთან, ან მეორე პირველთან. თან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალაიასდროინდელი კადრები ჯერ კიდევ არიან სისტემაში. კარგად მახსოვს, თავის დროზე როგორ ამაყობდნენ ისინი და ამბობდნენ, ჩვენი „ქსივა“ პოლიციელებთან უკვე ჭრისო. მათ, დაუსჯელობის განცდასთან ერთად, ახალაიამ ძალაუფლების განცდაც მისცა. ეს კადრები საშუალო დონეზე იქ ისევ დარჩა. შესაბამისად, ასეთ კატეგორიასთან პიროვნული ურთიერთობებით რაიმე ლოკალური მიზნის მიღწევა ახალაიას არ გაუჭირდება. თუმცა, მე, მაგალითად, იმ დანესებულების დირექტორი რომ ვიყო, არ გავრისკავდი მათ შეხვედრას, რადგან კაცმა არ იცის, როგორ შეიძლება მერე ეს გამოიყენონ. მით უმეტეს, მეცხრე დაწესებულებაში ახლა ინფრასტრუქტურულად არის სრული შესაძლებლობა, პატიმარი კანონის შესაბამისად გყავდეს იზოლირებული და მას ჰქონდეს „პრაგულკაც“ და კვებაც, ოღონდ კანონის ფარგლებში. ეს პირადი შეხვედრები კი აბსოლუტურად გასულია ამ ფორმატიდან. ან მოდი, ახალ ველოსიპედს ნუ გამოვიგონებთ: სისტემაში ყოველთვის იყო და ამ ბოლო დროსაც, სამწუხაროდ, ისევ ძალიან მოედო ფულის ფაქტორი.

– სუბარი კატეგორიულად აცხადებს, რომ მერაბიშვილი იქ განსხვავებულ პირობებში ვერ იქნება. არადა, წინა ხელისუფლების პირობებშიც კი პატიმრობაში ყოფნის დროს, შევარდნაძისდროინდელმა მინისტრმა დავით მირცხულავამ, როგორც ამბობენ, საკანში ლამის ჯაკუზიც კი დაიდგა... სააკაშვილმა ეს დაუშვა... რატომ არ შეიძლება, მერაბიშვილმა, ან ახალაიამ მოიწყონ კომფორტი საკუთარი ხარჯებით?

– ეს კანონის მიღმა ხდებოდა. უბრალოდ, თვალს ხუჭავდნენ. მერაბიშვილი და ახალაია კი ის კეისებია, რომელთა მიმართებაშიც ასეთ დათმობაზე, სავარაუდოდ, არ უნდა წავიდნენ. თუმცა, წინა ხელისუფლების პირობებში მახსოვს, იყვნენ ცნობადი პატიმრები, მაგრამ დირექტორს, ოღონდ ფული მიეღო, მაინც მიდიოდა ასეთ ურთიერთობებზე. მახსოვს 2004-2005 წლებში ბადრაგირების თემა იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ე.წ. „ვარონკები“ 20-კაციანია, მაგრამ 40-ს უშვებდნენ შიგნით და გატენილი დადიოდა. მაშინ დაპატიმრებული ყოფილი თანამდებობის პირები მიჰყავდათ სპეციტპაპებით. ეს იცით, რას ნიშნავდა? სასამართლოში მიჰყავდათ BMW-თი და ამაში იხდიდნენ 1000 დოლარს. ამაში შედიოდა ოჯახის წევრებთან შეხვედრაც. თუ საჭირო გახდებოდა, მოსამართლეც კი უთმობდა საკუთარ ოთახს, არანაირი პრობლემა არ იყო. თუ 1000 დოლარი არ გქონდა, 100 დოლარში წაგიყვანდნენ „ნივით“. ახალაიას პირობებშიც იყო ასეთი რაღაცები, მაგრამ მხოლოდ აგენტებისთვის. იქ მარტო ფული აღარ ჭრიდა.

– ახლა რა ხდება?

– ახლაც, სამწუხაროდ, იგივე ხდება. არა მგონია, წრიპას პოპულარული თემა რომ გავიხსენოთ, აბანოებში იყვნენ უკვე გასულები, მაგრამ თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, რაც დღეს ხდება, მალე აბანოებიც იქნება.

– ფული მოძრაობს ციხეში?

– ფულიც მოძრაობს, მობილურებიც... სააკაშვილის რეჟიმის დროსაც იყო ციხეში მობილური, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით.

– ალბათ, ძალიან ძვირი ღირდა მისი შეტანა...

– არა, ვერანაირი ფულით მაშინ მობილურს ვერ შეიტანდი. ეს დაიშვებოდა მხოლოდ ადმინისტრაციის აგენტებზე, რომლებსაც მხოლოდ დეპარტამენტის ნებართვით ჰქონდათ მობილურები იმისთვის, რომ არა მარტო პატიმრების შესახებ გადაეცათ ინფორმაცია დეპარტამენტში, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, იმის თაობაზეც, რა ხდებოდა ადმინისტრაციაში. ამ ყველაფრის ორგანიზატორი, სხვათა შორის, იყო გაგა მკურნალიძე. მისი დადგენილი გახლდათ ეს წესები. მას თითოეულ დაწესებულებაში ჰყავდა სამი-ოთხი პირადი აგენტი და მათ ჰქონდათ მობილური ტელეფონები.

– დღესაც აგენტებს აქვთ?

– ჩემი კლიენტებისგან, ვისთანაც მაქვს დღეს კომუნიკაცია, როგორც მონიტორს, როგორც ადვოკატს, მუდმივად მომდის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ დღეს ციხეებში მობილურები არის „ფრი მარკეტის“ წესებით – ღია ბაზარია, ვინც იხდის, იმას აქვს.

– და რამდენი უნდა გადაიხადო?

– ეს დამოკიდებულია დაწესებულების დირექტორზე.

– როგორ? ტარიფებს ისინი ადგენენ?

– იქ მოჭრილი ტარიფები და პრაისლისტი არ არსებობს. პატიმრის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, დავუშვათ, რუსთავის პირველი ზონის დირექტორი შეიძლება დაიკეროს „იაფად“ და მეცხრეს დირექტორი – „ძვირად“.

– ე.ი. „მატროსოვზე“ ფასები მაღალია?

– სავარაუდოდ, მეტი იქნება, რადგან იქ მეტი შესაძლებლობის მქონე პატიმრები ხვდებიან. გასაკვირი ამაში არაფერია. თუნდაც გავიხსენოთ ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ ეთერში, „კავკასიაზე“ სტუმრობის დროს მეთორმეტე დაწესებულებიდან მსჯავრდადებულმა დაურეკა და უთხრა, რომ პრობლემები აქვთ...

– ეს არ ნიშნავს, რომ მობილურით დაირეკა. პატიმრებს აქვთ ტელეფონები, საიდანაც სპეციალური ბარათებით რეკავენ...

– სწორედაც ამას ნიშნავს. აქუბარდიასთან პრემიერ-მინისტრი იყო 8-9 საათზე. მოქმედი შიდა სარეჟიმო წესების მიხედვით კი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ტელეფონები ირთვება დილის ათ საათზე და ითიშება საღამოს 6 საათზე.

– რა ჯდება იქ მობილურის ქონა?

– მობილურსაც გააჩნია. „სამი ჯი“ თუ გაქვს და ვიდეოზარების განხორციელება გინდა, ეს ბევრად ძვირი ჯდება. მაგრამ, საშუალოდ, 100 ლარში შეიტან ტელეფონს. მერე უკვე პატიმრის რისკია. თუ ჩამოართმევენ, ახალს შეიტანს, რა პრობლემაა, ან ძველს დაიბრუნებს „ჯარიმის“ გადახდის ფასად... პირადად მე რადიკალურად წინააღმდეგი ვარ, რომ მობილურის ქონა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კრიმინალიზებული იყოს. მობილურის უბრალოდ ქონა და ის, რომ პატიმარს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის საშუალება ჰქონდეს, არ უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით, ეს არის აბსოლუტურად დისკრიმინაციული. მობილური არასდროს ყოფილა წახალისებული სისტემაში. ყოველთვის, როდესაც პატიმარს მობილურს უპოვიდნენ, მას ჩამოართმევდნენ. შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის ისე რეფორმირება, რომ ჩაიდოს მუხლი, თუ მობილურით მსჯავრდადებულმა მოახდინა, ან სცადა დანაშაულის ორგანიზება, ეს იყოს დამამძიმებელი გარემოება, რაც აბსოლუტურად ლოგიკურია. სამართლიანია, ერთნაირი მიდგომის პირობებში ჩავაყენოთ პირი, რომელიც საკუთარ შვილს, დედას, ან მამას ეკონტაქტება მობილურით და პირი, რომელიც მობილურით ახდენს ნარკოტიკების შემოტანის ორგანიზებას? ეს ხომ არ შეიძლება ერთ სიბრტყეში გადიოდეს.

– ვიცი, რომ ამანათები უკვე შედის ციხეებში – ხაჭაპურები, კუბდარები....

– ეს ახალაიას დროსაც იყო, მაგრამ მაშინ ხდებოდა ამის სელექციური დაშვება. თუ იყავი პრივილეგირებული პატიმარი, ანუ ადმინისტრაციის აგენტი, ყველაფერი შესაძლებელი იყო.

– მაგრამ ახლა დილის 11 საათზე შესაძლებელია, მეორასე იყო ამანათის რიგში... ამბობენ, რომ ეს სასჯელაღსრულების ხელმძღვანელებმა „მაყურებლებთან“ შეთანხმებით დაუშვეს. „მაყურებლებმა“ საკუთარ თავზე აიღეს კონტროლი, რომ ამ ამანათებთან ერთად ციხეში ნარკოტიკები არ შევა...

– ეს ინფორმაცია ახლოს არის სიმართლესთან. იმათ ენაზე რომ ვთქვათ, მაყურებლებს ახლა „პალაჟენია მოჰყავთ“. ეს ძალიან ცუდი რამეა, რადგან დირექტორებს სამართლებრივ ველზე შემოჰყავთ კრიმინალური მენტალიტეტი და თუ ამას აკეთებენ, იმისთვისაც უნდა იყვნენ მზად, რომ ამ კრიმინალური მენტალიტეტის ადამიანებს სულ უფრო და უფრო მეტი მოუნდებათ... მერე დადგება ის მომენტიც, რომ ისინი აუცილებლად ეტყვიან – ამ პატიმრებთან მიმართებაში შენ გვერდზე გაიწიე, ჩვენ მივხედავთო. თუ ასე გაგრძელდება, გვამი გვამზე გამოვა ციხეებიდან. რადგან ამდენი ხნის შემდეგ, თუ „პალაჟენიის მოყვანა“ მოუნდებათ, სიტუაციის დარეგულირება მათ ენაზე ამასაც გულისხმობს. უკვე აღარ მაქვს საუბარი „ობშიაკსა“ და თამაშებზე...

– არის ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ უკვე დაიწყო ე.წ. ობშიაკების შეგროვება.

– რამდენად სამწუხაროც არ უნდა იყოს, ასეა. მთავარი ის არის, რომ ახალაიას ქცევის წესების ალტერნატივა არ არის ქურდული სამყაროს მიერ დალაგებული სიტუაცია. მიმაჩნია, რომ მოქმედი კანონი ძალიან ხარვეზიანია, მაგრამ მაინც, მისი სრული იმპლიმენტაციის შემთხვევაში, ის იძლევა საშუალებას, რომ ციხე იმართოს კანონთან შესაბამისობაში. როგორც კი შენ იწყებ კანონგარეთ ურთიერთობებს, უკვე ხდები დარტყმის ობიექტი. შეიძლება შენ მოგეწონოს, რომ ორიათასიანი დაწესებულება იმართება ისე, რომ ზედმეტი სირბილი და გარჯა არ გჭირდება და პატიმრები ყველაფერს თვითორგანიზებით აკეთებენ, გყავს სამი „მაყურებელი“ და მათგან ერთთან გაქვს ურთიერთობა და რასაც ეუბნები, იმას გიკეთებს, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ ამას გიკეთებს რაღაცის ფასად. იდეა, რომ კანონის იმპლიმენტირება მოახდინოს არა სახელმწიფომ, არამედ სხვა ვინმემ, სრულიად მიუღებელია. შევარდნაძის დროს ადმინისტრაცია ე.წ. საერთოებიდან პირდაპირ ხელფასებს იღებდა მოჭრილად. დირექტორს თავისი „სტავკა“ ჰქონდა, მოადგილეს – თავისი, რეჟიმის უფროსსაც – თავისი. იმედია, აქამდე ჯერ-ჯერობით არ არის მისულა საქმე, მაგრამ ფაქტია, რომ შერეული მმართველობა ვერ იქნება. მთავარია, პატიმარს აჩვენონ, რომ მიდგომა არის თანაბარი და არ ხდება დისკრიმინაცია პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ პატიმარს შორის და მას კონკრეტული დანაშაულისთვის სჯი. ის ამ დასჯასაც ადეკვატურად იღებს. მე, როგორც ყოფილი პატიმარი, გეტყვი, რა აღიზიანებს პატიმარს: როდესაც ხედავ, შენსა და სხვებს შორის ტოლობის ნიშანი არ დგება, რადგან სხვას შენზე მეტი ფინანსური შესაძლებლობა აქვს, ვიღაცის ნათესავია და ა.შ. ხედავ, რომ ვიღაცამ აიფონი აჩუქა დირექტორს და მისთვის ყველაფერი ხსნილია...

ჩვენ, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ვალდებულნი ვართ, გავითვალისწინოთ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც უნდა მოიშალოს ბარიერი პაემნების დროს, რადგან ეს ხელს უშლის მსჯავრდადებულთა რესოციალიზაციას. იცით, რა ხდება? რიგით პატიმარს პაემანი აქვს ისევ ბარიერით, პრივილეგირებული კი ცალკე ოთახში ხვდება ოჯახის წევრებს. ასეთ შეხვედრაში ეს უკანასკნელი რაღაცას იხდის, არა?

– გამოდის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში გაჩნდა „ლევი“ ფული...

– უფ, თან რამდენი...

– როდესაც ამდენი პრობლემაა, როდესაც პატიმარი ისევ კვდება და ისევ იტყუებიან, რომ ის თურმე კიბეზე დაგორდა, როდესაც ისევ ვრცელდება ინფორმაცია, რომ იწყება კორუფცია სისტემაში, მინისტრი უნდა გადადგეს? მით უმეტეს, როდესაც ისეთ განცხადებას აკეთებს, როგორიც სუბარმა გააკეთა...

– აქ არის მენტალური პრობლემა და სოზარიც ამის ტყვე გახდა. სისტემის შიგნით მიაჩნიათ, რომ ეს მათი პრობლემაა და არ უნდა გასაჯაროვდეს. ეს არის მთავარი შეცდომა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელაღსრულების სისტემა არ არის ტურისტული დაწესებულება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი არ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. სოზარის ძირითადი პრობლემა არის კადრებში. ვერაფრით მოახერხა, რომ 16 ნორმალური ხელმძღვანელი დანიშნოს დაწესებულებებში. თავადაც ძალიან სუსტი ხელმძღვანელია. თუ რაღაც ნაწილში სოზარს უნებლიე შეცდომები მოსდის, ვთქვათ, აბურჯანიას შემთხვევაში (რუსთავის #1 დაწესებულების დირექტორი, რომელმაც პატიმრებს უთხრა, ბაჩოს დრო მოგვნატრებათო. – მ.ნ.), ის უხეშ შეცდომებსაც უშვებს: ტატო ქელბაქიანი, რომელიც ახალაიას მარჯვენა ხელი იყო და უპრავებდა მას ყველა სისასტიკესა და სიბინძურეს, არასრულწლოვნების დაწესებულების ხელმძღვანელად დანიშნა. მართალია, აქვთ სასწავლო ცენტრი, მაგრამ, მგონი, მარტო სერტიფიკატებს ბეჭდავენ. ძველების დაბრუნება არ წყვეტს საკითხს, რადგან ისინი ბრუნდებიან ძველი მეთოდებით. უკვე რამდენი ხანი გავიდა და ვერც სამართლებრივ ველზე და ვერც ფაქტობრივ ველზე ვერანაირ ცვლილებას ვერ ვხედავ. პირიქით, ვხედავ რაღაცების გაუარესებას. პატიმრებს რომ აღარ სცემენ და ცოცხებით არ უსწორდებიან, ეს სუბარის დამსახურება არ არის და ეს არ უნდა დააყვედროს ხალხს. მახსოვს, ერთ-ერთ ციხეს ხსნიდა სააკაშვილი, ამას, ჩავესის გარდა, სხვა პრეზიდენტი არ აკეთებდა მსოფლიოში და არახუნებდა ტექსტებს: საჭმელი, რასაც პატიმრებს ვაძლევთ, ისინი ამას არ იმსახურებენ, მაგრამ მე მათი ოჯახის წევრები მეცოდებიან და ამიტომ ვაკეთებო. რასაც კანონი უდგენს მსჯავრდადებულს, ის უნდა მისცე დაყვედრების გარეშე და მაღალი ხარისხით. შენ რომ ადამიანებს არ აწამებ, არ ნიშნავს იმას, რომ მაგარი პროფესიონალი ხარ. სისტემა რამდენად გამართულია – ეს არის პროფესიონალიზმის მაჩვენებელი. პირველ რიგში, პრობლემები კი არ უნდა დამალო, უნდა დაინახო და უნდა დამთავრდეს ეს ფსევდოკორპორაციული ურთიერთობა. მათ ავიწყდებათ, რომ ისინი არიან საჯარო ასპარეზზე და ციხე არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსაზღვრელი იმისა, რა დონეზეა ცივილიზებული ქვეყანა. ივანიშვილს კი უნარია, სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულიაო. ვეთანხმები, მაგრამ რამდენად განსხვავებული? – მისთვის რეალური სურათი არავის დაუდია.

„რუსთავის პირველი ზონის დირექტორი შეიძლება დაიკეროს „იაფად“ და მეცხრეს დირექტორი – „ძვირად“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კოტე გაბაშვილი: „თავისთავად, ზურაბ აბაშიძის არსებობა უკვე არის მაია ფანჯიკიძის სამსახურის დაკნინება“

ზურაბ აბაშიძე ცალკე მოვლენაა, რომელიც მარტო პრემიერს ემორჩილება. როგორც ვხედავ, ყველაფერი ივანიშვილზეა დამოკიდებული

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრები რუსეთის სასარგებლოდ იზრდება, საქართველოს მოქალაქეებს რუსი მესაზღვრეები იმის გამო აპატიმრებენ, რომ ისინი საკუთარ ბოსტანში მუშაობენ, ანტალიაში აფხაზეთის დროშა სხვა, დამოუკიდებელი ქვეყნების დროშების გვერდით გამოკიდეს იმის ნიშნად, რომ აფხაზეთი მათთვის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მართალია, საქართველოში ეს ფაქტი არასამთავრობებმა გააპროტესტეს, მაგრამ თურქული მხარე აფხაზურ დროშას პირველად არ აყენებს. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა. ქართული პოლიტიკის რეაქცია კი ურეაქციობაა. პრემიერი აცხადებს, რომ რუსეთისგან ასეთ საქციელს არ ელოდა, ფინანსთა მინისტრი მხოლოდ იმაზე წუხს, რომ დაკავებული ქართველებიდან ორი მისი ნათესავია, თავდაცვის მინისტრი კი საერთოდაც არაფერს არ აცხადებს და საერთოდაც შვებულებაში წავიდა. ერთადერთი მაია ფანჯიკიძე იყო, რომელმაც პოლიტიკური მოთხოვნა დააყენა, აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე საკითხი აუცილებლად უნდა განიხილონო. საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივამ მაინცდამაინც არ აღაფრთოვანა თავად აბაშიძე. კარასინმაც თქვა, ამ თემის განხილვას აბაშიძესთან არ ვაპირებო, აბაშიძეს ეს არ გაუპროტესტებია. როგორც ჩანს, მისთვის მისაღები მხოლოდ ღვინოსა და რუსულ ბაზარზე საუბარია:

ზურაბ აბაშიძე, ბიძინა ივანიშვილის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთში:

– ჩვენ განვიხილავთ იმ საკითხებს, რასაც აქამდე განვიხილავდით და შევაჯამებთ დიალოგის დაწყებიდან დღემდე პერიოდს. ითქვა, რა დროს პროდუქციის ექსპორტზე საუბარიაო. ღვინოს ჩვენ იქ საჩუქრად არ ვაგზავნით და საქეიფოდ არ მივყვებით. ეს არის ექსპორტი, რაც გააძლიერებს ჩვენს კომპანიებსა და ეკონომიკას. ჩვენ ვართ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები და გვაქვს საერთაშორისო ვალდებულებები, რათა პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთში არ ავურიოთ. ჩვენ რუსეთს ვაკრიტიკებდით და დღემდე ვაკრიტიკებთ იმისთვის, რომ პოლიტიკასა და ეკონომიკას ერთმანეთში ურევს. ამ საკითხის ჟენევის ფორმატიდან ორმხრივ ფორმატში გადატანა პრინციპულად დაუშვებელია. რუსეთისგან იქნება პასუხი, რომ ამისთვის არსებობს ჟენევა და ამაზე იქ ვისაუბროთ. ჩემი პოზიციაც ასეთია, რომ პრინციპულად არ უნდა დავუშვათ, ეს თემები ჟენევიდან ორმხრივ ფორმატში გადმოვიდეს, ამით ჩვენ დავზიანდებით.

ზურაბ აბაშიძე: „პრინციპულად არ უნდა დავუშვათ, ეს თემები ჟენევიდან ორმხრივ ფორმატში გადმოვიდეს, ამით ჩვენ დავზიანდებით“

თავისი პოზიციის დაფიქსირებით აბაშიძე საგარეო უწყებას დაუპირისპირდა. აბაშიძემ ფანჯიკიძეს შეახსენა, რომ ის არ არის ვალდებული, მინისტრის მითითებები შეასრულოს და მით უფრო ივანიშვილთან შეუთანხმებლად. თანაც სპეციალურ წარმომადგენელს არც ის დაუკონკრეტებია, გადმოწეულ საზღვრებზე საუბრით კიდევ რა ზიანი უნდა მივიღოთ, თუმცა ფაქტია, რომ მან საგარეო საქმეთა მინისტრის მითითება უარყო. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ივანიშვილზეა დამოკიდებული, ისაუბრებენ თუ არა მთავარ პრობლემაზე კარასინთან შეხვედრაზე.

თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:

– თუ ივანიშვილი მოითხოვს, ამაზე საუბარი იქნება და თუ არ მოითხოვს, არ იქნება. ზურაბ აბაშიძე უშუალოდ ივანიშვილის წარმომადგენელია, სწორედ ამიტომ არის ეს დამოკიდებული მასზე. აქამდე აბაშიძე-კარასინი სულ სხვა რაღაცებზე საუბრობდნენ. როგორც ვიცი, მათი შეხვედრების დღის წესრიგში საზღვარი არ ყოფილა. მაია ფანჯიკიძემაც ივანიშვილს უნდა შეუთანხმოს, პირველ რიგში, საკუთარი მოსაზრება. წესით, უნდა ილაპარაკონ ამ საკითხზე, თუმცა, როგორც ჩანს, ურთიერთობის ეს ფორმატი მაინც ვაჭრობასა და კულტურაზეა მიმართული.

თავის მხრივ, ივანიშვილმაც განაცხადა, რომ 5 ივნისს ბევრი რამ გაირკვევა. ორმხრივი შეხვედრა სწორედ ხუთშია ჩანიშნული.

ბიძინა ივანიშვილი:

– უნდა მოვითმინოთ და ყველაფერი გაირკვევა. უნდა მოვახერხოთ და დავალაგოთ რუსეთთან ურთიერთობები. ეს არაა იოლი საქმე, მაგრამ ამას არც განუსაზღვრელი დრო დასჭირდება. უშუალოდ დიცში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით კი 5 ივნისისთვის შეიძლება ყველაფერი გაირკვეს, როცა ჩემი სპეციალური წარმომადგენელი პუტინის წარმომადგენელს შეხვდება. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ გაუგებრობაა... შეიძლება რაღაც პროვოკაციაც იყოს.

ყველაზე სკანდალური ივანიშვილის განცხადებებს შორის არის ის, რომ თურმე მთავრობას რუსეთთან ურთიერთობის დასარეგულირებლად არანაირი გაწერილი გეგმა არ აქვს და არც არასდროს ჰქონია. არადა აბსოლუტურად საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობდნენ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ. მაშინ როცა წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს და ორ კვირაში ერთხელ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავდნენ. მაშინ, მამუკა არეშიძით დაწყებული, პაატა ზაქარეიშვილით გაგრძელებული და ივანიშვილით დამთავრებული, ყველა გვიმტკიცებდა, რომ კონკრეტული გეგმა არსებობდა, თანაც თეთრზე შავით დაწერილი...

კოტე გაბაშვილი, ყოფილი ელჩი:

–კარასინი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრია და მთელი შეხვედრა სწორედ საზღვრების თემას უნდა მიეძღვნას და არა სხვა რამეს. არ მესმის, რატომ არ უნდა მოხდეს განხილვა. კარასინი თვითონ არის სამხედრო უშიშროების საბჭოს წევრი რუსეთში. მათ უნდა გაარკვიონ, პუტინთან ერთად, რატომ არღვევენ ხელშეკრულებას, საიდან იგონებენ ამ ახალ რუკებს. ამბობენ, ჟენევაში განიხილება საკითხიო, იქაც უნდა მოხდეს საკითხის განხილვა და ყველა დანარჩენ შეხვედრაზეც. აღნიშნულ ფაქტზე მაშინვე უნდა გაგზავნილიყო ნოტა და ამბავიც მაშინვე უნდა აეტეხათ, როცა მავთულხლართების გაბმა დაიწყეს. ყოველგვარი თავის აცილება, ყურადღების მოდუნება, დამალვა არასწორი გადაწყვეტილებაა.

– შეიძლება ამ საკითხმა დაპირისპირება გამოიწვიოს უმრავლესობაში?

– რასაკვირველია. თავისთავად, ზურაბ აბაშიძის არსებობა უკვე არის მაია ფანჯიკიძის სამსახურის დაკნინება. არსებობს ადამიანი, რომელიც არ არის სამინისტროს თანამშრომელი, არ არის მის დაქვემდებარებაში, არ თვლის საჭიროდ, ანგარიში ჩააბაროს საგარეო უწყებას, მაშინ როცა თავისუფლად შეიძლებოდა, ის საგანგებო სიტუაციათა ელჩი ყოფილიყო. ზურაბ აბაშიძე ცალკე მოვლენაა, რომელიც მარტო პრემიერს ემორჩილება. როგორც ვხედავ, ყველაფერი ივანიშვილზეა დამოკიდებული, მათ შორის ისიც, საზღვრის პრობლემის განხილვა მოხდება თუ არა აბაშიძე-კარასინის შეხვედრაზე. ასეთ დროს, წესით, უშიშროების საბჭო უნდა მოიწვიონ. ერთად უნდა იმუშაონ პრობლემაზე პრემიერმა, პრეზიდენტმა, თავდაცვის მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, უშიშროების მდივანმა, ერთად უნდა მოილაპარაკონ, რას გააკეთებენ. საქმე ეხება საქართველოს შეურაცხყოფას. ასეთი შეურაცხმყოფელი პოლიტიკა უნდა გაჩერდეს, რას ნიშნავს, საყვედურს ვერ ვეტყვი? ეწყინებათ და ცივი წყალი მიირთვან.

თავად ოსური მხარის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ქართველები აჭარბებენ შეფასებებში, როცა ამტკიცებენ, რომ საზღვრები შეიცვალა. ისინი გავრცელებულ ინფორმაციას დეზინფორმაციას უწოდებენ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კრიმინალური ჯგუფები „ენგურჰესზე“ გავლენების მოსაპოვებლად იბრძვიან

„ენგურჰესის“ ერთ-ერთ თანამშრომელს ღამის 3-4 საათზე მიუვარდნენ და ავტომატით სახლი დაუცხრილეს“

ამნისტირებული პატიმრების ნაწილი კრიმინალური საქმიანობის მიზნით აფხაზეთში გადავიდა

my View
მირიან ბოქოლიშვილი

გასულ კვირას რედაქციაში დაგვიკავშირდა ეროვნული მოძრაობის ყოფილი წარმომადგენელი, „უპარტიოთა მოძრაობის“ დამფუძნებელი მამუკა გვაძაბია, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისში „ენგურჰესის“ საგაფიცვო კომიტეტს ედგა სათავეში. სპეციალისტები, რომლებიც იმ დროიდან მუშაობდნენ „ენგურჰესზე“, ამჟამადაც აგრძელებენ საქმიანობას. სწორედ მათ შესახებ მოგვაწოდა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მამუკა გვაძაბიამ, რომელიც ამტკიცებს, რომ „ენგურჰესზე“ სხვადასხვა კრიმინალური ჯგუფები, გავლენების მოპოვების მიზნით, სისტემატურად ესხმიან თავს თანამშრომლებს და დიდი ოდენობით ფულს სძალავენ. თავდამსხმელებს შორის ცოტა ხნის წინ საქართველოს ციხეებიდან ამნისტიით განთავისუფლებული და შემდგომში აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასული პირებიც არიან.

– ბატონო მამუკა, მოგვიყევით, რა ხდება „ენგურჰესთან“ დაკავშირებით.

– ინფორმაცია, რომელიც ცოტა ხნის წინ მივიღე, უტყუარია და მოვუწოდებ შესაბამის პირებს, ამ საქმით დაინტერესდნენ. ის ხალხი, ვინც მაშინ ჩვენს საგაფიცვო კომიტეტში იყო, დღესაც მუშაობს. ისინი საკმაოდ მაღალი დონის ენერგეტიკოსები არიან. როგორც იქაური მარიონეტული რეჟიმის, ისე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შეთანხმების შედეგია, რომ ისინი მუშაობენ და საკმაოდ კარგი ანაზღაურება აქვთ. ამ სიტუაციაში თუ რაიმე ერთობლივ პროექტზე შეიძლება ლაპარაკი, პირველ რიგში, სწორედ ამაზე. როცა რუსები ერევიან „ენგურჰესის“ საკითხში, აფხაზების განცხადება უკიდურესად პოლიტიზებული ხდება ხოლმე. ვინაიდან ეს შედარებით მაღალანაზღაურებადი ხალხი ამ თანამდებობებზე მუშაობს, წლების განმავლობაში იყო გამოძალვები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გააქტიურდა ბოლო პერიოდში, როდესაც ამნისტირებული პატიმრების ნაწილი კრიმინალური საქმიანობის მიზნით აფხაზეთში გადავიდა. ეს ხალხი, ადგილობრივ კრიმინალურ ჯგუფებთან ერთად, ატერორებს „ენგურჰესის“ თანამშრომლებს და ცდილობს გავლენების მოპოვებას. 100 პროცენტით დაზუსტებული ინფორმაციის თანახმად, შემიძლია გითხრათ, რომ, ამნისტიის განხორციელების შემდეგ „ენგურჰესის“ თანამშრომლებისგან ფულის გამოძალვის შემთხვევები კი არ გაორმაგდა, ან გასამმაგდა, არამედ გაათმაგდა. ხშირი ხასიათი მიიღო თანამშრომლებზე ტელეფონის მეშვეობით განხორციელებულმა მუქარებმა, ასევე მუქარის გზავნილებმა, რომ ამდენი ფული უნდა მოიტანო, თუ გინდა იცოცხლო და ა.შ.

– შეგიძლიათ, კონკრეტულად დაგვისახელოთ ინფორმაციის წყარო?

– ინფორმაციის წყაროს ვერ დავასახელებ, მათი უსაფრთხოებიდან გამომდინარე. უშუალოდ თხოვნა იყო მათი მხრიდან, რომ ეს გახმაურებულიყო. იყო ასეთი შემთხვევა, რომ „ენგურჰესის“ ერთ-ერთ თანამშრომელს ღამის 3-4 საათზე მიუვარდნენ და ავტომატით სახლი დაუცხრილეს. როდესაც ეს პიროვნება გალის რაიონის მილიციაში მივიდა, მათგან საოცარი პასუხი მიიღო. უთხრეს, რატომ თქვენც არ ისროლეთ ავტომატიო? ანუ იქ პოლიცია და სახელისუფლებო რგოლები თითქმის არ არიან გამიჯნული. ეჭვი გვაქვს, რომ ისინი გამოძალულ ფულსაც იყოფენ. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა – ამნისტიის შემდეგ ამ გამოძალვებმა მასიური ხასიათი მიიღო. იყო შემთხვევა, როდესაც „ენგურჰესის“ თანამშრომელს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში სააგარაკე ნაკვეთი ჰქონდა, გააყიდვინეს, 10000 ლარი ჩაიტანა იმ კაცმა სასნრაფოდ ამ გამომძალველებთან. ეს გამომძალველები არიან კრიმინალური ელემენტები, რომლებიც უშუალო კონტაქტში შედიან ქურდულ სამყაროსთან. თუ ისეთი სიტუაცია დადგება, რომ საქმე გამოძიებამდე მივა, მაშინ დავფიქრდები და შეიძლება, პიროვნებებიც მოვიხმო, ვინც ჩვენებას მისცემენ ამასთან დაკავშირებით. თუმცა ჩვენების მიცემა ძალიან დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული, ისევ და ისევ მათი ინტერესებიდან გამომდინარე. როგორც ამ პიროვნებებმა მითხრეს, ამ დაძაბულ და კრიმინალურ ვითარებაზე მთლიანი პასუხისმგებლობა საქართველოს დღევანდელ ცენტრალურ ხელისუფლებას ეკისრება. მე ვიცი, რომ საქმის კურსშია ენერგეტიკის მინისტრი კალაძე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხში საქმის კურსში იქნება პრემიერიც. ისინი ვალდებულნი არიან, რაიმე მეთოდით აღკვეთონ ეს თავაშვებულობა და თუნდაც მოლაპარაკების გზით დაიცვან ამ ხალხის უსაფრთხოება.

მამუკა გვაძაბია

> „მატულობს კრიმინალი და ეს შემთხვევები მატულობს ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიცაა „ენგურჰესი“

> „გამომძალველისთვის ფულის გადაცემა მოხდა არა აფხაზეთში, არამედ ზუგდიდის ტერიტორიაზე. ეს ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია“

– გასაგებია, მაგრამ ჩვენ მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ადამიანებს რომ აყაჩაღებენ, ამაში საქართველოს ხელისუფლება რა შუაშია?

– საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ „ენგურჰესი“ ერთობლივი კონტროლის ობიექტია. პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ხელისუფლებამ, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ამნისტიის შედეგად საქართველოს თუნდაც არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მატულობს კრიმინალი და ეს შემთხვევები მატულობს ისეთ მნიშვნელოვან ობიექტზე, როგორიცაა „ენგურჰესი“. ამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი გამომძალველისთვის ფულის გადაცემა მოხდა უკვე არა აფხაზეთში, არამედ ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე. ეს ძალიან შემაშფოთებელი ფაქტია. ამას, რა თქმა უნდა, ქურდული ელემენტები აკონტროლებენ. შემაშფოთებელია, რომ ზუგდიდის ტერიტორიაზე მოხდა ფულის გადაცემა და არა გალში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ცენტრალური ხელისუფლება საქმის კურსშია. 100%-ით საქმის კურსშია ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობის მეშვეობით. „ენგურჰესის“ ხელმძღვანელობა ამაზე დუმს. ჩვენ ვეჭვობთ, რომ „ენგურჰესის“ მაღალი თანამდებობის პირებს, მაღალანაზღაურებად თანამშრომლებს თანხები გაღებული აქვთ, მაგრამ რაღაც მომენტების გამო, მათ ურჩევნიათ, გამომძალველებს ეს თანხები გადაუხადონ და იყვნენ ჩუმად. მე საჭიროდ ჩავთვალე, რომ ეს თქვენი გაზეთის მეშვეობით გამეხმაურებინა.

– ანუ ამნისტირებულ პატიმართა დიდი რაოდენობა აფხაზეთის ტერიტორიაზე გადავიდა და იქ ეწევა კრიმინალს?

– ბევრი ვიცი, ვინც ამნისტიით გამოვიდა და შემდეგ აფხაზეთში გადავიდა. მათ იქ მშვენიერი თავშესაფარი იპოვეს, რადგან ასეთი საქმიანობისთვის, აფხაზეთში ძალიან მსუყე ნიადაგია. თუმცა ამისთვის მსუყე ნიადაგი იქ ყოველთვის იყო. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში შეწყდა ქურდული ელემენტების პარპაში, თუმცა იქ არ შეწყვეტილა. გალში ახლაც ხდება ე.წ. ობშიაკების შეგროვება და ამ ქურდულ „ობშიაკებში“ მიდის ეს გამოძალული ფული. როგორც იცით, ამნისტიით „კანონიერი ქურდებიც“ გამოუშვეს ციხეებიდან. იყო შემთხვევა, როდესაც „კანონიერი ქურდი“ მოსკოვიდან ჩამოვიდა „გრუ“-ს დაცვით გალის რაიონში. იქ მოქმედებს ქურდული კლანები, რომლებიც სხვადასხვა ბიზნესს აკონტროლებენ. ზოგი თხილის, ზოგი ციტრუსის, ავტომობილებისა და ა.შ. საქართველოს ციხეებიდან ამნისტირებული რამდენიმე გავლენიანი კრიმინალი, როგორც ჩანს, „ენგურჰესზე“ კონტროლის დაწესებასა და დიდი ოდენობით თანხების გამოძალვას ცდილობს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მარგველაშვილს ხმას მაინც უფრ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულ კვლევებში ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი **58,5** %-ია, მიხეილ სააკაშვილის კი - **11,9%**. იაგო კაჭკაჭიშვილის ინსტიტუტმა ათი რეგიონის მასშტაბით, დაახლოებით **2 500** ამომრჩეველი გამოკითხა. ამომრჩევლების **7%** აცხადებს, რომ კოალიციის საქმიანობით უკმაყოფილოა. თავად სოციოლოგი კი ყურადღებას ნეიტრალურად განწყობილ მოსახლეობაზე ამახვილებს. იაგო კაჭკაჭიშვილის განცხადებით სიახლე სწორედ ამ ადამიანების რაოდენობაა. გამოკითხულთა **32,6%** ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კოალიციის საქმიანობას ნეიტრალურად აფასებს. ექსპერტ, ნიკა ჩიტიძის განცხადებით ეს რიცხვი ნელ-ნელა კიდევ გაიზრდება.

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, გამოკითხულებიდან **55,1%** მზად არის ხმა კოალიციის კანდიდატს, ანუ გიორგი მარგველაშვილს მისცეს. თუმცა ეს გამოკითხვა ჩატარდა მანამდე, სანამ ივანიშვილი თავის რჩეულს დაასახელებდა. გარდა ამისა, თავად სოციოლოგები აცხადებენ, რომ გამოკითხვის შედეგებში ცდომილება პლუს-მინუს **3%** ავტომატურად იგულისხმება. გამოდის, საპრეზიდენტო არჩევნებისას, მეორე ტურზე საუბარი სულაც არ არის უსაფუძვლო...

ნიკა ჩიტიძე: „არ არის გამორიცხული, მეორე ტური ჩატარდეს, ანუ „ოცნების“ კანდიდატმა შეიძლება ვერ დააგროვოს პირველივე ტურში საჭირო ხმების რაოდენობა“

ნიკა ჩიტიძე, ექსპერტი:

- ჩემი აზრით, ნეიტრალურთა პროცენტში მოხვდნენ ადამიანები, რომლებმაც ხმა „ქართულ ოცნებას“ იმ იმედით მისცეს, რომ მოგვარდებოდა სოციალური პრობლემები. თუმცა ამ





„ადამიანებმა დაინახეს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან რვა თვის შემდეგ არაფერი შეცვლილა“

იაგო კაჭკაჭიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ო ივანიშვილის ხათრით მისცემენ“



ადამიანებმა დაინახეს, რომ „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან რვა თვის შემდეგ არაფერი შეცვლილა. პირიქით, ვითარება გაუარესდა. მე ვგულისხმობ, რომ ქვეყანში შიდა პროდუქტის შემცირება მოხდა, ასევე დამძიმებულია კრიმინოგენული ვითარება, ხდება რიგი პოლიტიკური მოღვაწეების დაკავება და ამ ყველაფერმა ამომრჩევლების ნაწილი ნეიტრალურად განაწყო.

- შეიძლება, რომ ნეიტრალურად განწყობილი ამომრჩევლები „ნაციონალების“ მხარდამჭერებად მოგვევლინონ?

- ისინი ვერ მოგვევლინებიან „ნაციონალების“ მხარდამჭერებად, რადგან მათ, უხეშად რომ ვთქვათ, „შუაშისტების“ პოზიცია უჭირავთ. თვლიდნენ, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნით ფერხდებოდა ქვეყნის განვითარება და მხოლოდ ამიტომ დაუჭირეს მხარი კოალიციას. ჰქონდათ „ოცნების“ იმედი, მაგრამ ახლა დაინახეს, რომ „ოცნებაც“ ვერ ასრულებს დაპირებებს. ეს ციფრი ეტაპობრივად იზრდება. მათი უმრავლესობა კოალიციის მომხრეებია, რომლებსაც უჭირთ იმის აღიარება, რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს უკეთესი სიტუაცია იყო. ჩემი შეფასებით გაზრდილია პოლიტიკისადმი ნეიტრალურად დამოკიდებულთა რიცხვი. შეიძლება ითქვას, რომ ეს ადამიანები არსებული სიტუაციის მიმართ ინდიფერენტულობას იჩენენ. მოსალოდნელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე გაცილებით უფრო ნაკლები ადამიანი მივიდეს, ვიდრე დაფიქსირდა ამომრჩეველთა რაოდენობა საპარლამენტო არჩევნების დროს.

- შესაძლებელია, რომ ამ კატეგორიამ ამომრჩევლების ეგრეთ წოდებულ მესამე ძალას დაუჭიროს მხარი?

- მაგალითად, ჩემს გარემოცვაში ბევრია, ვინც საკმაოდ რადიკალურად იყვნენ „ნაციონალების“ მიმართ განწყობილნი და ხმა „ოცნებას“ მისცეს. დღეს ამ ადამიანებიდან ბევრი ისევ „ნაციონალებს“ უჭერს მხარს და ამბობს, რომ ისევ ის სიტუაცია, წყნარი და დაბალი კრიმინოგენული სიტუაცია ჯობია, რაც იყო „ნაციონალების“ დროსო. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ბევრად რადიკალურად იყვნენ „ნაციონალების“ მიმართ განწყობილნი და მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ლიდერების ნაბიჯები არ მოსწონთ, მაინც კოალიციას უჭერენ მხარს.

- იმავე გამოკითხვებით საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოკითხულთა 55,1% აძლევს ხმას. შესაძლებელია, რომ მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა დადგეს?

- მე ერთხელ უკვე განვაცხადე, რომ არ არის გამორიცხული, მეორე ტური ჩატარდეს, ანუ „ოცნების“ კანდიდატმა შეიძლება ვერ დააგროვოს პირველივე ტურში საჭირო ხმების რაოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ რეიტინგი ნელ-ნელა ქვევით მოდის, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებას მაინც „ოცნების“ კანდიდატი მოიპოვებს. თუმცა მარგველაშვილს ხმას მაინც უფრო ივანიშვილის ხათრით მისცემენ. ვფიქრობ, რომ არ იქნება დიდი უპირატესობა მეორე ადგილზე გასულთან.

- მეორე ადგილზე ვინ გავა, როგორ ფიქრობთ?

- მეორე ადგილზე „ნაციონალები“ გავლენ. მე ვერ დავეთანხმები ბატონ პრემიერს, რომელიც ამბობს, რომ „ნაციონალების“ კანდიდატს ნინო ბურჯანაძე მოუგებს. თუ ასე მოხდება, მე ვიტყვი, რომ საქართველოში ძალზე დაბალი პოლიტიკური კულტურა ყოფილა. თუმცა დარწმუნებული ვარ, ასე არ მოხდება. საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას აუცილებელია, ვთქვათ, რომ კოალიციისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება და დაპირებების ნაწილის შესრულებაა. თუ ასე არ მოხდება, მათ გაუჭირდებათ გამარჯვება, თუ, რა თქმა უნდა, არ მოხდა გაყალბება და უფლებამოვალეობების ბოროტად გამოყენება.

- ამის საშიშროება არსებობს?

- არ არის გამორიცხული, რიგ შემთხვევში დარღვევებს ჰქონდეს ადგილი, ამის თქმის საშუალებას აპრილის ბოლოს ჩატარებული შუალედური არჩევნები მაძლევს. დარღვევებს იქაც ჰქონდა ადგილი. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ოცნებას“ არ უნდა დასჭირდეს გაყალბება, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში, ამ ეტაპზე, კოალიციის კანდიდატი გაიმარჯვებს.

თიბისი ბანკმა გერმანიაში თანამედროვე ქართული კულტურის პრეზენტაცია მოაწყო

თიბისი ბანკმა გერმანიაში, ქალაქ კიოლნში, თანამედროვე ქართული კულტურის პრეზენტაცია მოაწყო.

„Touch Georgia!“ („შეეხე საქართველოს!“) - ამ სახელწოდების კულტურული პროექტით, რომელიც თიბისი არტ-გალერეის ეგიდით გაიმართა, თიბისი ბანკი პირველად წარსდგა უცხოელი პარტნიორების წინაშე. პრეზენტაცია თიბისი ბანკის ერთ-ერთი აქციონერის, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიის (DEG) საგამოფენო სივრცეში გაიმართა.

პროექტის მიზანი იყო წამყვანი უცხოური საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლების და ზოგადად, გერმანელი საზოგადოებისათვის ქართული კულტურის წარდგენა. გარდა ამისა, ამ პრეზენტაციით საფუძველი ჩაეყარა თიბისი ბანკისა და DEG-ის ორმხრივ კულტურულ ურთიერთობებს, რომლის ფარგლებშიც DEG-ი გეგმავს თბილისში, თიბისი არტ გალერეაში გერმანული კულტურის წარდგენას.

DEG-ის საგამოფენო სივრცეში შედგა ქართული კულტურის - თანამედროვე მხატვრობისა და ტიხრული მინანქრის გამოფენა, რომელსაც თან ახლდა ქართული ნაციონალური ატრიბუტიკა: ქართული ეთნო-მუსიკა, ნაციონალური კოსტიუმები, ქართული ღვინო „შატო მუხრანისგან“ და ფოკის მონასტრის მიერ წარმოებული ქართული ყველი...

80-იანი წლების ქართველი მხატვრები ზურაბ ნიჟარაძე, მამია მალაზონია, გია გუგუშვილი, სანდრო დალაქიშვილი, ირაკლი სუთიძე, ნინო ფხალაძე ... თანამედროვე არტისტები: თუთუ კილაძე, დუსელდორფის ხელოვნების აკადემიის სტუდენტები, გურამ შავდია და მარიამ ოდიშელიძე - ეს ის მხატვრები არიან, რომელთა ნამუშევრებსაც DEG-ის საგამოფენო სივრცე მასპინძლობდა. აქვე იყო წარმოდგენილი გალერეა „ორნამენტის“ მიერ შესრულებული ტიხრული მინანქრის ნამუშევრები.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები, DEG-ის ხელმძღვანელები, თიბისი ბანკის აქციონერები და დამფუძნებლები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბურჯანაძე სააკაშვილის დაპატიმრებას ითხოვს

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნინო ბურჯანაძისთვის სამართლიანობა აღდგენილად მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, როცა ნაციონალების სრული დემონტაჟი მოხდება. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს სურს, რომ მისი ოპონენტები ბუნებაში აღარ არსებობდნენ. 26 მაისი ბურჯანაძისთვის პოლიტიკური კოზირია. ივანიშვილისგან ის სწორედ 26 მაისის გამოძიებას ითხოვს, უპირველეს ყოვლისა, და მიიჩნევს, რომ უშუალოდ მისი და მისი მომხრეების აქტიურობის წყალობით ზის დღეს ვანო მერაბიშვილი ციხეში. მისი მომდევნო გზავნილი ივანიშვილის მისამართით გაჟღერებულია. ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური კაპრიზი ამჯერად მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრებაა.

„დარწმუნებული ვარ, გამოძიება აუცილებლად მივა სააკაშვილამდე, ეს გარდაუვალია“

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი:

– ქვეყნისთვის თავდადებული ადამიანები გამეტებით სცემეს 26 მაისს, ორი წლის წინათ რუსთაველზე. დასახოცადაც კი გაიმეტეს ჩვენი მოქალაქეები ჩვენივე ხელისუფლების წარმომადგენლებმა. მეორე მხრივ, სწორედ ამ ადამიანების თავდაუზოგავი და გაბედული ბრძოლის შედეგია ის, რომ დღეს ქვეყანაში გარეთ გამოსვლის შიში აღარ გვაქვს პოლიტიკურ ოპონენტებს. სწორედ ამ ადამიანების ბრძოლის შედეგია, რომ დღეს ქვეყანაში აღარ არის გაბატონებული ერთი პოლიტიკური ძალა და მინდა ყველას ახსოვდეს ამ ადამიანების დამსახურება, განსაკუთრებით მათ, ვინც დღეს ხელისუფლებაში არიან. რადგან ამ ადამიანების ბრძოლამ ძალიან დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. რეალურად სწორედ მათი ბრძოლა გახდა გამარჯვების წინაპირობა.

– საზოგადოების ნაწილიც და პოლიტიკური ოპონენტებიც უკმაყოფილონი არიან ხელისუფლების მხრიდან სამართლიანობის აღდგენით. როგორ ფიქრობთ, სწორად მიმდინარეობს ეს პროცესი?

– ადამიანების რეალურმა ბრძოლამ გადატეხა წელში ყოფილი ხელისუფლება. თითოეული ჩვენგანის დაჟინებულმა მოთხოვნამ მოიტანა ის, რომ დღეს ვანო მერაბიშვილი ციხეშია.

– ეს არის გამოსავალი?

– მე არავის ციხეში ჯდომა არ მიხარია, მაგრამ მერაბიშვილი უნდა იჯდეს ციხეში. ალბათ, შემთხვევითი არც ის არ იყო, რომ მერაბიშვილი სწორედ 21 მაისს დააპატიმრეს. იმ 21 მაისის ორი წლის თავზე, როდესაც მან და მისმა დამქაშებმა უამრავი ადამიანი სრულიად უდანაშაულოდ წინსწრებით ჩასვეს ციხეში. სამართლიანობის აღდგენით კმაყოფილი ვიქნებით მას შემდეგ, როცა, უპირველეს ყოვლისა, გამოძიებული იქნება 26 მაისი და სხვა დანაშაულებიც, რომელიც წინა ხელისუფლებას აქვს ჩადენილი. მათ შორის, იგივე 7 ნოემბერი და მკვლელობები, რომელიც მათ ჩაიდინეს. ეს ყველაფერი ხელისუფლების სინდისზეა – ყველა გახმაურებული და გაუხმაურებელი დანაშაული. ჩვენ სამართლიანობის აღდგენით კმაყოფილები ვიქნებით მას შემდეგ, რაც სააკაშვილის რეჟიმის რეალური დემონტაჟი მოხდება. ამას, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება და იმედი მაქვს, რომ ეს მიიღწევა.

„ხელისუფლებამ დაინახა, რომ საზოგადოებაში თანდათან დაიწყო იმედგაცრუება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა“

– თვლით, რომ მერაბიშვილის დაკავების გადაწყვეტილება ივანიშვილმა პოლიტიკური ძალების გააქტიურების გამო მიიღო?

– ვფიქრობ, ხელისუფლებამ დაინახა, რომ საზოგადოებაში თანდათან დაიწყო იმედგაცრუება იმასთან დაკავშირებით, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ძალიან ნელა მიდიოდა. ჰკითხეთ ნებისმიერ ადამიანს, ყველასგან ერთ მოთხოვნას გაიგებთ – გამოძიებულ უნდა იქნას 26 მაისი, გამოძიებულ უნდა იქნას სულიკო ასათიანის მკვლელობა. სულიკო ასათიანის ოჯახს აქვს ბევრი კითხვა და მათ სჭირდებათ პასუხების მიღება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქვეყანა ვერ დააგდება ნორმალური განვითარების გზას, სანამ ყველა დამნაშავე თავისი დანაშაულის შესაფერისად არ აგებს პასუხს. ნურავინ ნუ გაბედავს და ნუ გვაკადრებს, რომ ჩვენ რევანში გვინდა, ან შურისძიების გრძნობა გვამოძრავებს. ასე არ არის. აქ საუბარია მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანობაზე. რევანშს პირველები სწორედ ჩვენ შევეწინააღმდეგებით, სამართლიანობის აღდგენას კი მოვითხოვთ. ჩვენ ამას არ ვითხოვთ არა მარტო იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენა ჩვენთვის მნიშვნელოვანია, არამედ იმიტომ, რომ ეს მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რათა აღარავის მოუვიდეს თავში უკანონო ბრძანების გაცემა და უკანონო ბრძანების შესრულება. 26 მაისს მებრძოლებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს იმ პერსპექტივების გაჩენაში, რაც დღეს ჩვენ ქვეყანას აქვს. ჩვენს მაშინდელ ბრძოლას უწოდებდნენ უაზროს, უშინაარსოს; ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ტყუილად ვიყავით რუსთაველზე; გვეუბნებოდნენ, რომ ტყუილად ვებრძოდით მაშინდელ ხელისუფლებას, თუმცა შედეგი სახეზეა. ეს პოლიციელები, რომლებიც დღეს ჩვენ გვერდით დგანან და სიმშვიდის უზრუნველყოფას გვიძლიერებენ, არავის შიშს არ ჰგვრიან. ისინი, ალბათ, დღეს ჩვენ გვერდით არ იდგებოდნენ, რომ არ გვებრძოლა. მათ მაგივრად კი ისევ ზონდერბრიგადების წარმომადგენლები იდგებოდნენ. ასე რომ, ბრძოლას სიმართლისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის ყოველთვის აქვს აზრი. მინდა, ეს ყველას ახსოვდეს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც მაშინ იბრძოდა, დაუფასონ გამბედაობა, რაც მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად დაუჯდათ. ამ ადამიანებმა დაიცვეს საკუთარი სამშობლოს ღირსება და ქვეყანას შანსი გაუჩინეს.

– 26 მაისზე მხოლოდ მერაბიშვილის პასუხისმგებლობის დაყენებას ითხოვთ?

– არა, რა თქმა უნდა. სააკაშვილმა უნდა აგოს პასუხი, უპირველეს ყოვლისა. დარწმუნებული ვარ, გამოძიება აუცილებლად მივა სააკაშვილამდე, ეს გარდაუვალია. რა თქმა უნდა, ეს არის ასევე უშიშროების საბჭოს ახლანდელი მდივნის, ბოკერიას პასუხისმგებლობაც და კიდევ სხვებისაც. ეს საქმე ბოლომდე უნდა იქნას გამოძიებული.

„ბრძოლას სიმართლისთვის და სამართლიანობის აღდგენისთვის ყოველთვის აქვს აზრი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ალასანია შვებულებაში უკანონოდ იმყოფება?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მინისტრთა კაბინეტში საკადრო კარუსელი მაყურებლის მხარდაჭერასა და ესემესებზე რომ იყოს დამოკიდებული, შესაძლოა, ირაკლი ალასანია თავის დროზეც არ ჩამოექვეითებინათ ვიცე-პრემიერის პოსტიდან, თუმცა, სამწუხაროდ, არც მთავრობაა „ჯეოსტარი“ და არც სახელმწიფო კანცელარია გახლავთ საკონცერტო დარბაზი. გადაწყვეტილებებს იქ ერთი კაცი იღებს, რომელიც, როგორც ამბობენ, მორიგი კარუსელისთვის ემზადება. აუტსაიდერთა რიგებში კი კვლავ ირაკლი ალასანიაა. პრემიერსა და თავდაცვის მინისტრს შორის მთლად თბილი ურთიერთობა რომ არ არის, ეს ჯერ კიდევ წინასაარჩევნოდ გამოჩნდა. ამაზე აღარ შევჩერდებით. როგორც სამთავრობო კულუარებში ამბობენ, ვიცე-პრემიერის თანამდებობიდან დაქვეითებით ალასანია-ივანიშვილს შორის უთანხმოება არათუ განიმუხტა, არამედ პირიქით, გამძაფრდა. ალასანია კვლავ აუტსაიდერთა სიაშია და არ არის გამორიცხული, მინისტრთა კაბინეტში პირველივე საკადრო გადაადგილებას მისი სკამი შეეწიროს. ერთი ვერსიით, მას საპრეზიდენტო არჩევნების წინ დაატოვებინებენ თანამდებობას. ქართული რეალობისთვის არჩევნების წინ დატრიალებული კარუსელი უცხო არ არის, თუმცა კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ შესაძლოა, ალასანიამ საკუთარი პორტფელით არჩევნებამდეც ვერ მიაღწიოს. ამის მიზეზი კი, სავარაუდოდ, არაგეგმიური შვებულება გახდება. მაშინ, როდესაც რუსმა ოკუპანტებმა მავთულხლართები ლამის თბილისის შემოსასვლელში გააბან, თავდაცვის მინისტრი ოჯახთან ერთად უცხოეთში ისვენებს. ინფორმაციას თავდაცვის სამინისტროშიც ადასტურებენ.

ოკუპანტები ე.წ. საზღვრებს აფართოებენ, თავდაცვის მინისტრი კი უცხოეთში ისვენებს

„მინისტრი კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში 27 მაისს გავიდა. ჩვენთვის არ არის ცნობილი, სად იმყოფება ის ამ პერიოდში, თუმცა შვებულება 5 დღის მანძილზე გაგრძელდება და ის ბრიუსელში დაგეგმილ მინისტერიალს აუცილებლად დაესწრება“, – განუცხადეს „ნეტგაზეთს“ თავდაცვის სამინისტროში.

ჩააჩოჩებენ თუ არა შვებულებიდან დაბრუნებულ თავდაცვის მინისტრს და ვის შეუთანხმა მან შვებულებაში გასვლა – ბიძინა ივანიშვილს თუ მიხეილ სააკაშვილს?

თავდაცვის მინისტრთან ერთად საზღვარგარეთ იმყოფება მისი მეუღლე ნათია ფანჯიკიძეც. ორგანიზაცია „კამარა“ - ში, სადაც ფანჯიკიძე მუშაობს, აცხადებენ, რომ „ქალბატონი ნათია საზღვარგარეთ იმყოფება და ის სამსახურში 10 ივნისს გამოცხადდება“. „კამარა“-ში ნათია ფანჯიკიძე დირექტორის თანამდებობას იკავებს და ამავე ორგანიზაციაში თერაპიის პროგრამას ხელმძღვანელობს.

ნათია ფანჯიკიძე თავად წყვეტს შვებულებაში გასვლის საკითხს, თუმცა ამ პრივილეგიით ვერ სარგებლობს მისი მეუღლე. არსებული შრომის კოდექსის თანახმად, თანამდებობაზე დანიშვნიდან 11 თვის შემდეგ შეუძლია საჯარო მოხელეს კუთვნილი შვებულებით სარგებლობა, თუმცა კანონი იცნობს გამონაკლისებსაც. როგორც „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი თამუნა გვარამაძე განმარტავს, არსებული შრომის კოდექსის თანახმად, მინისტრს ჰქონდა უფლება გასულიყო შვებულებაში, თუმცა ეს გადაწყვეტილება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო რანგით მასზე მაღალი თანამდებობის პირთან.

„შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე, ზოგადად, წესი ასეთია, რომ 11 თვის შემდეგ ეძლევა მოსამსახურეს შვებულებაში გასვლის უფლება, თუმცა 11 თვემდეც შესაძლებელია შვებულებით სარგებლობა საჯარო სამსახურში, უბრალოდ, აუცილებელია შეთანხმება მოხდეს ხელმძღვანელობასთან. ვინაიდან საქმე ეხება მინისტრს, ამ შემთხვევაში შეთანხმება შეიძლება მოხდეს რანგით მასზე უფროსთან, ეს იქნება პრემიერი, თუ პრეზიდენტი“, – აცხადებს თამუნა გვარამაძე.

მოკლედ, ირაკლი ალასანიას თანამდებობაზე დანიშვნიდან 11 თვე ნამდვილად არ გასულა, შესაბამისად, შვებულებაში გასვლის ნებართვა მას ან ბიძინა ივანიშვილისგან უნდა ეთხოვა, ან პრეზიდენტისგან.

ვის სთხოვა ნებართვა ალასანიამ? მიხელ სააკაშვილს თუ ბიძინა ივანიშვილს? ამაზე განმარტება ხელისუფლებაში არ კეთდება. კომენტარს ამ თემაზე, სავარაუდოდ, თავად ირაკლი ალასანია მას შემდეგ გააკეთებს, რაც შვებულებიდან დაბრუნდება. იმ შემთხვევაში თუ ალასანიას მსგავსი ნებართვა არც პრეზიდენტისგან და არც პრემიერისგან აუღია, გამოდის, რომ ის შვებულებაში უკანონოდ იმყოფება.

მზრუნველობამოკლებული მოზარდები კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს დაესწრნენ

CBS GROUP
CAUCASUS BUSINESS SOLUTION

„სიბიეს ჯგუფის“ საქველმოქმედო აქცია

ახლად დაფუძნებულმა მენეჯმენტ კომპანია „სიბიეს ჯგუფმა“ მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს საჩუქარი გაუკეთა. „სიბიეს ჯგუფის“ ინიციატივით მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელებს კახი კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩის ბილეთები გადაეცათ.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქველმოქმედო ფონდის „საქართველოს კარიტასის“ ხელშეწყობით „სიბიეს ჯგუფმა“ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩზე ის მოზარდები დაპატიჟა, რომლებიც ფეხბურთის აქტიური გულშემატკივრები არიან.

„სიბიეს ჯგუფისა“ და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლებმა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს მატჩზე დასასწრები ბილეთები, მაისურები, ბურთები და ტორტი გადასცეს. როგორც მცირე საოჯახო ტიპის სახლების აღსაზრდელები ამბობენ, მათთვის მოულოდნელი იყო მსგავსი საჩუქარი, ისინი დიდი სიხარულით დაესწრებიან კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს, ,,ჩვენ გვიხარია, რომ მსოფლიო დონის ფეხბურთის ვარსკვლავებს ჩვენი თვალით ვიხილავთ“.

ნინო პოტრჟებსკაია - „სიბიეს ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „სიბიეს ჯგუფი“ გახლავთ ახლად დაფუძნებული მენეჯმენტ კომპანია, რომელიც ოპერირებას უწევს ბაზარზე მოთამაშე რამდენიმე მსხვილ კომპანიას. ჩვენ ვართ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელნი, ჩვენი ინიციატივითა და ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ ხელშეწყობით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საშუალება მიეცათ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს დასწრებოდნენ. რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ მოზარდების საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია“.

ეკა სანებლიძე - ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დეპარტამენტის უფროსი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მზრუნველობამოკლებული მოზარდები აქტიურად ჩაერთონ სოციალურ პროექტებში და ამ მხრივ ბიზნესის მონაწილეობა მისასალმებელია. ფეხბურთის მოყვარულ მოზარდებს საშუალება მიეცათ დასწრებოდნენ კახი კალაძის გამოსამშვიდობებელ მატჩს და საკუთარი თვალით ენახათ მსოფლიო დონის ფეხბურთის ვარსკვლავები, რაც მათთვის ძალიან კარგი საჩუქარია“.

„სი ბი ეს ჯგუფი“ 2013 წლის 25 მარტს დაარსდა. „სიბიეს ჯგუფი“ მენეჯმენტს უწევს შემდეგ კომპანიებს: „კავკასუს ონლაინი“, თბილისის მიკროავტობუსი, რკინიგზის ტელეკომი, GMS ჯგუფი, რესტორნების ქსელი და ლუდსახარში „მირზაანი“, სასტუმრო „ინტურისტ პალასი“, Black Sea Product“.

„სიბიეს ჯგუფის“ პრიორიტეტებია:

- **უნიკალური, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების გზით ბაზარზე დავიმკვიდროთ კონკურენტული უპირატესობა;**
- **ვმართოთ ბიზნეს შესაძლებლობები და მობილიზაცია გავუწიოთ ჯგუფში შემავალ კომპანიებს;**
- **ხელი შევუწყოთ პერსონალის ზრდას;**
- **ვიყოთ სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელნი.**

„სიბიეს ჯგუფი“ მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს სოციალურ პროექტების განხორციელებას.

(A)

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გარდაცვლილი პოლიციელის დედა ბუ



დათი მასურაშვილი

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ანა აზაურა

„სულ ხუთი ან ათი ხუთით ადრე რომ დაეტოვებინა ბურჯანაძეს რუსთაველი, არაფერი მოხდებოდა და ჩემი შვილიც არ მოკვდებოდა“

2011 წლის **26** მაისის ღამეს, მაშინ როცა აქციის ორგანიზატორმა, ნინო ბურჯანაძემ მიტინგი დატოვა და მისმა ესკორტმა პოლიციელების კორდონი გაარღვია, შედეგად ერთ-ერთი თანამშრომლის სიცოცხლე შეიწირა. დავით მასურაშვილთან ერთად, მაშინ ბურჯანაძის ესკორტი ხუთ პოლიციელს დაეჯახა. მასურაშვილის გარდა, ყველა გადარჩა. მოსაზრება, რომ მანქანას პირადად ბადრი ბიწაძე მართავდა, მალევე გავრცელდა, თუმცა ამის დამტკიცება არ მოხერხდა. დაღუპული პოლიციელის დედა ამბობს, რომ თავსხმა წვიმაში ძნელი იქნებოდა გარკვევა, ვინ მართავდა მანქანას. გამოძიების დასრულების შედეგად დამნაშავედ ალექსანდრე ბიბილური გამოცხადდა. მას **8**-წლიანი პატიმრობა და **5**-წლიანი პირობითი შეეფარდა. ამბობენ, რომ ალექსანდრე ბიბილური არ არის რეალური დამნაშავე და მან უბრალოდ, თავის თავზე აიღო სხვისი დანაშაული...

33 წლის პოლიციელის დაღუპვიდან ორი წელი გავიდა, მაგრამ ზუსტად ჯერ კიდევ არავინ იცის, რა მოხდა ოპოზიციის მიტინგის ღამეს. გამოძიება დასრულებულია და დამნაშავე ამნისტიის შედეგად განთავისუფლდა, თანაც პოლიტპატიმრის სტატუსით... ალექსანდრე ბიბილური ახალი მთავრობის პირობებში პოლიტპატიმრად გამოცხადდა და შესაბამისად, **8**-წლიანი პატიმრობაც ვადაზე ადრე შეუწყდა.

დათოს **8** წლის ანასტასია დარჩა. დათოს დედა მომხდარის გამო მთელ პასუხისმგებლობას ნინო ბურჯანაძეს აკისრებს. ანა აზაურაშვილი აცხადებს, რომ ბურჯანაძე გაფრთხილებასა და კანონს რომ დამორჩილებოდა, **26** მაისის ღამეს აქცია მსხვერპლის გარეშე დასრულდებოდა. აზაურაშვილისვე განცხადებით, მსხვერპლი პოლიტიკოსს ქულების დასაწერად სჭირდებოდა და ყველაფერი გააკეთა, რომ დათო მასურაშვილის გარდაცვალება ყოფილ ხელისუფლებას დაჰბრალებოდა. სწორედ ამიტომ გარდაცვლილი პოლიციელის დედა აპირებს, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსაც უჩივლოს. სწორედ მის მიერ გაკეთებული ექსპერტიზის საფუძველზე აცხადებს ბურჯანაძე, რომ ის უდანაშაულოა... აზაურაშვილის განცხადებით, დასკვნა რთულად მოიპოვა, რადგან მის ჩვენებაზეც კი უარს ეუბნებოდნენ.

8 წლის მანძილზე დათო მასურაშვილი შავნაბადაზე ანტიტერორისტული განყოფილების უფროსი იყო. მისი სამსახური **8** წლის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით განაღმვებს ახორციელებდა. ბოლო **2** წელი ის ისანი-სამგორის რაიონის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ანა აზაურაშვილმა შვილს დაურეკა და ესაუბრა. დაახლოებით პირველის ნახევარზე კი მასურაშვილი დაიღუპა...

ანა აზაურაშვილი, დაღუპული პოლიციელის დედა:

– მანქანის დარტყმამდე ჩემი შვილი ცოცხალი იყო , ეს ზუსტად ვიცი. ხშირად მირეკავდა და ბოლოს ღამის 12 საათზე ვესაუბრე. გარდაცვლილს უამრავი დაზიანება ჰქონდა სხეულზე. ბოლოს ის ვერსიაც გავიგე, მანქანამ თავზე გადაუარაო. თავი კი ჰქონდა გადაკერილი მთელ სიგრძეზე, მაგრამ მაშინ მითხრეს, რომ ექსპერტიზა ჩაუტარდა ასე.

ვფიქრობდი, მოვა ახალი მთავრობა, გამოძიება ჩატარდება-მეთქი, მაგრამ თურმე არა... პირიქით, ბურჯანაძემ პრეზიდენტობა გადაწყვიტა. როცა მისი ეგრეთწოდებული პოლიტპატიმარი გამოვიდა, მას შემდეგ განსაკუთრებით ამაყად საუბრობს. ხელახალ გამოძიებას მე ვერ მოვითხოვ, როგორც გაირკვა. ადვოკატმა გვითხრა, ისეთი კანონია ჩადებული, რომ კაკაბაძე-ბესელიას სიით გამოშვებულ ხალხს უკან ვეღარ შეაბრუნებო. საქართველოს ფარგლებში ხელახლა განხილვა აღარ მოხდება, საზღვარგარეთ რამდენად შესაძლებელია, არ ვიცი. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სიმართლე დადგინდეს.

– თქვენ ამბობთ, რომ სიაში ბიბილურის გვარი შეგნებულად იყო შეყვანილი?

– როცა გავიგე, რომ შესაწყალებელთა სია გამოქვეყნდა, ვნახე და იქ შეგნებულად ეწერა გვარი შეცდომით – ბიბილურის ნაცვლად ბიბილოძე. მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ ბურჯანაძის კაცს უშვებდნენ გარეთ და მაშინვე ჩავწერე კბილაშვილთან მიღებაზე. მქონდა შეგრძნება, რომ, როგორც კი კბილაშვილი გაიგებდა, ვის უნდოდა მასთან შეხვედრა, მაშინვე მიმიღებდა, მაგრამ კბილაშვილი ექვსი თვის შემდეგ შემხვდა. მე ნოემბერში მოვითხოვე შეხვედრა, მან კი 19 აპრილს მიმიღო. კბილაშვილს ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, მაგრამ მან მითხრა, რომ უკვე ვეღარაფერს მოვაბრუნებდი. ვკითხე, ბურჯანაძე რომ გამოდის ბედნიერი სახით და ამბობს, რომ ყველა ბრალდება მოეხსნა, მართალია-მეთქი. მიპასუხა, რომ განაჩენი, რომელიც მისი მძღოლის მიმართ გამოიტანეს, ძალაში რჩებოდა. მას მკვლელის სახელი აქვს. ამ სიებს ღარიბაშვილი არ ეთანხმებოდა. შინაგან საქმეთა მინისტ-

„მე ტელევიზორს არ ვშორდებოდი და როცა გამოაცხადეს, პოლიციელი დაიღუპაო, ჩემთვის ვთქვი, ვაი, შენს დედას, შვილო-მეთქი...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...რჯანაძეს ანგარიშსწორებით ემუქრება

...ფვილი:

„კბილაშვილს ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, მაგრამ მან მითხრა, რომ უკვე ველარაფერს მოვაბრუნებდი“

„იმას თუ ვერ მივაღწიე, რომ მკვლელი უკან ჩავსვა ციხეში, ამ ქალს მუდამ დავასხამ თავზე ლაფს“

რი წინააღმდეგი იყო, როცა გაიგო, პოლიტპატიმრების სიაში მკვლელი შეიყვანეს, მაგრამ ბესელია-კაკაბაძეს წინ ვერავინ დაუდგა. ისინი არიან თავი და თავი, მათ გადაწყვიტეს, რომ ჩემი შვილის მკვლელი გარეთ უნდა გამოეშვათ.

– როგორ აპირებთ გამოძიების გაგრძელებას?

– აღარ ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ის ბიჭებიც კი არ არიან დაკითხულები, ვინც უშუალოდ დათოს გვერდით იყვნენ იმ მომენტში. ისინი დღესაც მუშაობენ და რა თქმა უნდა, მზად არიან, ყველაფერი მოყვნენ. არ ვიცი, საზღვარგარეთ ჩივილი თუ შეიძლება. როგორც მითხრეს, სხვა გზა არაფერია დარჩენილი. თანაც ბიბილური ჩვენთან ახლოს ცხოვრობს და უნდა ვუყურო, როგორ დადის სახლში, როგორ იძინებს და იღვიძებს... ბურჯანაძეს კი, საერთოდაც, პრეზიდენტობა უნდა, არანაირი სინდისი არ აწუხებს. შეიძლება მერაბიშვილი რამეში დამნაშავეა, მაგრამ ერთი ვიცი, მას სისხლისღვრა რომ ჰქონოდა ჩაფიქრებული, ბიჭებს ტაბელურ იარაღს სეიფში არ ჩააკეტვინებდა. ჩემი შვილის კოლეგები უიარაღოდ იყვნენ გასულები. გადაბრალება ადვილი საქმეა. სისხლისღვრა ნინოს წინასწარვე ჰქონდა დაგეგმილი. ეს ზუსტად ვიცით, ემზადებოდნენ და იცოდნენ, რომ მსხვერპლი უნდა ყოფილიყო. თუკი კანონით ვერაფერს გავხდები, თვითონ გამოვიტან განაჩენს და თვითონვე აღვასრულებ.

– თქვენ თქვით, რომ მისი თანამშრომლები, ვინც უშუალოდ შეესწრნენ ამ ამბავს, დაკითხულები არ არიან, რატომ აქამდე არ მოითხოვეთ მათი დაკითხვა?

– არ ვიცი, ხან ცუდად ვარ, ხან ლოგინად ვარ ჩავარდნილი. არის პერიოდები, რომ გარეთაც ვერ გამოვდივარ. ყველაფერს გავაკეთებ, არ გავჩერდები. იმას თუ ვერ მივაღწიე, რომ მკვლელი უკან ჩავსვა ციხეში, ამ ქალს მუდამ დავასხამ თავზე ლაფს. როგორც ჩანს, მხოლოდ სიტყვით ბრძოლის გზა დამრჩა. თავის დროზე, სანამ ამ ადამიანს პოლიტპატიმრად გამოუშვებდნენ, მკვლელი იჯდა და ცოტა ხანს გაჩუმებულები ვიყავით. თუმცა, მე ეს არ მაკმაყოფილებდა და ვიცოდი, რომ ნინო ბურჯანაძე იყო ყველაფრის თავი და თავი. კადრშიც ჩანს. მისმა მანქანამ პირდაპირ ამ ბიჭებში გაიარა, რა ძალა ადგა? გაჩერებულიყო, დიდი-დიდი დაკითხვაზე წაიყვანდნენ, დაკითხავდნენ და სხვას არაფერს უზამდნენ. ამიტომ ვფიქრობ, ეს წინასწარ იყო ჩაფიქრებული და დაგეგმილი.

– ბურჯანაძე შეხვდა თქვენს ქალიშვილს, შეგიძლიათ გვითხრათ, რაზე ისაუბრეს?

– თანამშრომლობა შემოგვთავაზა...

– რა იგულისხმა თანამშრომლობაში?

– გვითხრა, თუ რამე გჭირდებათ, რაიმე დახმარებაო... ჩვენი ოჯახი მასთან არანაირ თანამშრომლობაზე არ წავა.

– ფინანსური დახმარება შემოგთავაზათ?

– არა, მაგას როგორ გაგვიბედავდა. მე საერთოდ არ მინდოდა შეხვედრა, არც ვაპირებდით, მაგრამ მისმა ადვოკატმა უამრავჯერ დაგვირეკა, ძალიან გვთხოვდნენ შეხვედრას. ბოლოს ჩემს ქალიშვილს ვუთხარი, წადით, იქნებ რამე იცის და თქმა უნდა-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ჩვენგან უნდოდა ინფორმაციების მიღება. როგორც ბურჯანაძე ამბობდა, თითქოს ჩემი შვილი მერაბიშვილმა წინასწარ მოკლა და იქ უკვე მკვდარი მიიტანეს, ამაში რომ რაიმე სიმართლე იყოს, რა თქმა უნდა, გაუხმაურებელს არ დატოვებდა. ისე, ჩვენთან შეხვედრის დროს ისეთი ამაყი არ იყო, როგორც ახლა გამოდის სატელევიზიო ეთერებში და საუბრობს. მაშინ უფრო მოკრძალებული, მოხატრებული იყო. ახლა უკვე განაღდებული აქვს რაღაც და ისე საუბრობს. რა გაინაღდა, ნამდვილად არ ვიცი, ამაზე ვერც ვისაუბრებ. მართალი გითხრათ, თავიდან გამიხარდა, ივანიშვილმა ბურჯანაძე რომ არ მიიღო.

– შეხვედრისას რაზე გესაუბრათ?

– გვითხრა, მერაბიშვილსა და ააკაშვილს დიდი გამოცდილება აქვთ მასეთ საქმეებში და ეს ყველაფერი წინასწარვე ჩაიფიქრესო. რამე რომ იცოდეს და მტკიცებულება ჰქონდეს, დოკუმენტებს წარმოადგენდა.

– მოითხოვეთ?

– არაფერი არ ჰქონია, რამდენჯერმე მოხდა შეხვედრა. ჯერ მხოლოდ ბურჯანაძეს შეხვდნენ და შემდეგ უკვე ადვოკატთან ერთად მოხდა შეხვედრა. რამე რომ ჰქონოდა, არ ააფრიალებდა, როგორ ფიქრობთ?

– შვილის გარდაცვალების ბევრი ვერსია იყო თქვენი...

– იყო, მეც ბევრი გავიგე, მაგრამ ყველაფერი ტყუილია. ჩემს შვილს ბოლოს ღამის თორმეტ საათზე ველაპარაკე. ბოლოს რომ მიპასუხა, მითხრა: დედა, ვერ დაგელაპარაკები, არ მცალიაო...

– თქვენ როგორ გაიგეთ მისი დაღუპვა?

– მე ტელევიზორს არ ვშორდებოდი და როცა გამოაცხადეს, პოლიციელი დაიღუპაო, ჩემთვის ვთქვი, ვაი, შენს დედას, შვილომეთქი... მარტო ვიყავი სახლში. ჩემს სიძესთან მისულან დათოს თანამშრომლები და უთქვამთ მისი გარდაცვალების ამბავი. ჩემთან უკვე მთელი სანათესაო მოვიდა იმ ღამესვე. დათოთი იწყებოდა ჩემი დილა და დათოთი მთავრდებოდა ჩემი დღე, სულ მას ველოდებოდი. ბურჯანაძის მანქანამ, დათოსთან ერთად, კიდევ 5 თანამშრომელი გადათელა. ვფიქრობ, დათოს ერთმა დაარტყა და მეორემ გადაუარა. ისეთი დაზიანებები ჰქონდა, არ შეიძლებოდა, ის მხოლოდ ერთ მანქანას მიეყენებინა. შვილი მაშინ მომიკლეს, როცა მანქანამ მას ზემოდან გადაუარა. კადრშიც კარგად ჩანს, როგორ იწევა მანქანა ორჯერ. როცა საავადმყოფოში მიიყვანეს, ექიმები ეზოშივე დაესივნენ, აბრუნებდნენ და სწორედ იქ დალია სული... ერთ ექიმს უთქვამს, დაანებეთ თავი, ნუღარ აწვალებთო. ახლა კიდევ გამოდის ამაყი სახით ეს ქალი, რომელსაც ამხელა ცოდვა აწევს კისერზე. ტელევიზორში მისი ბედნიერი სახის ყურება ძალიან ძნელია. აღმაშფოთა იმანაც, რომ უკვე ორი წელია, ჩემს შვილს პანაშვიდს უხდის სამებაში. გაგიგიათ სადმე, მკვლელი თავის მოკლულს პანაშვიდებს უხდიდეს? არ არის აუცილებელი, უშუალოდ მისი ხელით მომკვდარიყო ჩემი შვილი, მისი დავალებით ხომ მოკვდა? მაინც მკვლელი გამოდის. სულ ხუთი ან ათი წუთით ადრე რომ დაეტოვებინა ბურჯანაძეს რუსთაველი, არაფერი მოხდებოდა და ჩემი შვილიც არ მოკვდებოდა. მისი თანამშრომლები, ვინც შემთხვევას შეესწრნენ, ამბობდნენ, როცა მიტინგზე დათოს დაღუპვის ამბავი გავრცელდა, ველარავინ აკონტროლებდა თავსო. დათოს ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თანამშრომლებში. ღარიბაშვილმა თქვა თავის გამოსვლაში, ჩემს პოლიციელს ვინმემ რამე რომ დაუშავოს, პირადად ვიძიებ შურსო. კი მაგრამ, რამ გაყო ძველი და ახალი მთავრობის პოლიციელები? ისინიც ხომ თავის დროზე ქვეყანას ემსახურებოდნენ?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ონიშენკო ქართული ღვინის წინააღმდეგ გამოდის, კუკავა - ქართული პოლიტიკის

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

გენადი ონიშენკო პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ახმოვანებს. საქართველოში ფიქრობენ, რომ „აძმარებული“ ღვინო და „უვარგისი“ ბორჯომი სწორედ ანგარიშსწორების მიზნით შეფასდა და არაფერი აქვს საერთო ხარისხთან. ოფიციალურად „როსპოტრებნოდზორმა“, ანუ ონიშენკომ ქართული ღვინის სამ სახეობას აღმოუჩინა წუნი. მისი განცხადებით „შუხმან ვაინსის“ ღვინოს ჭიქაში ჩამოსხმისას ქაფი უკეთდება და გაზის ბურთულები აქვს. მისი დაბლოკვის მიზეზიც სწორედ ეს არის. „ძმები ასკანელები“-ს ღვინის დაბლოკვის მიზეზი კი ონიშენკომ თავისთვის შეინახა.

ღვინის წარმოების ქართული წესი უბრალოდ, „კოშმარია“

„ჩვენ ვხედავთ, რომ ისიც გაფუჭდა, რაც სააკაშვილის დროს იყო მიღწეული: სტრატეგიული ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთან“

გენადი ონიშენკო:

- რუსულ ბაზარზე დაბრუნებული ბორჯომი ახლოსაც ვერ მივა იმ ლეგენდარულ მინერალურ წყალთან, რომელსაც საბჭოთა პერიოდში აწარმოებდნენ. ეს იმის ბრალია, რომ საქართველოში აღარ არიან მინერალური წყლების სპეციალისტები, რომლებმაც „ცოცხალი წყლის თითოეული კაპრიზი იცოდნენ“, მათი ადგილი კი დაბალკვალიფიციურმა ტექნოლოგებმა დაიკავეს. რაც შეეხება ღვინოს, ღვინის წარმოების ქართული წესი უბრალოდ, „კოშმარია“. ყურძენი რომ შემოჰქონდეთ, მე თვითონ გადმოვიტანდი საზღვარზე, მაგრამ ისინი ყურძენს აფუჭებენ და ღვინო შემოაქვთ. ყურძენი წმინდა პროდუქტია, რომელსაც ხოტბას ასხამდა როგორც ქრისტიანული, ისე წარმართული სამყარო, ქართველები კი მისგან ალკოჰოლურ სასმელს - ღვინოს აკეთებენ. ქართული ყურძენი რუსეთში არ გამოჩნდება, ნუ ელით.

„შუხმან ვაინსის“ და „ძმები ასკანელები“-ს გარდა მთავარმა სანიტარმა კიდევ სამი სახეობა დაბლოკა. მთავარი ის არის, რომ ღვინოსაც და ბორჯომსაც რუსეთში გადაუარეს და რაც მთავარია, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ქართული ღვინიდან რუსეთში მხოლოდ ის სამი ფირმის სასმელი შევა, რომლის მწარმოებლებიც რუსეთში მცხოვრები ქართველები არიან.

ჩვენი ინფორმაციით, ონიშენკოს მიერ დაბრაკული ღვინოებიდან, ზოგიერთი მათგანი ევროპულ ბაზარზე შედის და დიდი წარმატებითაც სარგებლობს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ეჭვს, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურია. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის, კახა კუკავას განცხადებით, ივანიშვილის არასწორი პოლიტიკის გამო დღეს ქართულ ღვინოსაც პრობლემები აქვს და საზღვრისპირა სოფლებშიც იგივე მიზეზის გამო მიმდინარეობს პროცესები.

კახა კუკავა „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

- რა თქმა უნდა, აქ არ არის ბორჯომის ან ღვინის ხარისხის პრობლემა, ეს არის პოლიტიკური პრობლემები, რომლებიც ივანიშვილის მთავრობამ შექმნა რუსეთთან არაგონივრული დამოკიდებულებებით. დღეს ჩვენ ვიმკით ამ შედეგებს, როგორც ეკონომიკური მიმართულებით, ასევე საზღვრისპირა რეგიონებში. რუსები ელოდნენ, ელოდნენ და როცა ვერ დაინახეს ახალი კურსი, ის მოქმედებები გააგრძელეს, რაც მთელი ორი საუკუნის გამნავლობაში ჰქონდათ.

- თქვენ ამბობთ, რომ ეს ანგარიშსწორებაა ივანიშვილის მთავრობის მიმართ?

- რა თქმა უნდა. ივანიშვილი ძალიან უცნაურ კომენტარებს აკეთებს, ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე იძახდა, რომ როგორც კი არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, მაშინვე დაიწყებდნენ რუსეთთან ურთიერთობებს. ექვსი თვეა გასული და რუსეთთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მხოლოდ კარასინი-აბაშიძის ფლირტში გამოიხატება. ყველას გვესმის, რომ ამ დონეზე სახელმწიფოებს შორის სერიოზული მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს ხოლმე და თუ ივანიშვილი არასერიოზულად უყურებს ამ საკითხს, ჩვენდა სამწუხაროდ, რუსები უყურებენ სერიოზულად. შეიძლება ითქვას, რომ რუსების მოლოდინიც და მოთმინებაც ამოიწურა.

- თქვენ ხომ არ აპირებთ ისევ ჩაერთოთ ამ საკითხების განხილვაში?

- ჩვენ არ გვაქვს მანდატი. მანდატი ქართველმა ხალხმა მისცა ბიძინა ივანიშვილს და ამ შედეგებს, როგორც ჩანს, ჩვენ მომდევნო 4 წლის განმავლობაში მოვიმკით.

- თქვენ მანდატი არც მაშინ გქონდათ, როცა ამ საკითხით იყავით დაკავებული და ონიშენკოს ხვდებოდით...

- მაშინ საქართველოს არ ჰყავდა ლეგიტიმური ხელისუფლება და მაშინ ჩვენ გვქონდა ქართული საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა. დღეს ჩვენი ფუნქცია გაუგებარია. ქვეყანაში მოვიდა ხელისუფლება, რომელსაც აქვს ქართველი ხალხის მხარდაჭერა, რომელმაც გამოაცხადა, რომ თავად აპირებდა რუსეთთან ურთიერთობას. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ჩვენი პარტია კვლავ ჩაერთოს. თუმცა მანამდე ქართულ საზოგადოებაში უნდა შედგეს დისკუსია, რა გვინდა ჩვენ სამომავლოდ. თუ ნატოში გვინდა, მაშინ ორივე ერთად არ გამოვა: ბორჯომიც გავყიდოთ რუსეთის ბაზარზე და ნატოშიც შევიდეთ - ეს არ იქნება. ბიძინა ივანიშვილი ერთ ორშაბათს აცხადებდა, რომ რკინიგზა უნდა გავხსნაო, მეორე ორშაბათს ამბობდა, უნდა დავკეტოო... ამის გამო ჩვენ პრობლემები შეგვექმნა დასავლელ მოკავშირეებთანაც და ასევე რუსებთანაც. ამიტომ ქვეყანას სჭირდება სერიოზული მთავრობა. ასეთი პოლიტიკის გატარებით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას ვერ მოვახერხებთ. ისევე, როგორც არც სხვა ურთიერთობით უნდა ველოდოთ პრობლემების მოგვარებას და წინსვლას.

- თავის დროზე, როცა თქვენ აწარმოებდით ონიშენკოსთან მოლაპარაკებებს, იყო პრობლემები ღვინოსთან ან ბორჯომთან დაკავშირებით?

- პრობლემები სულ იყო, მაგრამ ის ტონალობა, რაც ახლა არის, ეს იმას მაფიქრებინებს, რომ რუსული მხარე აღარ ელის ნაბიჯებს საქართველოსგან. ამ პრობლემის გამო შეიძლება მოლაპარაკებებიც ჩაიშალოს. ყველას კარგად გვესმის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, პოლიტიკურ კონტექსტში მიიღება. ირანული ნავთი რატომ არ იყიდება ევროპაში, როგორ ფიქრობთ? გგონიათ, რომ მას ხარისხი არ უვარგა? ეს პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ივანიშვილის უუნარო საგარეო პოლიტიკამ გამოიწვია ეს შედეგები. ვერავინ გაიგო საქართველოში როგორია ახალი ხელისუფლების საგარეო კურსი. მე აქამდე თავს ვიკავებდი კრიტიკისგან, მაგრამ თუ დადგება საკითხი და ასარჩევი გვექნება ივანიშვილსა და საქართველოს შორის ერთ-ერთი, დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი სწორ არჩევანს გააკეთებს. ბიძინა ივანიშვილი არის საქართველოს პრობლემა. ივანიშვილის გამოთქმებზე, აქამდე გვეცინებოდა და როგორც იუმორს ისე ვუსმენდით, ახლა კი ნამდვილად გაჩნდა ის განცდა, რომ ამ ყველაფერს იუმორში ვეღარ აღვიქვამთ. ივანიშვილი მზად არ აღმოჩნდა პოლიტიკისთვის. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რომ ისიც გაფუჭდა, რაც სააკაშვილის დროს იყო მიღწეული: სტრატეგიული ურთიერთობები დასავლელ პარტნიორებთან. ივანიშვილმა დაიწყო ღია წერილების წერა და კონფრონტაციული ველის შექმნა დასავლეთის მიმართულებით. ისიც ფაქტია, რომ მისი საერთაშორისო ვიზიტები ერევანსა და ბაქოს ვერ გასცდა. დღეს საქართველო რეალურად დგას საერთაშორისო იზოლაციის წინაშე. ვფიქრობ, აუცილებელია ქვეყნის პოლიტიკური კურსის შეცვლა და მკაფიო უპირატესობების ჩამოყალიბება. დღეს ივანიშვილის თავდადებული პროპაგანდისტიც კი ვერ მეტყვის, რა გაკეთდა ამ 7 თვის განმავლობაში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას ითხოვს რუსეთი კონკრეტულად, რატომ არ იწყება მოლაპარაკებები, ჩვენ ეს პოზიცია არ მოგვისმენია ხელისუფლებისგან. ის მხოლოდ ერთს ამბობს, რომ არ ეგონა თუ რუსეთთან ურთიერთობები კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ქვეყანა საგარეო პოლიტიკას პრემიერის შთაბეჭდილებებზე ვერ დაამყარებს. ვერც ერთი ექსპერტი ვერ იტყვის, დღეს ვართ თუ არა რუსეთთან დიალოგში. დღევანდელი ხელისუფლების სხვადასხვა უწყების კომენტარები აღნიშნულ საკითხზე აბსოლუტურად განსხვავდება ერთმანეთისგან და ისინი ურთიერთწინააღმდეგობაში მოდის.

კახა კუკავა: „ექვსი თვეა გასული და რუსეთთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მხოლოდ კარასინი-აბაშიძის ფლირტში გამოიხატება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მარიამ ნადირაძე

ადვოკატების პროტესტს პრეზიდენტის ვეტომ სულზე მოუსწრო. რომ არა სააკაშვილის გადაწყვეტილება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიღებული ცვლილებები პარლამენტისთვის თავისი შენიშვნებით უკან მიებრუნებინა, მორიგი საპროტესტო ტალღა აგორდებოდა, ამჯერად საპარლამენტო დედაქალაქში. ვექილების გადაწყვეტილებით მათი აქციები უვადოდ უნდა გამართულიყო და თანაც შიმშილობის ფონზე.

ვერ გეტყვით, რომ სააკაშვილს ივანიშვილის ხელისუფლების დანდობა ეწადა, მაგრამ მისი გადაწყვეტილება, თუნდაც პირადი გათვლებით ნაკარნახევი, მხოლოდ პროკურატურის წისქვილს უმღვრევს წყალს. თუმცა, მკითხველს მორიგი მოსაზრებებით რომ არ ვატკინოთ თავი, სჯობს ამბავს ქრონოლოგიურად მივყვეთ:

ყველა ხელისუფლება, რომელსაც უახლეს ისტორიაში მოვესწარით, თავს კანონმდებლობაში დემოკრატიული ნორმების შეტანით იწონებდა. ასე იყო წინა ხელისუფლების პირობებშიც, თუმცა მაშინ დაანონსებული ე.წ. „ახალი საპროცესო“ კოდექსი, რომელსაც სამართალწარმოებაში მხარეთა შეჯიბრობითობა სულ სხვა ხარისხში აჰყავდა, დაანონსების ფარგლებს თითქმის არ გასცდენია. რადგან ყველაზე ლიბერალური მუხლები, რომლებიც მაშინ ჩაიდო კანონმდებლობაში, ამოქმედდებოდა მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ. მაგალითად, ერთ-ერთი მუხლი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას ახლადაღმოჩენილი გარემოების სტატუსს აძლევდა, 2010 წელს მიღებული კანონის მიხედვით, მხოლოდ წელს, 2013-ში უნდა ამოქმედებულიყო.

რა კავშირი აქვს პრეზიდენტის ვეტოს პოლიტიკურ დაჭერებთან?

ამდენად, არც უსუფაშვილის პარლამენტს გამოუგონია ახალი ველოსიპედი, როდესაც ადვოკატთა ასოციაციის სამუშაო ჯგუფის მიერ ინიცირებული ცვლილება დაცვის მხარისთვის ჩხრეკა-ამოღების უფლების მინიჭების თაობაზე მიიღო, მაგრამ მისი ამოქმედების ვადა 2014 წლის 1 სექტემბრისთვის გადასწია. წინა ხელისუფლებისგან ახალი პარლამენტის მოქმედება იმით განსხვავდება, რომ ამის შესახებ საზოგადოებამ მხოლოდ მესამე მოსმენის შემდეგ შეიტყო. როგორც ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელი, ზაზა ხატიაშვილი ირწმუნება, პირველი მოსმენით ეს მუხლი გამოქვეყნებისთანავე უნდა ამოქმედებულიყო. საბოლოო გადაწყვეტილება კი ჩუმად მიიღეს და თანაც, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილის, ლაშა ნაცვლიშვილის დაჟინებული მოთხოვნით.

ეს ინფორმაცია, ბუნებრივია, ლოგიკას სულაც არ არის აცდენილი, რადგან ყველა ხელისუფლების პირობებში ბრალდების მხარე მოტივირებულია იმისთვის, რომ დაცვის მხარე რაც შეიძლება სუსტი იყოს. და თუ ამას კანონიც შეუწყობს ხელს, სახეზე სწორედ იმას მივიღებთ, რაც უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში გვქონდა.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის „პრაიმტაიმმა“ გადაწყვიტა გაპროტესტებული და შემდგომ ვეტოდადებული მუხლი მკითხველისთვის კონკრეტული ისტორიების მაგალითზე შეეთავაზებინა.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, ცისმარი ონიანი იხსენებს, რომ დაახლოებით სამი წლის წინ, მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს პროკურატურა ყაჩაღობაში სდებდა ბრალს, იმ დროს, როდესაც ის იმ ტერიტორიაზე ფიზიკურად არ იმყოფებოდა და მას ამის დამტკიცება შეეძლო:

- ეს მოხდა ვაჟა-ფშაველაზე. დააყაჩაღეს ავტომანქანების საღებავების ჯიხური. როცა ეს ფაქტი მოხდა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი სულ სხვა ადგილას იმყოფებოდა. 34 შუამდგომლობა მქონდა დაყენებული, მაგრამ გამოძიების პროცესში არც ერთი არ დამიკმაყოფილეს. ვითხოვდი სატელეფონო საუბრების ამოღებას. ეს თუ მოხდებოდა, ადგილმდებარეობის დადგენაც იყო შესაძლებელი. ამით დავადასტურებდი, რომ ეს პიროვნება იმ რადიუსში საერთოდ არ იმყოფებოდა. უფრო მეტიც, თავად მოვიპოვე მტკიცებულებები, მაგრამ კანონიერ მტკიცებულებად არ ჩამითვალა არც სასამართლომ და არც გამოძიებამ.

- თვითონ მოიძიეთ?

- მოვიძიე, მაგრამ არ დამიკანონეს და ამიტომ ჩემ მოპოვებულ მასალებს მტკიცებულების ძალა არ ჰქონდა.

- არადა შეიძლებოდა ეს ადამიანი გამართლებულიყო?

- რა თქმა უნდა. უფრო მეტიც, ისიც დავადგინე, რომ დაზარალებული მისმა უახლოესმა მეგობარმა დააყაჩაღა.

- თუ შესაბამისი დოკუმენტაცია გქონდათ, რატომ არ მიიღო ის სასამართლომ?

- იმიტომ რომ, როდესაც ჩხრეკა, ან ამოღება გინდა, ამისთვის სასამართლოს განჩინება უნდა გაიცეს და მხოლოდ მას შემდეგ ითვლება ის კანონიერ მტკიცებულებად.

ცისმარი ონიანი

- 111-ე მუხლს, რომლის ამოქმედებაც პარლამენტმა ერთი წლით გადადო, მაშინ რომ ემოქმედა, რა მოხდებოდა?

- ჩემ მიერ წარმოდგენილი მასალები მტკიცებულებად ჩაითვლებოდა და კლიენტის გამართლებას შევძლებდი, რადგან ფაქტს ვერსად წაუვიდოდა, ვერც გამოძიება და ვერც სასამართლო.

- როცა არსებობდა გამართლების პერსპექტივა, როგორ დასრულდა ეს საქმე?

- საპროცესო შეთანხმებით დავამთავრეთ, ისე, როგორც ყველა საქმე, თანხის გადახდის გარეშე. სხვა გამოსავალი არ იყო. 9 თვე მიმდინარეობდა საქმის განხილვა და 1 წელი მიუსაჯეს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არ აღიარებდა დანაშაულს. არ უნდოდა ასეთი იარლიყით ცხოვრება. 2 წლის წინაც მქონდა ერთი საქმე გლდანი-ნაძალადევში. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს აბრალებდნენ მანქანების სარკეების ქურდობას. მაშინ იკრიბებოდა ყველა დანაშაული. 11 ეპიზოდი იყო. 17 წლის ბავშვს შეკრებით უწევდა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა. მოვიპოვე მტკიცებულებები. ჩემი დაცვის ქვეს მყოფმა მომცა უფლება, ამომელო სატელეფონო ჩანაწერები. მაგრამ ამას სჭირდებოდა სასამართლოს განჩინება, რათა საშუალება მომცემოდა დამედგინა ანძებით, ამ საუბრის დროს სად იმყოფებოდა ეს ბავშვი. მოვიპოვე დადასტურება იმისა, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მეგობარს იმ დღეს ღამის 11 საათიდან 2-ის ნახევრამდე მესიჯებით ეკონტაქტებოდა. გამოძიება კი მიმტკიცებდა, რომ ეს ბავშვი, თან სარკეებს იპარავდა და თან მესიჯებს წერდა მეგობარს. ვერაფრით მოვახერხე სასამართლოს გამოეცა განჩინება და გამოძიებას გამოეთხოვა „ჯეოსელიდან“ ანძებით მდებარეობის დადგენის უფლება. რაკი ასეთი განჩინება არ მოგვცა სასამართლომ, შესაბამისად, მტკიცებულებაც ვერ მოვიპოვე.

პრეზიდენტის გადაწყვეტილება რამდენიმე კურდღელს იჭერს ერთად

- ამ შუამდგომლობას მხოლოდ არსებითი განხილვის დროს აყენებდით, თუ წინასწარი გამოძიების პროცესშიც?

- ყველა ეტაპზე. 12 შუამდგომლობა მაქვს დაყენებული და ბოლოს დაცინვით მითხრეს, ეს ყველაფერი სასამართლოში გინდა წარადგინოო? ანუ, არაფერს ჰქონდა მნიშვნელობა, თუ ამას სასამართლო არ დამიკანონებდა. ასე თუ გაგრძელდება, ვერასდროს შევძლებთ ჩვენ, რომ თუნდაც ფოტოთი ან ვიდეომასალით დადასტურებული ალიბი ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფის სასარგებლოდ იყოს გამოყენებული. გახსოვთ, 13 კაცი რომ დაიჭირეს, თითქოს შეიარაღებული დაჯგუფება შექმნეს? ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ისე იყო ნაცემი, რომ პროცესზე ვერ წარმოადგინეს ეს პიროვნება. სამედიცინო შემოწმება მოვითხოვეთ. საავადმყოფოდან მიტანილი ცნობა მტკიცებულებად არ ჩაითვალა. არადა ჯანმრთელ მდგომარეობაში მიიყვანეს დაკითხვაზე. 4 საათის შემდეგ კი სერიოზული დაზიანებებით გადაიყვანეს საავადმყოფოში. სწორედ იმის გამო, რომ კანონი არ გვაძლევდა ამოღების უფლებას, ეს ყველაფერი ვერ დავამტკიცე. ამ მუხლს მაშინ რომ ემოქმედა, ასეთი ცნობის მტკიცებულებად ჩათვლა სასამართლოს ვალდებულება იქნებოდა. როდესაც ადვოკატი კლიენტს სთავაზობ ამათუიმ მოქმედების განხორციელებას და ის გთანხმდება, ნიშნავს, რომ ის თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს. ბუნებრივია, ადვოკატმა ყველაფერი უნდა გააკეთო მის გასამართლებლად, ანუ მოიპოვო მტკიცებულებები. ამის უფლება კი ადვოკატს მხოლოდ სასამართლოს განჩინების შემდეგ ეძლევა. ეს უფლება გადაგვიწიეს 2014 წლი 1 სექტემბრამდე.

როგორც ჩანს, ეს თარიღიც გარკვეული მოსაზრებით იქნა მითითებული კანონში. სწორედ ეს თარიღი გვკარნახობს ახალი ხელისუფლების შესაძლო განზრახვებს, რომ ყოფილი ხელისუფლების პირთა სკანდალური დაჭერები ამ დროისთვის, სავარაუდოდ, დასრულებული უნდა იყოს.

რაც შეეხება სააკაშვილის გადაწყვეტილებას ვეტოზე და ამ ვადის 2013 წლისთვის გადმოწევის რეკომენდაციას, ცხადია, პრეზიდენტის გადაწყვეტილება რამდენიმე კურდღელს იჭერს ერთად - იგებს ადვოკატთა კორპუსის გულს, აშკარად უფრო დემოკრატიულად გამოიყურება, ვიდრე მოქმედი ხელისუფლება და რაც მთავარია, ბუნებრივია, ის ზრუნავს საკუთარ გუნდზეც, რომელიც ლაშა ნაცვლიშვილის უნყების ინტერესის ძირითად ობიექტს წარმოადგენს. მათ ახლა, როგორც არასდროს, ისე სჭირდებათ დაცვის პოზიციის გაძლიერება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ავერსის გათამაშება

ავერსის სააფთიაქო ქსელის დაგროვებითი "მტრედი ბარათი" უკვე 5 წლის გახლავთ. გარდა იმისა, რომ ბარათზე დაგროვილი თანხით მომხმარებელს სასაჩუქრე კატალოგიდან სასურველი პრიზის არჩევა შეუძლია, მას საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წამახალისებელ გათამაშებაშიც.

"ავერსი" მეოთხე გრანდიოზულ გათამაშებას გთავაზობთ:

- ავერსის აფთიაქებში ყოველ გადახდილ 20 ლარზე საჩუქრად მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს,ხოლო დახარჯული თანხის 10% -მდე კვლავ მტრედი ბარათზე დაგიბრუნდებათ.
- ბარათზე დაგროვილ 50 მტრედზე საჩუქრად მიიღებთ დამატებით გათამაშების 3 ბილეთს!
- 10 მტრედის სანაცვლოდ მიიღებთ გათამაშების 1 ბილეთს.

გათამაშება შედგება 19 ივნისს, საღამოს 19:30-ზე

თამაშდება:

5 x 5000 ლარი

5 x 10000 ლარი

20000 ლარი

ავერსი – ჯანმრთელობა და სულიერი სიმშვიდე!

WWW.AVERSI.GE

☎ 2-967 227

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომელი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს კობა ნარჩემაშვილი?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

კობა ნარჩემაშვილი ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებაში პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს და იზიარებს საზოგადოების იმ ნაწილის აზრს, რომელიც სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამოდის. კონკრეტულად რის აღდგენას ითხოვს შევარდნაძისდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი? იყო თუ არა მის დროს ქვეყანაში სამართლიანობა და რატომ ვერ მოახერხა თავად პოლიციაში ტოტალური მექრთამეობის აღმოფხვრა? „პრაიმტაიმი“ ამ თემებზე შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, კობა ნარჩემაშვილს ესაუბრა.

EXCLUSIVE

კობა ნარჩემაშვილი:
„ძნელია, მოძებნო სამი ერთგული კაცი, მაგრამ ადვილია, მოძებნო ერთი ვანო მერაბიშვილი“

– ბატონო კობა, სამართლიანობის აღდგენის პროცესით მინდა დავიწყოთ საუბარი... სიტყვა „აღდგენა“ გულისხმობს, რომ რაღაც იყო, დავკარგეთ და ახლა უნდა აღვადგინოთ... შინაგან საქმეთა თქვენი მინისტრობისდროინდელი სამართლის აღდგენა გსურთ?

– 2004-2012 წლებში მიმდინარე პროცესები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ერთი პოლიტიკური გუნდის მიერ დამყარდა დიქტატურა. შეიძლება მე არ გამოვდგები იმ ადამიანად, რომელიც შევარდნაძის მმართველობაზე ისაუბრებს, თუმცა იმ პერიოდს ჩვენ მაინც ვერ ვუწოდებთ რეჟიმს. რეჟიმი ხასიათდება სხვა ნიშნებით. ესაა – ზღვარსგადასული ძალადობა, ერთი სინდიკატის კორპორაციული ამოცანებისთვის მთელი საზოგადოების დამორჩილება, საკუთრებისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა. ეს ყველაფერი დამახასიათებელია სწორედ რევოლუციის შემდგომი რეჟიმისთვის და არა შევარდნაძის პერიოდისთვის. კი, ბატონო, თუ ვინმეს მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს 1992-2003 წლების შეფასებაც, მე ამის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საკითხია. საზოგადოების უდიდესი ნაწილი დღეს სამართლიანობის აღდგენას ითხოვს საკაშვილის ხელისუფლებასთან მიმართებაში. თუ თვლით, რომ აკადემიური მსჯელობაა საჭირო ტერმინ „აღდგენასთან“ დაკავშირებით, ეს სხვა საკითხია. ახლა საუბარია მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნაზე. ეს, რასაკვირველია, მისასალმებელია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბევრ შემთხვევაში საქმე მართლმსაჯულებამდე არ მისულა. იბარებდნენ ღამის საათებში მეწარმეებს და ყოველგვარი მართლმსაჯულების გარეშე აფორმებინებდნენ კუთვნილ ქონებას. ახლა ეს ადამიანი გამოდის და ამბობს, – მე ვითხოვ სამართლიანობის აღდგენას და რამე იღონეთო. სამწუხაროდ, ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, ასეთი ქმედება წინა ხელისუფლებამ ხელობად გაიხადა. მე არ ვიცი, რამდენად სწორია ტერმინი „სამართლიანობის აღდგენა“, მაგრამ საზოგადოებაში არსებობს ლეგიტიმური მოთხოვნა, დადგეს სამართალი.

– თქვენ, როგორც შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, როგორ აფასებთ ვანო მერაბიშვილის საქმიანობას? ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება გაქვთ?

– არის რაღაცები, რაზეც შეიძლება თქვა, რომ ეს იყო პოზიტივი. მაგრამ, საერთო ჯამში, მისი საქმიანობა ფასდება ნეგატიურად და აგიხსნით რატომ: ყველაფერი ის, რაც კი მისი მინისტრობის დროს შეიქმნა, დაწყებული ადამიანური რესურსებით და დამთავრებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ემსახურებოდა არა საზოგადოებრივ წესრიგს, არამედ ერთი ჯგუფის პოლიტიკურ ამოცანებს. გასაგებია, რომ პატრული არ იღებს ქუჩაში 2 და 5 ლარს, მაგრამ...

– მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი პრობლემა თქვენი მინისტრობის დროს... თუკი პოლიციის სისტემაში ტოტალური მექრთამეობის აღმოფხვრა მოხერხდა მერაბიშვილის დროს, რატომ ვერ შეძელით ეს თქვენ?

– ჯერ ერთი, მე მინისტრი ვიყავი ბოლო ორი წლის განმავლობაში და მინდა გითხრათ, რომ საგზაო პოლიციის რეფორმაზე მუშაობის დაწყებას ვაპირებდით. გვქონდა რეფორმირების გეგმა, რომლის განხორციელებაც, სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. ეს დამატებითი თანხების მოძიებასთან იყო დაკავშირებული. მე არ ვამბობ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩემს დროს უნაკლო იყო და არც იმას გეტყვით, რომ ის მთლიანად თავისუფალი გახლდათ პოლიტიკური დატვირთვისგან, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს ის მთლიანად გახდა პოლიტიკური პოლიცია. რევოლუციის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრო გადაიქცა მონსტრად, მან შეითავსა სახელმწიფო უშიშროების სამსახურები, საზღვრის დაცვა... ეს ყველაფერი დამახასიათებელია პოლიტიკური რეჟიმებისთვის, რომლებიც მოსახლეობაზე ტოტალურ კონტროლს ახორციელებენ. ძნელია, მოძებნო სამი ერთგული კაცი, მაგრამ ადვილია, მოძებნო ერთი ვანო მერაბიშვილი, რომელიც ყველაფერს გააკონტროლებს. იგივე 26 მაისიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება, მერაბიშვილის ქმედებები ჩაითვალოს პოზიტივად... მე მაქვს ინფორმაცია, რომ შსს-ს თანამშრომლები, სპეცდანიშნულების რაზმის წევრები დამატებით გასაიდუმლოებული ბარათებით იღებდნენ ანაზღაურებას სხვადასხვა კომერციული სტრუქტურებიდან. ეს საკითხი შესაძლოა, გახდეს გამოძიების ინტერესის საგანი. იწერებოდა სოლიდური პრემიები, თუ ადამიანებს უმოწყალოდ გაუსწორდებოდნენ მიტინგებზე. ამას ადგილი ჰქონდა 26 მაისს, ასევე 7 ნოემბერსაც.

„ძნელია, მოძებნო სამი ერთგული კაცი, მაგრამ ადვილია, მოძებნო ერთი ვანო მერაბიშვილი“

– წეღან თქვენს დროს არსებულ მასშტაბურ კორუფციაზე გკითხეთ... რატომ ვერ მოახერხეთ ამის აღმოფხვრა პოლიციიდან?

– მაშინ ძირითადად გვქონდა სახსრების მოძიების პრობლემა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მერაბიშვილის დროს 800 მილიონზე ადიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება, ჩემს დროს იყო 49 მილიონი. ბუნებრივია, ამ დაფინანსების პირობებში კორუფციასთან ბრძოლა ძალიან რთული იქნებოდა.

– ანუ ნაციონალების დროს 12-ჯერ გაიზარდა მხოლოდ შსს-ს დაფინანსება...

– დიახ, მაგრამ იმ შემთხვევაში ჩვენ მეტს არ გვაძლევდნენ. ეს იყო უპრინციპო და არაგუნდური პოლიტიკის შედეგი. მე ამას ვაღიარებ. ამ ყველაფერმა საზოგადოებას მოუტანა მძიმე შედეგები, მაგრამ მეორეა ის, რაც ამის შემდეგ მოხდა.

– როგორც შს ყოფილი მინისტრი, საინტერესოა, როგორ აფასებთ პარლამენტის მიერ მიღებულ ფართომასშტაბიან ამნისტიას და ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენურ ვითარებას?

– შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე მომხრე ვიყავი, რომ ამნისტია ყველას შეხებოდა. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა გამოსულიყო ციხიდან. როდესაც ხელისუფლება იცვლება, საზოგადოება რაღაც ახლის, კათარზისის მოლოდინშია. სასჯელები, რომელიც ამ პერიოდში დგებოდა, მათ შორის მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, იყო არამართლზომიერი. შესაძლოა, ამნისტიის დროს კონკრეტულ პიროვნებებთან მიმართებაში შეცდომა დაუშვეს და ზედმეტი ჰუმანურობა გამოიჩინეს, მაგრამ, საერთო ჯამში, ეს აქტი უნდა განხორციელებულიყო. დანაშაულს სჩადის როგორც ამნისტირებული, ისე არაამნისტირებული, ასე ვერ გავმიჯნავთ. სიმართლე გითხრათ, უფრო მეტ აფეთქებას ველოდი, მაგრამ შსს-ს სწორი მუშაობის შედეგად, ალბათ, ეს სიტუაცია მალე დარეგულირდება. ჩემი წარსულის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ვყოფილვარ უფლებადამცველი, ამ აქტის მომხრე ნამდვილად ვიყავი.

„ეს ყველაფერი დამახასიათებელია პოლიტიკური რეჟიმებისთვის, რომლებიც მოსახლეობაზე ტოტალურ კონტროლს ახორციელებენ“

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სამეგრელო კვლავ „მხედრიონს“ და „ნაციონალებს“ აქვთ ანექსირებული“

EXCLUSIVE

„გამგებელმა უნდა იმუშაოს ისე, რომ სამეგრელოში ახალაიას მხარდამჭერი მიტინგები არ გაიმართოს“

„ნაციონალების“ და დავით უსუფაშვილის ინტერესები ძალიან ემთხვევა ერთმანეთს“

მირიან ბოქოლიშვილი

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე სამეგრელოში ყოფილი „მხედრიონელები“-ს გააქტიურებაზე საუბრობს და ბიძინა ივანიშვილს ამ ამბით დაინტერესებას ურჩევს. გარდა ამისა, ის, პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის გარდა ვადამდელი არჩევნების იდეით გამოდის და დავით უსუფაშვილს „ნაციონალების“ ინტერესების დაცვაში ადანაშაულებს. რა ხდება „ქართული ოცნების“ კულუარებში, ბიზნესსა და რეგიონებში? ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ სანდრო ბრეგაძეს ესაუბრა.

სანდრო ბრეგაძე:

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არა მხოლოდ პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციის მოთხოვნაა, არამედ ამ იდეას უმრავლესობის შიგნითაც საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. არსებობს ლოგიკური ჯაჭვი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური სივრციდან განდევნის ყველაზე დემოკრატიული ხერხი არის სწორედ ვადამდელი არჩევნები, რომელიც აუცილებლად უნდა დაინიშნოს, რადგან გაგრძელდეს ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება. ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ქართული დემოკრატიის ამოცანას წარმოადგენს „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა. ეს უფრო ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე განცხადება მგონია. ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტით პარლამენტში მოხვედრილი დაბალრეიტინგული პარტიები ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში თუ დაინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები და ყველას მიეცემა დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება, მათი გამარჯვება გამორიცხულია.

– დაბალრეიტინგულ პარტიებში „რესპუბლიკურ პარტიას“ გულისხმობთ?

– დიახ, ამ პარტიის ლიდერმა განაცხადა „ნაციონალების“ გადარჩენის შესახებ. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დათო უსუფაშვილი გამოდიოდა თავის ვიწრო პარტიული ინტერესებიდან, ვიდრე საერთო ინტერესებიდან. არა მგონია, რომ ის გულის სიღრმეში მართლა ფიქრობდეს „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენაზე, ეს უფრო საკუთარი თავის გადარჩენას ჰგავს. მის პარტიას ყველაზე მეტად აწყობს პარლამენტში „ნაციონალები“ ჰყავდეს პოლიტიკურ ოპოზიციად და ეს სტატუს კვო იქნას შენარჩუნებული. ფაქტობრივად, დღეს საპარლამენტო ცხოვრებას „რესპუბლიკელები“ განაგებენ; ისინი კარგად აცნობიერებენ, რომ ვადამდელი არჩევნების შემთხვევაში, შესაძლოა ეს პრივილეგია დაკარგონ. ხელოვნურად „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სიცოცხლის გახანგრძლივება, ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას იმ დანაშაულობებზე, რა დანაშაულებსაც სჩადიოდა ეს გუნდი წლების განმავლობაში. ყველამ უნდა გაითავისოს ერთი რამ: ის სკამები, რაც მათ ოქტომბრის შემდეგ მოიპოვეს, მათ უბოძათ ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა, საქართველოს მოსახლეობის შეკვეთა არ ყოფილა, რომ მათ „ნაციონალური მოძრაობა“ გადაერჩინათ. თუ ამას აპირებდნენ, პირველ ოქტომბრამდე ეთქვათ და ვნახავდი ვინ მისცემდათ ხმას. საქართველოს მოსახლეობის შეკვეთა არის ის, რომ დამნაშავეები განიდევნონ პოლიტიკური სივრციდან და ყველა ჯანსაღ ძალას მიეცეს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობა. ამ აზრს, როგორც გითხარით, საპარლამენტო უმრავლესობის დიდი ნაწილიც იზიარებს.

– მაგალითად?

– გაგახსენებთ, თუნდაც ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის განცხადებას, რომ მას ძალიან უჭირს პარლამენტში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად ჯდომა. გარდა ამისა, პრივატულ საუბარში ამას ბევრი დეპუტატი ამბობს, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ უმრავლესობის 80 პროცენტი მხარს უჭერს ვადამდელ არჩევნებს. მე ვერ ვიტყვი, რომ ამ საკითხზე დაპირისპირებაა „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ ფაქტია, რომ არსებობს სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა. სამწუხაროდ, „ნაციონალების“ და დავით უსუფაშვილის ინტერესები ძალიან ემთხვევა ერთმანეთს. მე არ ვიძახი, რომ უსუფაშვილი შეკრულია „ნაციონალებთან“, მაგრამ დღეს ამ ორ ძალას აქვს საერთო ინტერესი. დღევანდელი პარლამენტი არ წარმოადგენს ქართველი ერის ნების გამოხატულებას, ეს უნდა იცოდეს პარლამენტის თავმჯდომარემაც და სხვებმაც.

– თქვენ ამბობთ, რომ „რესპუბლიკელებს“ დაბალი რეიტინგი აქვთ, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათ ასევე აქვთ საკმაოდ დიდი გავლენა ხელისუფლებაში...

– დიახ, მათ ნამდვილად აქვთ გავლენები, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად რომ გამოვიდნენ არჩევნებში, იგივე გავლენების მოპოვება ნამდვილად გაუჭირდებათ. კი, მე ვაღიარებ, რომ საპარლამენტო ხელისუფლება მათ ხელშია, მაგრამ ეს არ გახლავთ მათი დამსახურება. რომ არა ბიძინა ივანიშვილი ისინი ამ პოზიციებს ვერასდროს დაიკავებდნენ.

– გავლენებს რაც შეეხება, ხშირად საუბრობენ, ასევე გია ხუხაშვილის შეუზღუდავ ძალაუფლებაზე, მათ შორის ბიზნესსექტორში...

– ბოლო პერიოდში რაღაც მეცნიერებად ჩამოყალიბდა ხუხაშვილოლოგია. ეს ზოგჯერ მითოლოგიის სფეროა, თუმცა ამ მითებსაც შეიძლება ჰქონდეს საფუძველი, რასაც ჩემ მიერ გადამოწმებული ფაქტებიც ამყარებს. ამ ფიგურასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები გაჩნდა. პირდაპირ გეტყვით, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაზე, აქ არ იყო საუბარი მხოლოდ პოლიტიკურ ცვლილებაზე, ხალხის მოთხოვნა იყო იმ მაფიოზურ-კლანური სისტემის დანგრევა, რაც სააკაშვილს ჰქონდა ჩამოყალიბებული. ყველა სფერო მონოპოლიზებული იყო სააკაშვილის და მისი გარემოცვის მიერ კონტროლირებადი კომპანიებისგან, – ეს ფოსტა, ბანკი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები, ... ეს ... ეს ... ეს

„ვისოლი“ „უნიქარდით“ ქულების დაგროვებას მომხმარებელს უკვე გაზგასამართ სადგურებზეც სთავაზობს

უმაღლესი ხარისხის საწვავი და კომფორტული მომსახურება... კომპანია „ვისოლი“, რომ ერთგულ მომხმარებელს მაქსიმალურ კომფორტს უქმნის ბენზინგასამართ სადგურებზე, ეს უკვე მძღოლებისთვის კარგად ნაცნობი თემაა. პირველი ივნისიდან, „ვისოლის“ გაზგასამართ სადგურებზე, ყველაზე ეკონომიური და ეკოლოგიურად სუფთა საწვავის შეძენასთან ერთად, მომხმარებელს საშუალება ექნება დააგროვოს „უნიქარდის“ ქულები და მიიღოს საჩუქრები. ამ სიახლის შესახებ კომპანიის წარმომადგენლებმა, ჟურნალისტებთან, რამდენიმე დღის წინ, საპრეზენტაციო მიღებაზე ისაუბრეს.

ვასილ ხორავა, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი: „ვისოლი“ მუდმივად ზრუნავს ერთგული მომხმარებლის წახალისებასა და კმაყოფილებაზე არა მხოლოდ უმაღლესი ხარისხის საწვავისა და მომსახურების მიწოდებით, არამედ დამატებითი სარგებლის შეთავაზებით. ამიერიდან, „ვისოლის“ ერთგულ მომხმარებელს უკვე „ვისოლის“ გაზგასამართ სადგურებზეც ექნებათ „უნიქარდით“ ბონუს ქულების დაგროვების საშუალება და ჩვენ ერთად უკეთ შევძლებთ მათი სურვილების ასრულებას. მოგახსენებთ, რომ კომპანია „ვისოლს“ აქვს ბრენდირებული გაზგასამართი სადგურების საკმაოდ ფართო ქსელი. ჩვენ სამი წელია ვთანამშრომლობთ „უნიქარდთან“ და ვფიქრობთ, რომ ამ შეთავაზებით მომხმარებელი კმაყოფილი იქნება“.

შეგახსენებთ, რომ „ვისოლი“ „უნიქარდის“ ექსკლუზიური პარტნიორი 2010 წლის აპრილიდან გახდა და დღემდე „უნიქარდის“ დაგროვების ბარათის მფლობელთა შორის „ვისოლის“ ქსელში რეალიზებული საწვავის შესყიდვა ბონუს ქულების დაგროვების ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი და სწრაფი საშუალებაა. დაგროვებული ქულების სანაცვლოდ კი, სხვა საჩუქრებთან ერთად, „უნიქარდით“ შესაძლებელია „ვისოლის“ სანვავის საჩუქრად მიღება.

ბესო აბულაძე, კომპანია „უნიქარდის“ გენერალური დირექტორი: „ჩვენს ქსელს, რომელიც დღეისთვის 1 000-ზე მეტ ობიექტს მოიცავს, უკვე დაემატა „ვისოლის“ გაზგასამართი სადგურების ქსელიც. აქამდე „უნიქარდი“ „სმარტისა“ და „ვისოლის“, ბენზინგასამართ სადგურების კუთხით თანამშრომლობდა, მაგრამ დღეიდან, მომხმარებელს შეუძლია ქულების დაგროვება „ვისოლის“ გაზგასამართი სადგურების ქსელშიც“.

„უნიქარდი“ უნივერსალური დაგროვებითი ბარათია. ქულების დაგროვება შესაძლებელია სავაჭრო და მომსახურების სფეროს 1 000-ზე მეტ ობიექტში. „ვისოლ ჯგუფის“ შვილობილ კომპანია „სმარტში“ „უნიქარდით“ არა მხოლოდ ბონუს ქულების დაგროვება, არამედ ქულებით ნებისმიერი პროდუქტის შესყიდვაა შესაძლებელი.

დათო გურგენიძე, „ვისოლის“ გაზგასამართი სადგურის მომხმარებელი: „უკვე წლებია, რაც „ვისოლის“ აქტიური მომხმარებელი ვარ. ძალიან გამიხარდა, რომ შესაძლებლობა მაქვს, ავტომობილის გაზით დატუმბის შემდეგ, „უნიქარდზე“ ქულები დავაგროვო“.

„ვისოლს“ ბრენდირებული გაზგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელი აქვს საქართველოში. „ვისოლის“ გაზგასამართი სადგურები წარმატებით ფუნქციონირებენ თბილისში, გორში, ბორჯომში, ბათუმში, თელავში, ხაშურში, ზესტაფონსა და საჩხერეში. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ერთადერთი ნავთობკომპანიაა საქართველოში, რომელმაც ინტეგრირებული ავტოგასამართი სადგურები დანერგა ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია ავტომობილების გამართვა, როგორც ბენზინითა და დიზელით, ისე შეკუმშული ბუნებრივი გაზით. კომპანია „ვისოლი“ მომხმარებელს შეკუმშულ ბუნებრივ გაზს 2007 წლის სექტემბრიდან სთავაზობს.

Ⓐ

გაზაფხულის „ერგოლაინური“ სიახლე

მსოფლიოში აღიარებული ნომერ პირველი გერმანული კომპანია „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფსთაილ სტუდიო“ მომხმარებელს სოლარიუმის უმაღლეს, უსაფრთხო და კომფორტულ მომსახურებას სთავაზობს. ნამზეური კანი რომ ლამაზი, მოდური, სექსუალური და მიმზიდველია ამაზე აღარავინ დაობს, ამიტომაც აბაშიძის 22-ში, „ერგოლაინის“ ახალ მისამართზე, სადაც მეტ სივრცეში და თავისუფალ გარემოში კომფორტულ სერვისს გთავაზობენ, უამრავ ადამიანს ნახავთ.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ ექვსი სხვადასხვა კლასის აპარატია. ერთი დასადგომი „ტურბო“, ხოლო ხუთი ჰორიზონტალური დასაწოლი აპარატი. განსაკუთრებულად ხაზგასმის ღირსი კი დასაწოლი ჰორიზონტალური აპარატებია, რომელსაც აქვს სახის ლამპები. სახის ლამპები ცალკე მახასიათებლებით გამოირჩევა და იცავს სახის კანს, რომელიც განსაკუთრებული და ნაზია. მხოლოდ ჰორიზონტალურ აპარატებს აქვთ სრული კომფორტი და სარელაქსაციო ეფექტი. ამას უზრუნველყოფს: AQUA FRESH- ზღვის შხეფის ეფექტი, გარუჯვის სეანსის დროს სასიამოვნოდ გაგრილებთ ნოტიო ჰაერი, რომელიც თქვენს კანს ტენიანობას უნარჩუნებს.

AROMA THERAPY- თქვენს სეანსს სასიამოვნოდ სურნელოვანს ხდის.

CLIMATCONTROL- აპარატში დააყენებთ თქვენთვის სასურველ ტემპერატურას.

VOICE GUIDE- ხმოვანი გიდი, მოლაპარაკე აპარატი, აგიხსნით თავის ფუნქციებს.

3D SOUNDI - მუსიკის 3D ჟღერადობა.

აქ შეგხვდებათ აპარატი სახელწოდებით „Ergoline 990 პრესტიჟი IQ“ , რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ არის, მეტიც, ის ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც დიდი ფუფუნებაა. ეს არის ჭკვიანი, ახალი ტექნოლოგიის აპარატები, რომლებსაც აქვთ IQ სენსორი. სენსორი, არის ფოტოელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც იდებთ კანზე და მონაცემების შესაბამისად, შეგირჩევთ თქვენი კანისთვის იდეალურ პროგრამას. ეს კი უზრუნველყოფს ლამპების სიმძლავრის ცვლილებას 120 ვატიდან 200 ვატამდე, მთელი სეანსის განმავლობაში. იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნა აქვს თქვენს კანს. ეს არის უახლესი ტექნოლოგიის აპარატი, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველია და გერმანულმა ფირმა Ergoline-მა შეიმუშავა. ტექნოლოგია დამუშავებულია ისე, რომ ხდება სხივების გაფილტვრა. პრინციპი აგებულია, მზის სხივის შემადგენლობაზე, სოლარიუმში გამოიყენება A და B სხივი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპარატების დეზინფექციას.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ სპეციალური ხსნარის „სოლარფიქსის“ მეშვეობით ხდება აპარატების გაწმენდა. ეს არის სადეზინფექციო საშუალება, რომელიც არ შეიცავს ქლორს და ალკოჰოლს.

კომპანიის მთავარი დევიზია ევროპული სტანდარტების შენარჩუნება, ეს სოლარიუმის მომსახურეობის ხარისხშიც აისახება. ამისთვის აუცილებელია დროულად იყოს გამოცვლილი ლამპები, ფილტრები და სტარტერები, რომლებიც უზრუნველყოფენ აპარატების გამართულ მუშაობას. სოლარიუმი უსაფრთხო და სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ყველა ზემოაღნიშნული ნორმა დროულად და ხარისხიანად არის დაცული. „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა კი ამას იოლად ახერხებს, რადგან ის პირდაპირ დაკავშირებულია გერმანიის Ergoline-ის მწარმოებელ ქარხანასთან.

„კოლაგენარიუმი“

კოლაგენარიუმი - აპარატი, რომელიც აღადგენს კანის უჯრედებს. ეს არის არა გასარუჯი, არამედ კანის მოვლის აპარატი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში კანის გამაახალგაზრდავებელი ნივთიერებების კოლაგენისა და ელასტინის გამოყოფას. ეს ხერხდება სპეციალური წითელი და ღრმა სხივით. ევროპაში ეს ტექნოლოგია ცნობილია, წითელი ნათების თერაპიის სახელით - red life terapi. ეს არის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რომელიც სულ რამდენიმე წელია დაინერგა ევროპაში. კოლაგენარიუმი, აძლიერებს ელასტინის გამომუშავებას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, უნარჩუნებს კანს ელასტიკურობას, აააქტიურებს ახალგაზრდა უჯრედების წარმოქმნას და ამით აფერხებს კანის დაბერების პროცესს. ამ აპარატით სარგებლობა „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოშია“ შესაძლებელი, რათა თქვენი კანი, ნამზეურებთან ერთად, ლამაზად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს. გარდა ამისა, აქ დგას ყველა სახის აპარატი, მათ შორის ე.წ. დეკოლტე, რომლის მეშვეობითაც ხდება გარუჯვა მხოლოდ სახეზე და მკლავებზე.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„აფხაზეთი და ოსეთი არ არის ოკუპირებული“

ვლადიმერ ხომერიკი: „ასეთი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, რუსეთს კიდევ მიეცემა საბაბი, იმოქმედოს ისე, როგორც 2-3 წლის წინათ იმოქმედა“

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

სოჭის ოლიმპიადაზე უსაფრთხოების პასუხისმგებლობას რუსეთი საქართველოსგან ითხოვს. უფრო სწორად, ორგანიზატორები თავისი წილი პასუხისმგებლობის ასაღებად მზად არიან, საქართველოსგან კი მიხეილ სააკაშვილის „განეიტრალებას“ ელოდებიან. რუსეთში ფიქრობენ, რომ სააკაშვილი მინიმუმ ერთი პატარა ბომბის აფეთქებას მაინც გეგმავდა, თუმცა მათივე მოსაზრებით ამის საშიშროება აღარ არსებობს. გარანტორი თავად ბიძინა ივანიშვილია.

ვლადიმერ ხომერიკი, რომელიც პუტინის ნდობით აღჭურვილ პირად აცხადებს თავს, ამბობს, რომ პუტინი მზად არის, შეხვდეს ბიძინა ივანიშვილს.

„იყო ასეთი საფრთხე, რომ სააკაშვილის მთავრობას პროვოკაციები მოეხდინა, მოეწყო ტერორისტული აქტები, შეეშინებინა მონაწილეები. ბუნებრივია, ეს ხმები რუსეთს აწუხებდა“

ვლადიმერ ხომერიკი, მსოფლიო ხალხთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი:

– პუტინმა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ გამოაცხადა, რომ მზად იყო, სააკაშვილის გარდა, ურთიერთობა ჰქონოდა ნებისმიერთან და ასეც არის. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ სააკაშვილის პოლიტიკა შეცვლილია. ივანიშვილი რატომღაც მზად არ არის, შეხვდეს პუტინს. თუმცა ეს მზაობა მოსკოვის მხრიდან უკვე არსებობს. პუტინი არაფერს ითხოვს და ნებისმიერ თემაზე მზად არის, ქართულ მხარეს დაელაპარაკოს. თუმცა შეხვედრა ვფიქრობ, საქართველოს ინიციატივა უნდა იყოს. ახლმა მთავრობამ განცხადება უნდა გააკეთოს, როგორ უყურებს არსებულ სიტუაციას. საქართველომ სომხეთის მაგალითი უნდა შეისწავლოს. გამოსავალი მთავრობებს შორის მოლაპარაკებების დაწყებაშია. ვფიქრობ, ახალმა მთავრობამ უნდა გადადგას ნაბიჯი რუსეთისკენ. მარტო რუსეთის დადანაშაულება არასწორია. ჩვენი ბრალი არ არის ის, რაც მოხდა 2008 წელს? ომი მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. თუ გინდათ, სიმართლე იცოდეთ. ჩვენ არ უნდა გავაგრძელოთ ისეთი ქმედებები, რომელმაც ოკუპირებამდე მიგვიყვანა. პოლიტიკა უნდა შეიცვალოს.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ ხვდება ივანიშვილი პუტინს?

– ვფიქრობ, ივანიშვილს აწევს ტვირთი, რომელიც არ აძლევს საშუალებას, გადადგას ეს ნაბიჯი – ამერიკის ზეწოლა. ასევე, ამ პროცესს ხელს უშლის სააკაშვილი და საპარლამენტო უმცირესობა. ისინი „ატორმუზებენ“ ამ პროცესს... თქვენ შეგიძლიათ, ჩათვალოთ, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია, მაგრამ მასე რუსეთიც ოკუპირებულია.

– ვის მიერ?

– რუსეთი ოკუპირებულია ქართველების მიერ, ერთი მილიონი ქართველი ცხოვრობს რუსეთში.

– შეგიძლიათ განმარტოთ სიტყვა „ოკუპაცია“?

– ოკუპაცია ნიშნავს, ძალით რომ შეიჭრები სხვის ტერიტორიაზე.

– მერე ის ქართველები, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ, ძალით შეიჭრნენ იქ?

– არა, არ შეჭრილან, მაგრამ ბევრი ქართველია იქ. როცა ოკუპაციაზე საუბრობთ, უნდა თქვათ, რომ ოკუპაციამდე რუსეთი საქართველოს არასწორმა ნაბიჯებმა მიიყვანა. თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთს ზედმეტი მიწები სჭირდება? რუსეთს რომ ტერიტორიები აქვს, არავის არ აქვს იმდენი მსოფლიოში.

– მიგაჩნიათ, რომ აფხაზეთი და ოსეთი რუსეთის მიერ ოკუპირებული არ არის?

– აფხაზეთი და ოსეთი არ არის ოკუპირებული. ოკუპაცია სულ სხვა რამეს ნიშნავს. რუსეთის წვლილი ნამდვილად არის იმაში, რომ ეს ტერიტორიები დამოუკიდებელი გახდა, მაგრამ რუსეთი საქართველომ გახადა იძულებული, ასე მოქცეულიყო. მართალია, აღიარების უკან წაღება რუსეთის მიერ შეუძლებელია, მაგრამ არის სხვა გზები პრობლემის მოსაგვარებლად. რუსეთი არ არის პატარა ბავშვი, საკუთარი გადაწყვეტილება უკან წაიღოს. ჩვენ უნდა მივცეთ რუსეთს საშუალება, ეს პრობლემა ლაგამაზად მოაგვაროს. ეს მოგვარდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს სათავეში მოვა ქართული ინტერესების გამტარებელი მთავრობა. ვფიქრობ, ახალი მთავრობა ნელ-ნელა ამ გზაზე დგება. არავისზე ნაკლებად არ ვარ დაინტერესებული საქართველოს მთლიანობით.

– თქვენ თქვით, რომ ხელისუფლებაში უნდა იყოს ძალა, რომელიც ქართულ ინტერესებს გაატარებს, არ თვლით, რომ მიხეილ სააკაშვილი ქართულ ინტერესებს ატარებდა?

– სააკაშვილი ამერიკის ინტერესებს ატარებდა და ის არ ემთხვეოდა საქართველოს ინტერესებს. რუსეთ-საქართველოს ერთმანეთზე გადამტერება ამერიკის დიდი გეგმა იყო და ის სააკაშვილის მეშვეობით განახორციელეს... რისთვის უნდა შევიდეთ ნატოში, ან ვისთვის? კი, ბატონო, იმეგობრეთ, გაატარეთ კეთილგონივრული პოლიტიკა მეზობელ ქვეყნებთან და ვინ დაგემუქრებათ?

რუსეთს ერთი ინტერესი აქვს საქართველოს მიმართ – საქართველო იყოს რეალური მეზობელი, რომელსაც ესმის მეზობლის პრობლემები. რუსეთს არ უნდა მტრობა.

– მერე ჩვენ ვემტერებით რუსეთს?

– ქართველებს არ გვესმის ერთი რამ – ჩვენ რუსეთთან ძალით გვამტერებენ. ჩვენი მტრობა გამოიხატება იმ პოლიტიკაში, რომელსაც ატარებდა მიხეილ სააკაშვილი. იმ ნაბიჯებში, რომელსაც დგამდა ქართული სახელმწიფო. საქართველოს აქვს თავისი ბუნებრივი კურსი, თავისი ბუნებრივი კულტურა.

– რომელ კურსს თვლით საქართველოს ბუნებრივ კურსად?

– საქართველოს კურსი უნდა იყოს მრავალვექტორიანი პოლიტიკა. საქართველო უნდა დადგეს ნეიტრალურ გზაზე, რომელიც მისცემს საშუალებას, რეალურად ითანამშრომლოს ყველა ქვეყანასთან და არ ჰქონდეს მტრული დამოკიდებულება რომელიმესთან.

ასეთი პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში რუსეთს კიდევ მიეცემა საბაბი, იმოქმედოს ისე, როგორც 2-3 წლის წინათ იმოქმედა.

– მხოლოდ იმიტომ რომ ოკუპაციის მუზეუმი გვაქვს, რუსეთს უფლება აქვს, დაგვბომბოს?

– მუზეუმი რამდენიც გინდათ, იმდენი გქონდეთ. მაგრამ ოკუპაციის მუზეუმი – თვითონ ამ სახელწოდებით და თანაც უშუალოდ ერთი სახელმწიფოს სახელობის – არ არის სწორი. მაშინ მასე თურქეთსაც ჰქონდა ოკუპირებული საქართველო, რატომ არ არის თურქეთის სახელობის ოკუპაციის მუზეუმი? მაინცდამაინც რუსეთის სახელობის ოკუპაციის უნდა არსებობდეს? საბჭოთა კავშირის დროს საქართველო ოკუპირებული კი არ იყო, მაშინ საქართველო აყვავებული იყო. სხვათა შორის, იმ საბჭოთა კავშირშიც ყველაზე მეტად საქართველო იყო დამოუკიდებელი. თუმცა არც ამ ოკუპაციის მუზეუმის გაუქმებით მოგვარდება პრობლემა. ვინმემ რომ თქვას, ოკუპაციის მუზეუმს გავაუქმებთ და ტერიტორიები დაგვიბრუნოს რუსეთმაო, ეს ძალიან ბავშვური მსჯელობა იქნება. უბრალოდ, მუზეუმის დახურვა იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი, დადასტურება, რომ ახალმა ხელისუფლებამ სააკაშვილის პოლიტიკა შეცვალა.

– ახალმა ხელისუფლებამ შეცვალა რიტორიკა, ოკუპაციის კანონი, პრემიერმა დანიშნა პირადი წარმომადგენელი...

– ახალ ხელისუფლებას არ შეუცვლია სააკაშვილის პოლიტიკა. კი, რაღაც ნაბიჯები გადაიდგა... მაგრამ მნიშვნელოვანი სხვაა – უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან.

– სანამ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია, ვერ აღდგება დიპლომატიური ურთიერთობები...

– სანამ არ აღდგება დიპლომატიური ურთიერთობები, სანამ არ გადაიდგმება ეს ნაბიჯი, ჩვენ ვერ მოვხსნით რუსეთთან პრობლემას. სწორედ ეს მოგვცემს საშუალებას, დავიბრუნოთ ტერიტორიები. შეიძლება ოკუპირებული ტერიტორიები გახდეს ფედერაციული სახელმწიფო ან რაღაც ამდაგვარი, მაგრამ ეს მოგვცემს საშუალებას, რომ დავძრათ პროცესი. ისე არაფერი დაბრუნდება. მთავარი ტერიტორიების დაბრუნება არ არის. მთავარი ოსი და აფხაზი ხალხის დაბრუნებაა.

სხვათა შორის, თავიდან ივანიშვილს მეც ეჭვის თვალით შევხედე და ვიფიქრე, რომ ისიც ამერიკის ინტერესების გამტარებელი იქნებოდა, რადგან მან, პირველ რიგში, გვერდით დაიყენა რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები. ცნობილია, რომ ორივე მათგანი ამერიკის ზეგავლენის ქვეშაა. ივანიშვილი არ არის რუსეთის ინტერესების გამტარებელი. ღმერთმა ქნას, თავად რუსეთს ჰქონდეს თავისი კურსი... მთავარია, ქვეყნის ლიდერმა ქართული ინტერესები გაატაროს და რუსეთთან ურთიერთობა დაალაგოს. რუსეთში არის ყველა ჩვენი ინტერესი: სავაჭრო, ეკონომიკური, მთლიანობის, სულიერი...

– ითქვა, რომ სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოებაზე საქართველომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა...

– ოლიმპიადა დიდი მსოფლიო პროცესია, რომელიც ხალხების გამაერთიანებლად უნდა გადაიქცეს. იყო პროცესები, როცა მიხეილ სააკაშვილი აკეთებდა განცხადებებს, რომ ჩვენ შევუშლით ხელს ოლიმპიადის ჩატარებას, მასში მონაწილეობას. იყო ასეთი საფრთხე, რომ სააკაშვილის მთავრობას პროვოკაციები მოეხდინა იქ, მოეწყო ტერორისტული აქტები, შეეშინებინა მონაწილეები. ბუნებრივია, ეს ხმები რუსეთს აწუხებდა.

– და პასუხისმგებლობა ქართულმა ხელისუფლებამ აიღო?

– პასუხისმგებლობა უნდა აიღოს რუსეთმა, რადგან ის არის ორგანიზატორი. უბრალოდ, საქართველო უნდა დაეხმაროს რუსეთს უსაფრთხოების ზომების გატარებაში. თუ ასე მოხდება, რა თქმა უნდა, რუსეთი ამას მიესალმება. როგორი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს მთავრობაზეა დამოკიდებული.

– თქვენ ხედავთ საფრთხეს, რომ სააკაშვილი პრობლემებს შექმნის?

– ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ოლიმპიადა უსაფრთხოდ ჩატარდეს და არავის მიეცეს საშუალება, თქვას: აი, საქართველომ შექმნა პრობლემებიო...

– რა ტიპის პროვოკაციაზეა საუბარი?

– ახლა ნაკლებად არის შიში. სააკაშვილის მთავრობისგან კი ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ბუნებრივია, პუტინის უსაფრთხოებას საფრთხე არც ადრე დაემუქრებოდა, მაგრამ თუნდაც სანაგვე ყუთში რომ პატარა ბომბი აეფეთქებინათ, ეს სერიოზულ პრობლემებს შექმნიდა...

„პუტინის უსაფრთხოებას საფრთხე არც ადრე დაემუქრებოდა, მაგრამ თუნდაც სანაგვე ყუთში რომ პატარა ბომბი აეფეთქებინათ, ეს სერიოზულ პრობლემებს შექმნიდა“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გელა ხვედელიძეს ბრალი დაუმძიმდება?

უკანონო მოსმენებში მხილებული ვასილ ჯამალაშვილი თავდაცვის სამინისტროში დაასაქმეს

„თუ გავითვალისწინებთ, რომ სამინისტროს ოპერატიული არქივი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, უნდა ველოდოთ, რომ მას კიდევ ერთ მუხლს წაუყენებენ ბრალად“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

საქართველო დატოვა, თუ ბრალი შეიძლება კიდევ დაუმძიმდეს? სად იმყოფება გელა ხვედელიძე და რატომ დუმს გამოძიება. ექსპერტების განმარტებით, ხვედელიძეს თუ ბრალს დაუმძიმებენ, მაშინ მისი დაკავებაც მოუწევთ, ეს კი, შესაძლოა ზოგიერთი მაღალჩინოსნის ინტერესებში აღარ შედიოდეს. ამიტომაც გაუშვეს დუმილის სანაცვლოდ.

ჯერ კიდევ გაურკვეველია ეგრეთ წოდებული პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოფირების არქივის ბედი. ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ არქივი მალე განადგურდება, სხვებს კი, ვისაც ასეთი ფირები მოეპოვება, ერთი თვის ვადა ეძლევა მის უკან დასაბრუნებლად, მხოლოდ ამ შემთხვევაში იმოქმედებს მათზე ამნისტია.

რამდენად შესაძლებელია გელა ხვედელიძის პატიმრობაში მიბრუნების საკითხი კვლავ დადგეს დღის წესრიგში. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი, თემურ კენკებაშვილი არ გამორიცხავს, რომ შს მინისტრის ყოფილ მოადგილეს ბრალი კიდევ ერთი მუხლით დაუმძიმდეს.

თემურ კენკებაშვილი, კუდ-ის ყოფილი თანამშრომელი:

– როგორც ცნობილია, ფარული ვიდეო-ჩაწერა, ანუ ე.წ. ლინეიკა, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ოპერატიულად, საინტერესო ობიექტის მიმართ. ამას აქვს კანონით დადგენილი წესები. შესაძლებელია განხორციელდეს ფარული ჩაწერა, თუ იგი იძლევა რაიმე დანაშაულის ამსახველ მასალას, ან, როდესაც საჭიროა კონტრსადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება. ფარესიშვილის და მსგავსი კადრები სრულიად სხვა მიზნებისთვის გახლდათ ჩაწერილი, ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული პიროვნებების მიმართ, რომლებიც საინტერესოები იყვნენ რეჟიმისთვის. ეს კადრები ძირითადად გამოიყენებოდა შანტაჟისა და რეკრუტირებისთვის. ანუ ეს გახლდათ სრულიად უკანონო ქმედება. რაც შეეხება გელა ხვედელიძეს, მან აღიარა, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. მან ასევე აღიარა, რომ ეს კადრები აიღო შსს-ს ოპერატიული არქივიდან. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამინისტროს ოპერატიული არქივი წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, მაშინ ჩვენ უნდა ველოდოთ, რომ მას კიდევ ერთ მუხლს (313) წაუყენებენ ბრალად, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოების ხელყოფას გულისხმობს. მე არ გამოვრიცხავ, რომ გამოძიების მსვლელობის დროს მას ბრალი დაუმძიმდეს.

– გამოძიების ინფორმაციით ამ კადრების გადაღება მოხდა წინა ხელისუფლების დროს, გავრცელება კი ხვედელიძეს დაუკავშირდა... რამდენად შესაძლებელია, რომ ფარესიშვილის გარდა, კიდევ სხვა კადრები იყოს რომელიმე მათგანის ხელში? ვგულისხმობ იგივე თქვენს ყოფილ კოლეგებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან...

– მსგავსი კადრები შესაძლებელია იყოს ნებისმიერი მათგანის ხელში. არ არის გამორიცხული ამ კადრების ასლები ჰქონდეთ, როგორც კუდ-ის ყოფილ ჩინოსნებს, ასევე გელა ხვედელიძეს. ამის ალბათობას ზრდის ის ფაქტიც, რომ პირები, რომლებიც ამ უკანონო ჩანაწერების შექმნაში იყვნენ ბრალდებულნი, ერთის გარდა, სასამართლომ ყველა გირაოთი გაათავისუფლა, ისევე, როგორც ხვედელიძე. მათ ყველამ აღიარა, რომ ფარულ ჩანაწერებს აკეთებდნენ კუდ-ის უფროსის, ბატონ ვაჟა ლილუაშვილის დავალებით. თუნდაც ვაჟა ლილუაშვილზე არსებობს საფუძვლიანი ეჭვები, რომ მის ხელში არის მსგავსი კადრები. შეიძლება ასეთი პირი იყოს თავისუფლებაზე? ეს არის სასამართლოს მიერ ძალიან დიდი დარღვევა. კანონში ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების შესახებ, მკაფიოდ გვიწერია, რომ შესაძლებელია პირის გადმობირება, თუმცა დაუშვებელია ამის გაკეთება შეურაცხმყოფელი ფორმებითა და შანტაჟის გზით.

– და ბოლოს, მინდას გკითხოთ... უკანონო ფარული ჩანაწერების წარმოების ბრალდებით სხვა კუდ-ის თანამშრომლებთან ერთად დაკავებული იყო 18 წლის ვასილ ჯამალაშვილიც, იგივე „ვასკა“, რომელიც ასევე გირაოთი გაათავისუფლეს... გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცოტა ხნის წინ, ის კვლავ ძალოვან უწყებებში დაასაქმეს... თუ გსმენია ამის შესახებ?

– ვასილ ჯამალაშვილი აღარ მუშაობს შინაგან საქმეთა სამინისტროში, თუმცა ის მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში. ეს ინფორმაცია პირველწყაროსგან ვიცი. ზოგადად ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. გასაგებია, რომ ის ამ კონკრეტული დანაშაულისთვის დააკავეს, მაგრამ ის იყო უბრალოდ, შემსრულებელი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის მსგავსი სახის ოპერატიული ღობნისძიებები. ასეთი ადამიანები სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჯორჯიან თაიმსისა“ და „გორბის“ ინიციატივით ბიზნესდაჯილდოება გაიმართა

სამწლიანი პაუზის შემდეგ, წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საერთაშორისო სავაჭრო პალატის, ამერიკის სავაჭრო პალატის, საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, საზოგადოებრივი აზრისა და მარკეტინგული კვლევების ასოციაციის GORBI-ის და მედია-ჰოლდინგ The Georgian Times-ის ხელმძღვანელობით, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ საქართველოში წარმატებული ბიზესკომპანიების რიგით მე-14 ბიზნესდაჯილდოება გაიმართა.

ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული დარგების განსაზღვრა, ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის დიალოგის მხარდაჭერა, ქართული ბიზნესისთვის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა, ქართული ბიზნესით მსოფლიო ბიზნესსაზოგადოების დაინტერესება - ეს ის მთავარი პრიორიტეტებია, რომელიც ყოველწლიურად ბიზნეს-რეიტინგის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. წლევანელი ბიზნესდაჯილდოება სტუმრების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩეოდა.

ბიზნეს-რეიტინგის დაჯილდოებაში მონაწილეობა 25-მა კომპანიამ მიიღო. რომლებიც საზოგადოების, მედიის, ექსპერტების მიერ შერჩეულმა ჟიურიმ გამოავლინა.

გამარჯვებული კომპანიები გახდნენ: „თიბისი ბანკი“, „ზედაზენი“, „ავერსი“, „სმარტი“, „ვისოლი“, „საქართველოს ინდ/ჯგუფი“, „ნატახტარი“, „რუსთავის მეტ/ქარხანა“, „გურიელი“, „ქართული შაქარი“, „რუსთავის აზოტი“, „საქართველოს ბანკი“, „პსპ“, „გუდვილი“, „ენისელი სარაჯიშვილი“, „ვაგონმშენი“, „ფლაი ჯორჯია“, „გაზენერჯი“, „სოკარი“, „კონსტანტა“, „ზესტაფონის ფერო“, VTB, „ჯეოსელი“, GWP, „ნაბეღლავი“.

ამ კომპანიებმა გამარჯვება სხვადასხვა ნომინაციებში მოიპოვეს. რაც შეეხება წლევანდელ გრან-პრის გარდამავალ „ოქროს ჯვარს“, ის კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გადაეცა. ამ ნომინაციის გამარჯვებული ცერემონიალის მიმდინარეობისას ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოვლინდა.

„ჯორჯიან თაიმსის“ ბიზნეს-რეიტინგის გარდამავალი ორდების კავალრობა საუკეთესო ხარისხის ნიშანი და მაღალი, საქმიანი რეპუტაციის დამამტკიცებელი საბუთია. ეს არის „ოქროს ჯვარი“, რომელიც ბრილიანტებით და სხვადასხვა ძვირფასი ქვებით არის გაწყობილი. ჯილდოს დიზაინი და შესრულება ეკუთვნის ცნობილ ქართველ მხატვარ-დიზაინერ ბადრი ლეჟავას. ჯვარი პატრიარქის მიერ არის ნაკურთხი.

მაირ მამედოვი გრან-პრის მფლობელი კომპანიის „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი: „მადლობას ვუხდი ღონისძიების ორგანიზატორებს. „სოკარი“ ქართულ ბაზარზე, 2006 წელს შემოვიდა. ჩვენ მსგავს ყოველწლიურ ღონისძიებებს ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ. ეს დამატებითი სტიმულია. კარგია, რომ სამი წლის წინანდელი ტრადიცია ისევ აღდგა, ამ ჯილდოს გამო უდიდეს სიამაყეს ვგრძნობ“.

გიორგი კვირიკაშვილი, ეკონომიკის მინისტრი: „ის კომპანიები, რომლებიც ამ ღონისძიებაში მონაწილეობენ, საქართველოს ბიზნესსფეროში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთამაშეები არიან. ამიტომაც ამ კომპანიების წახალისება, შესაძლოა, ქვეყნის შემდგომი ინვესტიციებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს“.

დავით ნარმანია, ინფრასტრუქტურის მინისტრი: „ბიზნესისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამგვარი ღონისძიებები. კონკურენციის პირობებში სახელდება ისეთი კომპანიები, რომლებიც ყველაზე წარმატებულნი არიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის, რომ კომპანიის წარმატებაზე ვრცელდება ინფორმაცია და საზოგადოების დამოკიდებულება ყალიბდება. რაც საერთო ჯამში წარმატებაზე აისახება“.

მალხაზ გულაშვილი, ღონისძიების ორგანიზატორი: „ძალიან სასიამოვნოა, რომ დღეს ბიზნესმენებთან ერთად ამ ღონისძიებაზე ხელისუფლების ეკონომიკური ბლოკია წარმოდგენილი. ეს დამაიმედებელია - ბიზნესი გახდება უფრო მეტად თავისუფალი და ის, არა მარტო ქართულ ბაზარს დაიბრუნებს, არამედ საექსპორტო პროდუქციით დაიპყრობს უცხოურ ბაზრებს. მე მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ყველას. ვაკეთოთ ის, რაც ვიცით და ვიცხოვროთ მდიდარ საქართველოში.

მომსახურების სექტორში შეტანილი წვლილისთვის პრიზები მიიღეს, კომპანია „ჯეოსელმა“, „სოკარ-ენერჯი ჯორჯიამ“, „ფლაი ჯორჯიამ“, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, „ვისოლმა“ და „სმარტმა“. სუპერმარკეტების ქსელი „სმარტი“ კიდევ ერთი ნომინაციის ფავორიტი გახდა, მან ჟურნალისტების სიმპათია დაიმსახურა.

გამარჯვებული კომპანიები შემოსავლების სამსახურის უფროსმა ვაჟა ხუციშვილმა დააჯილდოვა.

ლევან ფხაკაძე „ვისოლ ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტი:

„ნებისმიერი ასეთი ღონისძიება, სადაც წარმატებული კომპანიები ვლინდება, ძალიან დიდი პატივი და ღირსებაა. სასიამოვნოა, როცა ხარ აღიარებული მომხმარებლის, საზოგადოების მიერ. ამიტომაც თითოეული ბიზნესმენი ასეთ ღონისძიებას სულ მოუთმენლად ელოდება. ეს დიდი სტიმულია ბიზნესისთვის და მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ორგანიზატორებს“.

ვასილ ხორავა, კომპანია „ვისოლის“ გენერალური დირექტორი: „მსგავსი ღონისძიებები ყოველთვის მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, რომ კომპანია „ვისოლი“ და „ვისოლ ჯგუფი“ ბაზარზე დიდი ხანია ოპერირებს. „ვისოლი“ არ არის კომპანია, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ნავთობთან, „ვისოლ ჯგუფი“ დღეს აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებებს. როგორიცაა „სმარტი“, „ვიანორი“ და ჩვენ ამ წელიწადში ვგეგმავთ სწრაფი კვების ობიექტების გახსნას, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება მომხმარებლისთვის“.

საბანკო სექტორში შეტანილი წვლილისთვის კი სპეციალური პრიზი „საქართველოს“, „ვითიბი“, „თიბისი ბანკსა“ და ბანკ „კონსტანტას“ გადაეცათ.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, „თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი: „საუკეთესო ბანკად იქნა დასახელებული „თიბისი ბანკი“, რაც ძალიან სასაიმოვნოა ჩვენთვის. მაგრამ, ბევრად უფრო მეტად აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენთან დასახელებულ იქნა „კონსტანტა ბანკი“, როგორც მოგეხსენებათ „კონსტანტა“ „თიბისი ბანკის“ აქციონერია და ამიტომაც ეს წლევანდელი ბიზნესდაჯილდოება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის“.

წლევანდელ ბიზნესდაჯილდოებაზე კონკურსგარეშე გამარჯვება „ახალმა ქსელებმა“, „კავკასიის უნივერსიტეტმა“, „ქიმერიონმა“, „ჯორჯიან სერვის გრუპმა“ და ჩაი „პეტრამ“ მოიპოვეს.

ქართულ ბიზნესში შეტანილი წვლილისთვის კი „რუსთავის მეტალურგიული“ და „აზოტოს“ ქარხნები დაჯილდოვდნენ.

სპეციალური პრიზი ქართული ბიზნესის გათავისუფლების საქმეში შეტანილი წვლილისთვის, ღონისძიების ორგანიზატორენმა ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს გარდაცვალების შემდეგ მიანიჭეს. პრიზი მის მეუღლეს ინა გუდავაძეს გადაეცა. პრიზის მისაღებად სცენაზე პატარკაციშვილის დედა ნათელა პატარკაციშვილი ავიდა.

ნათელა პატარკაციშვილი: „ჩემი შვილი დღეს თითქოს გაცოცხლდა. ბადრის ნამდვილად ეკუთნოდა ეს ჯილდო. ისე ლამაზად გააკეთეს ეს ყველაფერი ამ ღონისძიების ორგანიზატორებმა მალხაზ გულაშვილმა და ნანა გაგუამ, რომ ძალიან ბედნიერი ვარ. დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის მათ“.

წლევანდელი ბიზნეს-რეიტინგის რიგით მე-14 დაჯილდოების ოქროს სპონსორი კომპანია „სოკარი“, გენერალური სპონსორი „ფლაი ჯორჯია“, ვერცხლის სპონსორი „გაზენერჯი“ და „ორბი“ გახლდათ.

ამ დაჯილდოებას პარტნიორობას საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საერთაშორისო სავაჭრო პალატა, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა უწევდა. რაც შეეხებათ მედიაპარტნიორებს, ღონისძიების მედიაპარტნიორები იყვნენ, „პირველი არხი“, „მაესტრო“, „რადიო ფორტუნა“, „ფორტუნა+“, „ავტორადიო“, „თბილისელები“, „პრაიმტაიმი“, commersant.ge; thy Leader Todey, Caucasian Busness Week -ი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არასაპარლამენტო კანდიდატები

გიორგი თარგამაძე და კაკო ასათიანი პრეზიდენტობისთვის იბრძოლებენ

ნანა შონია

გიორგი თარგამაძე და კაკო ასათიანი შესაძლოა, საპრეზიდენტო კანდიდატებად დასახელდნენ. როგორ გადანაწილდება არასაპარლამენტო ძალები, ჯერ ძნელი სათქმელია, თუმცა, როგორც უკვე ჩანს, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ ამბიციების გამო პატარ-პატარა პარტიების გაერთიანება ვერ მოხერხდება.

კაკო ასათიანი შესაძლოა, პაატა დავითაიამ და ბაჩუკი ქარდავამ დაასახელონ. გიორგი თარგამაძეს კი მხარს კახა კუკავა დაუჭერს. ჯონდი ბაღათურია, ალბათ, უფრო ნინო ბურჯანაძისკენ გადაიხრება.

თუმცა, პარტიები ჯერ კომენტარებს არ აკეთებენ, ჯერ ყველაფერი კულისებში იხარშება. რა გამოცხვება იქიდან, ექსპერტებსაც კი უჭირთ თქმა.

ნინო ბურჯანაძისა და გიორგი თარგამაძის ტანდემი არ შედგა. გასაკვირი იქნება, თუ თარგამაძე კახა კუკავას გვერდით აღმოჩნდება, მისი პრორუსული ორიენტაციის გამო. თარგამაძეს ბოლო პერიოდში სწორედ პროდასავლური ნიშა ეჭირა.

არასაპარლამენტო პარტიებში შესაძლოა, კანდიდატების დიდი სიჭრელე იყოს. შალვა ნათელაშვილი და ნინო ბურჯანაძე უკვე დასახელდნენ, სალომე ზურაბიშვილი პოტენციური კანდიდატია, რიგში კი გიორგი თარგამაძე და კაკო ასათიანი დგანან.

ამბობენ, რომ პოლიტპატიმრებიდანაც არიან მოხალისეები. კონკრეტული გვარებიც სახელდება, თუმცა ოფიციალურ კომენტარებს არც იქ აკეთებენ.

ვინ არის ის ფიგურა, ვინც შეძლებს ამ სიჭრელის ერთად აკინძვას? ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ ასეთი ფიგურა მოულოდნელად შეიძლება გამოჩნდეს. რამდენად არსებობს ასეთი უნივერსალი, რეალურად ძნელი სათქმელია.

ლევან ვეფხვაძე, „ქდმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი:

– საპრეზიდენტო პოსტზე გიორგი თარგამაძის კანდიდატურის განხილვა მიმდინარეობს. ზოგადად, თარგამაძის დასახელება პარტიისთვის შეიძლება პოზიტიურიც იყოს და ნეგატიურიც, რადგანაც თარგამაძემ უნდა დაარწმუნოს მოსახლეობა, რომ ის იქნება მიუკერძოებელი არბიტრი. იმის გათვალისწინებით, რომ „ქდმ“ პარლამენტში არ არის, პრეზიდენტმა უნდა მოახდინოს პარლამენტსა და მთავრობას შორის არბიტრის როლის შესრულება და ეს შესაძლებელია. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ჩვენ გარკვეულ პარტიებთან კონსულტაციები გვქონდა, მაგრამ ჯერჯერობით კონსულტაციებს შედეგი არ აქვს. ჩვენი მიზანი იყო სწორედ არაპარტიული კანდიდატურის შეთავაზება საზოგადოებისთვის, მაგრამ, სამწუხაროა, რომ ზოგიერთებმა, ვისაც ეს შევთავაზეთ, უარი თქვეს, სხვადასხვა მიზეზების გამო. ზოგს არ უნდა ვინმეს წინააღმდეგ წასვლა და ამიტომაც ჩვენ ამ შეთავაზებებსა და ფიქრს უსასრულოდ ვერ გავაგრძელებთ.

– მაქსიმუმ როდისთვის შეიძლება, თარგამაძის კანდიდატურა დასახელდეს?

– ალბათ, მაქსიმუმ ორ კვირაში უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება.

– ასევე, აქტიურად გაიჟღერა მეორე კანდიდატის, აკაკი ასათიანის სახელმა და გვარმა. რას იტყვით ამაზე?

– მე არაფერი ვიცი მის საპრეზიდენტო კანდიდატურაზე და ამაზე საუბარი ნამდვილად არ შემიძლია.

– რაც შეეხება თარგამაძეს, რა შანსები შეიძლება ჰქონდეს მას საპრეზიდენტო პოსტზე?

– აქ კანდიდატურები შეიძლება იმდენად ბევრი იყოს, რომ პირველ ტურში გამარჯვებულზე საუბარი არც იყოს. ამიტომაც ჩვენი მთავარი მიზანი, ალბათ, ის იქნება, რომ თარგამაძე გადავიდეს მეორე ტურში. ბუნებრივია, თუკი კოალიცია დაასახელებს ერთ კანდიდატს, როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი, მას ექნება შანსი. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ პირველივე ტურში წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება. ეს ყველაფერი ნაძალადევის არჩევნებმაც აჩვენა. როდესაც „ქართული ოცნების“ კანდიდატი ვერ ჩაჯდა ამომრჩევლის გემოვნებაში. დაახლოებით იგივე მდგომარეობაა გიორგი მარგველაშვილთან მიმართებაშიც. ივანიშვილისთვის შეიძლება ის კარგი კანდიდატია, მაგრამ „ქართული ოცნებისთვის“ ვერ იქნება კარგი კანდიდატი, რადგანაც ვერ ახდენს ხმების სრულ მობილიზებას. როდესაც გარკვეულ კოალიციაზე ვსაუბრობთ, უნდა ვიფიქროთ გრძელვადიანად. ამიტომაც არ გამოვრიცხავთ, რომ გარკვეული თანამშრომლობა გვქონდეს იმ პარტიებთან, რომლებთანაც პოტენციურად შეიძლება შევთანხმდეთ გრძელვადიან თანამშრომლობაზე.

– შეგიძლიათ, გვითხრათ, ვინ შეიძლება იყვნენ ეს ძალები და ვისთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები?

– არა, ამ ეტაპზე ამას ვერ დავასახელებთ, რადგანაც ჯერ მათზე საუბარი, ალბათ, არასერიოზულია. მოდით, ეს ყველაფერი დაუტოვოთ დროს.

ბაჩუკი ქარდავა, „ედპ“-ს ლიდერი:

– შემიძლია გითხრათ, რომ მე კაკო ასათიანს ვიცნობ, როგორც კარგ კაცს და კარგ პატრიოტს. თუ პოლიტიკაში ის პირველი არ არის, უკანასკნელი ნამდვილად არ არის. მას დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართულ პოლიტიკაში. ჩვენთან, „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში“, მისი საკითხი ჯერ არ განხილულა, მაგრამ კაკო ასათიანსა და ჩვენს შორის ურთიერთობა ნამდვილად უცხო არ არის. თუმცა როგორც საპრეზიდენტო კანდიდატთან, ამ თემაზე საუბარი არ გვქონია. საუბარი კი ყველაფერზე შეიძლება.

– ანუ შეიძლება, რომ მხარი დაუჭიროთ მის კანდიდატურას?

– მე მხარს უჭერ იმ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და რომელსაც მიაჩნია, რომ რუსეთისგან საქართველოს დისტანცირება მნიშვნელოვანია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. დანარჩენი კი, სახელი და გვარი, ჩემთვის მნიშვნელობანი არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თქვი.ge - საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალ პროექტი



თქვი. Ge საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტია, რომელიც თითოეულ მოქალაქეს ნებისმიერ პრობლემასთან დაკავშირებით არა მხოლოდ აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევს, არამედ იმის შანსაც, რომ საკუთარი ხმა შესაბამის სტრუქტურებს მიაწვდინოს.

მაუწყებელში იდეა მაშინ გაჩნდა, როცა შემოსული წერილების რაოდენობამ თითქმის რეკორდიც კი მოხსნა. მოქალაქეები მაუწყებელს კონკრეტულ პრობლემებზე დახმარებას სთხოვდნენ.

თქვი გე.-ს იდეა საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ სამსახურის ხელმძღვანელს თამარ კაციტაძეს ეკუთვნის. იდეის განხორციელებაში კი იკო ბერძენიშვილი ჩაერთო. საბოლოოდ, პროექტი საინტერესო გამოვიდა.

ახალი პროექტი რამდენიმე საფეხურისგან შედგება. პირველი: მოქალაქე საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოიეში განთავსებულ კაბინაში შევა და საკუთარ პრობლემას დააფიქსირებს, ამისთვის მას სულ 2 წუთი ეძლევა. კაბინა ტექნიკურად აღჭურვილია და ის თითოეული მოქალაქის გამოსახულებას და ხმას აფიქსირებს და ინახავს.

შემდეგ ვოისფაილებს უკვე საზოგადოებრივი მაუწყებელი შესაბამისს უწყებებთან გადაამისამართებს. პროექტში მონაწილე ყველა მოქალაქის პრობლემა ერთ საიტზე განთავსდება.

იდეის ავტორები ამბობენ, რომ მსგავსი პროექტი არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს.

უფრო დეტალურად რომ ვთქვათ: საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოიეში არსებულ კაბინაში მოთავსებულია საგანგებო ღილაკი. თითის დაჭერის შემდეგ მონიტორზე ეკრანი ირთვება და ორი წუთის განმავლობაში მოქალაქეს შეუძლია თქვას ის, რისი თქმის სურვილიც აქვს. 2 წუთის შემდეგ ვიდეორგოლი ავტომატურად გაითიშება, ვიდეოფაილი აიტვირთება სპეციალურ საიტზე www.tqvi.ge, ასევე www.youtube.com -ზეც. ვიდეოფაილის გაზიარება შესაძლებელი იქნება სხვა სოციალურ ქსელებშიც.

და რაც ყველაზე მთავარია მოქალაქეებისთვის, მაუწყებლის საზოგადოებრივ საქმეთა სამსახური უზრუნველყოფს ამ შეტყობინებების შესაბამის სამსახურებში გადამისამართებას. ანუ ვიდეოფაილი დაეგზავნებათ იმ სამინისტროებსა თუ უწყებებს, ვის შემხებლობაშიც ასე თუ ისე იქნება ეს პრობლემა დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, ამ პრობლემებს საზოგადოებრივი მაუწყებელიც აქტიურად გააშუქებს, ამ თემებზე ასევე საზოგადოებრივ მაუწყებელზე არსებული სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური თოქშოუებიც იმსჯელებენ.

პროექტმა ტესტირება უკვე გაიარა. ორმოცდაათზე მეტმა ადამიანმა ორწუთიანი „ეთერით“ უკვე ისარგებლა. ამ პრობლემებმა კი კონკრეტული ადრესატებიც იპოვა.

ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელიც ემიგრანტია, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო ბიუროს აპარატის პრესპიკერი ხათუნა ჩარკვიანი დახმარებას უკვე დაჰპირდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილს ათ წლამდე თავი

მარიამ ნადირაძე

როგორც ჩანს, პარლამენტარ იმერლიშვილის მიერ დაახლოებით ერთი თვის წინ გამოქვეყნებული მასალები არ გახდა საკმარისი იმისთვის, რომ საზოგადოება სააკაშვილის არამიზნობრივი ხარჯვებით აღშფოთებულიყო. გასულ კვირას კი სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის ბიუჯეტიდან პრეზიდენტზე, მისი ოჯახის წევრებისა და სტუმრებზე დახარჯული თანხების შესახებ დოკუმენტაციას კვლავ აეხსნა გრიფი. ამჯერად ქვეყანამ შეიტყო, რომ სააკაშვილმა 5999 ფუნტად შეიძინა მერედით ოსტრომის შიშველი სხეულით შესრულებული ნამუშევარი. თუმცა, ამ ნახატის არსებობას პრეზიდენტის რეზიდენციაში არავინ ადასტურებს. ამას გარდა, სააკაშვილს პირადი სტუმრისთვის, მოდელ კრისტინა ვუსოვასთვის სპორტული ფეხსაცმელი შეუძენია კოლოსალურ თანხად 2011 წელს. აქამდეც ბევრი ითქვა სააკაშვილის გამაჯანსაღებელი და გასახდომი პროცედურებისთვის ათასობით ლარის ხარჯვის თაობაზე, თუმცა ამჯერად ქვეყნდება დოკუმენტები ნიუ-იორკის ერთ ცნობილ კლინიკაში ბოტოქსის ოპერაციის ჩატარების ორ პროცედურაზე. ამისთვის პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურის ბიუჯეტიდან 2009 წლის 25 სექტემბერს 5600 დოლარი გადაირიცხა, 2011 წლის 23 სექტემბერს კი – 2300 დოლარი. ეს ის დოკუმენტებია, რომელიც უკვე გამოქვეყნდა გასულ კვირას.

თუმცა, „პრაიმტაიმს“ ხელთ აქვს დოკუმენტების კიდევ სხვა ნაწილი, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოებას ჯერ არ შეუტყვია და ამას ჩვენი გაზეთის მკითხველს ექსკლუზიურად ვთავაზობთ:

სტუმრის პატივისცემა

კრისტინა ვუსოვას პრეზიდენტმა თბილისში სასტუმრო „რედისონში“ აუღო აპარტამენტები და ეს გადასახადების გადამხდელებს, მისთვის შეძენილი ბოტასის ჩათვლით, 6668 ლარი დაუჯდათ. ნატალია, ქსენია და კრისტინა ვუსოვებთან ერთად პრეზიდენტის ბათუმში გასამგზავრებლად გადახდილი ავიაბილეთების ღირებულება წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით 498 ლარია.

საჩუქრები გოგოებს

სააკაშვილი გაპრეზიდენტებამდეც ცნობილი იყო საჩუქრების გაცემის სიყვარულით. რა თქმა უნდა, ქვეყნის პირველი პირობა მას მეტ შესაძლებლობებს აძლევდა. ამიტომაც სრულიად არ არის გასაკვირი, რომ საბიუჯეტო თანხებს ის მარტო საკუთარი სიამოვნებისთვის ხარჯავდა. რა თქმა უნდა, მას არც მეგობარი ქალბატონები დავიწყებია. თუმცა, როგორც დოკუმენტებით ირკვევა, ყოველი საჩუქრის შეძენისას დგებოდა შესაბამისი აქტი. გთავაზობთ მის შინაარსს. ხელის მომწერების ვინაობას ამ ეტაპზე ვერ ვასახელებთ:

„ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერმა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა... შევადგინეთ წინამდებარე აქტი იმის შესახებ, რომ საქართველოს პრეზიდენტს გადაეცა მისივე დავალებით... 2011 წლის 19 სექტემბერს შპს „ზარაფხანაში“ შეძენილი კულონი – 1 ცალი, ძეწკვი – 1 ცალი, და თუ ვის გადაეცა შემდგომ, ჩვენთვის უცნობია. რაზედაც ვაწერთ ხელს ... (სტილი დაცულია. – მ.ნ.). ასეთივე აქტის მიხედვით, რომელიც იმავე წლის 9 სექტემბრით თარიღდება, შეძენილია 5 ცალი წიგნი „მოგზაურობა საქართველოში“. 7 სექტემბერს კი სახელმწიფო დაცვის სამსახურის სამმართველოს თანამშრომელი ხელის მოწერით ადასტურებს სამკაულების შესაძენად გაწეულ ხარჯებს. ამ შემთხვევაში დაკონკრეტებული არ არის სამკაულის სახეობა, თუმცა ჩამოთვლილია მათი ღირებულება: 3308 ლარი, 3523 ლარი, 1426 ლარი, 1409 ლარი და 1003 ლარი. ჩვენი ინფორმაციით, ეს სამკაულებია საყურე, ბროში, კულონი, კოლიე და ძეწკვი.

თუმცა, ამათ გარდა, არსებობს კიდევ სხვა საჩუქრები, რომელთა ღირებულებაც დოკუმენტურად ასე დასტურდება: 10,25-გრამიანი ოქროს საყურე, რომლის „ზარაფხანაში“ შეძენაც ბიუჯეტს 1483 ლარი დაუჯდა; სხვა ნაკლებად წონიანი საყურე კი – 1098 ლარი. ეს სამკაულები ისევ 2011 წელს არის შეძენილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ოქტომბრის ბოლოს.

ოჯახის კეთილდღეობა

გამოძიება უკვე დაინტერესდა იმითაც, რას ხარჯავდა პირველი ლედი ბიუჯეტიდან, როდესაც დუბაისა თუ ნიუ-იორკში მიემგზავრებოდა. როგორც ირკვევა, სანდრა რულოვსის ასეთი ვოიაჟი, ნატალია და კრისტინა ვუსოვების მინსკსა და ნიუ-იორკში გამგზავრების ხარჯებთან ერთად, სრულად, 26 269,50 ლარს შეადგენს, ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც შედგენილია 2011 წლის მაისში. დათვლილია სანდრა რულოვსის გამგზავრების ღირებულება პარიზშიც. უფრო მეტიც, გამოძიებას ხელთ აქვს მისი კვების ხარჯებიც, კოკა-კოლას შეძენის ჩათვლით. თუმცა, გასაკვირად მაღალი ფასი ჰქონია პატარა ნიკოლოზისა და პრეზიდენტის სტუმრის (მისი ვინაობა არ სახელდება) გამგზავრებას იმავე ქალაქში და დოკუმენტების მიხედვით, ის 45 934 ლარს შეადგენს. ამ ქალაქში პრეზიდენტის ოჯახის ყოფნა დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს ასე აქვს დათვლილი:

„ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის სასტუმრო მომსახურების ხარჯები: 392 ევრო, 255 ევრო, 1632 ევრო;

ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის მატარებლის ბილეთის ხარჯები: 205 ევრო;

ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის დაქირავებული ავტოტრანსპორტის ხარჯები: 543 ევრო;

ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის დაქირავებული ავტოტრანსპორტის საწვავის ხარჯები: 79 ევრო, 71 ევრო;

„მარტო ეს დოკუმენტაცია აბსოლუტურად საკმარისია სააკაშვილის გასასამართლებლად. აუცილებლად უნდა დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა“

„ვისოლმა“ „ტორპედო ქუთაისის“ გულშემატკივრებს განვითარების ახალი გეგმები გააცნო

კომპანია „ვისოლმა“ „ტორპედო ქუთაისის“ გასული სეზონი შეაჯამა და გულშემატკივრებს ახალი გეგმები გააცნო. „ტორპედო ქუთაისის“ პრეზიდენტის ლევან ფხაკაძის განცხადებით კლუბს ამიერიდან ახალგაზრდა წარმატებული ფეხბურთელები და ესპანელი მწვრთნელები შემოუერთდებიან, რომლებიც ლეგენდარული კლუბის მეტად განვითარებაზე იზრუნებენ. მრავალწლიანი საერთაშორისო, გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები ჟერარდ ზარაგოზა და მულე და ალბერტო ბეროკალ კორეა, საქართველოში ორ კვირაში ჩამოვლენ და კლუბთან აქტიურ საქმიანობას შეუდგებიან.

ლევან ფხაკაძე „ტორპედო ქუთაისის“ კლუბის პრეზიდენტი: „ვისოლ ჯგუფი“ უკვე მესამე წელია რაც ზრუნავს ლეგენდარული ქართული კლუბის „ტორპედო ქუთაისის“ განვითარებაზე. სასიხარულოა, რომ ამ ხნის მანძილზე გვქონდა პროგრესი. წელს გუნდს მნიშვნელოვანი მიღწევები ჰქონდა, საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი მოვიპოვეთ. ძალიან ბევრს ვფიქრობთ გუნდის გაძლიერებასა და იმაზე, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს მივცეთ მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება, ამიტომაც „ტორპედო ქუთაისის“ კიდევ უფრო მეტად გაახალგაზრდავება დავისახეთ მიზნად. ამიერიდან, კლუბის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 22 წლამდე იქნება, რაც იდეალურია მნიშვნელოვანი წარმატების მისაღწევად. გარდა ამისა, „ტორპედო ქუთაისს“ გააძლიერებს 2012 წელს სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17 წლამდე ნაკრების) მონაწილე, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში ნახევარფინალამდე მიიყვანეს ჩვენი გუნდი. გუნდის განვითარებაზე კი მრავალწლიანი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები იზრუნებენ. მე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა ფეხბურთელს და მწვრთნელს, ბატონ გია გეგუჩაძეს, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა კლუბის განვითარებისთვის“.

გია გეგუჩაძე „ტორპედო ქუთაისის“ ყოფილი მწვრთნელი: „ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო ამ ხნის მანძილზე „ქუთაისის ტორპედოში“ მუშაობა. საკმაოდ კარგი და საინტერესო პერიოდი გავიარეთ. სასიამოვნო იყო ის სამუშაო პროცესი, რომელიც ამ ხნის მანძილზე მიმდინარეობდა. მე მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, ვინც ძალიან ბევრი გააკეთა წარმატებისთვის. ჩემთვის გასაგებია ის ცვლილებები, რომელიც განხორციელდა, მივესალმები ამ ყველაფერს, რადგან ეს არის ხვალინდელი დღე „ქუთაისის ტორპედოსთვის“.

„ტორპედო ქუთაისზე“ ზრუნვა „ვისოლმა“ 2010 წლიდან დაიწყო და გუნდის განვითარებისთვის ყოველწლიურად ოთხი მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს. გარდა ამისა „ვისოლ ჯგუფმა“ ჯამურად უკვე 30 მილიონ ლარზე მეტი გაიღო თბილისსა და რეგიონებში ევროპული სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და ზოგადად ქართული სპორტის განვითარებისთვის. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სუფლების აღკვეთა ელოდება

EXCLUSIVE

პროკურატურამ გამოძიება უკვე დაიწყო

„კარგი საქონელმცოდნეობით მან ყოველთვის იცოდა ყველაფრის ღირებულება. თუ მაღალჩინოსანი შემოვიდოდა დარბაზში, ის იტყოდა, ნახე, რა საათი უკეთია, 16 ათასი დოლარი ღირს. ნახე, რა კოსტიუმი აცვია“

ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის ტაქსის მომსახურების ხარჯები...

ქალბატონ სანდრა რულოვსისთვის კვების ხარჯები...“

სრულად კი ეს ხარჯები 3933 ევროს შეადგენს.

გადასახადის გადამხდელთა ფულით დაფინანსებულია გიული ალასანიას პირადი სტუმრის მიღებაც. მათი ერთად ცხოვრება სასტუმრო „ჯორჯიან პალას ოტელში“ 8 დღის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტს 5816 ლარი დაუჯდა...

„პრაიმტაიმს“ ხელთ აქვს სხვა დოკუმენტაციაც, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვას ადასტურებს საქართველოს მოსახლეობის ჯიბეებიდან. მათ შორის აღწერილია ოჯახის ყველა ხარჯი ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში ვოიაჟის დროს. ამ დროს წარმომადგენლობითი და სამედიცინო ხარჯების გარდა, მათ ფული საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენაშიც აქვთ დახარჯული. სრულად კი ეს თანხა 65 637 ლარს შეადგენს.

„ადრეც უყვარდა ძვირფასი ნივთები“

პრეზიდენტს კომფორტისადმი და ბრჭყვიალა ნივთებისადმი მიდრეკილება თურმე გაპრეზიდენტების შემდეგ არ გასჩენია. ამის შესახებ კი „პრაიმტაიმს“ მისი დიდი ხნის ნაცნობი, **პეტრე მამრაძე** უამბობს:

– ამ დოკუმენტებს აქვს ბეჭედი და კონკრეტული პირების ხელმოწერა. ეს არის მასშტაბური დანაშაული – ბიუჯეტის ხარჯვა პირადი მიზნებისთვის. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ასლარიანი ქრთამის გამო ადამიანები იხდიან არაპროპორციულად მაღალ სასჯელს. მაგრამ ეს არ არის ერთადერთი დანაშაული. მეორეა, გრიფ „საიდუმლოს“ დადება. შეგახსენებთ, რომ მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს იმას, რა ტიპის დოკუმენტებს შეიძლება დაედოს გრიფი. ამ შემთხვევაში კი აშკარაა, რომ გრიფის გამოყენება ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა – დაეფარა დანაშაული. სახეზე არის კიდევ ერთი დანაშაული: აუდიტის სამსახურის მოქმედება. 13 წლის განმავლობაში ვიყავი კანცელარიის უფროსი და დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ლარის სიზუსტით ამოწმებენ ყველაფერს. ჩვენ გვქონდა ასეთი მომენტი, როდესაც შეძენილი იყო ეკონომიკის 15-ლარიანი წიგნი, ფაქტურა არ გვქონდა, დანარჩენი ყველაფერი სახეზე იყო წიგნის ჩათვლით, შტამპით, გატარებული და ინვენტარიზებული. აუდიტი ამოწმებს ყველაფერს, საიდუმლო ხარჯების ჩათვლით და ვალდებულია, მაშინვე მსვლელობა მისცეს საქმეს, როგორც კი დანაშაულს აღმოაჩენს. აქ, ორი დიდი დანაშაულის მიუხედავად, აუდიტის სამსახურმა არ გადასცა საქმე პროკურატურას, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ ეს იყო სააკაშვილის პირადი ხარჯები და ვერავინ გაბედა ამაზე ხმის ამოღება. კარგია, რომ დღეს მაინც დაიწყო ძიება, რადგან, როდესაც პირველად გაკეთდა განცხადებები ასეთი ხარჯვის შესახებ, მაშინ დაიწყეს საუბარი, რომ თითქოს უნდა შექმნილიყო რაღაც კომისია. მე მაშინ დიპლომატებთან მქონდა შეხვედრა და ყველა მხრებს იჩეჩდა, რა კომისიაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც პირდაპირ დანაშაულის ამსახველი დოკუმენტია დადებულიო. ეს ის თემაა, რომელიც პირდაპირ შეიძლება იყოს იმპიჩმენტის საფუძველი. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კანონის უზენაესობაა, ასეთი ხარჯების გამოქვეყნების შემდეგ ნებისმიერი პრეზიდენტი თვითონ გადადგებოდა იმ დღესვე. დამატებით ხმაურსა და სირცხვილს, რომელიც აუცილებლად გაგრძელდებოდა და გარდაუვალი იმპიჩმენტით დასრულდებოდა, გადადგომას ამჯობინებდა. თუნდაც ერთი ასეთი ფაქტიც კი საკმარისი იქნებოდა ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად. ჩვენთან კი არც სააკაშვილი ფიქრობს გადადგომაზე და არც იმპიჩმენტის პროცედურის წამოწყებაზე ზრუნავს ვინმე. ეს მიგვითითებს იმაზე, რაოდენ ძლიერია ნაციონალური რეჟიმის გადმონაშთი დღევანდელ ხელისუფლებაში.



– თქვენ კარგად იცნობდით სააკაშვილს. ადრეც უყვარდა ძვირფასეულობა?

– ერთი ფაქტი მახსოვს, რაც ყოველთვის მიკვირდა. კარგი საქონელმცოდნეობით მან ყოველთვის იცოდა ყველაფრის ღირებულება. თუ რომელიმე კორუმპირებული მაღალჩინოსანი შემოვიდოდა დარბაზში, ვთქვათ, უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ის იტყოდა, ნახე, რა საათი უკეთია, 16 ათასი დოლარი ღირს. ნახე, რა კოსტიუმი აცვია! და ა.შ. ეს მიდრეკილება მას ყოველთვის ჰქონდა. ამას დაემატა ის ძალაუფლება, რაც მან მოულოდნელად მიიღო და მოგეხსენებათ, რომ ძალაუფლება რყვნის. გაპრეზიდენტების შემდეგ თავიდან სააკაშვილი რამდენჯერმე გაემგზავრა უცხოეთში რეისის თვითმფრინავით... მერე კი დაინახეს, რომ ქვეყანა მათია და „გაირყვნენ“ აბსოლუტურად. სააკაშვილი, უგულავა, მერაბიშვილი, ადეიშვილი და სხვები სადღაც ორ წელიწადში გადაიქცნენ ისეთ ადამიანებად, რომლებსაც უკვე ვეღარ იცნობდა ის, ვისაც მათთან მანამდე ჰქონდა შეხება. გაიხსენეთ, 2007 წელს, დარბევის წინ, „იმედმა“ აჩვენა სიუჟეტი ჭოპორტში, სადაც ფეხით გავლაც კი არ შეიძლება, რადგან მტკნარი სასმელი წყალი გროვდება თბილისისთვის, სააკაშვილსა და ბიძამისს, თემურ ალასანიას კი ფეშენებელური ვილები ჰქონდათ აშენებული. ჯერ რა თანხებით ააშენეს და თან აშენებულია იქ, სადაც ხალხს გასასეირნებლადაც არ უშვებდნენ. ასე რომ, სააკაშვილი მალევე „გაირყვნა“, პირველ ორ წელიწადში. უბრალოდ, ეს მოგვიანებით გამოჩნდა. ის, რომ სააკაშვილმა თითო ლარად დაურიგა სახელმწიფო ქონება საკუთარ მეუღლეს, დედას, მამას, ამაზე მასალები ხომ არსებობს? ასე რომ, სააკაშვილს იმთავითვე ჰქონდა ეს მიდრეკილებები. ჩემთვის მაგალითია ლევან მამალაძე. ის არანაირად არ იყო კორუმპირებული, როდესაც 1992-ში ერთად შევედით პარლამენტში. ის ვაჟკაცურად დადიოდა აფხაზეთში, ჩაჰქონდა ტვირთი, იბრძოდა... როგორც კი გუბერნატორად დაინიშნა, ძალიან მალე გახდა ლევან ფაშა. ეს ჩვენთან ხდება. 3 წლის წინათ შირაკი გაასამართლეს, ამ ხნის კაცი, რომელიც ორი ვადით იყო პრეზიდენტი. იმიტომ, რომ ამოუქექეს პარიზის მეროების დროს, მეოთხედი საუკუნის წინათ, 7 კაცი გააფორმა სამსახურში, თავისი პარტიის წევრები. ის ხალხი სამსახურში დადიოდა, მაგრამ მაინც გაასამართლეს კაცი. აქ კი უგულავამ უკანონოდ დაადო გრიფი თბილისის დასუფთავების სამსახურის ხარჯებს, რადგან მომღერლები ჰყავდა გაფორმებული დამსუფთავებლად, ან ალპინისტად.

– თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის გასამართლება.

– მარტო ეს დოკუმენტაცია აბსოლუტურად საკმარისია ამისთვის. ამავდროულად აუცილებლად უნდა დაიწყოს იმპიჩმენტის პროცედურა. მაშინაც კი, როცა ვიცით, როგორი სასამართლო გვყავს დღეს, მაშინაც კი როცა ვიცით, რომ იმპიჩმენტის პროცედურას დრო სჭირდება, რომელიც შესაძლოა, ის დრო იყოს, რაც სააკაშვილს პრეზიდენტობისთვის დარჩა, ეს მაინც უნდა მოხდეს, რადგან ეს არის მტკიცებულება იმისა, რას სჩადიოდა რეჟიმი. და როცა სააკაშვილს დაუმთავრდება ვადა, მაშინ უნდა ამოქმედდეს კანონით გათვალისწინებული ყველა მექანიზმი.

რა ელის ვადის გასვლის შემდეგ?

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას მთავარი პროკურატურის პრესსპიკერმა, ხათუნა პაიჭაძემ დაადასტურა, რომ მიმდინარეობს გამოძიება ბიუჯეტის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტზე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. თუმცა ის, გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით, არ აკონკრეტებს, საქმის გარშემო ვინ არის დაკითხული.

ჩვენს მკითხველს გვინდა გავუმხილოთ, რომ ასეთი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსში საერთოდ არ არსებობს. როგორც ჩანს, პროკურატურის წარმომადგენელმა, უბრალოდ, პოპულარული ენით განმარტა, რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. სინამდვილეში კი საქმე გამოძიებაში უსათუოდ სამოხელეო დანაშაულის ფარგლებში იქნება გამოძიებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ ივანიშვილს კიდევ მოუნდება სააკაშვილისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება, ამჟამად მოქმედ პრეზიდენტს რამდენიმე თვეში 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება.

„სააკაშვილმა თითო ლარად დაურიგა სახელმწიფო ქონება საკუთარ მეუღლეს, დედას, მამას, ამაზე მასალები ხომ არსებობს? ასე რომ, სააკაშვილს იმთავითვე ჰქონდა ეს მიდრეკილებები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახი კავსაძე - 78 წლის იუბილე

my View
თამარ გონგაძე

5 ივნისს კახი კავსაძის დაბადების დღეა. 78 წელი უსრულდება, როგორც ამბობს, ერთ წუთში ღირსებით გავლილი 78 წელი. საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი მსახიობის დაბადების დღეს ლამაზი ღონისძიებით ხვდება. სპეციალურად ამ დღისთვის დაგეგმილია კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ხელის ანაბეჭდების გახსნა. ამ დღეს გივი ბერიკაშვილის 80 წლის იუბილეც აღინიშნება. მსახიობს 80 წელი 15 მაისს შეუსრულდა, თუმცა იუბილე ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო არ აღუნიშნავთ. „მე ჩემს თავს უფლება არ მივეცი, რომ ამ დღეს მარჯანიშვილის თეატრში ჩემი იუბილე აღმენიშნა. ამიტომ 5 ივნისს, მუზეუმში, მე და კახი ჩვენს იუბილესაც აღვნიშნავთ და ჩვენი ანაბეჭდების გახსნაც არის“, - გვითხრა გივი ბერიკაშვილმა. მსახიობის უამრავ ჯილდოს 15 აპრილს კიდევ ერთი მიემატა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ რიგით მეთერთმეტე დაჯილდოების ცერემონიალზე კახი კავსაძეს „ოქროს ფრთა“ გადაეცა, როგორც საპატიო ლაურეატს. „დიდი მადლობა მინდა გითხრათ, რომ ამდენ არაჩვეულებრივ ჟურნალისტში მე დამინახეთ. ეს, რაღაც მესიჯვივით არის. ამ გზავნილს ამოვიკითხავ და მერე ვილაპარაკოთ. დიდი მადლობა“.

ლეგენდარული წყვილი - კახი და ბელა

„ჩვენი სიყვარულის დემონსტრირებას მე ღიად არასდროს ვახდენდი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ თავი შემეძლო გადამედო მისთვის“

„სიტყვა „წუთისოფელი“ დედამიწაზე, ჩვენს გარდა, არც ერთ ერს არ აქვს. ეს 78 წელი წუთში გავიდა! ასე ჩქარა, კაცო? რა უბედურებაა? ცოტა გაჭიმულიყო მაინც. ერთი თვალის დახამხამებაა... არადა, რამდენი გულისტკივილი, რამდენი სიამოვნება, რამდენი რამ ეტევა ამ ერთ წუთში“

კახის და გივის ანაბეჭდები მუზეუმში

სულ ცოტა ხნის წინ ამ მუზეუმში კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, მეცხრამეტე საუკუნის გოთური სტილის „უკვდავთა თაღში“, ბეტონის ფილებზე, იმ ადამიანების ანაბეჭდები რჩება, ვინც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ხელოვნების ისტორიაში. „პირველად, ელდარ შენგელაიას ანაბეჭდი გავხსენით, მის 80 წლის იუბილეზე. თეატრის საერთაშორისო დღეს ოთარ მეღვინეთუხუცესის ანაბეჭდი მიემატა, 5 ივნისს კი, კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის ანაბეჭდები ერთად გაიხსნება. გვექნება ამ მსახიობების ფოტოების ძალიან საინტერესო რეტროსპექტივა. სიმბოლურად გამოიფინება ბატონი კახის 78 ფოტო და ბატონი გივის 80 ფოტო. ძალიან თავმდაბალი ადამიანები არიან. ყველაფერზე გვეუბნებიან, არ არის საჭირო, ნუ შეაწუხებთ ხალხსო. დაპატიჟებულები არიან მათი მეგობრები და საინტერესო საღამო გამოვა“, - აცხადებს გიორგი კალანდია, მუზეუმის დირექტორი.

„ღმერთმა კიდევ დიდხანს მიმყოფოს მისი თავი“

გივი ბერიკაშვილი: - ჩემი და კახის მეგობრობა თეატრალური ინსტიტუტიდან მოდის. ორი წლით უმცროსია ჩემზე, ბიძიას უნდა მეძახდეს, მაგრამ სად აქვს მაგდენი ნამუსი? :) სცენაზე ერთად არ გვქონია ნათამაშევი, ესტარადაზე კი 20 ნელი ერთად გავატარეთ. თუ ვინმეს შეუძლია მეგობრობით, სიყვარულით, სხვისი წარმატების სიხარულით დაიტრაბახოს, მათ შორის ერთ-ერთი კახი კავსაძეა. მის გარემოცვაში არ არსებობს შური, შუღლი, მხოლოდ სიყვარული და ერთგულებაა. ღმერთმა შემოქმედებაში გაუმართლა, წარმატებული კაცია... ჰქონდა პატარა გულისტკენები. ჯერჯერობით უძლებს, თავს კარგად ართმევს, ისევ წარმატებით მუშაობს და ღმერთმა კიდევ დიდხანს მიმყოფოს მისი თავი.

კახი კავსაძე: - გივი ჩემი სტუმარი იქნება 5 ივნისს. ძალიან ბევრს ლაპარაკობს! ყველა ბაბუას მეძახის და ბიძია მაინც დამიძახეო, მეუბნება. არ ეყოფა? თქვენობით ველაპარაკები და მეტი რაღა ვქნა, კაცო?

- თქვენი ანაბეჭდი სამუდამოდ დარჩება მუზეუმს, რა გრძნობას გიტოვებთ ეს ფაქტი?

- ვფიქრობ, ხალხი არ შეწუხდეს-მეთქი. გადავირიე, ეს პატარა გოგო-ბიჭები მუზეუმში როგორი სიყვარულით და რუდუნებით აკეთებენ ყველაფერს - სურათებს ბეჭდავენ, ადიდებენ.

- იმსახურებთ...

- ეგრე არ არის. ყველა იმსახურებს... ჩვენ ყველანი ღმერთის შვილები ვართ. ზოგი მეტად გამოჩნდება, ზოგი - ნაკლებად... პრივილეგირებული არავინ უნდა იყოს. თქმა იციან - „შენ გეკუთვნის“, „იმას ეკუთვნისო“. რას ნიშნავს - იმას ორი ლუკმა ეკუთვნის და შენ ერთი ლუკმა? ყველას ერთნაირი პატივისცემა და სიყვარული ერგება. შეიძლება შენი უფრო მეტად გამოჩნდა, არ ვიცი, ან სხვანაირად გააკეთე.

„კომიკოსი, მოცეკვავე, მასხარა, საშინლად დრამატული ადამიანი“

ნანა ჯანელიძე: - ბატონ კახის ჯანმრთელობას ვუსურვებ, დანარჩენი ყველაფერი აქვს. იმდენად ყველაფრით შემკული ადამიანია, არც კი ვიცი, რა ვუსურვო. დიდი სიყვარულის, სიკეთის და აღტაცების უნარი აქვს. მინდა, რომ სულ კარგად იყოს, კინოში გადაიღონ, სპექტაკლები ითამაშოს. 2011 წელს გადავიღე ფილმში „ნეტავი, იქ თეატრი არის?“ ამ ფილმში მისი ნიჭის ბევრი მხარე გამოჩნდა, რომელიც მეც არ ვიცოდი. უცებ გამობრწყინდა, როგორც კომიკოსი, მოცეკვავე, მასხარა, ჯამბაზი, საშინლად დრამატული ადამიანი. ისეთი თავაზიანია და ისეთი მოწიწებით ელაპარაკება ქარხნის ჩვეულებრივ მუშას, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს. გულისხმიერი და გულუხვია ურთიერთობაში. ქუჩაში რომ გამოდის, მასთან მიმსვლელთა რიგები დგას და არავინ უარით არ გაუსტუმრებია. ფოტოებს იღებს, ავტოგრაფებს არიგებს, ეკითხება, რა გქვიათ? არ დაუწუწუნია, დაღლილი ვარ და გამატარეთო. ეს ადამიანებზე მოქმედებს და იმიტომაც არის, რომ მის მიმართ წარმოუდგენელი სიყვარული აქვთ. სიყვარულის გარდა დიდი ავტორიტეტი აქვს. რაღაცნაირი მოწიწება აქვთ. ძალიან ღია ადამიანია.

გოჩა კაპანაძე: - ძალიან კეთილშობილი ადამიანია. იშვიათად შემხვედრია სხვისი წარმატებით აღფრთოვანებული ადამიანი. ყოველთვის ასეთი იყო. უყვარს გვერდში დგომა. სხვისი ჭირ-ვარამის გამზიარებელია. რა დონის ხელოვანია მთელმა მსოფლიომ იცის. ოთხივე კონტინენტზეა ნამყოფი. მე ბედნიერი ვარ, რომ 30 წელია ბატონ კახისთან ვმეგობრობ. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით სცენაზე. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს. გილოცავთ, ბატონო კახი! მადლობა ყველა იმ წუთისთვის, ყველა იმ დღისთვის, რომელიც მე თქვენთან მაკავშირებს. ძალიან მიყვარხართ.

„78 წელი წუთში გავიდა“

ამბობს, რომ საკუთარი დაბადების დღე არ უყვარს. ცოლის და შვილების დაბადების დღეები მიხაროდა, ჩემი დაბადების დღე არასდროსო, - ამბობს.

კახი კავსაძე: - კაცი რომ 78-ის და 80 წლის გახდება, უნდა მიულოცონ თუ უნდა მიუსამძიმრონ? იქნებ უნდა დაამშვიდონ - არა უშავს, დამშვიდდი, ხუ გეშინია, ყველაფერი იწყება და ყველაფერი მთავრდებაო... ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამთავრდეს რაღაც და უნდა გაამხნევო, ვაუკაცურად გაუძელი, შენ იცი და შენმა კაცობამ. უნდა შეუძახო ამ დროს! მე მგონია, ამ დროს იმას ულოცავენ, ამ უმძიმესი ცხოვრების გზა როგორ ღირსეულად გაიარე, რომ არ ჩაისვარე, არ გათახსირდი და ღირსეულად იდექიო. მომავალშიც გისურვებ, რომ არ დაითხუპნოო. ისე, ეს ასაკი მისალოცი საქმე არ არის. როგორ ვაუკაცურად შეხვდები დასასრულს, ეს არის მთავარი. სიტყვა „წუთისოფელი“ დედამინაზე, ჩვენს გარდა, არც ერთ ერს არ აქვს. ეს 78 ნელი წუთში გავიდა, ზუსტად წუთში! ასე ჩქარა, კაცო? რა უბედურებაა? ცოტა გაჭიმულიყო მაინც... ერთი თვალის დახამხამებაა... არადა, რამდენი გულისტკივილი, რამდენი სიამოვნება, რამდენი რამ ეტევა ამ ერთ წუთში.

- სიბერე რა ასაკიდან მოდის?

- ერთ საოცრებას გეტყვით. არც ერთი წამით არ მიგრძნია სიბერე. არავითარ შემთხვევაში. ის ფაქტია, რომ მე ჩემს შვილებსა და შვილიშვილებზე უფროსი ვარ, მეტი გამოცდილება მაქვს. თორემ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა წავიავადმყოფე, არავითარ შემთხვევაში ჩემს თავს ბებრად არ ვთვლი. ძალიან პატივისცემით მეპყრობიან, როგორც მოხუცებს ისე და თუ ამის სურვილი აქვთ, კარგი, ჯანდაბას, მომექცნენ ასე. მაგრამ შინაგანად? არავითარი სიბერე! ყველაფერი ისე მინდა, როგორც 50 წლის წინ მინდოდა. გული არ ბერდება. ლამაზსაც ვხედავ, მახინჯსაც, განვიცდი, ვღელავ... დაბლანტული არ ვარ. კიდევ ერთი წელი მოვიდა. გმადლობთ, ბატონო. კარგია, რომ ჩემს შვილებს, შვილიშვილებს ვხედავ. ძა-

„ოქროს ფრთის“ დაჯილდოების ცერემონიალზე



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

და ანაბეჭდის გახსნა მუზეუმში







EXCLUSIVE

„კაცი რომ 78-ის და 80 წლის გახდება, უნდა მიულოცონ თუ უნდა მიუსამძიმრონ? იქნებ უნდა დაამშვიდონ - არა უშავს, დამშვიდდი, ნუ გეშინიაო. მე მგონია, ამ დროს იმას ულოცავენ, ამ უმძიმესი ცხოვრების გზა როგორ ღირსეულად გაიარე, რომ არ ჩაისვარე, არ გათახსირდი და ღირსეულად იდექიო“

ლიან მსიამოვნებს მათთან ყოფნა, ლაპარაკი. სიცოცხლე კარგია. მართლმადიდებელს სიცოცხლე აუცილებლად უნდა გიყვარდეს. თუ სიცოცხლე გიყვარს, სხვაც გეყვარება, სხვა თუ არ გიყვარს, მაშინ ცოდო ხარ.

- თქვენზე მითხრეს, რომ სხვისი სიხარულის გაზიარება შეგიძლიათ. ვფიქრობ, ამიტომაც არ ბერდებით.

- მართლა? მაშინ სხვისი გამარჯვება უფრო აქტიურად გამიხარდება. როცა ვხედავ, სხვა ბედნიერია, გულით მიხარია. კარგი ჩემთვის მაგალითია. როცა რაღაც მაგალითია, იმ გზას მივყვები, რომელიც, ალბათ, სიკეთისკენ გამიყვანს მეც და ყველას. ეს კიდევ კარგია...

- მთავარი ცხოვრებაში რა არის?

- თუ მოყვასი არ ხარ, სხვის სიხარულს ვერ იზიარებ, უბედური კაცი ხარ და დახმარება მოძღვარს უნდა სთხოვო. ადამიანს შური და სიძულვილი სიმძიმედ ადევს მხრებზე და სპობს. კაცი თავისუფალი როდის არის იცით? ამას რომ მოიშორებს და გადაყრის, მაშინ. თავისუფალი როცა ხარ, მაშინ მოყვასიც ხარ. სხვისი რომ გაბედნიერებს, მაშინ ხარ ბედნიერი. ტყუილად კი არ უთქვამთ - „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“. მტრობა ანგრევს, ლეწავს, მიაქვს ყველაფერი. სიყვარული აშენებს. ეკლესიის გზით უნდა ვიცხოვროთ, ისე გაგვიჭირდება.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის, რომ არ დაგავიწყდით და დაბადების დღე მომილოცეთ.

2009 წლის ინტერვიუ კახი კავსაძესთან

ეს გამორჩეული ადამიანი ისე მიყვარს, რომ ამის გამოსახატად ერთად თავმოყრილი გადაპრანჭული სიტყვების ერთობლიობაც კი მეზედმეტება. მის ყველა როლზე ვგიჟდები, თავისი გულწრფელი ყველა ჟესტით მიყვარს... ის განუმეორებელია. გთავაზობთ „პრაიმტაიმისთვის“ სამი წლის წინ მოცემულ კახი კავსაძის ინტერვიუს.

„მე რომ მამა ცოცხალი მყოლოდა, აუცილებლად მუსიკოსი ვიქნებოდი“

თუ ხის სიგრძე მისი ფესვებიდან იზომება, კაცის გაზომვა მისი წინაპრებით ხდება. კახის ფესვებს კი მის ლოტბარ ბაბუსთან მივყავართ. ქართულ ხალხურ საგუნდო მუსიკასა და საზოგადოდ ქართულ ხელოვნებაში კავსაძეების დინასტიას სათავე ალექსანდრე კავსაძემ დაუდო. ქართული ხალხური სიმღერის ისტორიას დღემდე ლეგენდად ჰქონია შემონახული სანდრო კავსაძის მიერ შესრულებული „ურმული“ და „ოროველა“. თანამედროვენი კი თურმე აღნიშნავდნენ, რომ ილია ჭავჭავაძე სწორედ სანდრო კავსაძისეულ შესრულებას ისმენდა ყველაზე დიდი სიამოვნებითა და ემოციით. მამის საქმიანობა შვილს - დათაშკა კავსაძეს გაუგრძელებია. ტყვეობისგან დასნეულებული დათაშკა გერმანიის საავადმყოფოში გამოჯანმრთლებისთანავე ქართველი ტყვეებისგან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს აყალიბებს. „გარდა სიმღერისა, გუნდის არსებობას სხვა დანიშნულება ჰქონდა, საკონცენტრაციო ბანაკებში ქართველ ტყვეებს აგროვებდა. ხმამაღლა იძახდა - რომელი ხართ ქართველიო? მაშინ მართლაც ბევრი ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს. მე ვერ აგინერთ იმ ემოციას, რაც მამის ჩამოსვლის მოლოდინისას განვიცადე. რეჟისორობას ვაპირებდი და დავწერე ნოველა „რატომ?“ იქ აღვწერე მამას დასახვედრად ოჯახური სამზადისი, რას ამბობდნენ ნათესავები, რა ხდებოდა ჩვენს გულებში, როგორ ჩამოდიოდა მატარებლიდან ერთი, მეორე, მესამე... როგორ შევარდა ვაგონში დედაჩემი და როგორ გამოვიდა იქიდან ნირწამხდარი. მამა მატარებელში არ აღმოჩნდა... თვითმხილველებმა გვითხრეს, სოჭში აიყვანესო. დაიჭირესო, თქვა დედამ. რატომ? ვიკითხე. ეს კითხვა დღემდე მომყვება... მერე ციხეში მე და ჩემი ძმა ერთი ერთ მუხლზე დაგვისვა, მეორე მეორეზე - „მუსიკას სწავლობთო?“ - გვკითხა. მე ათწლედში ვსწავლობდი და თანაც კარგად. მე რომ მამა ცოცხალი მყოლოდა, აუცილებლად მუსიკოსი ვიქნებოდი“.

„მთელი კავსაძეების ჯიში მუსიკოსები და არტისტები იყვნენ“

მსახიობობაზე არასდროს უფიქრია, უბრალოდ, ერთ საოცარ სახლში დაიბადა, ვორონცოვზე 1935 წელს. მის მეზობლად ცხოვრობდნენ აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, თამარ ჭავჭავაძე, ალექსანდრე და სესილია წუწუნავები. ამ დონის მსახიობები ეზოს ბავშვების სპექტაკლების სანახავად ბილეთებსაც ყიდულობდნენ. „ხან ეზოში ვდგამდით სპექტაკლებს, ხან კი მათთან, ვისაც დიდი ოთახი ჰქონდა. დაჯდებოდა აკაკი ხორავა

და ხალისობდა ჩვენს შემოქმედებაზე“.

მერე იყო მსახიობობის ჟინი, არშემდგარი კინოდებიუტი ფილმში „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. ვეფხია ხალიბაურის როლზე დაამტკიცეს, მაგრამ ტრავმა მიიღო - ნეკნები დაიმტვრია და ექვსი თვე გაატარა საავადმყოფოში. „მქონდა ქუჩური მეტყველება. მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში შანსი მომცეს, მაინც კავსაძეა და ჯანდაბას, იყოსო. იცით, როგორ შევუდექი სწავლას? მთელი აარრსებით, მთელი გუუულით, რადგან ეს იყო უმნიშვნელოვანესი ჩემს ცხოვრებაში.

ბატონმა მიშა თუმანიშვილმა ერთხელ თქვა: „კახი მშვენიერი ახალგაზრდაა, მაგრამ შემთხვევით მოხვდა თეატრში და ვეღარ მიდისო. რა უნდა ახლა ამას თეატრმიო? არადა, ხომ შეიძლებოდა სხვა საქმეში გენიოსი ყოფილიყოო“. დასის წევრები გაისუსნენ და ყველამ მე დამიწყო ყურება. მე ვუთხარი - „ბატონო მიშა! მე შემთხვევით არ ვარ თეატრში, კანონზომიერად ვარ. მთელი კავსაძეების ჯიში და მოდგმა მუსიკოსები და არტისტები იყვნენ, მთელი ჩემი ბავშვობა თეატრში მაქვს გატარებული. აი, თქვენ კი, მართლა შემთხვევით ხართ აქ. რა კარგი შემთხვევაა, არა? მამათქვენი იყო მსახიობი? ბაბუა - რეჟისორი? თუ... რა გინდოდათ თქვენ თეატრში-მეთქი?“ მთელი დასი სულგანაბული მისმენდა. ბოლოს ცუდი ჟესტი გავაკეთე: „მე ხელოვნება აი, „აქ“ მაქვს-მეთქი“. მას შემდეგ მიშა ვეღარ მიტანდა და ყველას ეგონა, რომ დავიღუპე“. მას შემდეგ კი კახიმ 50-მდე თეატრალური და 80-მდე დაუვიწყარი კინოროლი შექმნა.

„საოცარი ქალი იყო... მე კი ვერაფრით გავახარე“

ამ ინტერვიუს ჩაწერისას, როდესაც კახიმ ბელა ახსენა, მსახიობის სახლში თითქმის ყველა ოთახის კარი გაიღო. ამ წყვილის ლეგენდარულ სიყვარულს ასეთი სულიერი კავშირი ახლავს. ამ დროს ხვდები, რომ სიყვარული არ კვდება.

„თეატრალური ინსტიტუტის ფოიეში გურანდა გაბუნიას ელაპარაკებოდა და რაღაცაზე იცინოდნენ. მაშინვე დავები, მაგრამ თქმას როგორ გავბედავდი. შემდეგ კი, როცა ჩემი თავი ვიპოვე, გავთამამდი. მე და ბელამაც ნელ-ნელა ავაწყვეთ ურთიერთობა. ბელა მიშა თუმანიშვილის ფავორიტი მსახიობი იყო. ჩემი ცოლი რომ გახდა, საერთოდ გაგიჟდა ეს კაცი. ანუ მე მას მოვსტაცე მისი ნაწილი, მუზა. მახსოვს, ერთხელ ვისხედით მე, ბელა, მიშა, რობიკო... ბელამ რაღაცაზე რეპლიკა თქვა, რაზეც ბატონმა მიშამ უპასუხა - „ა ტი მალრი, დევოჩკა, ი ზნაი, ჩტო ტვოია სუდბა ზავისიტ ოტ მენია“. ბელამ უპასუხა: „ია, ნე დევოჩკა, ია აკტრისა ტეატრა რუსტაველი, ა მაია სუდბა ზავისიტ ოტ ეტოგო ჩელავეკა“ და ჩემზე მიუთითა.

აი, ამ სიტყვების დროს იგრძნო კახიმ და ჟურნალისტმა ბელას უხილავი ენერგია, კარები გაიღო. კახის ჟურნალისტის რეაქცია არ გამოპარვია. „თქვენ რა გგონიათ, შეიძლება შემოვიდა კიდეც. აშკარად არაფერი დამიტოვებია ღია. ისე, ყოველთვის ვგრძნობ მის ყოფნას და არაერთხელ დამიმტკიცა ეს. ორმოცი გასული არ იყო, ვიჯექი ჩემთვის თავჩაღუნული და აქტიურად ვფიქრობდი მასზე. უცებ წიგნი დაეცა ჩემ წინ. მე დავიყვირე - „აქა ხარ, ვიცი, აქა ხარ-მეთქი“! ჩანგალიც იდო იქვე და ისიც ახტა და დავარდა... საოცარი ქალი იყო, განათლებული და ინტელიგენტი. მთელი ცხოვრება ჩვენ მოგვიძღვნა და ერთხელ არ დაუნუნუნია ავადმყოფობის გამო. ის იყო ყველა ჩვენგანის მესაიდუმლე, პატრონი, მრჩეველი. ჩვენი სიყვარულის დემონსტრირებას მე ღიად არასდროს ვახდენდი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ თავი შემეძლო გადამედო მისთვის. ზოგჯერ ამბობდნენ, საწყალი ბელაო და უკვირდა, რატომ ვარ საწყალი? მყავს შვილები, მეუღლე... ყველაფერი ერთად კი არ არსებობსო. არც ერთი საყვედური არ მახსოვს მისგან, პირიქით, „კახის სპექტაკლი აქვს, კახის გადაღება აქვს“... მასთან ბოლო სატელეფონო ზარიც ასეთივე უპრეტენზიო იყო. „ჩამოდიო“... დამელოდა და ორ დღეში გარდაიცვალა... მე კი ვერაფრით გავახარე“...

მისი უდიდებულესობა მაყურებელი

„მისი უდიდებულესობა მაყურებელი - აი, რა არის ჩემი ყველაზე დიდი ღირებულება. ამდენი განსხვავებული მენტალობის ადამიანი თანხმდება იმაზე, რომ შენ მისი საყვარელი მსახიობი ხარ, ფულს იხდის და მოდის შენს სანახავად. ხანდახან მეკითხებიან, „ბატონო კახი, რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მსახიობი გახდე?“ და მე ყველას ასე ვპასუხობ: ძალიან, ძალიან, ძალიან, ძალიაააააან უნდა გინდოდეს-მეთქი. როგორ უნდა გინდოდეს იცით, რომ იმის იქით აღარაფერი არსებობდეს.

ჩემი ვარსკვლავის გახსნის დროს უამრავი ხალხი მოვიდა თეატრში, უამრავი მომღიმარი და გახარებული სახე დავინახე. მერე, ფოტო რომ ვნახე, ერთი უცნობი გოგონას სახემ სულ გამაგიჟა. მერე გავადიდებინე მისი ემოციური ღიმილი. ვფიქრობდი, ნეტა რა უხარია-მეთქი და მივხვდი, რომ ჩემი ბედნიერება უხაროდა. ამას თუ ვერ დააფასებ, ვერაფერი ვერ გაგიგია ცხოვრებაში“.



„შინაგანად? არავითარი სიბერე! ყველაფერი ისე მინდა, როგორც 50 წლის წინ მინდოდა. გული არ ბერდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეზიკო დიდებაშვილი - დათო

my View
თამარ გონგაძე

„ახალი საბავშვო ხმის“ გამარჯვებული 28 მაისს რეზო დიდებაშვილი გახდა, დათო ფორჩხიძის გუნდის ნევრი. მაყურებლის გადაწყვეტილება ასეთი იყო - გიორგი ვარდანია - 19,7 %, რატი მეზვრიშვილი - 9.2 % და რეზიკო დიდებაშვილი - 71.1 %... აღსანიშნავია ის, რომ მწვრთნელებიდან მხოლოდ დათოს არჩევანი დაემთხვა მაყურებლისას. ანუ მან თავისი ორი ფინალისტიდან არჩევანი რეზიკოზე გააკეთა, 40 პროცენტი გიორგი გიგაშვილს დაუწერა, 60 - რეზიკოს. „ჰოლანდიელმა პროდიუსერებმა მითხრეს, მწვრთნელის მთელი პროგრამატივა იმაშია, რომ მისი და ხალხის აზრი ერთმანეთს დაემთხვესო. ჩემ შემთხვევაში ასეც მოხდა“.

როგორც დათო ამბობს, რეზიკო ჰოლანდიელ პროდიუსერებსაც გამოურჩევიათ. გამარჯვებული გამოცხადდა თუ არა, მაშინვე ვთქვი, ახლა ფორჩხიძის ამბიციებს რა გაუძლებს-მეთქი. მისი მომღერალი უკვე მეორედ გახდა პროექტის გამარჯვებული. დათო „ახალი ხმის“ წარმატებულ მწვრთნელად ითვლება და იმედოვნებს, რომ მესამე „Voice“-შიც იქნება. გამარჯვებული (მწვრთნელთან ერთად), შემოდგომაზე, ერთი კვირით ლოს ანჯელესში „ვოისის“ ჩაწერას დაესწრება. დათოს უნდა, რომ რეზიკოს ამერიკაში თავისი სიმღერა ჩააწერინოს. „ჩემ საოცნებო ქვეყანაში - ამერიკაში, რეზიკოს დამსახურებით პირველად მივდივარ. ჩემი კოლეგები, ალბათ, ნამყოფები არიან და არ

„სახის“ მერე რამდენიმე პროექტი არ გამომივიდა. „ახალმა ხმამ“ იმის საშუალება მომცა, მე რაც მომწონდა, ხალხსაც ის მოვაწონე“

მინდა ეწყინოთ, რომ მე პირველად მივდივარ“.

რეზო 23 მაისს 13 წლის გახდა. ძალიან ბედნიერია და თავის მწვრთნელთან ერთად „პრაიმტაიმის“ მკითხველს ემოციებს უზიარებს.

„პირველად ვამბობ“

დათო ფორჩხიძე: - პირველად თქვენთან ვამბობ და რეზიკოც პირველად გაიგებს ამას. ფორტეპიანოზე რომ შევედი მეხუთე კლასში ვიყავი. პედაგოგმა ძალიან შემაყვარა მუსიკა. ის იზა დიდებაშვილი იყო. გვარს დააკვირდით! ასე ტრიალებს სამყარო. მუსიკა დიდებაშვილმა მასწავლა და მე გავხდი დიდებაშვილის მწვრთნელი და მისი გამარჯვების მონაწილე. ასეთი რაღაცები იქ, ზევით, სადღაც წყდება. ეს სამყაროს ენერგეტიკაა. რატომ დალაგდა ასე? შემთხვევით არაფერი ხდება. ეს ქალი 1987 წლის მერე არ მინახავს. ახლა მინდა მოვძებნო.

„ამერიკაში წასვლას პროდუქტიულად გამოვიყენებ“

„ბედნიერი და გახარებული ვარ, თუმცა ისეთი აჟიტირებული აღარ ვარ, როგორც პირველი გამარჯვების დროს ვიყავი. იმიტომ კი არა, რომ ან თავს ვიფასებ, ან მომბეზრდა, უბრალოდ, უხერხულობა მაქვს. არ მინდა, რომ ვიღაცამ ჩემი ძალები გადაამეტოს. მეგობრები მირეკავენ, ქეცბაიას მერე საქართველოს ნაკრები შენ ჩაიბარეო... სალომე ქათამაძეს და რეზიკო დიდებაშვილს რომ არ ემღერათ, რასაც მოვიგებდი ფანტაზიით მიხვდებით. ის კი ჩემი დამსახურებაა, რომ ეს ბავშვები მე „შევაბი“. ამერიკაში წასვლას პროდუქტიულად გამოვიყენებ. ჩვენ ხომ „ვოისის“ ლაივ კონცერტზე დასწრების უფლება გვაქვს. აშერთან მივაჭრი და ვეტყვი, ეს ბავშვი შენს სიმღერას მღერის, ჩვენ, ოკეანის იქით, ერთ მიკარგულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, უბრალოდ, მოუსმინე და თავზე ხელი გადაუსვიმეთქი და ამას ფოტოაპარატით გადავიღებ. ეს ხუმრობაა, სერიოზულად კი იმას გეტყვით, რომ რეზიკო ამერიკელ თანატოლებს არ ჩამოუვარდება. იქ გავტესტავ, რეზიკოს ბევრს მოვასმენინებ, მართალი ვარ თუ არა. ამ ბავშვის ისე მჯერა, რომ ჯერ ასეთი რწმენა არ მქონია. რეზიკოს მამას ნახევრად ხუმრობით ვეუბნები, შეიძლება თქვენს შვილს ამერიკაში მოუწიოს დარჩენა-მეთქი. წინასწარ ბაქი-ბუქი არასდროს მჩვევია. ყოველთვის ვაკონტროლებ, რომ რამე ისეთი არ ვთქვა, რომ სასაცილოდ ჟღერდეს. ვნახოთ...“

„ავდექი და ჩავაცივდი“

„რეზიკო გუნდში რომ ავიყვანე, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ის, შარშან, დეკემბერში, სალომე ქათამაძემ გამაცნო. სალომესთან „We Are The World“ ბექებში იმღერა. მერე სალომემ მისი სოლო ნამღერი მომასმენინა. მერე ეთერით ვიხუმრე, ვიშვილებ და გავქაჩავ-მეთქი. ამას მოჰყვა ხმები და კომენტარები, რომ თითქოს რეზიკო მართლა ჩემი გაზრდილია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სამი შვილი მყავს და მეოთხეს აყვანის ფინანსური საშუალება არც მე მაქვს და არც რეზიკოს გამოუშვებს ოჯახი, სამი გოგო ჰყავთ და ძლივს გაჩნდა გვარის გამგრძელებელი. ეს ქმნილება 38 წლის ასაკში გავიცანი და ასე რომ ჩავაცივდი, ესე იგი მართლა მომეწონა. ხმის და ნიჭის გარდა არაფერი აქვს, არც ფული და საშუალება. მეც ავდექი და ჩავაცივდი. არ ჰყავდა პატრონი, რომელიც მეტყოდა, შეეშვი, რეზიკო ჩემიაო. 22 წლის სალომე ქათამაძეს არ ჰყოლია „პატრონი“ „ვოისამდე“ და რა გასაკვირია, რომ 12 წლის რეზიკოს არ ჰყოლოდა? მოკლედ, ჩათვალეს, რომ ჩაწყობით ავიყვანე. მერე ასეთი რამეც წავიკითხე, სამივე რეზიკოს გამარჯვებას ჩალიჩობსო. როგორ დაიჯერეს, რომ სტეფანე და ეკა ჩემს მეორედ გამარჯვებაზე ზრუნავდნენ, როცა მწვრთნელები ერთმანეთს ვჭამთ და ვხოცავთ“.

ნიჭი ბაბუისგან

„თუ რეზიკო პროექტში ქართულ სიმღერებს არ მღეროდა, ეს ჩემი ბრალი იყო. მისი მშობლები და ახლობლები მეუბნებოდნენ - ქართული სიმღერა ამღერეო. ქართულს კარგად ბევრი მღერის, რეზიკო კი უცხოურს ყველაზე მაგრად და მოდი, ამ კუთხით გამოვაჩინოთ-მეთქი. ქართულად მის ნამღერს არ ვგულშემატკივრობდი. ერთხელ იმღერა გოგი ცაბაძის სიმღერა და ჟურუანტელმა რომ დამიარა, ნერვები მომე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფორჩხიძის მეორე გამარჯვება

დათო ფორჩხიძე: „ჩემ საოცნებო ქვეყანაში - ამერიკაში, რეზიკოს დამსახურებით პირველად მივდივარ“

„მეგობრები მეუბნებიან, ქეცბაიას მერე საქართველოს ნაკრები შენ ჩაიბარეო“

„აშერთან მივაჭრი და ვეტყვი, ეს ბავშვი შენს სიმღერას მღერის, ჩვენ, ოკეანის იქით, ერთ მიკარგულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, უბრალოდ, მოუსმინე და თავზე ხელი გადაუსვი-მეთქი“

EXCLUSIVE

„ძალიან ვუყვარდი და ყოველთვის ისეთი თვალებით მიყურებდა, რომ მე ამ თვალების რწმენა მქონდა. რეზიკომ ამირჩია და მომაგებინა“

შალა, ეს ბავშვი ამასაც რა მაგრად მღერის-მეთქი“!

დიდებაშვილების ოჯახში რეზიკო მეოთხე შვილია. ნაბოლარას სამი უფროსი და ათამამებს. ყველა მე მივლის, სახლში მამის გარდა სულ გოგოები არიანო, ამბობს. „პროექტმა ცოტა კი შემიშალა ხელი სწავლაში, მაგრამ მასწავლებლები მეუბნებიან, შენ ძალიან მაგარ საქმეს გვიკეთებო. მოსკოვის პროსპექტზე ვცხოვრობ. ბაღის ასაკიდან ვმღერი. სერიოზულად კი ოთხი წლის წინ ავმღერდი. ჩემი ვოკალის პედაგოგის - ნანა ჟღერიას მადლობელი ვარ. „ანა ბანა“ ჩემი პირველი კონკურსი იყო, რომელშიც ცხრა წლისა მეორე ადგილზე გავედი. მერე გოგი ცაბაძის კონკურსის სტიპენდიატი გავხდი და ერთი წლის მანძილზე ხელოვნების არტ აკადემიაში სწავლა დამიფინანსეს.

ლიანა დიდებაშვილი (რეზიკოს დედა): - სიმღერის ნიჭი მამისგან და მამიდებისგან აქვს. რეზიკოს სიმღერა ნინომ ასწავლა, დამ.

დათო: - მამამისი ახსენებს ბაბუას, მაგრად მღეროდაო. მე კიდევ ვუმტკიცებ, ასე მაგრად ვერ იმღერებდა-მეთქი.

ფინალი - „მე რაც მომწონდა, ხალხსაც ის მოვაწონე“

„ძალიან მაგარი ფინალი იყო. სტეფანეს ბავშვებიც გრძნობდნენ ჩემი ფინალისტების სახით როგორი კონკურენტი ჰყავდათ და ეკასიც. ლიზა ყენიამ, 15 წლის გოგომ, საზოგადოების წნეხს გაუძლო (ჯაბუას შვილიაო, ჩაწყობით მოხვდაო) და ისეთ ტონალობებში იმღერა, რომ საზოგადოებას დაანახვა, აქ ნაცნობობა არაფერ შუაში იყო. ფინალის მეორე დღეს ქუჩაში გამაჩერეს, ლიზაც მაგარი ბავშვი იყოო და იცით, რა ბედნიერი ვიყავი? ფინალში არც ერთ ბავშვს საჭირო დოზით არც ქება დავაკელი და არც დიდება. სწორად წარვმართე ჩემი სტრატეგია, ძალიან ენერვიულობდი, თუმცა თავშეკავება ვარჩიე. ცხოვრებაშიც ეგრე მაქვს დაცდილი - სადაც ხელი არ შევუბრუნე, იქ მოვიგე. მოთმინებით ვიგებ.

„სახის“ მერე რამდენიმე პროექტი არ გამომივიდა. „ახალმა ხმამ“ იმის საშუალება მომცა, მე რაც მომწონდა, ხალხსაც ის მოვაწონე. ეს არის ჩემი დამსახურება. გამართლებაზეა ის, ვის „დაითრევ“, ვის „შეაბამ“.

ეკა კახიანი დღე და ღამეს ასწორებდა მუშაობაში, იმიტომ რომ იცოდა, მე დილის 4 საათამდე ვმუშაობდი ბავშვებთან ერთად სტუდიაში. სტეფანემაც ბოლომდე იბრძოლა. ერთმანეთის შეჯიბრში ბავშვებს ვეხმარებით. კი ეგოისტურად ვცდილობთ ჩვენი თავი წარმოვაჩინოთ, მაგრამ გამარჯვება კონკურსანტების დამსახურებაა“.

რეზიკო: - ნამდვილად არ მეგონა, თუ გავიმარჯვებდი. ცოტას ვნერვიულობდი. რუსკამ რომ გამოაცხადა, გამარჯვებულია რეზიკო დიდებაშვილიო, აღარაფერი მესმოდა... ძალიან მაგარი გრძნობაა. ასეთი ბედნიერი დღე ჯერ არ მქონია. ვინც ერთი მესიჯი მაინც გამომიგზავნა, ვინც მხარში მედგა, ყველას დიდ მადლობას ვუხდი. მაგარი შეტყობინებები მივიღე. სულ უცხო ხალხი მილოცავს, ქუჩაში მილოცავენ. ეს სასიხარულო ფაქტია. ჩემი გამოსვლა რომ ვნახე, მომეწონა ნამღერი.

დათო: - უშეცდომოდ აქვს ნამღერი. მინიმალური ხარვეზი აქვს. ის დავალება მივეცი, რომლის შემსრულებელიც ათიანზე იყო. სულ ვამბობდი, არც ერთი პროექტი არ მოუგია, იქნებ ერთხელ ამანაც მოიგოს-მეთქი. ბავშვის არეალს დააკვირდით - ჰიუსტონი იმღერა, „ბითლზები“ იმღერა, გოგი ცაბაძე იმღერა... რეზიკოს გამარჯვება უპირობო არ იყო. ის კონკურენტებმა აიძულეს, რომ მაქსიმუმი გაეკეთებინა. კონკურენტებს რეზიკოს შიში ჰქონდათ და მათაც შეაშინეს რეზიკო. ძალიან ძლიერი ბავშვია. 23 მაისს დაბადების დღე ჰქონდა და წაგებას შეგუებული იყო. ჩემს შვილთან ნანუკასთან მეგობრობს და ის მეუბნებოდა, მამა, ეგ წააგებს, რას იმღერებს, ამბობს მე წავაგებო.

„შეიძლება მე უფრო ცუდი ადამიანი ვარ, ვიდრე სტეფანე“

- „ფეისბუქზე“ მაია დარსმელიძემ სტეფანეს პროცენტულ განაწილებაზე ასეთი რამ დაუწერა - „მინდა გამოვყო ის ადამიანური თვისებები და ერთგულება, როდესაც შენ არც ერთს არ უღალატე და მილიმეტრის სხვაობით გადაანაწილე პროცენტები“. თქვენი პროცენტული განაწილება იყო 60 (დიდებაშვილს) 40-ზე (გიგაშვილს). ადამიანურად ასეთ განაწილებას არ ნანობთ?

- ასეთი განაწილება ჩემი მხრიდან გადამეტებული იყო, სადღაც ვნანობ კიდეც. მეც შემეძლო სტეფანესავით 51 49-ზე დამეწერა და ამაზე ვფიქრობდი. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მე რეზიკოზე ვიყავი ჩასაფრებული. რა მომენტია იცით, რახან სიმღერის კონკურსია, მე აქცენტი მომღერლობაზე გავაკეთე და არა დიდსულოვნებაზე, რაზეც, ალბათ, სტეფანემ იფიქრა. არ ვიცი, ამით იმიჯს მოუფრთხილდა თუ რა გააკეთა. ეს ხალხმა შეუფასოს. შეიძლება მე უფრო ცუდი ადამიანი ვარ, ვიდრე სტეფანე. მე გამარჯვებისთვის გავაკეთე ასე და ამის გამო ლანძღვას მივიღებ. როცა შენი იდეის გწამს, მსხვერპლზე უნდა წახვიდე. ჩემთვის გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მე რეზიკოს სიძლიერის მჯეროდა და ეს ამიტომ გავაკეთე, თუმცა მტკივნეული იყო. ჰოლანდიურ „ვოისში“ მწვრთნელები ჯერ ხალხის აზრს იგებენ და მერე ანაწილებენ პროცენტებს. მე რომ წინასწარ მცოდნოდა, რომ რეზიკო ხალხის რჩეულია, ან 50-50-ზე დავწერდი, ან შეიძლება სულაც პირიქითაც დამეწერა. ჰოლანდიურში კი ვნახე, რომ მწვრთნელმა პროცენტი ხალხის რჩეულს დაუმატა. ამით თქვა, რომ მეც ხალხის აზრზე ვარო. მაია და სტეფანე თუ ფიქრობენ, რომ ისინი დიდსულოვანი ადამიანები არიან, სამაგიეროდ მე ზუსტად გავარტყი საზოგადოების აზრს.

მე და სტეფანე ამ ორი თვის განმავლობაში ხალხს ვეუბნებოდით, რომ ჩვენ, სინამდვილეში მეგობრები ვართ-მეთქი. ფინალის მერე ბოდიშებს მიხდიდა, რამე ხომ არ გეწყინა, ზედმეტი ხომ არ მომივიდაო. არა, მე მომივიდა ზედმეტი-მეთქი, მე მოვუბოდიშე. პროდიუსერები გვეჩხუბებოდნენ, შოუს დუღილის ტემპერატურა უფრო აწიეთ და ეს ყველაფერი რეალურად აქციეთო. სტეფანეს სჯერა, რომ მისი კონკურსანტები უკეთესები იყვნენ. მის ადგილას მეც ასე მეგონებოდა. მისი გამარჯვების შემთხვევაში ვიტყოდი, რეზიკო ჯობდა ყველას, მაგრამ ექვსივე ფინალისტი მაგარია-მეთქი. მოვა დრო რომ სტეფანეც მოიგებს.

„არ მინდა, რომ ბოროტი ვიყო“

- რეზიკო, ბრმა კასტინგზე დათო რატომ აარჩიე?

- ჩემი აზრით, ყველაზე პროფესიონალი და მაგარი მწვრთნელია.

დათო: - ძალიან ვუყვარდი და ყოველთვის ისეთი თვალებით მიყურებდა, რომ მე ამ თვალების რწმენა მქონდა. რეზიკომ ამირჩია და მომაგებინა.

- დათო, ეს ორი გამარჯვება არის იმის გარანტი, რომ მესამეშიც იქნები?

- რატომ უნდა გამაგდონ? კონკურსანტები კიდევ შენ მოგესევიანო, ამბობენ. ასეც არ არის. ვიღაც მაგარი მომღერალი მოსაგებად რომ შემოდის, იფიქრებს, კიდევ ეს ხომ არ მოიგებსო და სხვასთან წავა. ამერიკული „ახალი ხმის“ მესამე შოუ ვნახე, სადაც წინა ორის გამარჯვებული ბლეიქი ძალიან მაჩანჩალად მიდის. მესამეში რომ არ მიმიყვანონ, ვიტყვი - გამაგდეს-მეთქი. ამ შოუმ მე იმ ადგილას დამაბრუნა, სადაც ყოფნას ვიმსახურებ. მე ხალხთან ყოფნას ვიმსახურებ. ხალხს „სახიდან“ მოყოლებული ვუყვარდი. როცა ვიკარგები, ვბოროტდები, მე კიდევ არ მინდა, რომ ბოროტი ვიყო.

„ის მე საუკეთესოებს შორის გამოვარჩიე“

„ახლა, ყველაზე მთავარია გარდატეხის ასაკს როგორ გადაივლის რეზიკო. ძალიან მეშინია. ეს პროცესი გიორგი ვარდანიასაც აქვს დაწყებული. ეს ბავშვები ტექნიკურად დიდებივით მღერიან. ისწავლეს სიმღერის გრძნობა და ისწავლეს როგორ შეაყვარონ ხალხს თავი. ახლა კონტროლში უნდა გვყავდნენ და ისეთი რჩევები მივცეთ, რომ ამ გარდატეხის პერიოდში ხმა არ გაიფუჭონ. რეზიკოს მუტაცია ცოტა დაუგვიანდა, 14 წლის ასაკში დაეწყება. თვითონ ძალიან განიცდის. რეზიკო, ხმას არ დაკარგავ, მთავარია, ხალხი არ დაკარგო და მე ამაზე ვიზრუნებ. რეზიკოს ოდნავ მაინც თუ გავუშვებ ხელს, მისი წამრთმევები რიგში ჩადგებიან, ზუსტად ვიცი. რეზიკო ხალხისაა და ის მე საუკეთესოებს შორის გამოვარჩიე, როგორც, ალბათ, მოცარტი გამოარჩია მისმა პედაგოგმა. ჩვენ ერთამანეთის დავიჯერეთ და ერთმანეთს მივყევით. მე საერთო საახალხო ენერგეტიკა ვიგრძენი. ამ ბავშვს ხალხმა დაუჭირა მხარი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟოლო NEWS

ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამგებების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge

Behance Portfolio Review თბილისში

თბილისში პირველად ჩატარდა ღონიძიება, რომელიც ბევრ ხელოვანს სჭირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში აქამდე არასოდეს ჩატარებულა... ამ დღისთვის თბილისს სპეციალურად ეწვივნენ მსოფლიოში აღიარებული კომპიუტერული პროგრამების წარმოების დიზაინერები, გამოცდილი ილუსტრატორები, განთქმული ფოტოგრაფები... ქართველ არტისტებს კი შესაძლებლობა მიეცათ თავიანთი ნამუშევრები პორტფოლიოების სახით მაღალი კლასის პროფესიონალებისთვის ინდივიდუალურად წარედგინათ და მათი შეფასება მოესმინათ. შეფასებებთან ერთად მათ ნახეს, რომ მათი ნამუშევრის გასაღების ბაზარი მხოლოდ საქართველო არ არის, მთელი მსოფლიოა.

Behance Portfolio Review (ბიჰენს პორტფოლიო რევიუ) მსოფლიოს დიზაინერებს, მხატვრებს, არქიტექტორებს აერთიანებს, მისი მიზანია წარმოაჩინოს წარმატებული ხელოვნების ნამუშევრები და დაეხმაროს მათ განვითარებასა და ახალი პარტნიორების, დამკვეთების მოძიებაში.

მარიკა სლოვინსკი, ორგანიზატორი: „ყველაფერი ინფორმაციის შეგროვებით დავიწყეთ და როდესაც ვნახეთ, რომ ძალიან ბევრი დიზაინერი იყო მოწადინებული, გადავწყვიტეთ ეს ღონისძიება გაგვეკეთებინა. შედეგად მივიღეთ ის, რომ ქართველმა დიზაინერებმა და მხატვრებმა გადააფასეს თავისი დამოკიდებულება ბაზრის მიმართ. საერთოდ, საქართველოში ხელოვანის ნამუშევრის რეალიზაცია და ანაზღაურება ძნელად ხდება. ბიჰენსი გლობალური მასშტაბის ონლაინ პლატფორმაა, მისი მფლობელია კომპიუტერული პროგრამების დამამზადებელი ლიდერი adobe და ეს პლატფორმა იძლევა საშუალებას, იმუშაო თბილისში და დამკვეთი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გყავდეს“.

ღონისძიება 5 ძირითად მიმართულებაზე იყო ფოკუსირებული: ვებდიზაინი, ბრენდინგი, ილუსტრაცია, ფოტო, სახვითი ხელოვნება. რევიუს 5 საუკეთესო მონაწილე ბიჰენსის სპეციალური მედლით დაჯილდოვდა. პორტფოლიოს წარმომადგენელმა მიიღო ბიჰენსის და adobe-ს ონლაინ სერვისებით სარგებლობის პირობები და ფასდაკლების ბარათები. ასევე განსაკუთრებული პრიზები სპონსორებისაგან.

გამარჯვებულები:
ვებდიზაინი - იანა მოსკალენკო;
ბრენდინგი - ია დარახველიძე;
ილუსტრაცია - რუსლან ბერიძე;
ფოტო - მარი ნაკანი- მამასახლისი;
სახვითი ხელოვნება - ნუკა მეგრელიშვილი.

მარიკა სლოვინსკი, ორგანიზატორი: „თითოეული ჯგუფისთვის ჩამოვიყვანეთ გავლენიანი რევიუერი, თითქმის ყველა სფეროში გამოცდილი და ძალიან მაღალი დონის მსოფლიოკლასის პროფესიონალები. თითოეულმა დაათვალიერა წარმოდგენილი პორტფოლიოები, მონანილეებს არ ჰქონდათ ვალდებულება, დიდი აუდიტორიის წინაშე გამოსულიყვნენ, ამიტომ გაცილებით მეტმა შეძლო მონაწილეობის მიღება, ისეთებმაც კი, ვისაც პრეზენტაციის კეთების გამოცდილება არ ჰქონდათ. მათ ჰქონდათ საშუალება რევიუერისთვის პირადად აეხსნათ რას წარმოადგენს მისი ნამუშევარი, რა იდეებით იქმნებოდა, რა ტექნიკით სრულდებოდა და ამ ნამუშევრით რისი თქმა სურდა. ასევე საშუალება მიეცათ რევიუერისგან მოესმინათ მოსაზრება არა მარტო შესრულებული ნამუშევრის ხარისხისა და დონის შესახებ, არამედ, საით და რა მიმართულებით სჯობს, რომ განვითარდნენ... ღონისძიება დამთავრდა თუ არა, მონანილეები გვეკითხებოდნენ, შემდეგი როდის იქნებაო, ამიტომ გადავწყვიტეთ ამ სახის რევიუ მომავალ წელსაც ჩავატაროთ“.

კალათბურთი აჭარაში

აჭარაში კალათბურთის ფედერაცია ჩამოყალიბდა. როგორც „ჟოლოსთვის“ გახდა ცნობილი, ფედერაციას სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმები აქვს. ამჯერად კი, კალათბურთის მხრივ, აჭარაში სახარბიელო მდგომარეობა ნამდვილად არ არის. ამ სპორტით დაინტერესებულებს ელემენტარული პირობები არა აქვთ... არადა, ქართული კალათბურთის გულშემატკივრებს, ალბათ, ძალიან კარგად გახსოვთ „ბასკო“ ბათუმიდან, რომელიც დაარსებიდან ძალიან მალე საქართველოს კალათბურთის წამყვან გუნდად იქცა. მისი არსებობის 6 წლის მანძილზე მან საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ხუთჯერ მოიგო, 2003 წელს კი საქართველოს თასის პირველი გათამაშება. გუნდი 2004 წელს დაიშალა. აჭარის კალათბურთის ფედერაციას სწორედ „ბასკოს“ ერთ-ერთი მოთამაშე კახა შენგელია უხელმძღვანელებს. ის ერთი წელი „ბასკოს“ კაპიტანიც იყო. კახა შენგელიას თქმით, სამომავლო გეგმები დიდია. უკვე შედგენილია პროგრამა, რომელიც აჭარაში კალათბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს.

კახა შენგელია: „ძალიან გვინდა, რომ ძლიერი კლუბი ჩამოვაყალიბოთ, და ბავშვთა კალათბურთის პოპულარიზაცია შევძლოთ. გვინდა, არა მარტო აჭარიდან, არამედ ახლო-მახლო რეგიონებიდან მოვიზიდოთ ნიჭიერი ბავშვები. ამიტომაც ვზრუნავთ აკადემიის ჩამოყალიბებაზე. ჩვენი დიდი სურვილია ეს ყველაფერი უსასყიდლოდ იყოს, ფული კი არ გადაიხადოს ბავშვმა, პირიქით, ჩვენ დავეხმაროთ მათ. ამ ყველაფრისთვის, პირველ რიგში, საჭიროა უმაღლესი ლიგის ძლიერი კლუბი. ამისთვის ვიბრძვით, ვიღვწით, ძალ-ღონეს არ ვიშურებთ და ვიმედოვნებთ, რომ ჩანაფიქრის განხორციელებას უახლოეს ხანში შევძლებთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„საქართველოს ვარსკვლავის“ მორიგი მიგნება - ნინო ქათამაძის ტური

წელს „რუსთავი 2“ ნამდვილად არ ხუმრობს... კონკურსანტებიც რჩეული ჰყავს, ტური და რეპერტუარიც დახვეწილი. ამიტომაც „საქართველოს ვარსკვლავის“ კონკურსი არა რაიმე კონკრეტულ სატელევიზიო პროექტს ჰგავს, არამედ კარგ კონცერტს უტოლდება...

გასულ ორშაბათს ირაკლი ჩარკვიანის ტურმა მთელი საქართველო ეკრანს მიაჯაჭვა, დარბაზში მსმენელი კი ემოციებს შეძახილებით გამოხატავდნენ. ჩარკვიანის შემოქმედება ნიკოლოზ რაჭველმა გააორკესტრა. შედეგმაც არ დააყოვნა, თუ ამ ტურამდე დარბაზში მხოლოდ „საქართველოს ვარსკვლავის“ მონაწილეთა სახელები ისმოდა, ამჯერად მათ ნიკოლოზ რაჭველის სახელიც შეემატა. „ბრავო მაესტრო!“, - ყვიროდა დარბაზი, პროფესიონალიზმსა და ნიჭს უქებდა ნიკოლოზ რაჭველს და მადლობას უხდიდა სიამოვნებისთვის... კონცერტის შემდეგ დადებითმა ემოციებმა სოციალურ ქსელშიც გადაინაცვლა... კომენტარებიდან გამომდინარე, ირაკლი ჩარკვიანის ტურის შემდეგ ნინი სუბლატის თაყვანისმცემელთა რიცხვმა იმატა... „საქართველოს ვარსკვლავის“ ორგანიზატორების თქმით ნიჭიერი კონკურსანტები მაყურებელს ნამდვილ ზეიმს ამ ორშაბათსაც მოუწყობენ... შემდეგი ნინო ქათამაძის ტური იქნება... ასე რომ, „რუსთავი 2“-ის მაყურებელს კვლავ ენერგიული და დადებითი ემოციით დამუხტული ორშაბათი ელის. ამის გარანტი „საქართველოს ვარსკვლავის“ შეუდარებელი კონკურსანტები, ნინო ქათამაძე და ბენდი Insight-ია.

კახა კალაძის გაცილება

ფეხბურთის მოყვარულებსა და მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელების ფანებს 31 მაისს თბილისში ნამდვილი ზეიმი ჰქონდათ. თბილისში ფეხბურთის ცნობილმა ვარსკვლავებმა და კახა კალაძის გულშემატკივრებმა მოიყარეს თავი. მათ კახა კალაძემ უმასპინძლა. 31 მაისს „დინამო არენაზე“ კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი გაიმართა. ამ მეგობრულ თამაშში იტალიის „მილანისა“ და ქართველი ვეტერანი ფეხბურთელები მონაწილეობდნენ... ამ დღესთან დაკავშირებით, კახა კალაძემ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განცხადება გააკეთა:

კახი კალაძე: „მინდა უდიდესი სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით მოგეფეროთ ყველას, ვინც გუშინ ჩემთან ერთად იყავით, ვინც ეს წლები ჩემ გვერდით იდექით და ხარობდით, იზიარებდით ყველა იმ გამარჯვებას თუ წარმატებას, რომელსაც ვაღწევდი. თანამიგრძნობდით და განიცდიდით ჩემთან ერთად ყველა პროფესიულ თუ პირად ტკივილს...

დიდი მადლობა მხარში დგომისთვის, გულშემატკივრობისთვის და ნდობისთვის, რასაც მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერის მანძილზე ვიღებდი თქვენგან და ამის დაგვირგვინება იყო ჩვენი გუშინდელი ზეიმი.

თქვენი სიყვარული და თქვენი პატივისცემა არის ჩემთვის ის სტიმული, ის ნათელი სხივი, რაც გაჰყვება ამიერიდან ჩემს პოლიტიკურ კარიერას და მომცემს ძალას გემსახუროთ თქვენ – ჩემს საყვარელ ხალხს! ჩემს საქართველოს!“– წერს კალაძე.

„შინ“- ის ორი კონცერტი თბილისში

„შინ“-ის კონცერტს საქართველოში ოვაციის გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია. ორივე კონცერტზე დარბაზი მაყურებლით იყო გადაჭედილი. ტრადიციებზე დამყარებული, თანამედროვე და გემოვნებიანი მუსიკა, ქართველმა მსმენელმა ამჯერად მაესტრო ვატო კახიძის დირიჟორობით მოისმინა. კონცერტის დღესვე გაიმართა CD ალბომის პრეზენტაცია. ახალ ალბომში, რომელიც გია ყანჩელის მუსიკაზეა დამყარებული, 11 მუსიკალური ნაწარმოებია შესული და მისი შეძენა მსმენელს „ბრავო რეკორდსის“ სადისტრიბუციო ქსელის მაღაზიებში შეუძლია. ალბომის სახელწოდებაა „არაჩვეულებრივი გამოფენა“. უნიკალური და ინოვაციური პროექტი „ბრავო რეკორდსის“ მონდომებით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადგომით განხორციელდა.

ზაზა შენგელია: „ბრავო რეკორდსი“-სთვის დიდი პატივი იყო ისეთი დონის მუსიკოსებთან მუშაობა, როგორიც „შინ“ -ია. სამზადისი, შესრულების დონე, ხარისხი, სცენოგრაფია, კოსტიუმები, ქორეოგრაფია, აბსოლუტურად ყველა ელემენტი, რომელიც ჩაფიქრებული გვქონდა, ყველას მიერ ფანტასტიკურად შესრულდა. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო თბილისის სიმფონიური ორკესტრი და მისი დირიჟორი ვატო კახიძე, ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი, კონსერვატორიის სექსტეტი და, რა თქმა უნდა, „შინ“-ის ვირტუოზი მუსიკოსები, რომლებმაც ძალიან საინტერესო, მრავალეთნიკური, მრავალკულტურული, მუსიკალური თვალსაზრისით ძალიან რთული პროექტი განახორციელეს. ალბომიც ძალიან კარგი გამოვიდა, თავისი დიზაინით, ხმით, და, რა თქმა უნდა, კონცერტით, რომელსაც ორივე დღეს უამრავი მაყურებელი დაესწრო, ფაქტობრივად, დარბაზში ტევა არ იყო... გვინდა ეს პროექტი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ სხვა ქვეყნებშიც გავიტანოთ. მოლაპარაკებები მიდის თურქეთთან, რუსეთთან, ავსტრიიდანაც დაინტერესდნენ, ისრაელიდან, ამ ყველაფერს მოყვება CD ალბომების გაყიდვები ამ ქვეყნებში. ამ ეტაპზე ეს არის ჩვენი ძირითადი სამუშაო“.

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„საოცრად ჟღერდა ეს მუსიკა ავღანელისგან, როცა ვუსმენდი, ტირილი მინდოდა. ძალიან ლამაზად უკრავდა“

exclusive

„თანადგომა და მუსიკა გადაგვარჩენს ქართველებს“

my View
დეა თავგერიძე

გერმანიიდან საქართველოში კეთილი საქმეებითა და უამრავი სამომავლო გეგმებით ჩამოვიდა... პიანისტ ნინო ყამბეგაშვილის ამ ვიზიტს 11 პატარა მუსიკოსის ფრანკფურტში გამგზავრება მოჰყვება. წლების წინ, მან, გერმანიაში საერთაშორისო კონკურსი „ოქროს კლავიში“ დააფუძნა. პატარა პიანისტები ნოემბერში სწორედ ამ კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას... მანამდე კი საქართველოში მყოფი მუსიკოსი რეგიონებში მცხოვრები მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს და ავჭალის ციხეში არასრულწლოვან მსჯავრდებულებს მუსიკალური ინსტრუმენტებით ასაჩუქრებს. როგორც ნინოსგან შევიტყვეთ, მალე ავჭალის ციხეში მათთვის მუსიკალური სკოლაც დაფუძნდება.

ნინო ყამბეგაშვილი: „ამჯერად კლასიკური და ელექტრო გიტარებით დავასაჩუქრეთ, გერმანიაში მომაწვდინეს ხმა, რომ ძალიან უნდოდათ ეს ინსტრუმენტი. მერე კი, როდესაც მათ შევხვდი და გავესაუბრე, აღმოჩნდა, რომ არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ინსტრუმენტზეც უკრავენ. საერთოდ მუსიკით ბევრია დაინტერესებული, სწავლის სურვილი აქვთ და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. ამიტომ, ჩვენ გადავწყვიტეთ, ამ ბავშვებისთვის, უახლოეს მომავალში, ციხეშივე გავაკეთოთ მუსიკალური სკოლა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია მათი ცხოვრებისთვის და განვითარებისთვის. მანამდე კი მათ გერმანიიდან აუცილებლად გამოვუგზავნი სხვადასხვა ინსტრუმენტებს“...

ნინო ყამბეგაშვილი გერმანიაში 1999 წელს გაემგზავრა და სწავლა ფრანკფურტის უმაღლეს მუსიკალურ სკოლაში გააგრძელა. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, 2007 წელს, ფრანკფურტში ქართულ-გერმანული მუსიკალური ასოციაცია დააფუძნა. პარალელურად, საფუძველი ჩაუყარა ბავშვთა და მოზარდთა საერთაშორისო პიანისტთა კონკურსს „ოქროს კლავიშს“, რომელიც წელს მეექვსეჯერ იმართება და განსაკუთრებულ დევიზს ატარებს: ერთმანეთს დაახლოვოს ბავშვები კრიზისული ქვეყნებიდან: ავღანეთი, ირანი, რუსეთი, ღაზა, პალესტინა, ისრაელი, საქართველო...

ნინო ყამბეგაშვილი: „აგრეთვე, ამ კონკურსისთვის ბავშვებს ვიწვევთ საქართველოს ულამაზესი კუთხეებიდან, აფხაზეთიდან და ოსეთიდან. ვცდილობთ, ყველა ევროპის ცენტრში, ფრანკფურტში შევახვედროთ ერთმანეთს და ამ კლასიკური მუსიკით დავაახლოვოთ ისინი. ამაში დიდ მხარდაჭერას გვიწევს ევროპის გაერთიანებული საელჩო. წელს კონკურსის ჟიურიში მსოფლიოში აღიარებული დირიჟორი დანიელ ბარანბოიმი იქნება და ეს ძალიან მახარებს. ის ზუსტად იგივე პროექტებს ახორციელებს, ოღონდ ცოტა მოზრდილებისთვის. გამარჯვებული ფულადი პრემიით დაჯილდოვდება, ასევე მისთვის გერმანიის მასშტაბით სიმფონიურ ორკესტრებთან ერთობლივი კონცერტები დაიგეგმება.

- ვის მიერ ფინანსდებიან ბავშვები, რომლებიც საქართველოდან გერმანიაში მიემგზავრებიან?

- ჩვენს კონკურსზე, ყოველ წელს, ვირჩევთ ნიჭიერ ბავშვებს საქართველოდან, რომელთაც თავიდან ბოლომდე მე ვაფინანსებ. შემდეგ მათ ვაძლევთ პრემიებს, სტიპენდიების სახით და ვუწყობთ ხელს კარიერის განვითარებაში უცხოეთში... გერმანიაში აგრეთვე მაქვს ჩემი საკუთარი ინტერნაციონალური მუსიკალური სკოლა „ოქროს კლავიში“. ამ სკოლაში, 400-ზე მეტი, ყველა ნაციონალობის ბავშვი და მოზარდი სწავლობს. ამ სკოლაშივე დაარსებულია ქართული საკვირაო სკოლაც, სადაც ქართველ ბავშვებს ვასწავლით ქართულ ცეკვას, სიმღერას, ქართულ ენას... მათ ის ქართველი ფილოლოგები ასწავლიან, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ. საზაფხულო სკოლაში წელს საქართველოდან ჩამოსული ბავშვებიც ივლიან, ისინი გერმანულ ენასაც დაეუფლებიან და მუსიკის გაკვეთილებსაც...

- როგორც ვიცი, 2013 წლის იანვარში, ნატოს დევიზით ავღანეთში იმყოფებოდით, სადაც ნაციონალურ მუსიკალურ სკოლაში ავღანელ ბავშვებს კლასიკურ მუსიკას ასწავლიდით, სარისკო არ იყო ეს ნაბიჯი?

- სარისკო როგორ არ იყო, თუმცა შორიდან უფრო დრამატულად ჩანს და ისმინება.. რა თქმა უნდა, ავღანეთში ნორმალური ცხოვრება არ არის, მაგრამ იმ ბავშვებთან არაჩვეულებრივად ვგრძნობდი თავს... შევხვდი ასევე ქაბულში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს. მას შემდეგ კი გაგვიჩნდა იდეა, გაგვეკეთებინა საერთო კონცერტი დევიზით - „მშვიდობა და თავისუფლება“. ფრანკფურტში მოვიწვიეთ ქართველი ჯარისკაცების შვილები, ასევე ავღანელი ბავშვები და მათ გერმანელ ბავშვებთან ერთად დაუკრეს. ამ ღონისძიებას მხარს უჭერდა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კერძოდ, ბატონი მინისტრი, ირაკლი ალასანია. მას დიდი მადლობა ამისთვის.

- ვიცი, რომ ქაბულში თავადაც მართავდით კონცერტებს და ავღანელები გია ყანჩელის მუსიკას აზიარეთ.

- კი, მათ შორის ის პატარა ბიჭიც, რომელმაც ფრანკფურტში კონცერტზე სწორედ გია ყანჩელის მუსიკა დაუკრა... არაჩვეულებრივი გამოსვლა იყო. იმდენად საოცრად ჟღერდა ეს მუსიკა ავღანელისგან, როცა ვუსმენდი, ტირილი მინდოდა. ძალიან ლამაზად უკრავდა. თვითონ, როცა პირველად მოისმინა, მითხრა, ეს რა თბილი მუსიკა არისო... მეამა, ქართველის დაწერილია-მეთქი, ვუპასუხე... ავღანურ ცხოვრებაში მგონი პირველად ეზიარნენ ბავშვები კლასიკურ მუსიკას. ივლისში ისევ მივდივარ იგივე დევიზით. ავღანეთიდან ორი ბავშვი ფრანკფურტში საერთაშორისო კონკურსზე მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

„ᲝᲥᲠᲝᲡ ᲙᲚᲐᲕᲘᲨᲘᲡ“ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲘ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲓᲐᲜ

- რას მეტყვით რეფორმებზე მუსიკალურ სკოლებში საქართველოს მასშტაბით და იმ გერმანულ დელეგაციაზე, რომელიც წელს საქართველოში მოიწვიეთ?

- საკმაოდ ცნობილი მუსიკოსებისგან შემდგარი გერმანული დელეგაცია, წელს, 28 მაისის ჩათვლით მყავდა ჩამოყვანილი. ჩვენი დევიზი იყო რეფორმები განგვეხორციელებინა მუსიკალურ სკოლებში და არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონების მასშტაბით. რამაც არაჩვეულებრივად ჩაიარა. ვგეგმავთ ასევე მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას გერმანიაში, რეგიონებიდან; ვფიქრობ, ესაც საინტერესეო თემაა, ამაში საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის მერია გვეხმარება.

- როგორია სწავლების დონე საქართველოს მუსიკალურ სასწავლებლებში?

- რატომ იყო მიზანი, რომ რეფორმები ყოფილიყო რეგიონალურ სკოლებში, იმიტომ რომ დონე დედაქალაქში არსებულ ნიჭიერთა ათწლედთან შედარებით ძალიან დაბალია. ფრანკფურტში აქამდე ბავშვები ცენტრალურ ნიჭიერთა ათწლედიდან და მეექვსე მუსიკალური სკოლიდან მოდიოდნენ. ეს ყოველ წელს ხდება და მე ძალიან მახარებს, რადგან ამით საქართველო ფურორს ახდენს ევროპაში. მაგრამ ძალიან გამიხარდება ისიც, თუ შევეცდებით, რომ ასეთი ბავშვები რეგიონებში და ჩვეულებრივ მუსიკალურ სკოლებშიც გამოვზარდოთ. წელს კონკურსისთვის რეგიონებიდან სამი ბავშვი ავირჩიეთ. ასე რომ, ნოემბერში ჩვენთან ბავშვები ჩამოვლენ, როგორც თბილისიდან, ასევე ფოთიდან, ქუთაისიდან და გორიდან.

- თქვენ თუ მართავთ ხოლმე კონცერტებს? როგორც ვიცი, ქართველ მუსიკოსებთან ერთად პროპაგანდას უწევდით ქართულ კლასიკურ მუსიკას, კერძოდ, გია ყანჩელს ევროპაში. ამ მხრივ ახლა რა ხდება?

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცოტა დრო მაქვს იმისთვის, რომ თავად დავუკრა, მაინც აქტიური პიანისიტი ვარ. მე ვწერ კიდეც მუსიკას და ძირითადად ჩემი მუსიკის დაკვრა მიწევს გერმანიაში, რადგან გერმანელი მსმენელი ძალიან კარგად იღებს ჩემს მუსიკას... ასევე ძალიან დიდ პროპაგანდას ვუწევ, ჩემ ქართველ მუსიკოს მეგობრებთან ერთად, გია ყანჩელის მუსიკას. გიორგი ცაგარელი, ირაკლი ცადაია, ნიკუშა შამუგია, ნიკოლოზ რაჭველი, დიმიტრი კაკულიძე, ჩვენ ვართ ის კამერული შემადგენლობა, რომელიც ქართულ მუსიკას პროპაგანდას უწევს ევროპაში და ეს ძალიან მნიშვნელოვან-

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

„ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲕᲘᲢᲔᲗ ᲐᲛ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ, ᲪᲘᲮᲔᲨᲘᲕᲔ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ“

„ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲬᲕᲘᲔᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲣᲙᲠᲔᲡ“

„ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲝ, ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“

„ᲮᲐᲚᲮᲜᲝ ᲕᲘᲧᲝᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲒᲐᲕᲘᲢᲐᲜᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲝᲗ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ... ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲝ, ᲛᲘᲕᲮᲔᲓᲝᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲓᲔᲡ“

„2013 ᲬᲚᲘᲡ 17-18 ᲛᲐᲘᲡᲡ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ, ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘ ᲘᲧᲝ - „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

ია ჩვენთვის, რადგან თანადგომა და მუსიკა გადაგვარჩენს ქართველებს.

- ქართველები ყოველთვის ვტრაბახობთ ხოლმე იმით, რომ ძალიან ნიჭიერები ვართ... გერმანელებიც ისეთივე ნიჭიერები არიან?

- მიუხედავად იმისა, რომ გერმანია ბახის, ბეთჰოვენის და ვაგნერის ქვეყანაა, ამ საუკუნის დასაწყისში კლასიკურ მუსიკას ვეღარ აღიქვამენ გერმენელები სერიოზულად, ამიტომაც იმ დონემ ძალიან იკლო. ეს ნიჭი კი ქართველებს უხვად ჰქონდა ყოველთვის და აქვს დღემდე. სამწუხარო ის არის, რომ გერმანელებს, ჩვენგან განსხვავებით, დისციპლინა აქვთ და შრომა იციან, ჩვენ ეს უნდა ვისწავლოთ, ამას თუ შევძლებთ, მაშინ ყველაფერი ბევრად უკეთესად იქნება. მე გერმანიამ ბევრი რამ მომცა. პირველ რიგში, ვისწავლე რა არის შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, საქმის ერთგულება...

- როგორც ვიცი, საქართველოში 2009 წლის შემდეგ არ ყოფილხართ, არ გენატრებოდათ?

- საქართველო ყოველთვის მენატრება, რომ მენატრება და ჩემი ქვეყნის პატრიოტი რომ ვარ, ალბათ, ამიტომაც ვცდილობ, რომ საქართველოსთვის და ქართველი ბავშვებისთვის ვაკეთო პროექტები და არა მარტო მუსიკალურ სფეროში, არამედ ზოგადად კულტურაში. უახლოეს ხანში მხატვრობაშიც ვაპირებ რაღაც პროექტის განხორციელებას... სამწუხაროდ, ყველაფერი ერთად არ ხდება, მაგრამ ძალიან დიდი მონდომებით ვეკიდები ამ საქმეს და უახლოეს ხანში ესეც გამოვა. მე მირჩევნია ვცხოვრობდე გერმანიაში და საქართველოს იქიდან ძალიან კარგი საქმე ვუკეთო, ვიდრე ვცხოვრობდე საქართველოში და ვერ შევძლო ვერაფრის კეთება, ამიტომ მე ვიტან ამ ნოსტალგიას, საქართველო მენატრება... ადრე, როდესაც ახალი წასული ვიყავი, კონცერტებით ძალიან ხშირად ჩამოვდიოდი, ბოლოს 2009 წელს ვიყავი პროექტით, რომელიც მაშინაც ბავშვებს ეხებოდა... მიხარია, რომ დღეს აქ ვარ და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში შევძლებ ზუსტად იგივე პროექტებით საქართველოში დაბრუნებას.

„ᲠᲝᲪᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲘᲡᲛᲘᲜᲐ, ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲔᲡ ᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲐᲠᲘᲡᲝ... ᲛᲔᲐᲛᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲘᲚᲘᲐ-ᲛᲔᲗᲘᲥᲘ, ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ირაკლი კახიძე: „ლადო ათანელ

ქართველი ტენორის წარმატებები უცხოეთში

დეა თავბერიძე

ირაკლი კახიძე მნიშვნელოვანი პარტიებით გაიცნო ბათუმელმა მსმენელმა, შემდეგ იყო თბილისი, დუეტი ლადო ათანელთან და გამგზავრება საფრანგეთში... როგორც ამბობენ, ევროპაში დღეს კარგი ტენორების დეფიციტია... საერთოდ კი, ტენორი მამაკაცის ხმებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და იშვიათი ხმაა... ამიტომაც სთხოვენ საფრანგეთში მყოფ ქართველ ტენორს, უცხოელი აგენტები ადრეულ ასაკში ბევრი ისეთი პარტიების შესრულებას, რომელიც მისთვის ჯერ ძალიან ადრეა. მაგრამ პასუხად უარს იღებენ, ეს აბრაზებთ და მერე ცდილობენ დაბლოკონ კიდეც. თუმცა, ნიჭი მაინც თავისას შვრება და იძულებულები არიან ისევ ამ იშვიათი ტენორის მქონე ქართველ მომღერალს სთხოვონ, იმღეროს. ირაკლი კახიძემ საოპერო კარიერა, 20 წლის ასაკში, ბათუმიდან დაიწყო...

ირაკლი კახიძე: „აქ ხშირად მიწევს რაღაც პარტიებზე უარის თქმა, რადგან ცუდი ტენდეცია წავიდა იმის გამო, რომ ტენორი ვარ, 33 წლისას „ოტელოს“ მთავაზობენ, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვი, არ მინდა რამდენიმე წელიწადში დავამთავრო ჩემი კარიერა. ეს აბრაზებს აგენტს და გბლოკავს... მიუხედავად ამ ყველაფრისა თავი უნდა დაიმკვიდრო, მებრძოლი სულის უნდა იყო და არაფრის უნდა შეგეშინდეს... უკვე ორი წელია, რაც აქ ვარ... პირველი წელი ადაპტაცია იყო, ეჩვევი აქაურ მუსიკალურ კლიმატს და ევროპულად იწყებ აზროვნებას. ამათი

მსოფლიო ტენორ რობერტო ალანიასთან ერთად

„ჩემმა მეუღლემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ წარმატებული მომღერალი გავმხდარიყავი. ამაყი ვარ, როცა ამას ვამბობ“

მუსიკალური გემოვნება რადიკალურად განსხვავდება. აქ სხვა კულტურაა. თუ ქართველები მარტო ხმას აქცევენ ყურადღებას, აქ ხმასთან ერთად არტისტიზმია უმთავრესი, უნდა დააჯერო ევროპელი მაყურებელი“...

ქართველი ტენორი მალე ნორვეგიის სამეფო თეატრსა და საფრანგეთის ქალაქ ნიცაში საერთაშორისო პრემიერებში იმღერებს, ამ პრემიერებს ესტონეთში გამგზავრება მოჰყვება, მანამდე კი იყო ტულონი, პარიზი, ავინიონი, ნანსი, მარსელი, ლიონი, კანი, ჰოლანდია – ამსტერდამი, კორეა – დეგუ... და ეს სულ რაღაც ორიოდე წელში... ორი წელია, რაც ირაკლი კახიძე მარსელის „კნიპალის აკადემიის არტისტებისთვის“ სოლისტია. ამ პერიოდში კი მუშაობა მოუხდა ისეთ ცნობილ რეჟისორებთან, როგორებიცაა ჟან ლუი პიშონი და შარლ რუბოა... 2012 წელს მიწვეული იყო საფრანგეთის ქ. მონპელიეში „რადიო საფრანგეთის“ ფესტივალზე, სადაც წარმატებით შეასრულა რუდოლფის პარტია – პუჩინის ოპერიდან „ბოჰემა“. რადიო საფრანგეთთან თანამშრომლობას დღესაც აგრძელებს, თავის დროზე ამ კომპანიასთან ბევრ ლეგენდარულ და გამოჩენილ ვოკალისტს ჩაუწერია კლასიკური რეპერტუარი. ეს ბათუმელი ბიჭი დღეს პარიზის მარია კალასის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსის ფინალისტია. ხოლო საფრანგეთში გამგზავრებამდე ლადო ათანელის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა...

ირაკლი კახიძე: „ლადო ათანელის ფონდის ლაურეატი 2011 წელს გავხდი, მაშინ ლადომ გამონაკლისი გააკეთა და გამარჯვებული კონკურსანტი მასთან ერთად „ტოსკაში“ ამღერა. ეს ბედნიერება მე მხვდა წილად. ლადოსთან და ნორმან ხანჩელთან ერთად ვიმღერე. ძალიან მნიშვნელოვანი წუთები იყო ჩემთვის. ევროპაში გასული არ ვიყავი ჯერ, მაგრამ ევროპაში ცნობილ მომღერლებთან ერთად ვიდექი სცენაზე. ორი არია შევასრულე. ჯანლუკა მარჩიანო დირიჟორობდა და ძალიან კარგი საღამო იყო... ლადო ათანელს პირველად 2010 წელს შევხვდი, მაშინ მან ვოკალისტებისთვის პირველი კონკურსი ჩაატარა. მე ამ კონკურსში მონაწილეობა არ მიმიღია, სამი დღე იყო დარჩენილი გალა კონცერტამდე, როცა კონსერვატორიაში მედეა ამირანაშვილის კლასში მომისმინა. ვიმღერე თუ არა, წამოხტა თვალცემლიანი, მაკოცა და მითხრა, ხომ ამდენს დავდივარ ევროპაში, მაგრამ ასეთი ძლიერი ტენორი და თან ასეთი მაღალი ტემბრის, არ შემხვედრიაო... გალა კონცერტი ფილარმონიაში იყო დაგეგმილი. მოხდა

მეუღლესთან ერთად

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ის წყალობით გავიკვლიე გზა“

EXCLUSIVE

„მიუხედავად ყველაფრისა, თავი უნდა დაიმკვიდრო, მებრძოლი სულის უნდა იყო და არაფრის არ უნდა შეგეშინდეს“

ისე, რომ ტენორი, რომელიც ლადოს ჰყავდა ჩამოყვანილი და რომელსაც ნინო სურგულაძესთან კარმენი უნდა ემღერა, ასევე კვარტეტი, ჰერცოგის არიაზე და რეჩიტატივზე ამბობს უარს. მედეა ამირანაშვილმა მკითხა, - შეგიძლია ჰერცოგის არია ისწავლო? კონცერტამდე 2 დღე იყო დარჩენილი, რა თქმა უნდა-მეთქი ვუპასუხე... არ იყო ადვილი, 5 ფურცელი უნდა მესწავლა... ვისწავლე, ლადომ მოისმინა თუ არა, ეგრევე ჩამსვა კონცერტში. პირველი შეხება, დიდ დარბაზში მაყურებელთან, ეს იყო ფილარმონიაში ლადო ათანელთან ერთად“.

„ლადო ათანელის წყალობით გავიკვლიე გზა“

„დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ მოგეხმარებიან და როგორ დაგიდგებიან გვერდით. რაც არ უნდა კარგი მომღერალი იყო, ადამიანების თანადგომა აუცილებელია. შეიძლება ითქვას, რომ ლადო ათანელზე მე და სულხან ჯაიანი (ბათუმელი მომღერალი, რომელიც მარსელში სწავლობს) ვლოცულობთ... 2011 წელს მარათონს „დავეხმაროთ ახალგაზრდა მომღერლებს“, რომლის პრიზიორიც გავხდი, ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ლადო ათანელმა ჩემთან აბესალომისა და მურმანის დუეტი იმღერა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენ, ახალგაზრდები, წარმოვეჩინეთ და როგორმე საზღვრებს გარეთ გავსულიყავით. უცხოეთში სწავლის საფასურის მცირე ნაწილიც ლადო ათანელის ფონდმა მოგვცა. რამაც მთავარი როლი ითამაშა, ამის საფუძველზე აჭარის მთავრობამ მე და სულხანი დაგვაფინანსა და საფრანგეთში გაგვამგზავრა... ასე რომ, ლადო ათანელის წყალობით გავიკვლიე გზა, მანამდეც ვმღეროდი და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ საქართველოს სცენებზე დარჩებოდა, იყო ბევრი დაყვავება, ბევრი დაპირება, მაგრამ მეორე დღე როდესაც თენდებოდა, მაინც საქართველოში ვიყავი. ჩემს ქვეყანას არაფერი მირჩევნია, საქართველოს სიყვარულს ჩემი ოჯახის სიყვარულთან ვაიგივებ. რადგან ჩემი ქვეყანაა, ჩემი სამშობლო და მე ვამაყობ ჩემი ქართველობით. მაგრამ აქ სწავლამ და გამოცდილების მიღებამ ბევრი რამ მომცა“...

სცენაზე

„სცენაზე შიში არასოდეს არის, არის ღელვა, რომელიც აუცილებელიცაა, ეს მაქსიმალურად გაძლევს ტონუსს იმისთვის, რომ გახვიდე და შეასრულო ის, რაც ჩაფიქრებული გაქვს. შიში სადაც არის, იქ დიდი ხელოვნება არ არსებობს, იქ მთავრდება ყველაფერი. ღელვაც სცენაზე გასვლამდეა, სცენაზე როდესაც გადიხარ, იქ ყველაფერი მთავრდება. იქ არა ხარ ირაკლი კახიძე, თუ „ტრავიატას“ მღერი, ხარ ალფრედი და გაქვს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. მთავარია, ეს როლი მაყურებლამდე სწორად მიიყვანო. ტენორი არის ხმა, რომელსაც თუ არ უხარია მაღალი ნოტები, თუ ცოტა პრობლემატურად ეკიდება ამას, თუ ფრთხილობს და შებოჭილია, ზუსტად იგივე მდგომარეობაშია პუბლიკა. ანუ პუბლიკა ერთგვარად ქვევრის პოზიციაშია, რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს, საკმარისია, რომ დაიძაბოს მომღერალი, შეგატყოს, რომ რაღაცას ვერ ვმღერი, პუბლიკაც დაძაბულია. ხოლო თუ ლაღად გამოდიხარ, გაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველაფერი თავისუფლად წარმოაჩინო პუბლიკაც არხეინად გისმენს. აქ უკვე ჯდება შენდამი სიყვარული, გარკვეული სიმპათიები და იწყება დიდი ხელოვნება. მაგრამ აქამდე უნდა მიხვიდე, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ამისთვის ჩემმა პედაგოგებმა ძალიან ბევრი იწვალეს. მეც ვიწვალე. მე სიმღერა ძალიან ადრე დავიწყე და იყო ბევრი ჩავარდნაც. ამ ყველაფერს ეტაპები სჭირდება და სწორი რეპერტუარის შერჩევა. თავიდან ამას პედაგოგი აკეთებს. ამიტომაც მადლობა მარინა ჯახუტაშვილს, ალეკო ხომერიკს, თამაზ ცერიაშვილს, მურმან მახარაძეს, მათ ყველაფერი გააკეთეს ჩემთვის, რომ მე ბათუმიდან თბილისში ჩამოვსულიყავი და ჩემი სიმღერა არ დაეწუნებინათ“.

ხმა

„საერთოდ, როდესაც ფორმაში არა ხარ, არ უნდა იმღერო, როცა თავისუფლად არ მოგდის ხმა, ძალა არ უნდა დაატანო. თორემ, ერთ დღესაც, უხმოდ გაგელვიძება. ხმამ შურუსძიება იცის. როგორც მოექცევი და როგორც წარმართავ, ზუსტად ისე გიპასუხებს... მე ყველაზე ნაკლებად ვუვლი ხმას. ალეკო ხომერიკი ზურიკო ანჯაფარიძის აღზრდილია, თუ ანდღულაძის მოსწავლეები კაშნეთი დადიოდნენ, ზურიკო ანჯაფარიძე გაღეღილი პერანგით იყო. არ ფიქრობდა ხმაზე... იგივეს აკეთებდა ალეკო და ასე ვარ მეც. მწარესაც ვჭამ, მჟავესაც, რომ გითხრათ პაატა ბურჭულაძე ყინულებს ამტვრევს და სიმღერის წინ ყინულებიან წყალს სვამს-მეთქი გაგიკვირდებათ ხო? არადა, ყოფილა ეს შემთხვევაც... მე სიმღერის წინ ყინულიან წყალს ნამდვილად არ ვსვამ, მაგრამ არც ისე ვარ, კარები დავხურო და ფანჯრები არ გავაღო, რომ არ დამიბეროს. საერთოდ, სასურველია კონცერტამდე ბევრი არ ილაპარაკო. ეს გჭირდება იმისთვის, რომ ფსიქოლოგიურად დაისვენო. ისეთ გარემოში უნდა იყო, რომ ნერვები არ აგეშალოს“.

„33 წლისას „ოტელოს“ მთავაზობენ, რა თქმა უნდა, უარს ვიტყვი, არ მინდა, რამდენიმე წელიწადში დავამთავრო ჩემი კარიერა“

„ლადო ათანელმა თვალცრემლიანმა მითხრა, ხომ ამდენს დავდივარ ევროპაში, მაგრამ ასეთი ძლიერი ტენორი და თან ასეთი მაღალი ტემბრის არ შემხვედრიაო“

ბედნიერი ოჯახი

„არავის არ გაუკეთებია ჩემთვის იმდენი, რაც მეუღლემ გამიკეთა. ერთმანეთს 2008 წელს შევხვდით და ჩემი ცხოვრებაც რადიკალურად შეიცვალა. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დიდი მომღერალი გავმხდარიყავი. ამაყი ვარ, როცა ამას ვამბობ... ჩემი მეუღლე, დიანა გოგოჭური, არის ადამიანი, რომელმაც შეძლო ის, რომ ირაკლი კახიძე დღეს ძალიან წარმატებული მომღერალია... ყველანაირად შემიწყო ხელი... ტენორის ატანა პატარა და ადვილი საქმე არ არის სახლში. მისი დამსახურებით, უფრო პატივისცემით მოვეკიდე, როგორც საკუთარ თავს, ასევე, საკუთარ ხმასაც... ჩემთვის ეს მეორე ქორწინებაა, ბევრი სიძნელე გადავლახეთ ერთად. სანამ შვილი გვეყოლებოდა დიანა პატარა სამებაში გალობდა, მაშინ ძალიან გვიჭირდა, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდით, ძალიან პატარა მანქანა გვყავდა, კინდერსურპრიზში მოგებულს ვეძახდით, ხანდახან ბენზინის ფულიც არ გვქონდა, კაპიკებს ვითვლიდით, რომ ეკლესიაში მივსულიყავით. მაგრამ, მისი ძალისხმევით, არ დავნებდით - არ უნდა მოეშვა, სულ ფორმაში უნდა იყო, მერე რა, რომ არ გაფასებენ, მერე რა, რომ ძალიან ცოტას გიხდიანო... ამ სიტყვებს მაშინ ჯადოსნური ძალა ჰქონდა... დღეს ჩვენ ძალიან დიდი ოჯახი ვართ, ჩემს მეუღლეს პირველი ქორწინებიდან ორი შვილი ჰყავს, მე 14 წლის ბიჭი, რომელმაც ჩემთან ცხოვრება აირჩია და გადაწყვიტა, როცა 6 წლის იყო. ასევე, გვყავს ერთი საერთო შვილი დეა... რომელიც პატრიარქმა მოგვინათლა, ყველანი ერთად ვცხოვრობთ და ბედნიერი ოჯახი ვართ“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N22 (220), ორშაბათი 3 ივნისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„ეს 78 წელი ერთ წუთში გავიდა!“

exclusive

კაბი კავსაძე

78 წლის იუბილე და ანაბეჭდი მუზეუმში

რეზიკო დიდებაშვილი - დათო ფორჩხიძის მეორე გამარჯვება

exclusive

ირაკლი კახიძე: „ლადო ათანელის წყალობით გავიკვლიე გზა“

exclusive

ემიგრანტი ფრანკფურტიდან პიანისტი ნინო ყამბაგაშვილი

exclusive

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება